N28 (579) 14/VII-20/VII-2011 ფასი 1 ლარი

ჩემი რჩეული

გალაკტიონ ტაბიძე

ხუთტომეული
ტომი IV

შეგიძლიათ შეიძინოთ
„გზის“ ამ ნომერთან ერთად!

წიგნი და „გზა“ ერთად
6 ლარი ღირს

წიგნის ფასი 5 ლარი

შემდეგ
გალაკტიონ ტაბიძე
ტომი V

ექსკლუზივი

გიგისა და უკრაინელი
ფოტოგრაფის
სიყვარულის ამბავი

„ჩემი ცხოვრება „მგზავრებზეა“
დამოკიდებული“

რეპორტიორების საიდუმლო საქმე

გადაღება აკრძალულია!

„ვაქის მოკვლის
შემდეგ ბაბუა გაგიჟდა“

„მორდუობის“
ფიცის გაფეხისთვის
დასჯილი შვილი

როგორი მეუღლე იყო
ნინი შერმადინი

„ზოგჯერ ვფიქრობ,
რომ სისხლი არა აქვს“

ნიკო გომელაურის
საფლავზე
დატოვებული
წერილები

„ახალგაზრდები მასთან
„სალაპარაკოდ“ მოდიან...“

ISSN 1987 - 5029

10 რჩევა — მამაკაცმა რომ არ მიგატოვოთ

„კვირის პალიტრის“ კოლექცია

„დიდი მხატვრები“

წიგნების სერია რჩეულ ფერმწერებზე - შედევრები და ისტორიები

წიგნი XXI

ლადო გუდიაშვილი

18 - დან - 25 ივლისამდე

მხოლოდ „კვირის პალიტრის“ მკითხველისთვის სპეციალური ფასი 15 ლარი!

ყურადღება უკვე გამოსული ტომები შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნის მაღაზიებში!

„კვირის პალიტრის“ ხელმომწერთა საყურადღებოდ! წიგნის შეძენის მსურველები

დაუკავშირდით „ელვა.ge“-ს ტელ: 8(32) 238 26 73 / 8(32) 238 26 74 კურიერი სერიის ყოველ ტომს ადგილზე მოგართმევთ

franco fontana
italy

franco fontana -ში
გრანდიოზული ფასდაკლება დაიწყო

15% - დან **30%-** მდე

გამოიყენე შანსი და შეიძინე ოქროსა
და ვერცხლის ორიგინალური
ნაკეთობები ყველაზე

დაბალ ფასად!

გააბედნიერე შენთვის ძვირფასი
ადამიანი, ყველასაგან
გამორჩეული
ძვირფასი სამკაულით
franco fontana-ას
უახლესი კოლექციიდან.

franco fontana გემოვნებიანი ადამიანების არჩევანი

რუსთაველის 26 ☎218-10-47;ჰეკინის 7 ☎230-65-56; ჭავჭავაძის 21 ☎218-10-46;
დადიანის 7, ☎218-14-15 (ქარვასლა I სართული)

როდენი – წონაში დასაკლები
უნიკალური საშუალება!

დაიკელი თვეში 9 კილომდე
მისი დროული მიღება თავიდან აგაცილებთ წონაში მატებასაც

- ეკოლოგიურად სუფთა, ბენებრივი ჰიოდექტი
- ხელს უშლის ნახშირწყლების სხიმებში ბადასვლას
- ხელს უნყობს სხიმების ბოლომდე დანვას
- აკვეითებს მადას ენერგიის მომატების ფონზე
- ნორმამდე დაჰყავს სიმსუქნის ჰორმონი ლეპტინი და ქოლესტერინი
- ორგანიზმიდან გამოაკვს ზედმეტი სითხე და მღაკები
- ანესრიგებს საჭმლის მომნელებელ სისტემას

როდენი



მოგვაკითხეთ მისამართზე:
თბილისი, რუსთაველის გამზ. №28
ან მიმართეთ
„ჯი პი სი“-ს საფთიაქო ქსელს,
და სხვა ქალაქის აფთიაქებს.
დაგვიკავშირდით ტელ. ნომრებზე
293 19 87; 230 97 52
მობ: 595308405;

e-mail - promoita@mail.ru
nikosaniltd@mail.ge

მილების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისალებად მიმართეთ ექიმს

„ბომონდის“
ივლისის ნომერი

დიდი საოჯახო სამედიცინო ენციკლოპედია



ფასი 32.99 ლარი

ნიგნზე მუშაობდა:
10 მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
3 მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი
10 მედიცინის დოქტორი

გამომცემლობა პალიტრა L
იკითხეთ წიგნის მაღაზიებში

წიგნები სახლში მიტანით ფასნამატის გარეშე ტელ.: 8(32) 238-26-73; 8(32) 238-26-74; www.elva.ge

№28 (579)
14 — 20 ივლისი, 2011 წ.
ფასი 1 ლარი

კვირის პალიტრა
გზა

ქვეყანა



ფოტორეპორტიორთა სკანდალური საქმის ვერსიები

„ბატონო მიხეილ! მე ერთხელ ვთქვი და კიდევ ვიმეორებ — თავს გავწირავ ჩემი სიმართლისა და თავისუფალი სიტყვის დასაცავად. აქედან ან ცოცხალი და მართალი გამოვალ, ან მკვდარი, მაგრამ მართალი!“

7

სახე

„ვერ მივეცი საყვარელ ადამიანს ის, რაც მან ჩემს დაქალში იპოვა“

„უზრდელ, უცოდინარ და გაუნათლებელ ადამიანს მისსავე ენაზე უნდა ელაპარაკო. ამ ენაზე ლაპარაკი კი სულაც არ მიზიდავს“.

20

- **მინიატიურები** 5
  დამთხვევები გრძელდება!..
- **ჭრელი მსოფლიო** 6
- **ფაქტი და კომენტარი** 7
- **ხუთშაბათიდან ხუთშაბათამდე** 10
- **რაკურსი** 12
- **კრიმინალური ქრონიკა** 13
- **მადლი** 14
- **დეკლარანტები** 16
  „კმარელი“ გიორგი კანდელაკის ქონება თუ უქონლობა...
- **კონკურსანტი** 18
  ვინ აკონტროლებს ქართველ გოგონებს
- **ფსიქოპორტრეტი** 20
  კომპლექსებიანი მომღერალი ცდილობს, ხალხის აზრი გაითვალისწინოს
- **გახსენება** 22
  „ამაყი ვარ, რომ ჩემი ძმაკაცი იყო“
- **კარიერა** 25
  „მამუკა გამყრელიძეს ვგავარ და ტელევიზიას ვთხოვ, მე ამიყვანოს“...
- **ვარსკვლავები** 27
- **თაობა** 28
  „აფხაზებმა ბოდიში მოგვიხადეს — გვაპატიეთ, თუ უნებურად გაწყენინეთო“

ცხოვრება

„მორდუობა“, ფიცის გატეხა და საშინელი ცოდვა...

„სტუმრად მისული ადამიანი მათთვის ისეთივე ხელშეუხებელია, როგორც ტაძარში შემთხვევით ნანახი მტერი. თან, მოხუცი კაცი მათთან თხოვნით მისულა და ცუდად როგორ შეხვდებოდნენ?!“

30

გზა ფინალები

„ქალს კაცების კუდში დევნა არ შეჰფერის“

„უკვე მაღიზიანებს, ეს ხალხი პრობლემას არაფრისგან რომ ქმნის და ბუზს სპილოდ აქცევს. ჩემო კარგო, ამქვეყნად უამრავი სიმპათიური ბიჭია და შესაძლოა, ბევრი მათგანი მოგეწონოს, მაგრამ გრძნობებს არ უნდა აჰყვე..“

66

■ ერთი მიწის შვილები 30
„მორდუობა“, ფიცის გატეხა და საშინელი ცოდვა...

■ კულისები 32
ქართველი პიტკინის ფანი და ქალბატონი, რომელთანაც „შუა ქალაქის“ მსახიობები იხსნებიან

■ პროფესია 34
„ტანია მარიამ ხელი გადამხვია, რამაც ძალიან დამაბნია“...

■ გასაჭირი 36
5 შვილი და 10 წელი უბინაოდ

■ თინეიჯერული პონტები 37
ვინ სად „კერავს“ და „იკერება“

■ ისტორიის ლაბირინთები 40
„მეორე საბჭოთა დეპორტაციის“ საიდუმლოებანი

■ საკითხავი ქალებისათვის 43

■ დიზაინერი 44
საქართველოში შექმნილი ბრიტანული ბრენდი

■ ერუდიტი 46
გიგი დედალამაზიშვილისა და უკრაინელი ფოტოგრაფის ამბავი

■ ჯანმრთელობა 49

■ ანტიდეპრესანტი 50

■ ტაძარი 50
„საწყლების მოწვევა ნადიმზე“

■ წვეთი პოეზია 52

■ საგანძური 53

■ რეალური 54
მორიგანი — აჩრდილთა დედოფალი (გაგრძელება)

■ მისტიკური დეტექტივი 56
რუსუდან ბერიძე. ხაფანგი (გაგრძელება)

■ რომანი 60
სვეტა კვარაცხელია. ყალბი ლტოლვა (გაგრძელება)

■ გზავნილები 64

■ ყველა ერთისათვის 66

■ მობილი-ზაცია 68

■ არენა 74

■ ეს სამყაროა 76

■ გასართობი 78

■ ასტროლოგია 80

■ სკანვორდი 81

■ საფირმო კროსვორდი 82

სამყარო

10 მიზეზი, რის გამოც შეიძლება მამაკაცმა მიგატოვოთ

არასოდეს მოადუნოთ ყურადღება საკუთარი გარეგნობის მიმართ, პირიქით — დღითი დღე უკეთესობისკენ უნდა ისწრაფოდეთ!

43

ბიბლუსი

ხაფანგი

გლებმა ნატას ყავით სავსე ფინჯანი მიაწოდა და ორივე სიამოვნებით შეექცეოდა არომატულ სასმელს.

— ტელეპათიის თუ გჯერათ? — დაინტერესდა გლები.

— ალბათ — არა, — მოულოდნელად ფეხზე წამოდგა ნატა.

56

ტაიმ-აუტი

ალბინოსი — იშვიათი სილამაზე

ბუნებაში ალბინოსი ცხოველებიც არსებობენ და ფრინველებიც. XX საუკუნეში ერთ ინდოელ რაჯას ალბინოსი ვეფხვი მიჰყიდეს. რაჯამ თეთრ ცხოველს — შავი ზოლებითა და ცისფერი თვალებით — მოხანი უწოდა.

76

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: **ზურაბ აბაშიძე**
მთ. რედაქტორის მოადგილეები: **ლალი ფაცია, ლიკა ქავჯაია**
პასუხისმგებელი რედაქტორი: **მარი ჯაფარიძე**
მენეჯერი: **მათე კბილაძე**

დიზაინი: **ანა უთურგაიძე**
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ირმა ლიპარტელიანი, რეზო თხილიშვილი**

მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. #49
ტელ: 238-84-44, ფაქსი: 238-08-63. email: gza@palitra.ge
რეკლამა „გზაში“: 237-78-07; 238-78-70.

დამთხვევები გრძელდება!..

შესავლის ნაცვლად მაგნიტური დღეები მიეწ-ყო გასულ კვირაში... ხომ იცით — ამ დროს განსაკუთრებით ფრთხილად უნდა იყოს კაცი.

როგორც ჩანს, ეს სიტყვასიტყვით ასე ეგონა ზოგიერთს, ანუ მხოლოდ კაცი უნდა იყოს ფრთხილად და არა — ქალიო და ჩვენი მდგრადად განვითარების ერთი მინისტრი საავადმყოფოში მოხვდა, ერთი ჩვენი პრეზიდენტის პრესსამსახურის ერთი უფროსი კი სახლში მკურნალობს ტვინის შერყევას.

ოღონდ რა მიკვირს, იცით? როგორი სხვანაირი მკურნალობა სცოდნიათ ახლა: ვერონიკამ თქვა ქობალიამ, რა ამბავი ატეხეთ, ყოველწლიური პროფილაქტიკური შემოწმებისთვის („ტეხასმოტრი", რა...) ვიყავიო, არადა, აგერ ფოტოები დევს საიტზე — ინტენსიური მკურნალობის პალატაში რომ წევს; ნათია ბანძელაძემაც, — ტვინის მსუბუქი შერყევა მაქვსო, მისი მეუღლე კი საინფორმაციო სააგენტოსთან ინტერვიუში ღელვას ვერ მალავს — ყოველდღე ექიმთან მიყვანა გვიწევს, გუშინაც ნემსის გაკეთების შემდეგ გული ისევ წაუვიდაო... ისევო ანუ — ადრეც წასვლია...

ისე, რაღაა გასაკვირი, მე ჩამოვრჩი ცხოვრებას, თორემ, ეტყობა, არქიფო სეთურის დედაბრისა არ იყოს — „სადაური წესია და აქაური წესია! ასეა საჭირო და მიტომ! მაგი არაა თქვენი საქმე!"

ჰოდა, იმას ვამბობდი, როგორი შეცვლილია მკურნალობის მეთოდები-მეთქი: ადრე ტვინის შერყევაზე სიბნელეში აწვენდნენ და ყველა ფაჩუჩებით დადიოდა, ახლა კი თურმე ექიმთან დაჰყავთ პაციენტები და ისეთ ნემსებს უკეთებენ, რომ გული მისდით... ეს ინტენსიური მკურნალობის პალატაც კარგია პროფილაქტიკის მიზნით, განსაკუთრებით მაშინ, სანამ ფოტოებს დაგილაგებენ ინტერნეტში, მანამდე კატეგორიულად რომ უარყოფ საავადმყოფოსკენ მიმავალი გზის ცოდნასაც კი.

ეს დამთხვევები ხომ — წინა ხუთშაბათსაც აღვნიშნე — საერთოდ მსპობს, რა! როგორც ჩანს, ესეც რთული გასაგებია ჩემთვის — ისევ, როგორც მკურნალობის ის თანამედროვე მეთოდები. არადა, როგორ გინდა გაიგო, რომ ერთი ფოტოგრაფი დედაქალაქში კი არა, სხვა ქალაქში ყოფილა, „შემთხვევით" დედაქალაქში არ ყოფილა მეორე ფოტოგრაფიც და კიდევ უფრო „შემთხვევით", ისიც იმ ქალაქში ყოფილა, სადაც პირველი! ალბათ უკვე ხვდებით, რომ მესამეც იქ ყოფილა, ცხადია — „შემთხვევით", ხოლო მეოთხე, ყოველგვარი ბრჭყალების გარეშე შემთხვევით, მართლა არ ყოფილა იმ ქალაქში და იმიტომაც გამოუშვეს დაკავებიდან რამდენიმე საათში.

მთავარი ის არის, რომ სრულიად „შემთხვევით" იმავე ქალაქში აღმოჩნდა ორი ჩინოსანი ქალბატონი, რომლებმაც, იქიდან დაბრუნებულებმა, ერთდროულად გადაწყვიტეს, ერთმა — „პროფილაქტიკაში" „ხადავოის შემოწმება", მეორემ — მსუბუქი ტვინის შერყევის მკურნალობა.

დაბოლოს, მთავარი დამთხვევა — იმავე დროს იმავე ქალაქში იმყოფებოდა მიხეილ სააკაშვილი, რომელიც შემთხვევით, საქართველოს პრეზიდენტია...

საქმე ის არის, რომ ამ ყველაფერს დაიკიდებდა კაცი და უბრალოდ, ჩვენი ფოტოკოლეგების გულშემატკივრობით შემოიფარგლებოდა, მაგრამ ამ „შემთხვევითობის" შედეგად, თბილისში ჩამოსული რუსი (რუსი-მეთქი, რუსი! პუტინის ქვეყნიდან) ჟურნალისტი აცხადებს: „ქართულ ჟურნალისტიკას ჯერ კიდევ დიდი გზა აქვს გასავლელი"(!). აჰა, არადა, ნათქვამია: „ისეთმა ფურმა დამწიხლოს, ჩემზე მეტს იწველებოდესო!"

ეს ისე, ანდაზაა, თორემ მოწველილებიც ვართ და უარესიც, მაგრამ მაინც გეწყინება კაცს, „დემოკრატიული რუსეთის" ჟურნალისტი ჭკუას რომ დაგარიგებს. ქართველი ჟურნალისტები კითხვებს არ სვამენო! — კიდევ ეს ბრძანა იმ რუსმა!

იცი, რას გეტყვი, „ტავარიშჩ"? კითხვასაც დავსვამდით და სურათსაც გადავიღებდით, მაგრამ მერე „შემთხვევით", ვინმეს რომ არ მოეწონოს, შენ გვიშველი?! არადა, რომ გაგვევსო ამ კითხვებით ჯიბე-უბეები?!.

ზუსტად ისეა ჩვენი საქმე, როგორც იმ გურულ ანეკდოტშია: ბრუნდება კაცი სახლში ნასვამი და ხედავს, ცოლი წევს ლოგინში, საბნიდან კი ფეხები უჩანს, მაგრამ რაც მთავარია, კიდევ ორი ფეხი ჩანს!

— რაია, ქალო, აგი?!

— მთვრალი ხარ და გეჩვენება რაცხა, დაწექი, დეიძინე! — რაღა ექნა? ხვალაც იგივე გამეორდა და ზეგაც! გადაირია გურული, ცოლს არაფერი უთხრა, გამოვიდა ეზოში და ბოლთას სცემს. დაინახა მეზობელმა და გადმოსძახა:

— რა გჭირს ამ შუაღამეს, რამ გადაგრია, ეზოში რომ დადიხარ?

— იტყვი კაცი რამეს და აბდალი ხარ, არადა — გეივსო ლოგინი ფეხებით!..

P.S. აი, ამხანაგო რუსო ჟურნალისტო, დასვამ კითხვას და... „აბდალი ხარ, არადა — გეივსო ლოგინი ფეხებით" და თქვენ კიდე, კითხვებს რატომ არ სვამთო?!

P.P.S. ...რა მაგის პასუხია და, „შემთხვევით", გრიგოლ ორბელიანის ლექსი გამახსენდა — „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში", სადაც თამარს „ღმერთას" უწოდებს ანუ ქალღმერთის მაგივრად ამ სიტყვის გრამატიკულ მდედრობით სქესს გვთავაზობს. ჰოდა, რა ვიფიქრე, იცით? დღეიდან მეც ამ ხერხს უნდა მივმართო და ასე ვისაუბრო: „მდგრადი განვითარების მინისტრა", ან „პრეზიდენტის პრესსპიკერა", ან „ხელისუფლების მიერ დაჩმორებული ტელევიზიის ჟურნალისტა"!

პროვოკატორი

ავტორს შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ ელფოსტით:
provokatori67@gmail.com

ქვეყანა

პომადიანი ტუჩებით შექმნილი ნახატი

ამერიკელმა მხატვარმა ნატალი აირიშმა ხატვის უნიკალურ მეთოდს მიაგნო. ის ნახატებს ე.წ. „კოცნის ტექნიკით“ ქმნის. გოგონა ტუჩებს სხვადასხვა ფერის პომადით იღებავს, შემდეგ კი ტუჩებით ტილოზე ხატავს. როგორც ნატალი ჰყვება, სამხატვრო სკოლაში ხელის ცერა თითის ანაბეჭდით ხატვას ცდილობდა, მაგრამ ამ ტექნიკას სხვა მხატვრებიც იყენებენ, ის კი ორიგინალურ მეთოდებს ეძებდა. „ვიფიქრე, რომ „კოცნის ტექნიკით“ საუკეთესო პორტრეტის შესაქმნელად, მერილინ მონრო იდეალური კანდიდატურა იყო“, — ამბობს ახალგაზრდა მხატვარი. ტუჩებით შექმნილი ერთ-ერთი ბოლო ნამუშევარი ლეგენდარული გიტარისტის — ჯიმი ჰენდრიქსის პორტრეტია, რომელსაც გოგონამ Influence (გავლენა, ზემოქმედება) უწოდა.

ხატვის ასეთი უჩვეულო მეთოდები თანამედროვე ხელოვნებისთვის უცხო როდია. ცნობილი ამერიკელი აბსტრაქციონისტი ჯექსონ პოლოკი „შეშხეფების ტექნიკას“ იყენებს, ფრანგი ნოვატორი მხატვარი ივ კლიაინილი ტილოზე ნახატს ქალის სხეულის ანაბეჭდებით ქმნის. ■

საქორწინო ავტომატები დიდ ბრიტანეთში

ბრიტანულმა კომპანიამ — Concept Shed — შექმნა საქორწინო ავტომატი, რომელსაც 1 გირვანქა სტერლინგად წყვილის დაქორწინება შეუძლია. ავტომატში ფულის ჩაგდების შემდეგ მანქანა საქორწინო მარშის დაკვრას იწყებს და მომხმარებელს ქორწინების ტიპის არჩევას სთავაზობს. სასიძო-საპატარძლომ ორიდან ერთ-ერთ ღილაკს უნდა დააჭიროს ხელი: 1 — „დიახ“-ს ნიშნავს, 2 კი „გამოსვლას“. ამის შემდეგ ავტომატი ქორწინების მოწმობასა და ორ პლასტმასის საქორწინო ბეჭედს იძლევა. მას შემდეგ, რაც ვიდეორგოლი ინტერნეტით გავრცელდა, ავტომატმა სხვადასხვა ქვეყნიდან მრავალი ადამიანის ყურადღება მიიპყრო. კომპანიამ ავტომატზე შეკვეთები უკვე მიიღო. ■

პაბი სატელეფონო ჯიხურში

ინგლისის სოფელ შეპრეტის მცხოვრებლებმა სატელეფონო ჯიხურში პაბი გახსნეს და „ძაღლი და ძვალი“ დაარქვეს. ადგილობრივმა დურგალმა სატელეფონო ჯიხურში ბარის დახლი დაამონტაჟა. დაწესებულებაში ლუდი და ჭიქებიც დააწყვეს. სოფლის მცხოვრებლებს იმედი აქვთ, რომ მათი პაბი გინესის რეკორდების წიგნში მოხვდება. ■

ტუალეტის ქაღალდისგან შეკერილი საქორწინო კაბები

აშშ-ში ტუალეტის ქაღალდისგან შეკერილი საქორწინო კაბების კონკურსი ჩატარდა. ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო ათასზე მეტი საკონკურსო ნამუშევარი. ჟიურის წევრები კაბას მისი შესახედაობის, შესრულების ორიგინალური მანერისა და მასალის გონივრულად გამოყენების მიხედვით აფასებდნენ. ტუალეტის ქაღალდის გარდა, კონკურსის მონაწილეებს წებოვანი ზონრისა და ძაფის გამოყენება შეეძლოთ. პირველი ადგილი მიჩიგანელმა სიუზან ბრენანმა დაიკავა და პრიზის სახით, 1.000

დოლარი მიიღო. კაბის შესაქმნელად, გოგონამ მხოლოდ 4 რულონი ტუალეტის ქაღალდი გამოიყენა. მეორე ადგილზე კალიფორნიელი ლორა ლი გავიდა და 500 დოლარი გადასცეს. მან საქორწინო კაბა 5 რულონი ტუალეტის ქაღალდისგან შექმნა. მესამე ადგილი და 250 დოლარი სინტია რიჩარდსს ერგო, რომელიც ჯორჯიის შტატიდან გახლდათ. სინტიას კაბის დასამზადებლად 20 რულონი ქაღალდი დასჭირდა. ■

რუბრიკა მოამზადა
ხათუნა ბახტურიძემ

ფოტორეპორტიორთა სკანდალური საქმის ვერსიები

„ჩემი ქვეყნის საზიანო არასოდეს არაფერი გამიკეთებია!“

დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია ფოტორეპორტიორების სკანდალურმა დაკავებამ. ირაკლი გედენიძის, ზურაბ ქურციკიძისა და გიორგი აბდალაძისთვის წაყენებული ჯაშუშობის ბრალდება დღემდე პასუხგაუცემელს ტოვებს კითხვებს, რომლებსაც ჟურნალისტები და საერთოდ, საზოგადოება სვამს. მდგომარეობას ამძიმებს გრიფი — „საიდუმლოდ“, რომელიც სამართალდამცველებს საშუალებას აძლევს, ბურუსით მოცული საქმის გარემოებები კიდევ უფრო გააბუნდოვნოს.

ნათუნა ბახტურიძე

სამართალდამცველთა ვერსიით, ევროპის ფოტოსააგენტოს ფოტოგრაფი ზურაბ ქურციკიძე რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს მთავარ სადაზვერვო სამმართველოს აწვდიდა საიდუმლო ინფორმაციას, რომელსაც საჯარო სამსახურში მომუშავე კოლეგები გარკვეული თანხის საფასურად აწვდიდნენ. ოფიციალური ინფორმაციით, გედენიძისა და აბდალაძის ფოტოებისა და მათ კომპიუტერებში არსებული მასალების შესწავლისას აღმოაჩინეს პრეზიდენტის ადმინისტრაციული სასახლის სქემატური ნახაზის ფოტოები, პრეზიდენტის მარშრუტი, დეტალები პრეზიდენტის შეხვედრებსა და ვიზიტებზე. გამოქვეყნდა აგრეთვე ირაკლი გედენიძის აღიარებითი ჩვენება.

მაგრამ არსებობს ორი ვერსია, რომელიც, მოარული ხმებით, ფოტორეპორტიორების სამაგალითოდ დასჯის მიზეზს ხსნის. ერთ-ერთს თავის წერილში, დაკავებული გიორგი აბდალაძე ამბობს: „...თავისთავად ფაქტია, რომ ჩვენი დაპატიმრება უშუალოდ მიხეილ სააკაშვილის ბრძანებით მოხდა, რადგან მისი პირადი რეპორტიორიც, ირაკლი გედენიძეც დაკავებულია... მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი და ჩემი კოლეგების დაკავება 26 მაისის ფოტოებს უკავშირდება. მე ბევრი ვიფიქრე და ამ დასკვნამდე მივედი. აი, რატომ: პირველ რიგში, აგვისტოს ომის შემდეგ სხვა სკანდალური ფოტოები პირადად მე არ გადამიღია. ის ფოტოები სააკაშვილს არ გააღიზიანებდა. პირიქით, ყველა კადრი რუსეთის აგრესიას ასახავდა და ერთ-ერთმა მათგანმა მსოფლიო პრესა მოიარა. 26 მაისს ჩვენ გადავიღეთ ფოტოები, რომლებშიც კარგად ჩანდა, როგორ გაუსწორდით საკუთარ მოსახლეობას, ჩემი ორი კადრი „ასოშიეიტიდ პრესის“ ვებგვერდზე დაიდო, საიდანაც ევროპისა და ამერიკის არაერთ გაზეთსა და ჟურნალში დაიბეჭდა. ასევე სკანდალური ფოტოები გადაიღეს და გაავრცელეს ზურა ქურციკიძემ, შახ აივაზოვმა, „ფრანსპრესისა“ და „როიტერის“ ფოტორეპორტიორებმა. თუმცა, უნდა ვაღიარო, რომ ყველაზე კარგი კადრები ირაკლი გედენიძეს ჰქონდა. ის სპეცრაზმელებთან ერთად მოვიდა აქციის დარბევის დროს, ფოტორეპორტიორებიდან ყველაზე საუკეთესო პირობებში იყო, რადგან პოლიციელებმა იცოდნენ, პრეზიდენტის პირადი ფოტოგრაფი რომ იყო და არავინ არაფერს უშლიდა. ირაკლიმ გადაიღო კადრი, სადაც კარგად ჩანს სპეცრაზმელების მიერ მოკლული ადამიანი. მერე ეს ფოტო ზურა ქურციკიძეს მიჰყიდა, რომელმაც ის ევროპის ფოტოსააგენტოს მეშვეობით გაავრცელა. ამ კადრს ავტორი არ ეწერა, მაგრამ ყველა ფოტორეპორტიორმა იცოდა, ირაკლის გადაღებული რომ იყო. მოკლედ, ირაკლისა და ჩვენმა ფოტოებმა მოიარა მთელი მსოფლიო და იმ ქვეყნების ჟურნალ-გაზეთები, სადაც მიხეილ სააკაშვილს დიდ დემოკრატად მოაქვს თავი. როგორც ჩანს, სააკაშვილმა გაიგო, ირაკლიმ ამ დარბევის ფოტოები საერთაშორისო პრესაში რომ გაავრცელა და არ აპატია. არ გვაპატია ჩვენც, დემოკრატიულ ქვეყნებში თავი რომ მოვჭერით და ყველას რომ ვაჩვენეთ, სისხლიანი რეჟიმის მეთაური რომ არის... იმ ფოტორეპორტიორებს არავინ შეეხო, ვინც ეს კადრები მხოლოდ ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებში გამოაქვეყნა, მაგრამ ჩვენი დაჭერა მათთვისაც ნიშანი იყო... სხვათა შორის, 28 ან 29 მაისს დამირეკეს სახელმწიფო დაცვის სამსახურიდან და მითხრეს, ჩემ მიერ 26 მაისს გადაღებული ყველა ფოტო მათთან მიმეტანა. მაშინ ამ საკითხს არასერიოზულად შევხედე და ვუთხარი, ფოტოები წავშალე-მეთქი. ალბათ, მაშინ უნდა მივმხვდარიყავი, რომ ამ ფოტოების ამბავი ასე უბრალოდ არ ჩაივლიდა... მე უდანაშაულო ვარ და სიმართლის თქმის გამო ვისჯები. ამიტომაც აქვე მივამართავ მიხეილ სააკაშვილს:

ბატონო მიხეილ! მე ერთხელ ვთქვი და კიდევ ვიმეორებ — თავს გავწირავ ჩემი სიმართლისა და თავისუფალი სიტყვის დასაცავად. აქედან ან ცოცხალი და მართალი გამოვალ, ან მკვდარი, მაგრამ მართალი! სწორედ ეს გამოაფხიზლებს ქართულ მედიას, საერთაშორისო საზოგადოებას და ჩვენს ხალხს. მე მართალი ვარ!!! მე ჩემი ქვეყნის საზიანო არასოდეს არაფერი გამიკეთებია!!! ეს თქვენ ყველაზე უკეთ იცით!!!“

მეორე ვერსიის თანახმად, ფოტოგრაფების დაკავება ბათუმში სტინგის კონცერტის შემდეგ გადაწყდა. როგორც ამბობენ, გედენიძემ იქ სკანდალური ფოტოები გადაიღო. ბათუმიდან ქურციკიძეს დაურეკა და უთხრა, რომ ძალიან მაგარი სურათები ჰქონდა. გედენიძე ქურციკიძეს თბილისში უნდა შეხვედროდა, მაგრამ იგი თბილისში ჩამოსვლისთანავე, შუაღამისას საკუთარ სახლში დააკავეს. როგორც ცნობილია, კუდ-ის თანამშრომლები გედენიძესთან სწორედ იმ „ფლეშკას“ ეძებდნენ, სადაც სკანდალური ფოტოები იყო ჩაწერილი. ამბობენ, საბოლოოდ ეს „ფლეშკაც“ ჩაიგდეს ხელში და სამხილი გააქრეს...

საქმეს დიდი საერთაშორისო რეზონანსი მოჰყვა. ფოტორეპორტიორების დაკავების ფაქტს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტიც გამოეხმაურა და საქმის სამართლიანი გამოძიება მოითხოვა. ობიექტური, მიუკერძოებელი გამოძიებითაა დაინტერესებული ევროპის

გიორგი აბდალაძე ირაკლი გედენიძე ზურაბ ქურციკიძე

ფოტოსააგენტო (EPA), რომლის თანამშრომელიც გახლავთ ზურაბ ქურციკიძე. საქმის გაშუქებისას, მასმედიის ზოგიერთი ორგანო თითქმის დაუფარავად გამოხატავს ეჭვს ფოტოგრაფებისთვის წაყენებული ბრალდებების სამართლიანობაში. გაცილებით უნდობლად არის განწყობილი ქართველი საზოგადოება, რაც ჩვენმა სახელდახელო გამოკითხვამაც დაადასტურა.

„თავი დამანებეთ, რა ჩემი საქმეა?! არაფერი დამინახავს, არაფერი გამიგია“, — ასეთი იყო პასუხების უმეტესი ნაწილი კითხვაზე — გჯერათ თუ არა, რომ ფოტორეპორტიორები უცხო ქვეყნის სასარგებლოდ ჯაშუშობდნენ? როგორც უკვე ცნობილია, ირაკლი გედენიძეს, ზურაბ ქურციკიძესა და გიორგი აბდალაძეს ბრალად ედებათ ერთ-ერთი უცხო ქვეყნის

საზოგადოებისთვის ქუჩაში გამოსვლა ჯერ არ მოგვიწოდებია, მაგრამ თუ ფოტორეპორტიორების საქმეს სამართლიანად არ მიუდგებიან, ამ უკიდურეს ზომასაც მივმართავთ

სპეცსამსახურის საფარქვეშ მოქმედი ორგანიზაციისთვის, საქართველოს ინტერესების საზიანოდ, მათი სამსახურებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, სხვადასხვა სახის ინფორმაციის მიწოდება. მათ სასამართლომ წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. ნათია გედენიძე კი 10-ათასლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს.

როგორც ჩანს, ქვეყანაში ბოლო დროს ჯაშუშების „ისტერიკულმა გამოვლინებამ“ საზოგადოება შოკში ჩააგდო. თუ ადრე რუბრიკისთვის — „ფაქტი და კომენტარი“ რესპონდენტების მოძიება არ მიჭირდა და ქუჩაში ნებისმიერი გამვლელი უპრობლემოდ პასუხობდა ჩემ მიერ დასმულ შეკითხვებს, ამჯერად მათთვის დიქტოფონის დანახვაც კი საკმარისი აღმოჩნდა, რომ უკანმოუხედავად გაქცეულიყვნენ. რამდენიმე მოქალაქემ მცირე კომენტარის გაკეთებაც გაბედა, მაგრამ შეშინებულმა მთხოვა, კონფიდენციალობა დამეცვა და მისი სახელიც კი არ გამემჟღავნებინა. გულახდილები და უშიშრები, მცირე გამონაკლისის გარდა, არც საზოგადოებისთვის ცნობილ სახეებს შორის აღმოჩნდნენ.

რეზო მიქველაძე, *მწერალი:*

— ჯაშუში შეიძლება, ნებისმიერი პროფესიის ადამიანი იყოს, მათ შორის, ფოტორეპორტიორიც და პროვიზორიც. მაგრამ საეჭვო სხვა რამაა: ფოტორეპორტიორების საქმეს გრიფი — „საიდუმლოდ“ ადევს. ხელაღებით ვერც იმას ვიტყვი, რომ ეს ბიჭები ჯაშუშები არიან და ვერც მათ უდანაშაულობაზე დავდებ თავს. იმედი მაქვს, ჩვენს მართლმსაჯულებას ეყოფა ჭკუა და გამოცდილება, რომ საზოგადოებას არგუმენტირებულად დაუსაბუთოს ის ბრალდებები, რაც ფოტორეპორტიორებს წაუყენეს. მხოლოდ ცარიელ სიტყვებსა და უსაბუთო ბრალდებებს ხალხი არ დაიჯერებს. ასეთ შემთხვევაში, ფოტოგრაფები პოლიტიკურ პატიმართა რიგს შეავსებენ, რაც ხელისუფლებისთვის კიდევ ერთი დიდი შეცდომა იქნება.

თამრიკო ჭოხონელიძე, *მუსიკოსი:*

— ძალიან დავიბენი, საერთოდ აღარავისა და აღარაფრის მჯერა. მხოლოდ უფლის მჯერა და იმედი მაქვს, რომ საქართველოში მალე ყველაფერი დალაგდება. პრეზიდენტს ამდენი ხანი ჯაშუში გვერდით ჰყავდა და ვერავინ ვერაფერს ხვდებოდა?! ეს ხომ წარმოუდგენელია?

როდესაც ქუჩაში რიგითი მოქალაქეების აზრის გასარკვევად გავედი, ერთად მიმავალი ორი ქალბატონი და ერთი გოგონა დავინახე. ის იყო, ერთ-ერთმა ქალბატონმა ჩემს კითხვაზე პასუხის გაცემა დააპირა, რომ მეორემ ხმამაღლა შეყვირა, — არაფერი თქვა, ხომ იცი, რა ქვეყანაშიც ვცხოვრობთო! დავამშვიდე, — ნუ გეშინიათ, არც მასე ცუდად არის საქმე-მეთქი. ჩემმა რესპონდენტმა კიდევ ერთხელ დააპირა პასუხის გაცემა, მაგრამ ამჯერად გოგონა ჩააფრინდა მაჯაში და სთხოვა, — დედა, გეხვეწები, არაფერი უთხრა, წამოდიო. შეშინებულ ქალბატონებს გავეცალე და შევეცადე, შედარებით გაბედული ადამიანები მოძიებნა.

მარინა, *57 წლის:*

— ასეთი უტრირებული ამბების არ მჯერა. მაგრამ არც ის იქნება კარგი, რომ ყველაფერზე თვალი დავხუჭოთ. პირადად ვიცნობდი ერთ ადამიანს, რომელმაც სუფრაზე, სიმთვრალისას საოცარი რაღაცები აღიარა: თურმე რუსეთის დავალებით, თბილისში ტერორისტულ აქტებს აწყობდა.

— მართლა გგონიათ, რომ ჯაშუში სიმთვრალეში თავს ვერ აკონტროლებს?..

— ის კაცი პოლკოვნიკი იყო, ომში კონტუზია მიიღო და იმის მერე ვეღარ აკონტროლებდა თავს. მერწმუნეთ, არაფერს ვიგონებ. უფრო მეტსაც გეტყვით: რუსეთის ერთ-ერთი ჯაშუში ჩემი მეგობრის მამა იყო. ეს ამბავი შემთხვევით შევიტყვე. ნუთუ ეჭვი გეპარებათ, რომ საქართველოში რუსეთის აგენტურული ქსელი აქტიურად მუშაობს?! კრემლს ჩვენს ქვეყანაში სულ 60 ათასი ჯაშუში ჰყავს შემოგზავნილი.

— ეს ინფორმაცია საიდან გაქვთ?

— საკმაოდ დიდხანს ვცხოვრობდი რუსეთში და საკმაოდ კულუარულ ინფორმაციებზეც მიმიწვდება ხელი...

ლია, *36 წლის:*

— ვერაფერს გეტყვით.

— რატომ? არაფერი იცით თუ გეშინიათ?

— მოდი და, ნუ შეგეშინდება!..

გურამი, *40 წლის:*

— შეიძლება, ფოტოგრაფებმა რაღაც ფოტო მართლაც გაყიდეს, მაგრამ არა მგონია, ეს ჯაშუშურ საქმიანობას უკავშირდებოდეს.

ხათუნა, *26 წლის:*

— რა აგენტები, რის აგენტები?! ამ ბიჭებს ის არ აპატიეს, რომ 26 მაისის აქციის დარბევა გადაიღეს და მსოფლიოში გაავრცელეს.

გოგი, *70 წლის:*

— რა სისულელეა, არ ჰგავს ეგ ხალხი აგენტებს.

— აგენტებს რითი უნდა ჰგავდნენ?

— თავიანთი საქმიანობით. არა მგონია, ფოტოგრაფს რაიმე მნიშვნელოვან ინფორმაციაზე მიუწვდებოდეს ხელი.

ნუცა, *45 წლის:*

— როგორ შეიძლება მაგის დაჯერება?! ამ ხელისუფლებას რომ ჰკითხო, ჩვენ ყველანი ჯაშუშები ვართ.

გოგი, *60 წლის:*

— სასაცილოა ეს ბრალდება. რომელ საუკუნეში ვცხოვრობთ?! ძალიან იოლად იპოვით იმ ინფორმაციას ინტერ-

ნეტში, რის გადაცემასაც ფოტორეპორტიორებს აბრალებენ. თუ მოსკოვი ქართველ ფოტოგრაფებს ასეთ ინფორმაციებში მართლა უხდიდა ფულს, გამოდის, რომ ჩვენი ბიჭები რუსებს მაგრად აშაყირებდნენ.

ლალი, *41 წლის:*

— ზუსტად მასეთი შტერები არიან რუსები, რომ ფოტორეპორტიორებს გადაუხადონ ფული „ჯაშუშობისთვის"!.. მაგათ თავიანთი წარმომადგენლები უფრო მაღალ ეშელონებში ეყოლებათ. მე თავად ეს ხელისუფლება მგონია რუსეთის აგენტი — მთელი საქართველო, თავისი ტერიტორიებიანად, რუსეთს მიჰყიდა.

ავთო, *45 წლის:*

— გამორიცხულია, რომ ეგ ამბავი სიმართლე იყოს. ადრეც დაადანაშაულეს ვიღაც-ვიღაცები აგენტობაში, მაგრამ მერე ბრალი ვეღარ დაუმტკიცეს. რა მიკვირს, იცით? დღეს საქართველოში ყველამ იცის, რომ ტელეფონები ისმინება; დავიჯერო, ეს ფოტორეპორტიორებმა არ იცოდნენ?! მით უფრო მაშინ, თუ ბიჭები მართლაც ჯაშუშები არიან?

თენგო, *34 წლის:*

— ეჭვიც არ მეპარება, რომ რუსეთს საქართველოში ჯაშუშები ჰყავს, მაგრამ არა მგონია, ისინი მაინცდამაინც ფოტორეპორტიორები იყვნენ. ისეთი რა უნდა გადაეღოთ ამ ბიჭებს, რასაც ჩვენი ხელისუფლება არ აჩვენებს რუსებს?! რამდენიმე თვის წინ, საქართველოში რუსი ჟურნალისტი იყო ჩამოსული და სპეცრაზმის ბაზაზე მიიყვანეს. ძალიან „საიდუმლოდ" კი დაწერდა ის ჟურნალისტი, ქართველი სპეცრაზმელების ამბებს, ხომ იცით...

დალი, *40 წლის:*

— შესაძლოა, ფოტორეპორტიორები მართლაც იყვნენ ჯაშუშები, მაგრამ ამის დაჯერება ხალხს ძალიან გაუჭირდება. ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ ჩვენი ხელისუფლება ლამის ყოველთვე „ავლენს" აგენტებს. სულ არ გამიკვირდება, თუ მალე მეც დამადანაშაულებენ აგენტობაში. სააკაშვილი მალე იმ მატყუარა ბიჭუნას დღეში აღმოჩნდება, „მგელი-მგელის" ძახილში სიმართლეს რომ აღარ დაუჯერებენ.

კოტე, *27 წლის:*

— რატომ ემთხვევა ისე, რომ ვინც კი სააკაშვილის საწინააღმდეგოდ პატარა ნაბიჯს გადადგამს, ან აგენტი აღმოჩნდება, ან — კორუმპირებული?! ამ საქმეში ძალიან ბევრი საეჭვო დეტალია. ჯაშუშების ამბები მხოლოდ ფილმებიდან და წიგნებიდან მსმენია, მაგრამ ის მაინც ვიცი, რომ ეს ხალხი საბანკო გადარიცხვებს არ ახორციელებს და ფულს ფარულად იღებს. აი, სატელეფონო საუბრები კი ნამდვილი საბავშვო ბაღია... ■

ჯაშუშომანიის სინდრომით დაავადებული ხელისუფლება

და ჟურნალისტების პროტესტი საყვირის ფონზე

12 ივლისის მთავრობის სასახლის წინ ფოტორეპორტიორების დაკავების გამო პროტესტი ჟურნალისტებმა საყვირებით გამოხატეს. სპეციალურ მაისურებში გამოწყობილი მედიის წარმომადგენლები პარლამენტის კიბეზე დადგნენ პლაკატებით, რომლებზეც ეწერა: No Pictures, No Democracy. აქციაში 100-მდე ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. ჟურნალისტების პროტესტს საზოგადოებრივი ორგანიზაციები და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებიც შეუერთდნენ და საკუთარი პოზიცია დაუფარავად გამოხატეს.

ნათუნა ბახტურიძე

ია ანთაძე:

— თუ ხელისუფლება ჩვენს მოთხოვნებს არ გაიზიარებს, ვეცდებით, კიდევ უფრო ქმედითი ნაბიჯები გადავდგათ — საერთაშორისო ორგანიზაციები და უცხოეთის საელჩოები უკვე ჩავაყენეთ საქმის კურსში. საზოგადოებისთვის ქუჩაში გამოსვლა ჯერ არ მოგვიწოდებია, მაგრამ თუ ფოტორეპორტიორების საქმეს სამართლიანად არ მიუდგებიან, ამ უკიდურეს ზომასაც მივმართავთ.

ზვიად ძორიძე:

— „ფოტორეპორტიორების საქმე" მაქსიმალურად გამჭვირვალე უნდა იყოს. საზოგადოება უფლებამოსილია, ამ საქმესთან დაკავშირებით მიიღოს ინფორმაცია. ნებისმიერმა ხელისუფალმა, რომელიც ჯაშუშომანიის სინდრომითაა დაავადებული, თითოეული ჟურნალისტის საქმიანობა შესაძლოა, ქვეყნის ღალატად შეაფასოს იმიტომ, რომ ჩვენ, ჟურნალისტები ინფორმაციას ვაწვდით როგორც ჩვენს მოქალაქეებს, ისე მთელ მსოფლიოს. თანამედროვე სამყაროში ჟურნალისტის მიერ მოპოვებული ინფორმაცია ძალიან სწრაფად ვრცელდება, ის ნებისმიერი სახელმწიფოს მოქალაქისთვისაა ხელმისაწვდომი და თუ ვინმე ამას ჯაშუშობად აფასებს, ეს იმას ნიშნავს, რომ მას აზროვნებასთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემები აქვს.

თინა ხიდაშელი:

— იმის ნაცვლად, რომ ხელისუფლებამ ფოტორეპორტიორების დანაშაულის დასამტკიცებლად არგუმენტები წარმოადგინოს (თუ ასეთი რამ საერთოდ მოხდა), ადამიანების დისკრედიტაციითაა დაკავებული. ნორმალურ, ცივილიზებულ სახელმწიფოში აღიარებით ჩვენებებს ტელევიზიით არ უჩვენებენ. დისკრედიტაციის ასეთ მეთოდს მხოლოდ საბჭოთა კავშირი, დისიდენტების წინააღმდეგ მიმართავდა. აღიარებითი ჩვენება მტკიცებულება არ არის და ყველამ იცის, რომ ციხეში მყოფმა კაცმა შესაძლოა, ნებისმიერი რამ აღიაროს. თუ ხელისუფლება საზოგადოებას დასაბუთებულ მტკიცებულებას არ წარმოუდგენს, კიდევ უფრო გამყარდება ეჭვი იმის შესახებ, რომ სააკაშვილმა ფოტორეპორტიორებზე შური 26 მაისის მოვლენების გადაღების გამო იძია. გაუგებარია, რატომ ადებს „ფოტოგრაფების საქმეს" გრიფს „საიდუმლო" ის ხელისუფლება, რომელიც ჯაშუშებზე სერიალებს იღებდა?!.

სოსო ციხისკარიშვილი:

— ჩვენ სახელმწიფო მეთაურის არაადეკვატური ქმედებების მომსწრენი ვართ. სამწუხაროა, რომ ამ ქვეყანაში ასეთი ალოგიკური გადაწყვეტილებები აღარავის უკვირს. შესაძლოა, შპიონომანია სკოლამდელი ასაკის ბავშვებში მართლაც, პოპულარული იყოს, მაგრამ მოზრდილ და ზრდასრულ ადამიანებს ბევრად სერიოზული მოთხოვნები აქვთ. არ არსებობს ადეკვატური პასუხი საკმაოდ სერიოზულ კითხვაზე: — რატომ აპატიმრებენ ადამიანებს საკუთარი პროფესიული მოვალეობის შესრულების გამო? სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში ტრადიციად დამკვიდრდა ერთი სკანდალის მეორე, უფრო დიდი სკანდალით გადაფარვა. ხელისუფლების წარმომადგენლებმა 26 მაისის პროცესების დასაჩრდილად მართლმადიდებლები გააწბილეს. როდესაც დაინახეს, რომ მათ უგუნურ ქმედებას საზოგადოების სერიოზული გაღიზიანება მოჰყვა, ხალხის დასაბნევად ახალი სისულელე მოიფიქრეს. საბედნიეროდ, ამჯერადაც დიდ და ორგანიზებულ წინააღმდეგობას წააწყდნენ. ვფიქრობ, ამ ბრიყვული იდეის ავტორებს მედიის წარმომადგენლების დაპატიმრება ძვირი დაუჯდებათ. ახლა არც შუა საკუნეებია და არც ის დრო, როდესაც განაჩენს ადეიშვილი და მერაბიშვილი თავიანთ კაბინეტებში წერდნენ. ■

სინოდის განჩინება და პარლამენტის უპრეცედენტო გადაწყვეტილება

მას შემდეგ, რაც პარლამენტმა კონსტიტუციური შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულება უგულებელყო და სამოქალაქო კოდექსში ცვლილებები საპატრიარქოსთან წინასწარი კონსულტაციების გარეშე შეიტანა, წმინდა სინოდის სხდომა გაიმართა. სინოდმა მსჯელობის შედეგად დაადგინა:

„1. საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია, საქართველოს კონსტიტუციის და საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებზე დაყრდნობით აცხადებს, რომ საქართველოში მცხოვრები ყველა რელიგიური აღმსარებლობის ადამიანი, ისევე, როგორც რელიგიური გაერთიანებები, თანასწორია კანონის წინაშე. ქართველი ხალხის ნების გამომხატველი მართლმადიდებლური ეკლესიის განსაკუთრებული სამართლებრივი სტატუსი არ უნდა ზღუდავდეს სხვა რელიგიურ გაერთიანებათა აღმსარებლობის თავისუფლებას და კანონის წინაშე თანასწორობას.

2. მიემართოს საქართველოს ხელისუფლებას: ა) მომავალში რელიგიასთან დაკავშირებული კანონპროექტების და სხვა ანალოგიური საკითხების განხილვისას, წინასწარი კონსულტაციები გაიმართოს საქართველოს საპატრიარქოსთან, რათა აღნიშნული თემის სიფაქიზიდან და სპეციფიკურობიდან გამომდინარე, თავიდან იქნეს აცილებული შესაძლო გართულებები; ბ) დაიწყოს სამთავრობო მოლაპარაკებები ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ არსებულ საქართველოს საპატრიარქოს ეპარქიების სტატუსთან და ქონებრივ საკითხებთან დაკავშირებით; გ) სახელმწიფომ გააააქტიუროს თავისი საქმიანობა საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული ქართული ეროვნული და სულიერი კულტურის ძეგლების მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებით; დ) საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და ეკლესიის ავტოკეფალიის დაკარგვის შემდეგ, ვიდრე სახელმწიფოებრიობის დამოუკიდებლობის აღდგენამდე პერიოდში განხორციელებული რელიგიური პოლიტიკა და სხვა ჩვენებები აღიარებულ იქნეს უკანონოდ; ე) შეიქმნას კომისია, რომელიც მონიტორინგს გაუწევს კონსტიტუციური შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას.

3. წმინდა სინოდი მოუწოდებს სასულიერო პირებს და მრევლს სიმშვიდისკენ; მიუხედავად მღელვარების მიზეზებისა, თავი შეიკავონ ყოველგვარი თვითნებური ქმედებებისგან და გააძლიერონ ლოცვა ერის ერთობისა და მშვიდობისთვის. წმინდა სინოდმა იმსჯელა სასულიერო პირთა მიერ ზნეობრივი ნორმების დარღვევის ფაქტებზე და განაჩინა, შეიქმნას ზნეობრივი ნორმების დარღვევათა შემსწავლელი კომისია“.

წმინდა სინოდის მიერ გამოტანილი განჩინების შემდეგ, პარლამენტის ბიურომ რელიგიური გაერთიანებების სტატუსთან დაკავშირებით მიღებულ კანონზე უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო: ამ კანონის განმარტებითი ბარათი დააზუსტა, რაც არასოდეს მომხდარა. ამ დოკუმენტში კერძოდ, ნათქვამია:

„საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული არაერთი საკანონმდებლო აქტი ადგენს მთელ რიგ შეღავათებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიურ მართლმადიდებელ ეკლესიასთან მიმართებით. საქართველოს მთავრობამ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიურ მართლმადიდებელ ეკლესიასთან ერთად შექმნა ერთობლივი კომისია, რომელიც იხილავს ეკლესიისათვის კონსტიტუციური შეთანხმების შესაბამისად სხვადასხვა ქონების გადაცემისა და დაბრუნების საკითხებს. კონსტიტუციურმა შეთანხმებამ, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, კონსტიტუციისა და კონსტიტუციური კანონის შემდეგ ნორმატიულ აქტთა იერარქიაში ყველაზე მაღალი დონის ნორმატიულ აქტს წარმოადგენს, განსაზღვრა როგორც საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის სამართლებრივი სტატუსი, ისე მისი საკუთრების უფლება. კონსტიტუციური შეთანხმებით, სახელმწიფო ეკლესიის საკუთრებად ცნობს საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ მართლმადიდებლურ ტაძრებს, მონასტრებს, მათ ნანგრევებს, აგრეთვე მიწის ნაკვეთებს, რომლებზეც ისინია განლაგებული“. და კიდევ: „კანონპროექტი აწესრიგებს მხოლოდ რელიგიური გაერთიანების უფლებას, სახელმწიფოს მიერ დარეგისტრირდნენ როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი. შესაბამისად, კანონპროექტი სახელმწიფოს მხრიდან ქონებრივი ან რაიმე სხვა სახის ვალდებულებებს არ წარმოშობს“. ■

„მოდი, ნუ ვილაპარაკებთ იმაზე, თუ რა მოხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება რელიგიურ გაერთიანებებთან დაკავშირებით მიღებულ კანონში წმინდა სინოდის ცვლილებებს არ გაითვალისწინებდა, — მთავარია, საპატრიარქოს ინიციატივა კანონში შეიტანონ. ნურც იმას გამოვიიებთ, თუ რა მოხდებოდა იმ შემთხვევაში, ამ დოკუმენტს საზოგადოებაში ხმაური რომ არ გამოწვია... საბედნიეროდ, ჩვენი პატრიარქი კარგად იცნობს ქართულ-სომხურ ურთიერთობებს და იმედია, ახლა ყველაფერი ჩაწყნარდება. ხელისუფლების პოზიცია, ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ ლაშა თორდიამ გამოამზეურა და ბრობა დადო, რომ საქართველოს მართლმადიდებლური სამოციქულო ეკლესიის სტატუსს არავითარი საფრთხე არ ემუქრება“, — მითხრა არქიმანდრიტ ბონდო არველაძემ ქართულ-სომხურ ურთიერთობებთან დაკავშირებით გაჩენილ შეკითხვებზე საუბრისას.

ლალი პაპასქირი

— ბატონო ბონდო, თქვენ ჩახედული ხართ ქართულ-სომხურ ურთიერთობებში. მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრების მიუხედავად, ამ ორ ერს ერთმანეთთან არც ისე მჭიდრო კულტურული კავშირი ჰქონდა. მაგალითად, თუკი ქართულ სკოლებში რუსი, ჩეხი ან პოლონელი მწერლის შემოქმედება ისწავლებოდა, რატომ არ იცნობდა ქართველი საზოგადოება უფრო ახლოს სომხურ კულტურას?

— ამის მიზეზი ის არის, რომ საქართველოში სომხური კულტურის პროპაგანდა სახელმწიფო დონეზე არ ხდებოდა. განსხვავებული სარწმუნოების მიუხედავად, ამ ორ ერს კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობა ჰქონდა, ოღონდ — მხოლოდ აკადემიურ დონეზე... დავიწყოთ იმით, რომ საუკუნეების განმავლობაში საქართველო სომხებისთვის ყველაზე საიმედო თავშესაფარი იყო. X-XI საუკუნეებში სომხეთმა სახელმწიფოებრიობა დაკარგა. თამარის მეფობის დროს, მთელი აღმოსავლეთი სომხეთი საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში სომხების ლიტერატურულ-კულტურული ცხოვრება აღმავლობის გზას ადგა, მაგრამ ისინი ამას არ აღიარებენ... ასეთი დამოკიდებულება მხოლოდ ქართულ-სომხურ ერებს როდი ახასიათებთ: ქიშპობა ყველა პატარა ერს შორის არის, ოღონდ სხვადასხვა ფორმით... რაც შეეხება კონკრეტულად საქართველო-სომხეთის ურთიერთობას, არმენოლოგით დაინტერესებული იყვნენ ისეთი ადამიანები, როგორებიც იყვნენ: ნიკო მარი,

ᲥᲐᲠᲗᲣᲚ-ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ

ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲠ ᲕᲘᲪᲜᲝᲑᲗ ᲣᲤᲠᲝ ᲐᲮᲚᲝᲡ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐᲡ?!

აკაკი შანიძე, ილია აბულაძე, მათ სომხეთის შესახებ საკმაოდ მდიდარი მასალა მოიპოვეს, რომელიც ამ ერის ღირსშესანიშნაობებზე, მდიდარ ეროვნულ საგანძურზე, კლასიკური ლიტერატურის ნიმუშებზე უტყუარ ცნობებს მოიცავს. მე უდიდეს პატივს ვცემ მათ კულტურას და მიმაჩნია, რომ მუდმივი ომებისა და სახელმწიფოებრიობის ხანგრძლივი წყვეტის პირობებში, ასეთი კულტურის შექმნა და შენარჩუნება გმირობის ტოლფასია, მაგრამ ჩვენი მეზობლების ამბიცია უფრო შორს მიდის... ამიტომაც წერდა ილია ჭავჭავაძე „ქვათა ღაღადში“, — მე იმ ერთ მუჭა სომეხ მეცნიერებს ვებრძვი და ვაკრიტიკებ, ვინც საქართველოს ისტორიას აყალბებს, თორემ მშრომელ სომხებთან სადავო არაფერი მაქვსო... საბჭოთა კავშირის არსებობის წლებშიც კი, როცა მის ფარგლებში შემავალ რესპუბლიკებს შორის ძმური ურთიერთობა კომუნისტური პარტიის პროპაგანდის ერთ-ერთ ამოსავალ წერტილს წარმოადგენდა, ქართულ-სომხური კულტურული ურთიერთობები მხოლოდ პროტოკოლურ ხასიათს ატარებდა: მაგალითად, ერევანში სომეხ საზოგადო მოღვაწეთა იუბილეებზე ქართველი პარტიული მუშაკები და მწერალთა დელეგაცია ჩადიოდნენ. მაგრამ ამ ყველაფერს გულწრფელობა აკლდა. ქართულ-სომხური ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობა საზოგადოების საშუალო ფენის დონეზე არ განვითარებულა. ეს შემთხვევითი არ იყო. როცა ამა თუ იმ ერის კულტურას ეცნობი, თუკი ეს სახელმწიფო იდეოლოგიის დონემდეა აყვანილი და საზოგადოებისთვის მისი მიწოდება სწორი ფორმით ხდება, ხალხებს შორის მჭიდრო ურთიერთობა ყალიბდება. მაგრამ ეს „უფროს ძმას“, სხვადასხვა მიზეზის გამო, ხელს არ აძლევდა... ამასთან, საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს შორის, საქართველო გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობდა, სომხებს კი ამის გამო კომპლექსი ჰქონდათ, მაგრამ არ გამოხატავდნენ, ვინაიდან ძმური კავშირისთვის ხელის შეშლა რამდენიმეწლიანი პატიმრობით ისჯებოდა... კულტურული ურთიერთობები არც შემდგომში — დამოუკიდებლობის წლებში გაღრმავებულა. ყველაფერი ინერციით მიდის, რადგან ორ ერს ასეთი დამოკიდებულება უკვე მენტალობად ექცა... პირადად მე, პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე, არაერთი სომეხი მწერლის შემოქმედებას ვიცნობ, თუნდაც — ოვანეს თუმანიანს, გაბრიელ სუნდუკიანს, საიათნოვას, ნარდოსს, ისაკიანს. ისინი XIX საუკუნის სომხური ლიტერატურის კლასიკოსები არიან. მათი უმეტესობა თბილისში ცხოვრობდა, აქ მოღვაწეობდნენ და ხოჯევანქის სასაფლაოზე არიან დაკრძალული. პირველი სომხური თეატრი, რომელიც მსოფლიომ გაიცნო, თბილისში ჩამოყალიბდა და მას დაარსებიდან 150 წლის იუბილე ახლახან იზეიმა. პირველი სომხური გაზეთი — „ფშაკი“ თბილისში დაარსდა. მისი რედაქტორი, ცნობილი მწერალი და პუბლიცისტი გრიგოლ არზრუნი თბილისში მოღვაწეობდა და აქ არის დაკრძალული. მათი კულტურა და შემოქმედება, ცხადია, სომხეთს ეკუთვნის, მაგრამ ამ პერიოდში, XVIII-XIX საუკუნეებში, ერევანი ალიზის ქოხებით იყო აშენებული, ერთი ფოსტა ჰქონდა და ცხადია, ასეთ პირობებში მსოფლიო დონის შედევრებს ვერ შექმნიდნენ... XI საუკუნეში, მას შემდეგ, რაც სომხური სახელმწიფო დაიშალა, ერთიანი სახელმწიფო მხოლოდ 1918 წლის მაისში აღადგინეს.

— **ამის დაჯერება მათ გაუჭირდებათ...**

— დიახ, მაგრამ ამის დამადასტურებელი დოკუმენტური წყაროები არსებობს, რაც მათთვისაც კარგად არის ცნობილი... საქმე ის არის, რომ ისინი ყველა ეპოქაში ნებისმიერ შემთხვევას სათავისოდ იყენებდნენ. საერთოდ, სომხები ბევრად უკეთესად იცნობენ საქართველოს კულტურას, ისტორიასა და ლიტერატურას, ვიდრე ქართველები — სომხურს, რაც ორი მიზეზით აიხსნება: სომხები დიდი ხნის განმავლობაში ჩვენთან იყვნენ შემოკედლებული და გარდა ამისა, მათ ამის ცოდნა ისტორიული წყაროების გასაყალბებლადაც სჭირდებოდათ... სომხებს საკმაოდ მდიდარი ისტორიული მწერლობა აქვთ, მაგრამ ჯერ კიდევ V საუკუნეში, მოსე ხორენაცი და კორინიც კი, რომლებიც მათი ისტორიის მამებად არიან მიჩნეული, ბევრს ტრაბახობდნენ და ქართული ისტორიული ძეგლების მითვისებას ცდილობდნენ. სხვა სიტყვის მოძებნა მინდოდა, მაგრამ საბოლოოდ, ერთ დასკვნამდე მივედი — რომ ოდითგანვე მათ ქართული ნიჭისადმი შური ჰქონდათ. სულხან-საბას შური ბრწყინვალედ აქვს განმარტებული: „შური არს მწუხარებაი სხვისა კეთილსა ზედა“... საბედნიეროდ, ორი ერის ადრეულ ურთიერთობაში კარგად არის ჩახედული ჩვენი კათალიკოს-პატრიარქი, რომელიც რელიგიური გაერთიანებების სტატუსთან დაკავშირებით კომპრომისზე წავიდა; ასე რომ არ მომხდარიყო, შესაძლოა, ამ ყველაფერს სომხების აღშფოთება მოჰყოლოდა. მე ვნახე ჩვენი პატრიარქისა და გარეგინ II-ის შეხვედრის ამსახველი კადრები; რბილად რომ ვთქვათ, სტუმარი სასულიერო პირი არაკორექტულად იქცეოდა. სხვათა შორის, გარეგინ II-ის თავაზიანობას მოკლებული საქციელის შესახებ სომხურ გაზეთებში დაიწერა.

— **ბატონო ბონდო, გავრცელებული ინფორმაციით, მისი ვიზიტისა და ახალი კანონის მიღების შემდეგ, სამცხე-ჯავახეთში ვითარება დაიძაბა...**

— დიახ, ჩემი ინფორმაციით, საქართველოში გარეგინ II-ის ვიზიტის მიზანი მხოლოდ სომხური ეკლესიების სტატუსი არ ყოფილა. 16 ივლისს ეჩმიაძინის სინოდი იკრიბება და ისინი საქართველოს ხელისუფლებისა და საპატრიარქოსგან ჯავახეთში სომხური ეპარქიის დაარსების მოთხოვნას აპირებს... რამდენიმე ქართველი ისტორიკოსი, მათ შორის დიმიტრი თუმანიშვილი, ირწმუნება, რომ ჯავახეთში ყუმორდო-ახალქალაქის გრიგორიანული ეპარქია არსებობდა, მაგრამ მე მას მივმართე თხოვნით, ამ ცნობის დამადასტურებელი თარიღი და წყარო მიეთითებინა და ახლაც სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ მსგავსი რამ იქ არასდროს ყოფილა. ■

ცხელთავიანი ქართველები და „ბარაბოლკაზე“ გაშვებული ხელოვანები

„ცოტ-ცოტას ყველანი ვცოდავთ — ხელისუფლებაც, ოპოზიციაც, მომიტინგეებიც, მათი დამრბევებიც, ჟურნალისტებიც, მწერლებიც... შევარდნაძის მმართველობის დროინდელი საქართველოს ნოსტალგია ნორმალურ ადამიანს როგორ უნდა გქონდეს?!. ვფიქრობ, რომ მას შემდეგ ქვეყანაში ბევრი კარგი ცვლილება განხორციელდა, მაგრამ ვერც იმას უარვყოფ, რომ ბევრი პრობლემა ჯერ კიდევ გადაუჭრელია“, — ამბობს ახალგაზრდა მწერალი თეონა დოლენჯაშვილი. თუ როგორია მისი თვალით დანახული ქვეყანა სხვადასხვა რაკურსით და რაში ხედავს უმთავრეს პრობლემას, ამის შესახებ თეონა თავად გვიამბობს.

ნათელა ბახტურიძე

— თეონა, მაინც რაში ვცოდავთ ჩვენ, ყველანი?

— ძალიან ემოციურები და იმპულსურები ვართ, ეს ალბათ ქართული ხასიათის ბრალია. ყველაფრის უტრირება და გაზვიადება გვიყვარს. არ შემიძლია არ აღვნიშნო, როგორი გროტესკული და გაზვიადებული იყო ჩვენი სიხარული იმის გამო, რომ ჩვენს მიწაზე შერონ სტოუნმა დაადგა ფეხი. ალბათ ქართველები მართლაც ცხელთავიანები ვართ, ნაკლებს ვფიქრობთ და ბევრს ვბობოქრობთ. მაგალითად, პირადად ჩემთვის სრულიად მიუღებელი იყო 26 მაისის საპროტესტო აქცია, მიტინგის ორგანიზატორები და მათი იდეები, მაგრამ ასევე მიუღებელია ძალადობაც და ისიც, რომ ხელისუფლებამ მათ წინააღმდეგ გადაჭარბებული ძალა გამოიყენა (არც ერთ ნორმალურ ქვეყანაში არ ხოცავს სპეცრაზმი მომიტინგეებს). ასევე ძალიან გადააჭარბეს ჟურნალისტებმაც პროცესების შეფასებისას. ჩვენს ქმედებასა და სიტყვას ცოტა მეტ კონტროლს თუ არ გავუწევთ, არაფერი გამოვა. ჩემი აზრით, უმჯობესია, ნელ-ნელა, თანამიმდევრულად და ნაბიჯ-ნაბიჯ ავაშენოთ ქვეყანა. არ გამოვტოვოთ განვითარების ეტაპები. თუ ერთბაშად მოვინდომებთ ახტომას, ჩამოვცვივდებით და კისერს მოვიტეხთ. ახალს არაფერს ვამბობ — მიმაჩნია, რომ უმჯობესია, ყველამ ჩვენ-ჩვენი საქმე ვაკეთოთ. 20 წელი ქუჩაში, მიტინგზე დგომა, პერმანენტული დემონსტრაციების რეჟიმში ცხოვრება და ახალ-ახალი რევოლუციების მზადებაზე ფიქრი საქმის კეთება არ არის. ხელისუფლების შესაცვლელად არჩევნები არსებობს. და კიდევ: თუკი პროტესტის გამოხატვა გვსურს, ამისთვის სხვა უამრავი ფორმა მოიძებნება. სულ არ მიმაჩნია, რომ მწერალი უსასრულოდ ბარიკადებზე დროშას უნდა აფრიალებდეს და ხმის ჩახლეჩამდე გაყვიროდეს. უმჯობესია, წეროს, სათქმელი შემოქმედებით გამოხატოს და ადამიანები სარკეში ჩაახედოს.

— თქვენი აზრით, ხელისუფლებას სჭირდება სარკე?

— სარკე ყველას სჭირდება. და ძალიან კარგი იქნება, თუ თანამედროვე ხელოვნება ამ ფუნქციას იკისრებს. იქნება უფრო მწარე, მკვეთრი, მართალი, ნათლად და ზუსტად აირეკლავს მიმდინარე პროცესებს. ამ შემთხვევაში, უფრო წაგიკითხავენ და მოგისმენენ, იქნებ ბევრი დაფიქრდეს, საკუთარ შუბლზე წასმული მურიც უკეთ დაინახოს და მის მოცილებაზეც იფიქროს. სამწუხაროდ, თუ საბედნიეროდ, თანამედროვე მწერალი აღარ არის საკრალიზებული ფიგურა, ერის მამა და ღმერთთან მოლაპარაკე; შესაბამისად, აღარც ის ძალა არსებობს, რაც ჩვენს წინამორბედებს ჰქონდათ წინა საუკუნეებში. მაგრამ მას იქნებ ახლა სხვა, არანაკლებ დიდი ძალა აქვს. თუნდაც ის, რომ მეტი ასპარეზია, სათქმელის გამოხატვის ფორმები და მკითხველთან მისასვლელი გზები.

— თქვენი აზრით, რატომ დაკარგა მწერლობამ ძალა?

— ეს დრომ მოიტანა. ლიტერატურაც ჩვეულებრივ ბიზნესად იქცა, მწერალი ბრენდად, წიგნი — პროდუქტად. თუმცა არ მიმაჩნია, რომ ამაში ცუდია რამე. თუკი კარგ „პროდუქტს“ ქმნი, მას ყოველთვის ეყოლება აუდიტორია. ოღონდ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ლიტერატურა ყოველთვის ელიტური იყო. ასეა დღესაც. გასაკვირი არ არის, რომ თანამედროვე ადამიანებისგან შემდგარ მასას სიღრმისეული და მეტაფორული ტიპის ტექსტების „გადამუშავება“ უჭირს, „ფასთ ფუდი“ ანუ მარტივი და ზედაპირული სატელევიზიო შოუ ურჩევნია. ინფორმაციაც კი რაც შეიძლება მოკლე, სხარტი და „იოლად გადასამუშავებელი“ უნდა იყოს.

— იქნებ ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ დღევანდელი მწერლები მეამბოხეები არ არიან?

— როდესაც რაღაცას გიკრძალავენ, როდესაც ცენზურა მკაცრია, სიტყვის თავისუფლება არ არსებობს და ამ სიტყვისთვის გსჯიან, ნამდვილი მეამბოხეებიც სწორედ მაშინ იბადებიან. ანუ რაც მეტია ზეწოლა, მეტია წინააღმდეგობა. დღეს კი ყველაფრის თქმა შეგიძლია, არავინ არაფერს გიშლის, ღია კარს ხომ ვერ შეამტვრევ! როგორი უნდა იყოს თანამედროვე მწერალი? ნონკომფორმისტული, ობიექტური, თავისუფალი და პოლიტიკური სიმპათია-ანტიპათიებისგანაც დაცლილი. არც „მეფის კარის“ პოეტობა ვარგა და მით უფრო, არც მტრული ქვეყნის ჯაშუშობა. ისიც საშინელებაა, სრულიად გაუცნობიერებლად რომელიმე პოლიტიკური ძალის ხელში იარაღად რომ იქცევი. საბედნიეროდ, კომუნისტური ეპოქა აღარაა და მწერლობა იდეოლოგიისთვის აღარ სჭირდებათ. შესაბამისად, აღარც „წითელი ინტელიგენცია“ და ხელისუფლების კარის მწერალთა ლაშქარი გვყავს. არც ბინებს და აგარაკებს იძლევა ვინმე მსახურებისთვის და არც პირიქით, ციხეებსა და გულაგებში გვსვამენ ოპოზიციონერობისთვის. ეგ კი არა, მგონი, მმართველ ძალას სულ არ ანაღვლებს, რას ვწერთ. ყოველ შემთხვევაში, სტალინივით, „ადამიანის სულის ინჟინრებად“ არავინ გვაქცევს, იდეოლოგიურ და პროპაგანდისტულ მისიას არ გვაკისრებს. თუნდაც იმიტომ, რომ ამისთვის უფრო მძლავრი მანქანა არსებობს. მასისთვის ყველაზე ზედგამოჭრილი სანახაობა — ტელევიზიაა და მის ეთერზე უფრო იოლია მასის „მიბმა“, მისი მართვა, „ხბოს აღტაცების“ გამოწვევა რომელიმე ჰოლივუდელი ვარსკვლავის ჩამოსვლის თუ საეჭვო ხარისხის პროდუქციის პრე-

გაგრძელება იხ. გვ. 17

მამაკაცმა ძმის ცოლი მოკლა

მარნეულის რაიონის სოფელ შაუმიანში, დევნილების დასახლებაში, ახლობლებმა 28 წლის ახალგაზრდა ქალი სახლის შესასვლელთან იპოვეს. მას სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა. ქალის სხეული მთლიანად დასახიჩრებული იყო. მოკლულს ყელისა და გულმკერდის არეში მრავალი ჭრილობა აღენიშნებოდა. ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. შემთხვევის ადგილზე ოპერატიულად მივიდნენ კრიმინალისტებიც და გამოძიება დაიწყო. ახალგაზრდა ქალის მეზობლები და ახლობლები დაიკითხნენ. დანაშაულში ეჭვმიტანილის ვინაობაც მალე გაირკვა და ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა მკვლელობის მეორე დღეს, 45 წლის გოჩა ლაფაჩი დააკავეს. დაკავებული მამაკაცი მოკლულის მეუღლის ძმაა. მან ძმის ცოლი, თამარ ბადალიანი ეჭვიანობის ნიადაგზე მოკლა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

ძმები ლაფაჩები სოფელ შაუმიანში ერთმანეთის მეზობლად ცხოვრობდნენ. მოკლული თამარ ბადალიანის მეუღლე ძირითადად, თბილისში მუშაობდა და სოფელში კვირაში ორჯერ ჩადიოდა. როგორც ჩანს, გოჩა ლაფაჩი ეჭვიანობდა და რძლის გადაადგილებასაც კი აკონტროლებდა. დაკავებული დანაშაულს აღიარებს და აცხადებს, რომ რძალი ეჭვიანობის ნიადაგზე მოკლა.

ბრალდებულის ჩვენებიდან:

„კიბეზე ავდიოდი და დავინახე ძმის ცოლი, პერანგიანი, ოთახში რომ შევარდა. ვიფიქრე, რა ხდება-მეთქი და ოთახში შევყევი. დავეჭვდი, ვინმე ხომ არ ჰყავდა და ოთახებში მამაკაცის ძებნა დავიწყე. თან ვკითხე, რა ხდება-მეთქი? ამ საუბრის დროს ფეხის ხმა გავიგონე. იქვე კიდევ ორი ბინაა, მაშინ იქითკენ არ გამიხედავს. კიბეზე ვიღაცამ ჩაირბინა. რძალს გამოვეკიდე და ვკითხე, — ჩქარა მითხარი, ვინ იყო-მეთქი? არავინ ყოფილა, გელანდებაო, — მითხრა. ამის შემდეგ წავკამათდით. მითხრა, ხუთივე ძმა მეზიზღებით, ჩემი ცხოვრება ჩემიაო. ამ საუბარს შელაპარაკება მოჰყვა. მაცივართან დანა იდო, ის ავიღე და ერთხელ დავარტყი. მერე რა მოხდა, არაფერი მახსოვს“. ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე 108-ე — განზრახ მკვლელობის მუხლით აღიძრა, რაც 7-დან 15 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. გამოძიება გრძელდება. ■

ექსპერტიზით გახსნილი დანაშაული

76 წლის ლიდია გრიგოროვას მკვლელობის საქმის გახსნას ძალოვნებმა 4 თვეზე მეტი მოანდომეს. დანაშაული ქობულეთში, 2011 წლის 21 თებერვალს მოხდა. მოხუცი ქალბატონი საკუთარ ბინაში შარფით დამხრჩვალი იპოვეს. მას მარცხენა ხელის თითიც მოჭრილი ჰქონდა. ცხადი იყო, რომ დამნაშავემ ქალს თითიდან საქორწინო ბეჭედი მოაძრო. ისიც გაირკვა, რომ დანაშაულის ჩადენის დროს სახლში მსხვერპლის ვაჟიშვილი იმყოფებოდა. მთვრალ ვაჟს ხელი სისხლით ჰქონდა მოსვრილი. გამოფხიზლებული ვერ იხსენებდა, რა ვითარებაში დაესვარა ხელი. ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. თავდაპირველად, გამოძიებამ მოკლულის ლოთ შვილზე მიიტანა ეჭვი. ამის მიზეზიც არსებობდა. როგორც მეზობლების დაკითხვისას გაირკვა, დედა-შვილი ხშირად ჩხუბობდა და მათი ბინიდან ხმაურის ხმა გამოდიოდა. ექსპერტ-კრიმინალისტებმა შემთხვევის ადგილი შეისწავლეს და თითის ანაბეჭდები ამოიღეს. აღნიშნული ექსპერტიზით გაირკვა, რომ დანაშაული სულ სხვა პიროვნების ჩადენილი იყო და შვილს მომხდართან კავშირი არ ჰქონდა. შსს-ს აჭარის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა წარსულში ორჯერ ნასამართლევი, 34 წლის თემურ საინიშვილი ამხილეს განზრახ მკვლელობაში. მასთან ერთად დააკავეს ფაქტის თვითმხილველი, 1985 წელს დაბადებული გოჩა გოლომანიძე. გოლომანიძეს დანაშაულის დაფარვა და შეუტყობინებლობა ედება ბრალად. იგი მკვლელობაში ბრალდებულს ამხელს და დეტალებს ასე იხსენებს:

„საინიშვილმა მითხრა, წავიდეთ და მეზობელს სიგარეტი გამოვართვათო. მე მას გავყევი. გრიგოროვას კარზე რომ დააკაკუნა, ბინის კარი ქალმა გააღო და ეგრევე თემურ საინიშვილმა მუშტი ჩაარტყა კისერში. ქალი დავარდა. მერე ხორხში ხელი მოუჭირა და ეგონა, დაახრჩო. ქალი ჩაიკეცა. შარფი ჰქონდა, ის აიღო, მოუჭირა და იმით დაახრჩო. მე მითხრა, წავსულიყავი, მაგრამ ყველაფერს ვუყურებდი. ქალის თითზე ბეჭედი შენიშნა და მითხრა, ჭურჭლის ყელე მიმეტანა. ვეძებე, მაგრამ ვერ ვნახე. ამის შემდეგ თვითონ ადგა და ოთახში ნახა ყელეც და დანაც. ბეჭედს აძრობდა, მაგრამ ვერ მოაძრო... დანით თითი მოაჭრა, ბეჭედი მოაძრო, ის ბეჭედი ჯიბეში ჩაიდო. იქვე ვერცხლის ბეჭდიც ნახა, ის ხელზე გაიკეთა და იქიდან წავედით“.

თავად მკვლელობაში ბრალდებული საინიშვილიც ამბობს, რომ მკვდარს თითი მოაჭრა და ბეჭედი მოაძრო, მაგრამ სხვა დეტალებზე, გავრცელებულ ჩანაწერში არ საუბრობს. ■

თაღლითი ადვოკატები დააკავეს

თაღლითობის ბრალდებით ძალიან ბევრი ადამიანია დაკავებული, მაგრამ, როგორც ჩანს, ფულის შოვნის ეს გზა მაინც მიმზიდველია. სამწუხაროდ, თაღლითებად ადვოკატებიც ხშირად გვევლინებიან. არადა, მათ ყველაზე კარგად უნდა იცოდნენ, როგორ ისჯება ეს დანაშაული. ხშირად, მათ მსხვერპლად პატიმრების ოჯახის წევრები გვევლინებიან. გასულ კვირას, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა თაღლითობის ფაქტზე 3 ადვოკატი დააკავეს. გამოძიების ინფორმაციით, თამილა ქუთათელაძე, იასონ სეხნიაშვილი და მურად ცინცაძე, ყაჩაღობის ბრალდებით დაკავებული ერთ-ერთი პატიმრის ოჯახს შვილის გათავისუფლებას დაჰპირდნენ, სანაცვლოდ 20 ათასი დოლარი უნდა მიეღოთ. პატიმრის ოჯახი ამ მაცდურ ანკესზე მაინც წამოეგო და ფულის დიდი ნაწილი გადაიხადა. დაკავებულები აღიარებენ დანაშაულს და აცხადებენ, რომ ოჯახს 16.500 დოლარი გამოსძალეს. ამ თანხის სანაცვლოდ, პატიმრის გათავისუფლება უნდა მომხდარიყო, მაგრამ არ მოხდა. დაკავებულ ადვოკატებს ბრალი უკვე წაუყენეს და 4-დან 7-წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ. ■

მოამზადა თეა ხურცილავამ

თერაპია, რომელიც ბავშვებს ხელმარჯვე ოსტატებად აქცევს

სამწუხაროდ, ბოლო დროს მომრავლდა უნარშეზღუდული ბავშვების რაოდენობა. ისინი ჩვეულებრივ საჯარო სკოლაში სწავლობენ, მაგრამ, ბუნებრივია, სპეციალისტის დახმარება ესაჭიროებათ. სწორედ ამიტომ, არაერთი „თერაპიული დღის ცენტრი“ არსებობს. რამდენიმე დღის წინ, გარდაბნის განსაკუთრებული საჭიროების პირთათვის არსებული თერაპიული ცენტრიდან დამიკავშირდნენ და მაცნობეს, რომ უნარშეზღუდული ბავშვები თავიანთი ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვას აწყობდნენ. რასაკვირველია, მიპატიჟება მივიღე და გარდაბანში გავემგზავრე.

ნათია ჟვიკე

როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის — „უნარშეზღუდული ბავშვი და საზოგადოება“ წარმომადგენელმა და გარდაბნის თერაპიული ცენტრის ხელმძღვანელმა ნინო მარუაშვილმა მითხრა, აღნიშნული „დღის ცენტრი“ 2005 წელს დაარსდა. იქ სიარული ყველა ბავშვისთვის უფასოა. ცენტრი მათში მრავალგვარი — სასწავლო და ფუნქციური უნარ-ჩვევების გამომუშავებას ცდილობს, სოციალურ, რეკრეაციულ, ოკუპაციურ, არტ და მუსთერაპიას ახორციელებს. 4-დან 18-წლამდე ბავშვებს გაეროს ბავშვთა ფონდი — იუნისეფი, ხოლო 18-დან 30 წლამდე პირებს — მსოფლიო ბანკი აფინანსებს.

ნინო მარუაშვილი:

— ჩვენმა ცენტრმა მუშაობა 30 ბენეფიციარით დაიწყო. დღეს უკვე 45 გვყავს. ასეთი ბავშვების უმეტესობას რთული ხასიათი აქვს. მათ აქვთ პრობლემები მეხსიერებასთან, ყურადღებასთან, აზროვნებასთან და ჩვენი სპეციალური პედაგოგები ცდილობენ, რომ იმ დღეებში, როდესაც ბენეფიციარები ჩვენთან არიან, სკოლაში მიცემული დავალებების შესრულებაში დაეხმარონ. საერთოდ, სკოლის პედაგოგები ხშირად თანამშრომლობენ ჩვენთან, რადგან მათ სპეციალისტისგან სჭირდებათ რჩევა — კონკრეტულ ბავშვთან როგორ იმუშაონ. სწორედ ამის გამო, მემორანდუმი გავაფორმეთ სკოლასთან და ბენეფიციარები 3 დღე ჩვენთან, ხოლო 2 დღე — სკოლაში არიან.

— მსგავს გამოფენა-გაყიდვას ხშირად მართავთ?

— გამოფენებს სეზონურად ვმართავთ, რადგან ბავშვები იმაზე მუშაობენ, რაც უფრო აქტუალურია. ეს მათ გონებრივ განვითარებას უწყობს ხელს. სისტემატურად ვაწყობთ გასვლებს, დავდივართ ექსკურსიებზე, საბავშვო გასართობ ცენტრებში, კინოთეატრებში. რაც შეეხება გამოფენა-გაყიდვებიდან შემოსულ თანხას, ყოველთვის მათ საჭიროებებს ხმარდება. მაგალითად, წინა გამოფენიდან აღებული თანხით მუსიკალური ცენტრი შევიძინეთ. ადგილობრივი მმართველობა აქტიურად გვეხმარება, ასევე დიდი მხარდაჭერა გვაქვს ბავშვთა პოლიკლინიკისგან, ამიტომაც გადავწყვიტეთ, რომ გამოფენა აქ მოგვეწყო, — ამით მადლიერების გრძნობას გამოვხატავთ.

გამოფენებს სეზონურად ვმართავთ, რადგან ბავშვები იმაზე მუშაობენ, რაც უფრო აქტუალურია. ეს მათ გონებრივ განვითარებას უწყობს ხელს

ბუნებრივია, ბავშვების ნამუშევრები დავათვალიერე. როცა მივუახლოვდი მაგიდას, რომელზეც ნამუშევრები იყო გამოფენილი, ერთი გოგონა მოვიდა და მითხრა, ეს სამკაული ჩემი გაკეთებულიაო. ნახელავი შევუქე. ამით გამხნევებულმა ისიც მომახსენა, — „აჭარულს“ ყველაზე ლამაზად მე ვცეკვავო, — და არც კი დაიზარა, იქვე შეასრულა ცეკვის რამდენიმე ილეთი. რასაკვირველია, გოგონა აპლოდისმენტებით დავაჯილდოე. მერე დარბაზის ბოლოსკენ წამიყვანა და მითხრა, — ჩემი ფოტო უნდა გაჩვენო, სადაც „აჭარულის“ კაბა მაცვიაო. კედელზე, გამოფენის მონაწილე ბავშვების ფოტოებს შორის, ინოლამ ერთ-ერთზე მიმითითა, — აი, როგორ მიხდება ეს კაბაო! მეც დავუდასტურე, — ვუთხარი, მართლაც ძალიან ლამაზი ხარ-მეთქი. კომპლიმენტმა იმდენად გაახარა, გულიანად გადაიკისკისა და თავისი თანატოლებისკენ გაიქცა. ყური მოვკარი, როგორ ეჩურჩულებოდა სხვა გოგონებს, — ჩვენს სტუმარს ძალიან მოვეწონეო. მეორე მაგიდასთან, სადაც ბავშვების

ნაქსოვები და სხვა ათასგვარი საინტერესო ნამუშევარი იყო გამოფენილი, გოგონა და ბიჭი ისხდნენ და დამთვალიერებლებს აკვირდებოდნენ. მივუახლოვდი და გამოველაპარაკე.

— მე დათო მქვია, 12 წლის ვარ. ეს კი ჩემი მეგობარი — ლიკაა, რომელიც 14 წლის არის.

— რომელია თქვენი ნამუშევარი?

— აი, ეს სამკაულები გავაკეთეთ.

— კი, მაგრამ შენ რა იცი, გოგონებს როგორი სამკაულები მოსწონთ?

— მე და ლიკა ერთად ვმუშაობთ და ის მეუბნება ხოლმე, როგორი სამკაული უფრო მოდურია. საერთოდ, მე და ლიკას ძალიან გვიყვარს ერთმანეთი, ოღონდ — მეგობრული სიყვარულით. ერთმანეთთან სტუმრადაც კი დავდივართ.

ლიკას გადავხედე და დათოს ნათქვამი მორცხვად დამიდასტურა. მერე დაამატა, — რაც გნებავთ, ის შეარჩიეთ და გაჩუქებთო. პატარა თიხის კუ მომეწონა, რომელიც ლამაზი ბისერებით იყო მორთული. სხვა გოგონა მომიახლოვდა, რომელიც თამუნად გამეცნო. მითხრა, — ეს ჩემი ნამუშევარია და თუ საჩუქრად წაიღებთ, ძალიან გამიხარდებაო. — აუცილებლად წავიღებ და მთელი ცხოვრება შევინახავ-მეთქი, — ვუპასუხე. მორცხვად გამიღიმა და ვარდისფერი კუ გამომიწოდა.

ნათია ფარცხალაძე, *იუნისეფის წარმომადგენელი:*

— განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებისთვის მსგავსი „დღის ცენტრების“ არსებობა საზოგადოებაში მათი ინკლუზივისთვის და ასევე საზოგადოების გაძლიერებისა და გაუმჯობესებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია. თუმცა იმისთვის, რომ გაეროს ბავშვთა ფონდმა მსგავსი სერვისი დააფინანსოს, ადგილობრივი ხელისუფლების დაინტერესებაც უნდა იყოს. ჩვენ მხოლოდ ერთი წელი ვაფინანსებდით ამ სერვისს და ძალიან სასიხარულოა, რომ ახლა ამის გაგრძელებას თვითონ მუნიციპალიტეტი მოახერხებს. მნიშვნელოვანია, რომ ბავშვები მხოლოდ „დღის ცენტრით“ კი არა, სკოლითაც დავაინტერესოთ.

— შევნიშნე, რომ ამ ბავშვებთან მეგობრობთ.

— რა თქმა უნდა, ისინი ჩემი მეგობრები არიან. გარდაბანში საკმაოდ ხშირად ჩამოვდივართ. გარდა იმისა, რომ ცენტრის აქტივობის დაფინანსება მოვახერხეთ, ასევე ვმუშაობდით იმაზეც, რომ მას სპეციალურად „დღის ცენტრებისთვის“ შექმნილი სტანდარტების განხორციელებაც შესძლებოდა... ■

ახალგაზრდა მუსიკოსები — მომავალი მსახიობის გადასარჩენად

რამდენიმე კვირის წინ უბედური შემთხვევა მოხდა: 18 წლის გოგონას, თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის სტუდენტს ქეთევან ჯოხარიძეს ქუჩის გადაკვეთისას ავტომანქანა დაეჯახა... კომაში მყოფი ქეთევანისა და მისი ოჯახის დასახმარებლად, მისმა მეგობრებმა და გულშემატკივრებმა კონცერტის გამართვა ითავეს და მასში მონაწილეობის მისაღებად, არაერთი ცნობილი ახალგაზრდა მომღერალი მიიწვიეს.

ეკა აბაშიძე

ანანო მამისაშვილი, *ორგანიზატორი:*

— ორგანიზატორები ქეთევან ჯოხარიძეს პირადად არ ვიცნობთ. ის ჩემი ახლო მეგობრის ჯგუფელია, თეატრალური უნივერსიტეტის მეორეკურსელია. სამწუხაროდ, რუსთაველის გამზირზე გადასვლისას, მას ავტომობილი დაეჯახა. ქეთევანი, ექიმების ენით რომ ვთქვათ, „სტაბილურად მძიმე მდგომარეობაში“ იმყოფება, მაგრამ ამ ბოლო დროს უკეთესობისკენ სვლა ნამდვილად შეინიშნება: მაგალითად — გაახილა თვალები, დედის ხმაზე ცრემლები წამოუვიდა... ამ კონცერტის ორგანიზატორები კი მე, მაგდა მითაიშვილი და ირაკლი სარალიძე — იგივე გრიზლი ვართ.

ირაკლი სარალიძე (გრიზლი):

— თანხას, რომელიც დღეს შეგროვდა, ქეთევან ჯოხარიძის ოჯახს გადავცემთ. მართალია, მისი გამოჯანმრთელება ორგანიზმზეა დამოკიდებული, მაგრამ ჩვენი დახმარება საავადმყოფოს გადასახადისა და სამკურნალო ხარჯების დაფარვაში დაეხმარება ქეთევანის მშობლებს და პრობლემების გარკვეულ ნაწილს მოუხსნის.

მაგდა მითაიშვილი:

— დიდი მადლობა მინდა ვუთხრა კონცერტის ყველა მონაწილეს და ყველა იმ ადამიანს, ვინც თუნდაც მცირედით დაეხმარა ქეთევანს. კონცერტის ჩატარებას საკმაოდ კარგად გავართვით თავი, ყველა ნომერი მხურვალე ტაშით დაგვირგვინდა, მიუხედავად იმისა, რომ აუდიტორია დიდი არ იყო. სცენაზე გამოვიდნენ ის შემსრულებლები, რომლებსაც კარგად ვიცნობთ სატელევიზიო პროექტებიდან: ჯგუფები — Black Balance, Our stile და „თავისუფალი“, სოლო შემსრულებლები — ოთო ნემსაძე, ელენე ჩიხლაძე, ნათია დუმბაძე, დათო რობაქიძე, გრიზლი, თეონა კოროშინაძე, ნუცა ბუზალაძე და მარიამ აკობია.

ანდრია გველესიანი, *ქეთევან ჯოხარიძის მეგობარი:*

— ქეთევანი ჩემი მეგობარი და უსაყვარლესი ადამიანია. ღმერთის წყალობით, მისი მდგომარეობა ნელ-ნელა უმჯობესდება. მადლობა იმ კეთილ ადამიანებს, რომლებიც ქეთევანის დახმარებას ცდილობენ. მათ სიმრავლეზე ისიც მეტყველებს, რომ უკვე მესამე კონცერტი ეძღვნება კომაში ჩავარდნილ გოგონას: პირველად „მუზაში“ ჩატარდა, მეორედ კი — სამედიცინო ინსტიტუტში, როკის მიმდევრების ინიციატივით.

დათო რობაქიძე, *ილუზიონისტი:*

— მშვენიერი საღამო გამოვიდა. ძალიან კეთილ საქმეს ვაკეთებთ. ჩემი გამოსვლა, მაყურებლის რეაქციდან გამომდინარე, მგონი, ეფექტური იყო. იმედია, ჩვენი შრომა სასურველ შედეგს გამოიღებს და ადამიანი, რომლის გამოც ეს ყველაფერი კეთდება, მალე დაუბრუნდება სრულფასოვან ცხოვრებას.

***P.S. ქეთევან ჯოხარიძის დასახმარებლად, შეგიძლიათ დარეკოთ ნომერზე: 200 101 („მაგთისა“ და „ჯეოსელის“ აბონენტებისთვის) ან ჩარიცხოთ თანხა ანგარიშზე „ლიბერთი ბანკში“:** GE16LBO711146725682000*

ბანკის კოდი: *LBRTGE22* ■

„კმარელი“ გიორგი კანდელაკის ქონება თუ უქონლობა...

გიორგი კანდელაკი მის მოკრივე სეხნიაში არ აგერიოთ: ის ყოფილი დეპუტატია, ეს — ამჟამინდელი და თანაც — „კმარელი“, თავისი მოკრძალებული ქონებრივი დეკლარაციით... აი, ამიტომაც მითხრა საუბრის დასაწყისში: არაფერი არა მაქვს და არც ისე საინტერესო რესპონდენტი უნდა ვიყო თქვენთვის; ალბათ სხვები (უფრო მდიდრები იგულისხმა) უარს გეუბნებიან და ჩემთან ამიტომაც მოხვედითო. სიმართლის რაღაც მარცვალი ნამდვილად არის მის სიტყვებში, რადგან ზოგიერთს მართლაც არ სურს საკუთარ ცხოვრება-ქონებასა და ბიზნესზე ლაპარაკი (საკუთარზე არა, თორემ სხვისაზე — გიყვარდეთ...) და არცთუ უმიზეზოდ. ისე, ბატონმა გიორგიმაც მთელი კვირა მაწვალა და როცა მიხვდა, თავს არ დავანებებდი, დამთანხმდა... ჩემი დღევანდელი რესპონდენტი დეპუტატის ხელფასით ცხოვრობს და 29 წლის ასაკში საკმაოდ სერიოზული თანხისთვისაც მოუყრია თავი.

დოსიე:

გიორგი კანდელაკი თბილისში 1982 წლის 5 აგვისტოს დაიბადა. მისი ოჯახის „დეკლარირებულ“ წევრთა შორის არიან მშობლები და ერთი წლით უმცროსი და — თამარი. მამა — რევაზ კანდელაკი პროფესიით ფიზიკოსია და წლების მანძილზე ქარხანაში საკუთარი პროფესიით მუშაობდა, შემდეგ კი — ელექტროშემდუღებლად. დედა — ანა მედდა გახლავთ და დღემდე ფიფიას სახელობის საავადმყოფოში მუშაობს. გიორგიმ ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი დაამთავრა, სპეციალობით პოლიტოლოგი გახლავთ. დეკლარაციის უძრავ-მოძრავი ქონების გრაფაში კანდელაკების სიმდიდრედ მხოლოდ საცხოვრებელი ბინაა დაფიქსირებული — 70 კვადრატული მეტრის ფართობის.

ნინო ჯავახიშვილი

— ეს ბინა მამაჩემის საკუთრებაა. მე ამჟამად ქირით ვცხოვრობ და დიდი ხანია, რაც ფულს ვაგროვებ საკუთარი ბინის შესაძენად (*შარშან პარლამენტარს „საქართველოს ბანკში“ 27.000 ლარი ჰქონდა შენახული, ერთი წლის შემდეგ კი ანუ წლევანდელ დეკლარაციაში თანხა 42.000 ლარამდე გაიზარდა. ერთ წელიწადში 15.000 ლარის გადანახვა ცუდი არ არის ახალგაზრდა კაცისთვის. — ავტ.*).

— დასაოჯახებლად ხომ არ ემზადებით?

— პირად ცხოვრებაზე არაფრის თქმა არ მინდა. უბრალოდ მინდა, ჩემი საკუთარი სახლი მქონდეს...

— გარდა ამისა, „პროკრედიტ ბანკშიც“ გაქვთ თანხა — 12.000 დოლარი. შარშან 5.000 დოლარი გქონდათ. კარგად მიგიმატებიათ. როგორც ჩანს, მხარჯველი არ უნდა იყოთ...

— ზომიერად. საიდან მექნება იმდენი ფული, ხელაღებით რომ ვხარჯო?! გააჩნია, როგორ გარემოსა და ოჯახში იზრდები. მე ფუფუნებაში არ გავზრდილვარ და ნებიერი ბავშვობა თუ ახალგაზრდობა არ მქონია. ვიცი, რომ დღესაც საკუთარი თავისა და ხელფასის იმედზე უნდა ვიცხოვრო. ამიტომაც ფუფუნების საგნებს არ ვყიდულობ. მიყვარს წიგნები და ფული არ მენანება წიგნის საყიდლად. ამას წინათ აი, ეს საათი ვიყიდე ინტერნეტით.

— და რამდენი გადაიხადეთ?

— 52 დოლარი. მჭირდებოდა და ამიტომ, თორემ მაინცდამაინც არც აქსესუარების ყიდვა მიყვარს.

— თუ გახსოვთ, პირველი გასამრჯელო რაში მიიღეთ?

— როგორ არ მახსოვს?! სტუდენტობისას ვთარჯიმნობდი. საზღვარგარეთ ერთ-ერთ ცნობილ უნივერსიტეტში ვსწავლობდი და განათლება ნაწილობრივ ინგლისურად მაქვს მიღებული, ამიტომ ეს ენა საფუძვლიანად ვიცი. რა თქმა უნდა, რუსულსაც კარგად ვფლობ. რაში დავხარჯე, არ მახსოვს. ალბათ ოჯახისთვის, სხვა რაში უნდა დამეხარჯა?! რაც დრო და ქვეყანა აირია, მამაჩემის სამსახური არასტაბილური გახდა, დედას ახლაც სასაცილო ხელფასი აქვს და უკვე რამდენი წელია, ოჯახის რჩენა ძირითადად მე მიწევს.

— თამარიც ხომ მუშაობს?

— ეროვნული უშიშროების საბჭოში მდივნის მოადგილის მრჩევლად მუშაობდა, მაგრამ ახლა აღარ მუშაობს. თანაც, მისი ხელფასი მთელ ოჯახს ხომ ვერ გასწვდებოდა!

— როგორც ჩანს, ხელფასი გყოფნით ბინის ქირაშიც, ოჯახის შესანახადაც, ყოველდღიური საჭიროებისთვისაც და ინახავთ კიდეც. მოკლედ, ბედს არ უჩივით...

— ისე რა. მომჭირნედ თუ დავხარჯავ, მყოფნის...

— საერთოდ, ასეთი მომჭირნე და მოკრძალებული ადამიანი ხართ? თქვენი ხელფასი ხელგაშლილობის საშუალებას ნამდვილად გაძლევთ...

— (*იცინის*) ყველაფერში — არა, მაგრამ მატერიალურ საკითხებში — კი. (*როგორც ჩანს, ხელფასი პარლამენტში წელიწადში დაახლოებით 8.599 ლარით იმატებს ანუ თვეში 716 ლარით, რადგან შარშან სახელფასო თანხა 44.877 ლარს, ხოლო წლევანდელ დეკლარაციაში კი — 53.476 ლარს შეადგენს... ვერაფერს გააწყობ! აბა რა, პენსიონრებს წელიწადში 10 ლარი უნდა მოუმატონ, დეპუტატებს — 716... პენსია*

მართლაც, 100 დოლარი რომ გახადონ, დეპუტატებს რაღა? არანაირი პრეტენზია არ მაქვს ჩემს დღევანდელ რესპონდენტთან, ამ მთავრობას რა ვუთხარი თორემ)...

— ქეიფსა და მოლხენაშიც არ გიყვართ ფულის დახარჯვა?

— როდესაც რესტორანში მივდივართ, მეგობრები ხარჯს ვიყოფთ და ყველა ვიხდით.

— ახალ დეკლარაციას და თქვენს უძრავ-მოძრავ ქონებას ავტომობილი ხომ არ შეემატა?

— არ მიყიდია, თუმცა იმ ფულით, რაც ბანკში მაქვს, შემიძლია შევიძინო, მაგრამ ჯერ ამის საჭიროებას ვერ ვხედავ. სხვათა შორის, მანქანა არასდროს მყოლია.

— და არც გინდათ, რომ გყავდეთ?

— როგორ არ მინდა, მაგრამ მირჩევნია, ჯერ ბინა ვიყიდო.

— ხშირად მიწევს საზღვარგარეთ ყოფნაო, — მითხარით. იქ თუ ყიდულობთ რაიმეს ძვირად ღირებულს — ტანსაცმელს, სუვენირებს, საჩუქრებს ოჯახის წევრებისთვის? თუ იქაც ხელმომჭირნეობას იჩენთ?

— ღვინო მიყვარს და საზღვარგარეთ უფრო ხშირად კარგი ღვინის ყიდვაზე უარს ვერ ვამბობ. არ მიყვარს ღვინის გადაკვრით დალევა და სასმლით „გასკდომა“. ღვინო უნდა დააგემოვნო — თუ გემოს ვერ გაიგებ, მაშინ რატომღა უნდა დალიო, არ მესმის. ეს არ არის ჩვეულებრივი სასმელი და სხვა დამოკიდებულება უნდა გქონდეს მასთან. ღვინის სმა — დაჭაშნიკება და დაგემოვნებაც ხომ ერთგვარი კულტურაა. რაც შეეხება საჩუქრების ყიდვას, აჯობებს, უფრო გულუხვი ვიყო, ვიდრე ვარ...

ბატონი გიორგის თქმით, უნივერსიტეტში მისი სწავლის პერიოდში კორუფცია და მექრთამეობა პიკს აღწევდა და სწორედ ეს გახდა მაშინდელი პროტესტისა და ხმაურიანი გამოსვლების საფუძველი. ლოზუნგით: უნივერსიტეტს აფერისტი და კორუმპირებული ხალხი მართავს და — კმარაო!.. ეს ყველაფერი შემდეგ პოლიტიკურ აქტივობაში გადაიზარდა, რასაც „კმარას“ ჩამოყალიბება მოჰყვა. ეს ამბები ალბათ ყველას კარგად გახსოვთ. მე უბრალოდ, ერთი რამ ძალიან მიკვირს — როგორ დავიჯერო, რომ დღეს არ კმარა ძალადობა, საკუთარი ხალხისთვის თვალებში ნაცრის შეყრა და აფერისტობა, უმუშევრობასა და გაჭირვებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ... იქნებ დღესაც ბევრი რამ კმარა, მაგრამ რთულია 4.450-ლარიანი ხელფასის მქონე პარლამენტარების გადმოსახედიდან მიხვდე, რა კმარა და რა — არა... ■

რუბრიკის დასაწყისი იხ. გვ. 12

მიერის დროს. ასე რომ, ჩვენ თავისუფლები ვართ და რასაც გვინდა, იმას ვწერთ. შესაბამისად, გვეკისრება მისია, — ისეთი რამ შევქმნათ, რაც ნამდვილად ააღელვებს და სარკედ გამოადგება მმართველსაც და მართულსაც.

— იმაზე რას იტყვით, რომ ბევრი კარგი ავტორი სილატაკეში ცხოვრობს და მისი შემოქმედება შესაბამისად არ არის დაფასებული?

— რა თქმა უნდა, უსამართლობა იყო, როდესაც თუნდაც ზურაბ ლეჟავა „ბარახოლკაზე“ იდგა, ან როდესაც ძალიან კარგ მწერლებს პურის ფული უჭირთ, მაგრამ არც საზღვარგარეთაა მწერლის და ხელოვანის ცხოვრება დალხენილი. იქაც იშვიათად ხდება, რომ მწერალი საკუთარი შემოქმედებით ირჩენდეს თავს. თუ ვთქვათ, ნობელიანტი ან ძალიან ცნობილი ავტორი არ არის, იქაც ყველას აქვს რაღაც დამატებითი სამსახური და შემოსავალი. ჩვენს სფეროში სერიოზული პრობლემებია, მაგრამ არც მთლად უიმედო მდგომარეობაა. კულტურის სამინისტრო ამ მიმართულებით ცოტას არ აკეთებს. ძვრებიც არის. მაგალითად, მოეწყო ლიტერატურული ფორუმი და უცხოელი გამომცემლები ჩამოვიდნენ, მთარგმნელობითი პროექტებია განსახორციელებელი. ბევრი სერიოზული და საინტერესო რამ იგეგმება. ითარგმნება და გამოიცემა ბევრი კარგი წიგნი. თუმცა უფრო მეტია გასაკეთებელი. წიგნს, კულტურას, ნამდვილ შემოქმედებას მეტი პოპულარიზაცია უნდა გაუწიონ. მესმის, რომ ხელისუფლება მთავარ აქცენტს ტურიზმზე აკეთებს, მაგრამ ევროპელ ტურისტს ახალშეღებილი ფასადებით და შადრევნებით ვერ გააკვირვებ, მას სწორედ ის კულტურა აინტერესებს, სადაც ჩვენი ქვეყნის სული და ინდივიდუალიზმი ჩანს, რითაც სხვა ქვეყნებისგან გამოვირჩევით. ჩემი აზრით, კულტურა, ლიტერატურის, მხატვრობის, მუსიკის განვითარება უმთავრეს პრიორიტეტად უნდა იქცეს. ძველების დაფასება, ახალი სახეების წარმოჩენა და პოპულარიზაცია უნდა მოხდეს. ამისთვის თუნდაც ყველაზე მძლავრი პროპაგანდისტული მანქანა — ტელევიზია უნდა გამოვიყენოთ. მესმის, ბატონო, რომ ლიტერატურა რეიტინგული თემა არ არის, მაგრამ იქნებ ტელევიზიის მესვეურებმა საზოგადოების გემოვნების გასაშუალებასა და ნიველირებაზე კი არა, მისი გემოვნების დახვეწასა და ამაღლებაზე იფიქრონ.

— რატომ ფიქრობთ, რომ საზოგადოებას გემოვნება არა აქვს და თუ ხარისხიან პროდუქციას მიაწვდით, არ მიიღებს...

— ამას მე კი არა, ჩვენი ტელევიზიების შეფები ფიქრობენ. ერთი გერმანული ფილმი გამახსენდა, „თავისუფალი რაინერი“, სხვაგვარად „გაიწმინდე ტვინი“ ჰქვია. ტელევიზიაში მეამბოხეთა ჯგუფი შეიქმნება და ეგრეთ წოდებულ „სატელევიზიო რევოლუციას“ მოაწყობს. ანუ დაიწყებენ სატელევიზიო რეიტინგების გაყალბებას — გასართობ, ტვინის გამომრეცხავ ტოქშოუებს რეიტინგს ხელოვნურად დაუწევენ, ინტელექტუალურ გადაცემებს კი — აუწევენ. შესაბამისად, ხელმძღვანელები დაიწყებენ ინტელექტუალური გადაცემების გაკეთებას და აღმოჩნდება, რომ ხალხს ეს ძალიან მოსწონს. თურმე მათ სწორედ ეს სჭირდებოდათ. ამის მერე გაიმართება საჯარო კითხვები, ამა თუ იმ თემების განხილვები, შემეცნებითი ფილმების ჩვენებები და როგორც კეთილ ზღაპარში, ყველაფერი ძალიან კარგადაა. სამწუხაროდ, ზღაპარში არ ვცხოვრობთ, მაგრამ პროგრესზე, განვითარებასა და წინსვლაზე რომ ვიფიქროთ და აქეთკენ ვიმოძრაოთ, არავინ გვიშლის... ■

რადიო
თავისუფლება

უსმინეთ პროგრამას
„თავისუფლების 10 წუთი“!

რადიო თავისუფლება
— რადიო პალიტრის ეთერში!

ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა,
საღამოს ათის ნახევარზე.

radiotavisupleba.ge

სახე

ვინ აკომპლექსებს ქართველ გოგონებს

მსოფლიო სილამაზის კონკურსებზე ქართველი გოგონების წარუმატებლობით შეფიქრიანებულმა მაია ზაალიშვილმა (ფოტომოდელებისა და მანეკენების სტუდია „ფავორიტის“ ხელმძღვანელი) გადაწყვიტა, რომ კონკურსი სტუდენტ გოგონებს შორის (საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში) ჩაეტარებინა. „მის სეუ“ 20 წლის ნინი მიძაძე გახდა. აგვისტოში ის ვარშავაში, „მის სუპრანაციონალის“ კონკურსზე გაემგზავრება.

ეთო ყორღანაშვილი

მაია ზაალიშვილი:

— ბოლო 2 წელია, რაც ქართველ გოგონებს მსოფლიო სილამაზის კონკურსზე არც ერთ ნომინაციაში არ გაუმარჯვიათ. ჩემთვის ეს გამაოგნებელია! გადავწყვიტე, კონკურსი სტუდენტებს შორის ჩამეტარებინა. 17-18 წლისები იმ სიტუაციას კარგად ვერ აცნობიერებენ, რაც მსოფლიო სილამაზის კონკურსზეა; სტუდენტები კი უფრო ჩამოყალიბებული ადამიანები არიან. კონკურსი სეუ-ით დავიწყე და მინდა, სხვა უნივერსიტეტებში განვაგრძო. იცით, სეუ-ში რა მჩქეფარე ცხოვრებაა? უნივერსიტეტს არჩვეულებრივი რექტორი — გია კავთეიშვილი ჰყავს, რომელიც ყველაფერში მხარს გვიბამს.

ნინი მიძაძე:

— „მის სეუ-ში“ მონაწილეობას არ ვაპირებდი, მაგრამ ერთხელ ჩემმა მეგობარმა კონკურსის შესახებ დედაჩემს უთხრა... გაგიკვირდებათ, მაგრამ დედის ხათრით ვმონაწილეობდი (*იცინის*).

— რომელ ფაკულტეტზე სწავლობ?

— სეუ-ში — ბიზნესმართვის ფაკულტეტზე (ტურიზმის განხრით). გარდა ამისა, დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში დიპლომატის პროფესიას ვეუფლები — პირველ კურსზე ვარ. ასევე, ჩემი ჰობია — ფორტეპიანოზე, გიტარაზე, საქსოფონზე დაკვრა...

მაია:

— აი, ასეთი „მისები“ მინდა — ლამაზები და ჭკვიანები.

— ნინი, ახლა მოდელობაც დაგეტა. ამდენ საქმეს როგორ ასწრებ?

— ყველგან ვაგვიანებ, ყველაფრის საფუძვლიანად გაკეთებას ვერ ვახერხებ, მაგრამ თუ ძალიან მოვინდომებ, ასე თუ ისე, გამომდის.

— „მის სეუ-ის“ კონკურსზე შენი მუსიკალური ნიჭის გამოვლენის საშუალება გქონდა?

— არა. მხოლოდ გარეგნობით შეგვაფასეს, მაგრამ „მის სუპრანაციონალზე“ ამის საშუალება მექნება.

— სასცენო ნომერი უკვე შერჩეული გაქვს?

— კი, რა თქმა უნდა. ძალიან მრავალფეროვან, საინტერესო და ეფექტურ, მუსიკალურ ნომერს წარვადგენ.

— კონკურსში რამდენი გოგონა მონაწილეობდით?

— 13. რამდენიმე თვის განმავლობაში ვემზადებოდით. ეს ყველაფერი ძალიან საინტერესო და სახალისო იყო. ცოტას კი ვზარმაცობდი. წარმოიდგინეთ, რეპეტიციაზე კონკურსის დღესაც კი დავაგვიანე.

მაია:

— სეუ-ში ნინი ძალიან პოპულარული გოგონაა, ყველას ძალიან უყვარს. აგვიანებდა და ამის გამო ვჩხუბობდი — ნეტავ, ნინი რატომ მოგწონთ-მეთქი?! ძალიან ნიჭიერია. ნიჭს „სუპრანაციონალზე“ აფასებენ. დიდი იმედი მაქვს, რომ „მის ტალანტის“ ნომინაციაში გაიმარჯვებს.

— სტუდენტებთან მუშაობა რთული არ იყო? ალბათ, არაპროფესიონალები არიან.

— რთული არ იყო. ბავშვი, რომელიც უნივერსიტეტში სწავლობს, ე. ი. აზროვნებს და რაღაც შეუძლია... ნინი ისე ფანტასტიკურად უკრავს, რომ როგორ შეიძლებოდა, პოდიუმზე სიარული ვერ ესწავლა? თუ მოინდომებს, წარმატებას „სუპრანაციონალის“ კონკურსზეც მიაღწევს.

— ნინი, დედა ასე აქტიურად რომ გიდგას მხარში, რა პროფესიისაა?

— მუსიკოსია. სხვათა შორის, ახლა მუსიკალურ ნომერს მასთან ერთად ვამზადებ. უფროსი ძმაც მყავს, რომელმაც კონკურსში ჩემი მონაწილეობის შესახებ არ იცოდა. შინ გამარჯვებული რომ მივედი, მომილოცა და წარმატება მისურვა, მაგრამ კონკურსში

სეუ-ში ნინი ძალიან პოპულარული გოგონაა, ყველას ძალიან უყვარს

ჩემი მონაწილეობის შესახებ მანამდე რომ გაეგო, პრობლემას შემიქმნიდა.

მაია:

— კონკურსანტები პოდიუმზე საცურაო კოსტიუმებით და „წამოხდილი“ კაბებით არ გამიყვანია, რას მერჩის ეს ხალხი? გოგონები ქუჩაში გაცილებით მოკლე კაბებით დადიან!

— ნინი, საცურაო კოსტიუმს პოლონეთშიც არ ჩაგაცმევენ?

ნინი:

— კი, მაგრამ იქ პრობლემა არაა.

მაია:

— აი, ეს მაოცებს!

ნინი:

— საქართველოში ცუდი სახელი აქვთ...

— ვის? მოდელებს, რომლებიც პოდიუმზე ბიკინებით გასვლას არ ერიდებიან?

— არა, ზოგადად ისეთი წრეა, რომელშიც არ უნდა გაერიო.

მაია:

— ერთი-ორი ცუდი ყველგან გამოერევა. ზოგი „მის ბიკინობას“ იბრალებს... როცა ერთზე ცუდს ამბობენ, ყველა ერთ ტაფაში ექცევა. ძალიან ცუდი ტენდენციაა. ლიზა ვადაჭკორიას დიდ პატივს ვცემ, მაგრამ „მის ბიკინის“ კონკურსის შესახებ სიუჟეტს ისეთი ტექსტი წაუმძღვარა, რომ გოგონების მშობლები გაგიჟდნენ — კონკურსიდან ბავშვების გაყვანა უნდოდათ. ამის გამო დიდი უსიამოვნება შეგვხვდა.

— იქნებ ჟურნალისტის ირონიის მიზეზი ის იყო, რომ კონკურსანტები არ მოეწონა?

— უბრალოდ, სიუჟეტი ასე „შეფუთეს“. ხელშეწყობის ნაცვლად, ზოგი რეიტინგის ამაღლებას იაფფასიანი მეთოდით ცდილობს. ამის გამო, გოგონები კომპლექსდებიან და კონკურსში მონაწილეობას ერიდებიან...

— ნინი, მოდელობა იოლად აითვისე?

— ვაღიარებ, რომ ამ საქმეს ზერელედ ვეკიდებოდი, რთული არ მეგონა, მაგრამ ბოლოს მივხვდი, რომ ჩემ გარდა, პოდიუმზე სიარული ყველამ ისწავლა. შემრცხვა და ძალიან მოვინდომე... ჩემი აზრით, დახვეწა კიდევ მჭირდება.

— „მის სეუ-ის“ კონკურსის გარდა, ფართო აუდიტორიის წინაშე გასვლის გამოცდილება გაქვს?

— კი. ბავშვობიდან კონცერტები დიდ დარბაზებში მქონდა, საერთაშორისო მუსიკალურ კონკურსებშიც გამიმარჯვია.

— „მის სუპრანაციონალის“ შარშანდელი კონკურსანტი გათხოვდა. შენს პირად ცხოვრებაში რა ხდება?

— შეყვარებული მყავს.

— შენს ახალ საქმიანობას როგორ უდგება?

— შეიძლება, არ სიამოვნებს, მაგრამ წარმატების მიღწევაში ხელს ნამდვილად არ მიშლის. პირიქით, მხარში მიდგას.

მაია:

— კონკურსანტების შეყვარებულები ჩემი მტრები არიან. გოგონებს „ტრენინგებს“ ვუტარებ ხოლმე: გოგონებო, თქვენი პოზიცია უნდა დაიცვათ, ისეთი ხალხი არ გჭირდებათ, ვინც მხარში არ ამოგიდგებათ-მეთქი (*იცინის*)...

— ნინი, სერიოზული „დატრენინგება“ დაგჭირდა?

— არა, პირიქით — შეყვარებულს ჩემი გამარჯვება ძალიან გაუხარდა! აქტიურად მგულშემატკივრობდა, ნერვიულობდა. გამარჯვებულის გვარ-სახელს რომ აცხადებდნენ, დავინახე, ფეხზე როგორ წამოხტა. მერე, როცა გაიაზრა, რომ 20 დღით უნდა გავემგზავრო, გამომიცხადა — მეც მოვდივარო (*იცინის*)!..



კომპლექსებიანი მომღერალი ცდილობს, ხალხის აზრი გაითვალისწინოს

„ვერ მივეცი საყვარელ ადამიანს ის, რაც მან ჩემს დაქალში იპოვა“

სრულიად მოულოდნელად, ნინი შერმადინთან ინტერვიუ მისი ყოფილი ქმრის თანდასწრებით ჩავწერე. არ ვიცი, რას უკავშირდებოდა მათი ერთ-ერთ კაფეში შეხვედრა, მაგრამ მე ამ შეხვედრით ვისარგებლე და რამდენიმე შეკითხვა მომღერლის ყოფილ მეუღლეს, ვაჟასაც დავუსვი.

ნინო მჭედლიშვილი

— **ნინ, როცა შენს ხასიათზე გეკითხებიან, პირველ რიგში რომელი სამი თვისება გახსენდება?**

— მიზანდასახულობა, სიჯიუტე და... (*ფიქრობს*)

— **მიზანდასახულობა კარგი თვისებაა, სიჯიუტე — არც ისე. ისეთი თვისება არ გაქვს, რომლის დაძლევასაც გამუდმებით ცდილობ?**

— ვაჟა, რა მაქვს ცუდი, შეგიძლია დამეხმარო?

ვაჟა:

— შემიძლია, მაგრამ ნუთუ ცუდ თვისებებზე ჟურნალისტებთან ლაპარაკობენ? მე ჩემთვის შევინახავდი... ადვილად მიმნდობია და ალბათ ესაა მისი ცუდი თვისება.

— ჰო, მქონია შემთხვევა, როცა ერთი ნახვით კეთილად განვწყვე ამა თუ იმ ადამიანის მიმართ. ზოგჯერ ამის გამო მინანია კიდეც.

— **ხშირად იყურები უკან — წარსულისკენ?**

— ხშირად. ვაფასებ ჩემს გადადგმულ ნაბიჯებს, საქციელს... ზოგჯერ ვნანობ კიდეც ჩადენილს, მაგრამ მთლიანობაში ვფიქრობ, რომ სწორი გზით ვიარე.

— **როცა შენ გარშემო ჩურჩულებენ, უსმენ თუ ერიდები ამ სიტუაციას?**

— ყოველთვის მაინტერესებს, რას ამბობენ ჩემზე. აქამდე საზოგადოება დადებითად იყო ჩემ მიმართ განწყობილი და მინდა, სულ ასე იყოს. ჭორიც ბევრი მსმენია ჩემზე, მაგრამ ისეთი არა, მდგომარეობიდან რომ გამოვეყვანე. რასაც ჩემზე ჩურჩულებენ, ძირითადად, უწყინარი თემებია. მაღიზიანებს უსაფუძვლო, სულელური, ყურით მოთრეული ჭორები. ადრე უფრო მტკივნეული იყო ჩემთვის ამ ყველაფრის მოსმენა. ახლა იმუნიტეტი გამომიმუშავდა — ვცდილობ, გულთან ახლოს არ მივიტანო ასეთი სისულელეები.

— **როგორი ინტუიცია გაქვს?**

— ძალიან კარგი. მშვილდოსანი ვარ. ჩემი ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანებს კარგი წინათგრძნობა აქვთ.

— **თუ გრძნობ, რომ ესა თუ ის შეხვედრა არ იქნება შენთვის სასიამოვნო და მომგებიანი, მაინც წახვალ ამ შეხვედრაზე?**

— თუ საქმეს სჭირდება, წავალ, რადგან იმ ადამიანებს, რომლებსაც უნდა შევხვდე, ვერ ავუხსნი, ინტუიცია არ მიშვებს შეხვედრაზე-მეთქი.

— **როგორი მამაკაცები გაღიზიანებს?**

— გაუნათლებელი, უზრდელი, უტაქტო, უთავმოყვარეო და ყველა იმ თვისებით „დაჯილდოებული“, რომელიც „უ“-ზე იწყება (*იღიმის*).

— **უტაქტო კომპლიმენტზე როგორ რეაგირებ?**

— ვერასდროს დავეცემი იმ დონემდე, რომ ასეთ კომპლიმენტს კომენტარი გავუკეთო. უზრდელ, უცოდინარ და გაუნათლებელ ადამიანს მისსავე ენაზე უნდა ელაპარაკო. ამ ენაზე ლაპარაკი კი სულაც არ მიზიდავს.

— **რას გსაყვედურობენ მეგობრები?**

— უყურადღებობას, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მავიწყდებიან. უბრალოდ, დრო არ მაქვს, რომ ყოველი დღე მათთან ერთად გავატარო. როცა კარგად არის ჩემი მეგობარი, შეიძლება მასთან არ ვიყო, მაგრამ თუ რამე უჭირს, აუცილებლად გვერდით დავუდგები. ნამდვილი მეგობრობა ასე მესმის. მგონია, რომ მეგობრები ჩემით უკმაყოფილო არ არიან. მეც მეამაყებიან ისინი.

— **სისულელეები თუ გიკეთებია მეგობრებთან ერთად, თუნდაც ადრეულ ასაკში?**

— არა, ყოველთვის ვერიდებოდი სისულელეების ჩადენას.

— **არც სიყვარულისთვის ჩაგიდენია სისულელე?**

— არა. ყოველთვის გარკვეულ ჩარჩოებში ვიყავი მოქცეული და არასდროს ვარღვევდი საზღვრებს. დედა მაფრთხილებდა, იფიქრე იმაზე, თუ რას იტყვის ხალხი; ისეთ ოჯახში ხარ აღზრდილი, ცუდი საქციელი არ შეგეფერებაო. ჩემი ოჯახის არც ერთი წევრი არ იყო შოუბიზნესის წარმომადგენელი. ექიმების, მასწავლებლებისა და პროფესორების გარემოცვაში გავიზარდე. უნდოდათ, მეც ექიმი ვყოფილიყავი, კაბინეტში ვმჯდარიყავი და წყნარი, მშვიდი ცხოვრება მქონოდა.

— **უარის თქმა როგორ მოახერხე?**

— უბრალოდ, ექიმობის ნიჭი არ აღმომაჩნდა.

— **სცადე?**

— ვცადე. სამედიცინო კოლეჯში ჩავაბარე. პირველი კურსი წარმატებით დავამთავრე, ზოგადი განათლება მაქვს მიღებული. ადამიანის აგებულება და ანატომია მაინტერესებდა და ვისწავლე კიდეც, მაგრამ მეორე კურსზე, როცა გავიგე, რომ პრაქტიკა მორგში უნდა გამევლო, მაშინ დამთავრდა ჩემი სამედიცინო „მოღვაწეობა“. ჯობია იყო კარგი მომღერალი, ვიდრე ცუდი ექიმი.

— **ეი. წინააღმდეგობის გაწევის უნარი გაქვს?**

— რა თქმა უნდა. თუ რაიმე არ მინდა, ცალსახად ვამბობ უარს. რისი გაკეთებაც არ მინდა, იმას ვერ გამაკეთებინებ.

— **გამუდმებით იმაზე ფიქრი, რას იტყვიან სხვები ჩემზეო, არ გაკომპლექსებდა?**

— ადამიანს გარკვეული კომპლექსები უნდა ჰქონდეს. ყოველთვის უნდა ფიქრობდე იმაზე, თუ რას იტყვიან შენზე, მით უმეტეს — როცა შოუბიზნესში ხარ. ხალხს უნდა მოვწონდე, ვუყვარდე, რომ მომისმინონ. ამიტომ უნდა მაინტერესებდეს მათი აზრი.

— **გქონია ისეთი შემთხვევა, როცა გინდოდა, არავის ეცნე?**

— პოპულარობა არ მაწუხებს. ყოველთვის ზრდილობიანად გამოხატავენ დამოკიდებულებას ჩემ მიმართ. აქაც, თუ ხედავ, არავინ იმჩნევს, რომ ნინი შერმადინი ზის ამ კაფეში. შეიძლება ნახევარზე მეტმა ვერც მიცნო. საქართველოში ფანკლუბები არ არის, არავინ გაწუხებს, ქუჩაში არავინ გამოგეკიდება. არავის აინტერესებს ნინი შერმადინს რა ფერის ლაქი უსვია, ან რა ფერის თმა აქვს. არასდროს შევუწუხებივარ პოპულარობას.

— კომპლექსებზე ვსაუბრობდით. რისი კომპლექსი გაქვს?

— ბევრი რამის, მაგრამ ჩემს კომპლექსებზე საჯაროდ ლაპარაკს არ ვაპირებ. ჩემმა მეგობრებმა ძალიან კარგად იციან, რომ არ ვარ თავისუფალი და გახსნილი ადამიანი. არც კლუბური ცხოვრება მიზიდავს, არც ალკოჰოლი.

— ჩაცმის კომპლექსიც გაქვს?

— რა თქმა უნდა. მაგალითად, ქუჩაში, სცენაზე, ყველაფერს ვერ ჩავიცვამ. ვცდილობ, ყოველთვის კარგად გამოვიყურებოდე, მაგრამ შეიძლება მოდურად ყოველთვის ვერ ვიცვამდე იმის გამო, რომ ის გამომწვევია. არ მიყვარს ვულგარული ტანისამოსი.

— თუმცა ბოლოს გადაცემა „პროფილში“ რომ გამოჩნდი, თქვეს, რომ ვულგარულად გეცვა.

— მართლა? დახეული ჯინსისა და „ტოპიკების“ მერე, მოკლე ქვედაბოლო და „ბოტფორდები“ (მაღალი ჩექმა) გაუკვირდათ? გაუკვირდებოდათ, რადგან გარკვეული პერიოდის განმავლობაში გრძელი კაბითა და გულდახურული ტანისამოსით ვჩანდი ეკრანზე. ეს იმის ბრალი იყო, რომ საგრძნობლად მოვიმატე წონაში. არ მინდოდა, არაესთეტიკური ყოფილიყო ჩემი გამოჩენა. ღმერთო ჩემო, როგორ მეცინება ხოლმე — მკერდიც კი არ მიჩანდა... რამდენიმე წლის წინ, როცა საქართველოში „ფაბრიკა ზვიოზდ“ ჩამოვიდა, სპორტის სასახლეში დახეული, ძალიან დაბალწელიანი ჯინსითა და მოკლე, დეკოლტირებული მაისურით გამოვედი სცენაზე. ჩემი ასეთი ჩაცმულობა ჩვეულებრივად მიიღო ხალხმა. არც „ნუცას სკოლის“, „იმედის ტალღისა“, „იურმალის“ პერიოდში გაჰკვირვებია ვინმეს ჩემი დეკოლტე. მაღალი ჩექმა თუ აღიზიანებთ, აღარ ჩავიცვამ (*იცინის*), მაგრამ მე ნამდვილად არ მიფიქრია, რომ ეს გამომწვევი იქნებოდა. ბოტფორდი აცვია მადონას, შაკირას და ბევრ ისეთ მომღერალს, ვისზეც გიუდებიან მელომანები.

არჩილ შუშანაშვილის ფოტო

— ჰო, მაგრამ როცა ასე ჩაცმული ქართველი მომღერალი საქართველოში, ქართულ გადაცემაში საკუთარი ოჯახის დანგრევის ამბავს ჰყვება...

— ძაღები უნდა ჩამეცვა, შევცდი (*იღიმის*).

— ახლა დავრწმუნდი, რომ ნამდვილად არ არის შენთვის სულერთი, რას იტყვიან შენზე... თმა შევცვალოთ. მითხარი, სახლში როგორი ხარ? როგორი დამოკიდებულება გაქვს შვილთან, როგორ უბრაზდები?

— მარიამი ჯერ სულ 3 წლისაა და ისეთს არაფერს აშავებს, რომ გავუბრაზდე. თან, ბოლო ხანებში სულ გასული ვარ სახლიდან, რამდენიმე საათით ვნახულობ შვილს და მაშინაც მკაცრი დედის როლი რომ მოვირგო, ნამდვილად არ მინდა. მაქსიმალურად ვცდილობ, გავანებივრო. ისეთი დაღლილი მივდივარ შინ, რომ სახლის დალაგებისა და კერძების მომზადების თავი ნამდვილად აღარ მაქვს.

— როგორი მეუღლე იყავი?

— ვცდილობდი, კარგი ვყოფილიყავი და ბევრი დადებითი თვისება გამომემჟღავნებინა.

ვაშა:

— როცა ცდილობ, რომ კარგი იყო, ეს იმას ნიშნავს, რომ სინამდვილეში ასეთი არ ხარ და მხოლოდ სხვების დასანახავად ცდილობ. ამიტომ პატარა შესწორებას შევიტან მის პასუხში: ნინი კი არ ცდილობდა, კარგი მეუღლე ყოფილიყო, კარგი მეორე ნახევარი იყო.

— ეჭვიანი ხარ? მაგალითად, თუ შენი საყვარელი ადამიანი ყოველდღე არ გირეკავს და არ გკითხულობს, უყურადღებობაში უთვლი თუ ფიქრობ, რომ უბრალოდ, არ სცალია?

— ეჭვიანი არ ვარ, თუმცა უყურადღებობას ვერ ვიტან.

შეიძლება მოდურად ყოველთვის ვერ ვიცვამდე იმის გამო, რომ ის გამომწვევია
(არჩილ შუშანაშვილის ფოტო)

ვაშა:

— ზედმეტი ყურადღებაც აღიზიანებს.

— ჰო, ზედმეტი ყურადღებაც მაღიზიანებს. შემაწუხებლად არ უნდა მირეკოს, ვინც უნდა იყოს ის. რაც შეეხება შენს კითხვას, ვიფიქრებ, რომ არ სცალია და მალე მეც აღარ მეცლება მისთვის.

— შენი საყვარელი ადამიანის მობილურში შენივე დაქალისადმი მიწერილი სასიყვარულო გზავნილი რომ ამოიკითხო, როგორი იქნება შენი რეაქცია?

— იქიდან დავიწყოთ, რომ არავის მობილურში არ „ვძვრები“ — არც საყვარელი ადამიანისა და არც მეგობრის. თუ შემთხვევით ჩამივარდა ხელში და სასიყვარულო გზავნილები წავიკითხე, ვიფიქრებ, რომ ჩემი ბრალია — ე.ი. ვერ მივეცი საყვარელ ადამიანს ის, რაც მან ჩემს დაქალში იპოვა. ღმერთმა მშვიდობა მისცეს ორივეს. ჯობია, ასეთ შემთხვევაში წყვილი ერთმანეთს დაშორდეს. ჩემს შემთხვევაში ეს არ მოხდება კონფლიქტითა და სკანდალით. თუმცა უპატიებელი შეცდომა არ არსებობს... არიან ადამიანები, ვისაც შეუძლია ღალატის პატიება. მე ასეთი შემთხვევა არ მქონია და არ ვიცი, შევძლებ თუ არა.

— შეიძლება, ოჯახის დანგრევის მიზეზი გკითხოთ?

— არა.

ვაშა:

— ღალატი რომ არ იყო, ამას მიხვდებოდით.

— ძლიერი ქალი ხარ?

ვაშა:

— ძლიერი კი არა, ზოგჯერ ვფიქრობ, რომ სისხლი არ აქვს (*იღიმის*). „X ფაქტორზე“ ნამტირალევმა რომ იმღერა, ამას ბევრი ვერ შეძლებდა.

— რთულ მომენტებში უფრო ვძლიერდები. ვცდილობ, არასდროს დავეცე. დეპრესია არ მქონია, პროფესია არ მაძლევს ამის საშუალებას. სიმღერას ყოველთვის გამოვყავარ მდგომარეობიდან. სიცხიანსაც მიმღერია და სცენაზე გამოვჯანმრთელებულვარ. ■

„ამაყი ვარ, რომ ჩემი ძმაკაცი იყო“

ნიკო გომელაურის საფლავზე დაბოვებული წერილები

თამუნა კვინიკაძე

„ამ ადამიანის ცხოვრებაში უცნაური დამთხვევები მოხდა: პეტრე-პავლობას დაიბადა, მიცვალებულთა ხსენების დღეს გარდაიცვალა და მეორმოცე დღე ნიკოლოზობას შეუსრულდა“, — ამ სიტყვების ავტორი ნიკო გომელაურის მოძღვარი გახლავთ. 12 ივლისს ნიკოს დაბადების დღე იყო. ამ თარიღის აღსანიშნავად გუგა კოტეტიშვილს, გიორგი ნაკაშიძესა და ბექა მგალობლიშვილს შევხვდი. დავსხედით და უბრალოდ, ნიკოზე ვილაპარაკეთ.

გუგა კოტეტიშვილი:

— მოგეხსენებათ, ნიკო ჩემი დეიდაშვილი იყო. მე და მისი ძმა — გაგა, თანატოლები ვიყავით. ზაფხულობით წყნეთში ერთად ვისვენებდით. ნიკო ჩემზე 8 წლით უმცროსი იყო. მსახიობობა მოულოდნელად გადაწყვიტა. მიმაჩნია, რომ სწორი არჩევანი გააკეთა — კარგი მსახიობი დადგა. ნიკო ძალიან მიყვარდა, მისი დახასიათების დროს ყოველთვის სუბიექტური ვარ.

გიორგი ნაკაშიძე:

— ერთმანეთი ინსტიტუტში გავიცანით (1988-1992 წლები), პარალელურ ჯგუფებში ვსწავლობდით. რუსებს კარგი გამოთქმა აქვთ: „მეთევზე მეთევზეს შორიდან ხედავს“. ნიკოს მიმართ ინტერესი და სიმპათია შეხვედრის დღიდანვე გამიჩნდა. ბუფეტში ჩასვლისას, შესვენებაზე თუ ბირჟაზე დგომის დროს, მის ლაპარაკს ყურს ვუგდებდი. მერე დავძმაკაცდით.

ბექა მგალობლიშვილი:

— მე და ნიკო 55-ე სკოლაში ერთად ვსწავლობდით. თანაკლასელები ვიყავით. ბავშვობიდანვე გამორჩეული იყო.

— **რითი იყო გამორჩეული?**

— აუტანელი იყო...

— **ასეთს რას აკეთებდა?**

— ყველა წონასწორობიდან გამოჰყავდა, მასწავლებლების პაროდიებს აკეთებდა. ბავშვობიდანვე მსახიობური ნიჭით გამოირჩეოდა. II-III კლასიდან დავმეგობრდით, ერთმანეთის სახლებში დავდიოდით. ჩვენს ბავშვობაში რუსულად ლაპარაკი მოდაში იყო. ამ ენაზე უაქცენტოდ საუბრობდა, მაგრამ ქართულად ლაპარაკის დროს არც ერთ რუსულ სიტყვას არ გამოურევდა. მიუხედავად იმისა, რომ ნიკოსთან მრავალწლიანი მეგობრობა მაკავშირებდა და მეგონა, კარგად ვიცნობდი, ყოველი შეხვედრისას მასში კიდევ რაღაც ახალს აღმოვაჩენდი ხოლმე. გაოცებული ვრჩებოდი.

გიორგი:

— კარგად იცით, 1988-1989 წლებში ქვეყანაში როგორი ვითარება იყო. იმ პროცესებში, რომელიც რუსთაველის გამზირზე მიმდინარეობდა, აქტიურად ვიყავით ჩაბმულები. მაშინ მიტინგები ასეთი „გაპპსავებული“, როგორც დღესაა, არ იყო.

— **გაგონილი მაქვს, ნიკომ 9 აპრილს ტანკს დანა ესროლაო, მართალია?**

— ზუსტად ვერ გეტყვი. ჩვენ იმ ღამეს ერთად ვიყავით, დარბევის დროს გვცემეს კიდეც... რატომ არ ესროდა?! მაგრამ ნიკო დანას არ ატარებდა. ბევრმა არც იცის, რომ ის მოკრივე იყო. ნიკო რაინდი იყო, ცუდ სიტყვას არავის შეარჩენდა. დარტყმაც მაგარი იცოდა. „დაადებდა“ და ადგილზე დასვამდა...

— **ვიცი, რომ მეგობრები მის ბინაში ხშირად იკრიბებოდით...**

— ეს ის წლები იყო, როცა ქალაქში არც სინათლე იყო და არც გათბობა. ნიკოსთან ვიკრიბებოდით, ვსაუბრობდით, ერთმანეთს „ვათბობდით“. ნიკო თავის ლექსებს სანთლის შუქზე გვიკითხავდა. მაშინ კარგი სასმელი არ იყიდებოდა, არც საამისო ფული გვქონდა. ნიკო ვისოცკიზე გიჟდებოდა, ხშირად უსმენდა. როცა სინათლე არ იყო, მაგნიტოფონში ელემენტებს დებდა და ისე რთავდა. თითქოს ყველა ერთად ვებრძოდით იმ რეალობას, რომლის მიმართაც პროტესტი გვქონდა. ნიკოსთან გავიცანი მისი თანაკლასელები — შალვა ამირეჯიბი, ბექა მგალობლიშვილი, ლადო სხირტლაძე. მასთან ყოველთვის ნიჭიერი ადამიანები იკრიბებოდნენ. ნიკოს ძმა ჰყავდა — გაგა ინაური, ის უზომოდ განათლებული ადამიანი იყო, ნებისმიერ თემაზე სიღრმისეულად ლაპარაკი შეეძლო. გაგა ნიკოსთვის ავტორიტეტი გახლდათ.

ბექა მგალობლიშვილი:

— ბავშვობაში „შაბათობებს“ ვაწყობდით ხოლმე. ამ დღეს დალევას ვიწყებდით და კვირამდე ვაგრძელებდით. ქვეყანა რომ დანგრეულიყო, ამ ტრადიციას არ ვღალატობდით.

ჩვენ იმ ღამეს ერთად ვიყავით, დარბევის დროს გვცემეს კიდეც...

ჩვენს შეკრებებს ზოგჯერ ჯეჯიც (*ნიკოს მამა. — ავტ.*) ესწრებოდა. საინტერესო ადამიანი იყო. ნიკოს პირველი კრებული რომ გამოვიდა, ნიკუშა მამასთან მივიდა და საჩუქრად მიუტანა. ჯეჯი შინ არ დახვდა. წიგნი კარის სახელურში ჩაამაგრა და წამოვიდა... ჯეჯი სენტიმენტალური ადამიანი არ იყო, მაგრამ ნიკოს ემოციები წერილით გაანდო, წერდა, თუ როგორ კითხულობდა შვილის ლექსებს მთელი ღამის განმავლობაში... პატარა ჯეჯიკოზე გიჟდებოდა.

გუგა:

— ლაპარაკის მანერით, ირონიით, იუმორით, ხასიათით და გარეგნულადაც ნიკო ჯეჯის ძალიან ჰგავდა. ნიკოს ნახევარძმა — გაგა ინაური საქართველოს „კაგებეს“ უფროსის — ალექსი ინაურის შვილიშვილი იყო. გაგა ბაბუამისს პოლიტიკაზე ხშირად ეკამათებოდა. განსხვავებული შეხედულებები ჰქონდათ. ერთ დღეს ალექსანდრეს მეუღლემ — ვერა ფიოდოროვნამ ჯეჯის დაურეკა და უთხრა: გაგა საბჭოთა კავშირზე ისეთ რამეებს ამბობს, ბაბუამისს აგიჟებს, რამე უთხარითო. ჯეჯი „შეწუხდა“: აუცილებლად ვეტყვი, რამდენ სისულელეს

ამ დღის აღნიშვნა ოჯახში, ვიწრო სამეგობრო წრეში უყვარდა

ამბობს, ეს ხომ ერთადერთი ქვეყანაა, სადაც შეიძლება, არ იმუშაო და მაინც კარგად იცხოვრო. ჯეჯი ამ დროს თავად არ მუშაობდა. ასეთ გარემოში გაიზარდა ნიკო. ჯეჯი ხელგაშლილი ადამიანი იყო.

ბექა:

— ქალები გიჟდებოდნენ ნიკოზე, თავადაც არ იყო გულგრილი. დაუღალავი კაცი იყო. დილას ერთს ეარშიყებოდა, საღამოს — მეორეს. როცა გოგონებთან ერთად განმარტოება გვინდოდა, ყოველთვის ბინის პრობლემა გვქონდა. ეს პრობლემა მარტივად გადავჭერით. გაგას გოთუას ქუჩაზე ბინა ჰქონდა. იქ არ ცხოვრობდა, პერიოდულად მიდიოდა. ერთ დღეს მე და ნიკომ გასაღები მოვპარეთ და დუბლიკატი გავაკეთეთ. ბინაში მორიგი შეპარვისას გავიგონეთ, რომ გაგა შემოვიდა. პატარა ანტრესოლი იყო, იქ ავძვერით, იმდენად პატარა იყო, არ ვიცი, იქ 4 ადამიანი როგორ დავეტიეთ. გაგა მეგობრებთან ერთად შემოვიდა. დასხდნენ, ლაპარაკი დაიწყეს. უეცრად ანტრესოლი ჩამოვარდა და ლამის თავზე დავეცით. „დავიწვით“. გაგამ გასაღები სასწრაფოდ ჩამოგვართვა.

— ნიკო დაბადების დღეს როგორ აღნიშნავდა?

— ნიკუშას დაბადების დღეს ყოველთვის მაგრად ცხელოდა. ამ დღის აღნიშვნა ოჯახში, ვიწრო სამეგობრო წრეში უყვარდა.

გუგა:

— ბოლო პერიოდში თეატრში აღნიშნავდა. იმ ადამიანებთან ყველაზე მეტ დროს ატარებდა.

გიორგი:

— სცენაზე I-II კურსიდან გამოდიოდა, სხვა ენერგეტიკას ატარებდა, ასხივებდა.

— თავისუფალ თეატრში ბევრი ადამიანი ნიკოს სანახავად მიდიოდა.

— ეს მსახიობისთვის დიდი ჯილდოა. როცა დოიმ „ცხოვრება იდიოტისა“ დადგა, ნიკო სულ რაღაც 15 წუთი იდგა სცენაზე. თავისი მანერებით, ხმით ისე ახერხებდა მაყურებლის მონუსხვას, არ მახსოვს, ის სცენიდან აპლოდისმენტების გარეშე გაეშვათ. ნიკო კულისებიდან ყოველთვის ისმენდა, სცენაზე რა ხდებოდა. მისთვის აზრი ხშირად მიკითხავს. ბევრი სასარგებლო რჩევაც მოუცია. მწარე სიმართლის თქმისაც არ ერიდებოდა. თვით ირონიითაც გამოირჩეოდა.

ბექა:

— შეიძლება, ფაზიკურად სხვაგვარად გამოიყურებოდა, მაგრამ შინაგანად სუფთა კახელი იყო, ქიზიყელი. დაუმსახურებლად არავის არაფერს ეტყოდა.

გიორგი:

— კონფლიქტური არ იყო. თუ შეამჩნევდა, რომ მისი ნათქვამი „ადრესატს“ არ ესიამოვნებოდა, მაშინვე მოალბობდა და მდგომარეობიდან გამოიყვანდა.


ნიკო შვილთან და ბექა მგალობლიშვილთან ერთად

— საკუთარ გრძნობებზე მეგობრებთან გულახდილად ლაპარაკობდა?

ბექა:

— ეკა ჩვენი სამეგობროს პირველი რძალი აღმოჩნდა, ტასო — პირველი შვილი. ტასო ჩემი ნათლულია. ნიკო ყველაზე ადრე დაოჯახდა.

გიორგი:

— ჩემი შვილი რომ დაიბადა, სამშობიაროდან გამოყვანის დღეს, პატარა სუფრა გავშალეთ და ახლო მეგობრები დავპატიჟეთ. მომინდა გადამეღო, იმ დღეს ჩემს ოჯახში რა ხდებოდა. ხალხი ცოტა რომ შეთვრა, ყველას სათითაოდ ჩამოვუარე. ნიკოსთან რომ მივედი, მითხრა: აქ ასეთ ხმაურში არ შემიძლია, სხვა ოთახში გავიდეთო. მერე სიგარეტს მოუკიდა და დაიწყო... ეს ჩანაწერი დიდი ხნის მანძილზე აღარ მქონდა ნანახი. ნიკო რომ გარდაიცვალა, გამახსენდა. ჩავუჯექი და ნიკოს სიტყვებმა გამაოცა — ძალიან განვიცადე, საოცარი წინასწარმეტყველებაა: ჩემს შვილს ეუბნება, — შენ რომ გაიზრდები და დიდი ბიჭი იქნები, შეიძლება, მე ცოცხალი არც ვიყოო. ამ წინადადებას რამდენჯერმე იმეორებს...

— თავად ეს ჩანაწერი ნანახი ჰქონდა?

— არა.

— ნიკოსთან ერთად გატარებული ერთი დღე გაიხსენეთ.

— რეჟისორმა ზურაბ თუთბერიძემ გადაწყვიტა, აფხაზეთის ომზე ნიკოს, გია გურგულიას, ირაკლი კონტრიძის, გურამ ფირცხალავასა და ჩემი მონაწილეობით მოკლემეტრაჟიანი ფილმი გადაეღო. გადამღები ჯგუფის წევრები შეგვკრიბა და ჩაქვში წაგვიყვანა. გადაღება ერთ კვირაში უნდა დამთავრებულიყო. ჩავედით თუ არა, მეორე დღესვე წვიმა დაიწყო და 8 დღე აღარ გადაიღო. მე, ნიკო, გია და ირაკლი ერთ ოთახში ვცხოვრობდით.

რა უნდა გაგვეკეთებინა? გარეთ ვერ გავდიოდით, ვერ ვმუშაობდით. დილით გავიღვიძებდით — ისევ წვიმაა. ბუნებრივია, იქვე ჩნდებოდა კითხვა — რა გავაკეთოთ? — მოდი, დავლიოთ. — დავლიოთ... ნიკო თავისი ენამოსწრებულობით, ლექსებით გვართობდა. ამინდი მე-9 დღეს გამოვიდა. ერთ დღეში ფილმი გადავიღეთ და იმავე საღამოს უკან დავბრუნდით. რა გამოვიდა, არ მინახავს. თბილისში რომ დავბრუნდით, იმ დღეებს დიდხანს ვიხსენებდით.

ბექა:

— ნიკოს მეგობარია ბეთქილ ჯიშკარიანი. მის მეზობლად ცხოვრობდა. ნიკუშამ ნინა რომ გაიცნო, მაშინ ნინას წითელი მანქანა ჰყავდა. ბეთქილი ეზოს აკონტროლებდა. ერთ დღეს დაინახა, რომ ამ წითელი მანქანით ვიღაც ქერათმიანი გოგო მოვიდა. ნიკოს აივნიდან ასძახა: — ეს წითელი მანქანა ვისიაო? — რა იყო, ხელს გიშლისო? — დაუბრუნა ნიკომ კითხვა. — ხელს არა, ნერვს მიშლისო...

— გუგა, მამათქვენთან ნიკოს როგორი დამოკიდებულება ჰქონდა?

— ვახუშტიზე გიჟდებოდა. მამასაც მოსწონდა მისი ლექსები. ნიკო ვახუშტისთან, როგორც მეტრთან, ისე მოდიოდა. „თავისუფალ თეატრში“ მისვლის შემდეგ, ნიკო დღე და ღამე იქ იყო, შენობიდან არ გამოდიოდა. მეც დაკავებული ვიყავი. ერთმანეთთან ხშირად მიმოსვლას ვერ ვახერხებდით.

ბექა:

— ნიკოს გარდაცვალებამდე ბევრი მეგობარი გარდაგვეცვალა. ავადმყოფობის დროს ადამიანის ხასიათი ყველაზე კარგად ვლინდება: როგორ შეხვდება, შეეშინდება თუ — პირიქით. ზოგი მაგრად „ფუჭდება“.

იმ დღეებს დიდხანს ვიხსენებდით

გიორგი:

— მე და ნიკოს ამ დაავადებაზე ერთხელაც არ გვისაუბრია, ამ თემას არ შევხებივართ. ჩემთვის ეს იმდენად მტკივნეული იყო, რომ გადავწყვიტე, არ მელაპარაკა. ერთხელაც არ დაუწუწუნია. საქმისთვის ერთი წამითაც არ უღალატია, ბოლომდე დაიხარჯა; არ დანებდა, სიკვდილს მოუგო; დამარწმუნა, რომ რაინდობა მარტო წიგნებში როდი არსებობს. ამაყი ვარ, რომ ნიკო ჩემი ძმაკაცი იყო.

გუგა:

— ნიკომ ბოლო პერიოდში გამაოცა. ექიმები ამბობდნენ, რომ წოლითი რეჟიმი მისთვის უკეთესი იქნებოდა. ის კი დღეში 2 სპექტაკლს თამაშობდა. პოეზიის საღამოები ჰქონდა, პრეზენტაციები. ეს ძალას აძლევდა. მიმაჩნია, რომ ბოლო წელს ყველაზე ნაყოფიერი იყო. ნიკოს მდგომარეობა 10 აპრილიდან დამძიმდა. მანამდე ეგონა, რომ „იავნანას“ კონცერტზე გამოსვლას შეძლებდა. 12-ში საღამოს მასთან ვიყავი. ნინას უთხრა, გუგა არ გაუშვა, სთხოვე, აქ დარჩესო. გამთენიისას ჩემს ხელებში დალია სული. მის თვალებში შიში არ დამინახავს, მშვიდად წავიდა.

წელს ნიკოს 41 წელი შეუსრულდებოდა. ხანმოკლე სიცოცხლის მიუხედავად, ბევრის გაკეთება მოასწრო და ყველაზე მთავარი — ხალხის სიყვარული დაიმსახურა. მის საფლავზე ახალგაზრდები ხშირად მიდიან. უნთებენ სანთლებს, ლექსებს და წერილებს უტოვებენ. ამ ყველაფრის მომსწრე — ნიკოს საფლავის მომვლელი, ქალბატონი ***მანანა გუჯაბიძე*** *გახლავთ:*

— ნიკო გომელაურის საფლავს ვუვლი. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ვალდებული ვარ, მაგრამ ამის გარდა, მისდამი განსაკუთრებულ დამოკიდებულებას ვგრძნობ. ზოგჯერ ვერც აღვიქვამ, რომ ნიკოს საფლავია, ისევ ცოცხალი მგონია. ველაპარაკები. ნინამ ლექსების კრებული — „უბის წიგნაკი“ მაჩუქა. ნიკოს ლექსებს ხშირად ვკითხულობ.

— ნინამ მითხრა, რომ ნიკოს საფლავზე ახალგაზრდები ხშირად მოდიან, წერილებსა და ლექსებს ტოვებენ.

ამაყი ვარ, რომ ნიკო ჩემი ძმაკაცი იყო

— ხშირად მოდიან. მე ამ ფურცლებს ვაგროვებ და ნინას ვაძლევ.

— რას წერენ?

— ერთი გოგონა წერდა: „როცა სევდა მომეძალება, რატომღაც შენს საფლავთან მოვდივარ. შენც ყოველთვის სევდიანი იყავი, თვალები მაშინაც კი სევდით გქონდა სავსე, როცა იცინოდი, როცა ლექსებს გვიკითხავდი“... ახალგაზრდები მოდიან და ნიკოს, როგორც ცოცხალ ადამიანს, ისე ელაპარაკებიან. ერთმა გოგონამ მითხრა, შეყვარებული ვარ, ჩემი სიყვარული ცალმხრივია, მოვდივარ და ამ გრძნობაზე ნიკოს ვესაუბრები; გმადლობთ, რომ ნიკოს საფლავს უვლითო... დღე არ გავა, ერთი ადამიანი მაინც არ მოვიდეს. მახსოვს, დაკრძალვის დღესაც ახალგაზრდები ჭარბობდნენ. მისი კოლეგებიც ხშირად მოდიან. რამდენჯერმე შევნიშნე, კახა მიქიაშვილმა დიდუბის ტაძრიდან მოძღვარი მოიყვანა და საფლავი აკურთხებინა. ცოტა ხნის წინ, ქვითინის ხმა შემომესმა; გავიხედე, ნიკოს საფლავთან ნინო ქათამაძე იდგა და ტიროდა. ახლახან იყო მარიამ ჯოლოგუა მეუღლესთან ერთად. გოგა ბარბაქაძე და ჯაბა კილაძეც ხშირად დადიან. მოდიან ახალგაზრდები, ყვავილებს აწყობენ, სანთლებს უნთებენ, მერე ჩამოსხდებიან და ზოგჯერ 1 საათითაც კი რჩებიან. ნინა უმეტესად მარტო მოდის, მისი ტირილის ხმაზე იგრძნობა, როგორ უყვარდა ნიკო...

წლებია, აქ ვმუშაობ; არ მახსოვს, ამდენი ახალგაზრდა ვინმეს საფლავზე მოსულიყოს. დრო გადის, მაგრამ ნიკოს არ ივიწყებენ, ის ისევ უყვართ და ენატრებათ. ■

„მამუკა გამყრელიძეს ვგავარ და ტელევიზიამ გადაცემის წამყვანად მე ამიყვანოს“...

აგვისტოდან ჩვენს ქვეყანას ჩინეთში ახალი ელჩი — მამუკა გამყრელიძე ეყოლება. ცოტა ხნის წინ გავრცელებულმა ამ ინფორმაციამ ალბათ თქვენც ისევე გაგაკვირვათ, როგორც — მე. შეგახსენებთ, რომ ის წლების განმავლობაში სხვადასხვა საწარმოში წამყვან თანამდებობებზე მუშაობდა. 2010 წლიდან „გლობალ მედიაჯგუფის“ ხელმძღვანელია. ფართო საზოგადოებამ კი გადაცემით — „ვის უნდა 20 ათასი“ გაიცნო. ბატონ მამუკას ინტერვიუს ჩასაწერად შინ ვეწვიე.

თამუნა კვინიკაძე

მამუკა გამყრელიძე:

— ამ ამბის გაგებამ ბევრ ადამიანში გაოცება გამოიწვია. სიმართლე გითხრათ, მეც გამიკვირდა. პროფესიით დიპლომატი არა ვარ და ხალხს ალბათ ამიტომაც გაუკვირდა.

— საინტერესოა, თავად რა რეაქცია გქონდათ, როცა ჩინეთში ელჩად წასვლა შემოგთავაზეს?

— გავოცდი და შემეშინდა. შიშის განცდა პასუხისმგებლობის გრძნობიდან გამომდინარე გამიჩნდა.

— მაინცდამაინც ჩინეთში რატომ გიშვებენ?

— ვერ გეტყვით, ალბათ ამის შესახებ სამინისტროში უკეთ იციან.

— თქვენი კანდიდატურა მათ ვინ შესთავაზა?

— არ ვიცი. დამიბარეს და მითხრეს, რომ უნდა წავიდე.

— სანამ სამინისტროში დაგიბარებდნენ, როგორც ვიცი, მანამდე პრეზიდენტსაც შეხვდით.

— დიახ, მაგრამ ზუსტად ვერ გეტყვით, ეს ერთმანეთთან რამდენად კავშირშია. პრეზიდენტს 2 თვით ადრე შევხვდი. ეს იყო არაოფიციალური შეხვედრა რეზიდენციაში.

— მიხეილ სააკაშვილთან მეგობრობთ?

— ერთმანეთი სწორედ ამ შეხვედრისას გავიცანით.

— როგორი შთაბეჭდილება დაგრჩათ?

— საოცრად ენერგიული ადამიანია. მსგავსი ენერგიის მქონე ადამიანი იშვიათად მინახავს. ძალიან მიზანდასახულია.

— რაზე გელაპარაკათ?

— სამომავლო გეგმები და ახალი პროექტები გამაცნო. ვუთხარი, ალბათ ამის განსახორციელებლად ბევრი დრო დაგჭირდებათ-მეთქი. — არა, უფრო მცირე დროში უნდა მოვასწროთო. მთავარია, ქვეყანაში მშვიდობა იყოს.

— ამ შეხვედრის დროს თქვენს ელჩად დანიშვნასთან დაკავშირებით არაფერი უთქვამს?

— არა.

— ბატონო მამუკა, სახელმწიფო სამსახურში არასდროს გიმუშავიათ. დიპლომატია თქვენთვის „ჩინური“ არ არის?

— არანაირი საქმე „ჩინური“ არ არის. ერთადერთი, რაც შეიძლება, ვერ ისწავლო ადამიანმა, ეს არის ხელოვნება. სხვა დანარჩენის სწავლა შესაძლებელია. თუ საჭირო იქნება, შემიძლია, 24 საათი ვიმუშაო. მიყვარს, როცა ახალ საქმეს ვიწყებ.

— ჩინეთში როდის უნდა გაემგზავროთ?

— როგორც ვიცი, ამჟამინდელ ელჩს, კახა სიხარულიძეს უფლებამოსილება 1-ელ აგვისტომდე აქვს. მისი ჩამოსვლის შემდეგ გავემგზავრები. მინდა, დარჩენილი პერიოდი საქმის შესწავლაში გამოვიყენო. უკვე გავიცანი ჩინეთის ბიზნესწრეების რამდენიმე წარმომადგენელი. სხვა შეხვედრებსაც ვგეგმავ. ასევე მინდა, საქართველოში ჩინეთის ელჩი გავიცნო. მუშაობაა საჭირო, ვეცდები, ჩინელები ჩვენი ქვეყნით დავაინტერესო, აქ ინვესტიციები რომ განახორციელონ. საქართველო ძალიან საინტერესო სატრანზიტო ქვეყანაა. ჩინელები უძრავი ქონებისთვის უცხოეთში ბაზარს ეძებენ. ვნახოთ, რის გაკეთებას შევძლებ. ყველაფერი წინ არის.

— ეს ყველაფერი აქამდე იცოდით, თუ ახლა დაინტერესდით და შეისწავლეთ?

— არ ვიცოდი. სხვათა შორის, 6 თვის წინ, არც სატელევიზიო ტექნიკის გამეგებოდა რამე და ამ პერიოდში ზედმიწევნით შევისწავლე.

— სატელევიზიო ბიზნესი ააწყვეთ და ახლა მიდიხართ...

— ძალიან მეამყება ის, რომ ლევან ყუბანეიშვილთან და ბიძინა ბარათაშვილთან ერთად სასწაული მოვახდინე: ნულიდან დავიწყეთ და 3 თვის განმავლობაში 6 არხი ავამოქმედეთ. ეს ცოტა არ არის. გვინდოდა, სექტემბრიდან ჩვენი სტუდია ჩართულიყო. დოკუმენტური გადაცემების მომზადებაც დავიწყეთ. ასევე გვინდოდა, ინტერაქტივი გვქონოდა, პირდაპირი ეთერის გადაცემები დაგვეწყო, ფილმები გაგვერჩია, საინტერესო პიროვნებები მოგვეწვია და ა.შ. ბევრმა ცნობილმა ადამიანმა გამოთქვა სურვილი (ჩოგბურთელმა ირაკლი ლაბაძემ, დიმა ობოლაძემ, პარლამენტარმა ხათუნა ოჩიაურმა), მოსულიყო და სპორტული გადაცემა წაეყვანა. უამრავი იდეა გვქონდა. მოგზაურობაზეც უნდა გაგვეკეთებინა გადაცემა.

— ისეთი ემოციით ლაპარაკობთ, ამ საქმეს რომ ტოვებთ, ალბათ ძალიან გწყდებათ გული...

— ძალიან. ყველაფერს ახლა ვიწყებდი.

— ამ იდეებს უთქვენოდ განახორციელებენ?

— ლევანი ძალიან აქტიური ადამიანია. მას და ბიძინას დიდი გამოცდილება აქვთ. მე ამ კომპანიაში ვრჩები, როგორც ერთ-ერთი დამფუძნებელი (მეორე — ლევანი გახლავთ).

— ხომ შეგეძლოთ, ჩინეთში წასვლაზე უარი გეთქვათ?

— ამ საქმეზე უარის თქმა არ შეიძლება. რადგან გთავაზობენ, ე.ი. მიიჩნევენ, რომ იქ საჭირო ხარ. ეს რომ ყოფილიყო ვიღაც ბიზნესმენის შემოთავაზება, ქარხნის დირექტორის თანამდებობის დაკავების თაობაზე, რა თქმა უნდა, უარს ვიტყოდი. გარდა ამისა, ჩინეთი უდიდესი ისტორი-


ჩვენს ცხოვრებაში დიდ ცვლილებებს უკვე აღარ ველოდი

ისა და კულტურის მქონე ქვეყანაა, ძლიერი ეკონომიკით. ასეთ ქვეყანაში ელჩად წასვლა ჩემთვის უდიდესი პატივიცაა, პასუხისმგებლობაც და დარწმუნებული ვარ, დიდი სიამოვნებაც იქნება.

— **„გლობალ მედიაჯგუფის“ დირექტორი ხართ...**

— ვიყავი. განცხადება წასვლაზე უკვე დავწერე.

— **თქვენი თანამდებობა ვინ დაიკავა?**

— ლევან ყუბანეიშვილმა. ამ კომპანიაში რჩება ჩემი ქალიშვილი, რუსო გამყრელიძე. ის პროდიუსერია. უმცროსი ქალიშვილი საფრანგეთში, მაგისტრატურაში სწავლობს. დეკემბერში ისიც თბილისში დაბრუნდება.

— **ჩინეთში ნამყოფი ხართ?**

— არა, მაგრამ ამ ქვეყნის ნახვისა და მისი კულტურის გაცნობის სურვილი ნამდვილად მქონდა. ლაო ძისა და კონფუცის ახალგაზრდობაში ვკითხულობდი და მათმა ნაშრომებმა ბევრი საინტერესო და მნიშვნელოვანი რამ შემძინა.

— **ჩინურ სამზარეულოზე რას გვეტყვით?**

— ძალიან მიყვარს. ჩხირებით ახალგაზრდობიდანვე კარგად ვჭამ.

— **ბევრს აინტერესებს, რა ბედი ელის გადაცემას — „ვის უნდა 20 ათასი“?**

— არ ვიცი. ეს ტელევიზიის ხელმძღვანელობის გადასაწყვეტია.

— **ეს გადაცემა ხალხისთვის საჭიროა და მისი მეშვეობით არაერთი ადამიანის ცხოვრება უკეთესობისკენ შეიცვალა...**

— მადლობელი ვარ, რომ მქონდა საშუალება, სიკეთე მეკეთებინა. გუშინ ნაცნობმა მითხრა, ერთი ადამიანი ამბობდა, მამუკა გამყრელიძეს ვგავარ და ტელევიზიამ გადაცემის წამყვანად მე ამიყვანოსო.

— **და ის მზად არის, თქვენსავით, უხელფასოდ იმუშაოს?**

— ალბათ. მე ხელფასს ვიღებდი, ოღონდ ამ ფულს იმათ ვაძლევდი, ვისაც უჭირდა.

მამუკა გამყრელიძე ჩინეთში მეუღლესთან ერთად მიემგზავრება.

ნანო ჯორჯაძე, *მამუკა გამყრელიძის მეუღლე:*

— სიმართლე გითხრათ, ჩვენს ცხოვრებაში დიდ ცვლილებებს უკვე აღარ ველოდი. მოგეხსენებათ, საქართველოში დაბრუნებამდე, 18 წლის მანძილზე რუსეთში ვცხოვრობდით. 3 წელია, რაც დავბრუნდით. ვიფიქრე, უკვე სამშობლოში ვართ, მოვეწყვეთ და აღარსად წავალთ-მეთქი. კვლავ სხვა ქვეყანაში გამგზავრება გვიწევს. მამუკას ეს წინადადება რომ შესთავაზეს, დიდად არ გამკვირვებია. ვფიქრობ, რომ ცხოვრებისეულ გამოცდილებას დიდი მნიშვნელობა აქვს. რასაც ხელს მოჰკიდებს, ყველაფერი კარგად გამოსდის. ცხოვრება თავიდან არაერთხელ დავიწყეთ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს მშობლებს მატერიალურად არ უჭირდათ, ყოველთვის ვცდილობდით, საკუთარი შემოსავალი გვქონოდა, — ეს მოგვწონდა. პირველი კოოპერატივი გავაკეთეთ და იქ ერთად ვმუშაობდით, ნაძვის ხის სათამაშოებს ვაწყობდით. რუსეთში რომ წავედით, მამუკამ სადაზღვევო კომპანიაში დაიწყო მუშაობა (ახლა ის მსოფლიოში ერთ-ერთი დიდი კომპანიაა), მერე უძრავი ქონების ბიზნესში გადაინაცვლა. ამ 18 წლის მანძილზე ჩვენს ცხოვრებაში ყველაფერი იდეალურად არ ყოფილა, ხან „ვიძირებოდით“ კიდეც. მიუხედავად იმისა, რომ ექიმი ვარ, იქ დიასახლისი გავხდი: პატარა ბავშვები გვყავდა და იმის საშუალება არ გვქონდა, რომ ძიძა აგვეყვანა. იყო დრო, როდესაც მცირე სტაბილური შემოსავალიც კი სანატრელი გვქონდა. ჩვენი ცხოვრება მოსაწყენი არასდროს ყოფილა.

— **თქვენი ახალი თავგადასავალი ამჯერად, ჩინეთიდან დაიწყება.**

— ვიპოვე პედაგოგი, რომელთანაც მომზადება უნდა დავიწყო. ვნახოთ, რამდენად ავითვისებ. შვილებსა და შვილიშვილებს ხშირად ველარ ვნახავთ; ამ მხრივ ცოტა გაგვიჭირდება.

— **ბატონო მამუკა, ჩინურის შესწავლას თუ ცდილობთ?**

— მეეჭვება, ამ ენის საფუძვლიანად შესწავლა სწრაფად შევძლო. როგორც ამბობენ, სამთავრობო წრეებში რუსულად ლაპარაკობენ, ბიზნესწრეებში — ინგლისურად. ამიტომ საწყის ეტაპზე კომუნიკაციის პრობლემა არ მექნება. საგარეო საქმეთა სამინისტრო მეხმარება. აფრიკისა და აზიის განყოფილებას ზურაბ ალექსიძე ხელმძღვანელობს. იქ დავდივარ, კონსულტაციებს ვიღებ, მუშაობის სპეციფიკას ვეცნობი. არასდროს ჩამითვლია სირცხვილად იმის აღიარება, რომ რაღაც არ ვიცი. შეიძლება, დღეს არ ვიცი, მაგრამ ხვალ აუცილებლად ვისწავლი და — სხვაზე უკეთესადაც. ასეთი რამ ბევრჯერ გამიკეთებია. მთავარი მონდომებაა. შეკითხვა სირცხვილი არ არის.

— **სამუშაოს იმ პერიოდიდან უნდა შეუდგეთ, როცა ყველა ისვენებს. მანამდე ხომ არ გეგმავთ დასასვენებლად წასვლას?**

— არა. შარშანაც არ დამისვენია. ამ პერიოდში ტელევიზიის საკითხზე აქტიურად ვმუშაობდი. პირველი გასვლა ამსტერდამში გვქონდა. მე და ბიძინა ტექნიკის გამოფენაზე ჩავედით. სატელევიზიო ტექნიკაში გარკვეული არ ვიყავი. ისეთი დარტყმა მივიღე, ისიც კი გავიფიქრე, ამის სწავლას ვერ შევძლებ-მეთქი. ახლა ამაზე მეცინება...

— **წარმატებას გისურვებთ!**

— გმადლობთ.

■

მამუკა გამყრელიძე შვილებთან ერთად

ბექჰემებს მეოთხე შვილი შეეძინათ

ბრიტანელ ფეხბურთელს დევიდ ბექჰემსა და ვიქტორია ბექჰემს მეოთხე შვილი შეეძინათ. ვიქტორიამ ქალიშვილი კვირას, 10 ივლისს გამთენიისას გააჩინა. ამის შესახებ ფეხბურთელის პრესმდივანმა საიმონ ოლივეირამ განაცხადა. ვიქტორიამ ლოს-ანჯელესში საავადმყოფოში — ჩედარს შინაი იმშობიარა. პატარა 3,5 კგ დაიბადა.

რამდენიმე დღის წინ, დევიდ ბექჰემმა „ფეისბუქზე“ თავისი ფეხმძიმე ცოლის ფოტო გამოაქვეყნა და ასეთი წარწერა დაურთო: „ეს ფოტო ვიქტორიას მაშინ გადავუღე, როცა ის ვერ მხედავდა. ის არაჩვეულებრივია“...

ქეით ჰადსონი დედა მეორედ გახდა

ჰოლივუდის ვარსკვლავსა და როკჯგუფ „მიუზის“ სოლისტს მეთ ბელამის ვაჟი შეეძინათ. ქეითმა ლოს-ანჯელესში მდებარე ერთ-ერთ პრესტიჟულ კლინიკაში იმშობიარა. აღსანიშნავია, რომ მას ბავშვის დაბადებამდე მისი სქესის გაგება არ სურდა.

32 წლის ჰადსონი და მეთ ბელამი დანიშნულები არიან. ეს ქეითისთვის მეორე შვილია. მას პირველი ქორწინებიდან 7 წლის რაიდერ რასელი ჰყავს.

ოპრა უინფრი „ოსკარის“ დაჯილდოების ცერემონიას გაუძღვება

ამერიკული კინოაკადემიის მესვეურებმა ცნობილ ტელეწამყვანს, ოპრა უინფრის „ოსკარის“ დაჯილდოების ცერემონიის გაძღოლა შესთავაზეს. თუკი ოპრა დათანხმდება, ის „ოსკარების“ ისტორიაში მესამე ქალი იქნება, რომელიც საზოგადოების წინაშე ამ ამპლუაში, თანაც მარტო — მეწყვილის გარეშე წარდგება. მანამდე ეს მისია ვუპი გოლდბერგმა და ელენ დეჯენერესმა იტვირთეს. ყველა დანარჩენმა ქალბატონმა ცერემონია მეწყვილე მამაკაცთან ერთად წაიყვანა.

პენელოპა კვლავ ალაპარაკდა დეპზე

კინოვარსკვლავი კვლავაც აღფრთოვანებით ლაპარაკობს ჯონი დეპზე, რომელიც პარტნიორობას უწევდა „კარიბის ზღვის მეკობრეების“ ბოლო სერიაში. ამასწინანდელ ინტერვიუში პენელოპა კრუსმა აღნიშნა, რომ ის გააოცა „სტილის შეგრძნებამ“, რომლითაც დეპი გამოირჩევა. „ჯონი ყველანაირ სამოსს ჩემზე გაცილებით უკეთ ირგებს. ის კაბაც კი მოისინჯა, რომელიც ხავიერთან ერთად გადაღებულ ფილმში — „ვიდრე ღამე დადგება“ — მეცვა და ისიც ძალიან მოუხდა“, — ღიმილით დასძინა კრუსმა. ჟურნალისტთა თქმით, როგორც ჩანს, მასზე მართლაც წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ჯონი დეპთან ერთობლივმა მუშაობამ. ■

პირველი ვიზიტი უილბლოდ დაიწყო

კემბრიჯის ჰერცოგისა და ჰერცოგინიას პირველი ოფიციალური ვიზიტი აშშ-ში უილბლოდ დაიწყო. ლოს-ანჯელესში პრინცი უილიამი და მისი მეუღლე ქეითი ინვესტორთა და მედიამენეჯერთა კონფერენციას დაესწრნენ.

პრინცმა უილიამმა და ქეითმა 45 წუთით დაიგვიანეს. ორგანიზატორებმა ისინი პრეზიდიუმში დასვეს. სპიკერებმა, ვითომც არაფერი მომხდარა, სიტყვით გამოსვლა გააგრძელეს. ყურადღების ცენტრში ყოფნას მიჩვეული უილიამი და ქეითი თავს უხერხულად გრძნობდნენ. „მომდევნო 20 წუთის განმავლობაში ორივენი დუმდნენ, დისკუსიის მოდერატორს მათთვის კითხვები არ დაუსვამს... შედეგად უხერხული ვითარება შეიქმნა — ისინი ისხდნენ და იღიმებოდნენ, კონფერენციის მონაწილეები კი ბრიტანეთში ტექნოლოგიის განვითარებაზე საუბრობდნენ“, — წერს გაზეთი Los Angeles Times. „ხუთი მედიაჰოლდინგის ხელმძღვანელი პრეზენტაციას განაგრძობდა და სამეფო წყვილს პრაქტიკულად არ იმჩნევდა. უილიამი სახელოებს იჩეჩდა, ჰერცოგინია კი ცდილობდა, ყურადღებით ესმინა“, — იტყობინება გაზეთი. დამქანცველი დისკუსიის შემდეგ, უილიამმა და ქეითმა კონფერენციის მონაწილე კომპანიების პროდუქტების გამოფენა დაათვალიერეს. „ყველაფერი შესანიშნავი იყო, მე ძალიან მომეწონა“, — ღონისძიების ერთ-ერთ ორგანიზატორს პრინცმა უილიამმა მადლობა გადაუხადა, რის შემდეგაც მეუღლესთან ერთად, ბრიტანეთის ელჩთან მიღებაზე გაემართა. ■

რუბრიკა მოამზადა
ნატო მანჯავიძემ

ცხოვრება

„აფხაზებმა ბოდიში მოგვიხადეს — გვაპატიეთ, თუ უნებურად გაწყენინეთო“

საქართველოდან საზღვარგარეთ სასწავლებლად უამრავი ახალგაზრდაა წასული. ბუნებრივია, რომ სამშობლოსგან ხანგრძლივი დროით მოწყვეტა მათთვის ძნელია, მაგრამ სწავლის გარდა, ამ ახალგაზრდებს ერთი ძალზე საპატიო მისიაც აკისრიათ — უცხოელებთან ურთიერთობისას საქართველოს ღირსეულად წარმოჩენა, რასაც უმრავლესობა კარგად ართმევს თავს, ჩვენი ქვეყნისათვის კი ეს, დამეთანხმებით, მნიშვნელოვანია, მით უმეტეს, რომ საქართველოს ქართველ და არაქართველ მოქალაქეებს უცხოეთში ერთად უწევთ ცხოვრება, თავის გატანა, სწავლა და საერთო სახელიც აქვთ — „ქართველი“, რითიც ძალზე ამაყობენ.

რუსუდან ნარაკიძე აია-სოფიაში (სტამბოლი), „დილექ თასის“ (ანუ სურვილების ამსრულებელ) კოლონასთან

მიხეილ ლაბაძე

უცხოეთში სასწავლებლად წასვლას, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ჩვენი თანამოქალაქეებიც ახერხებენ; თავისუფალ გარემოში მოხვედრილთ კი რასაკვირველია, სულაც აღარ უჭირთ ქართველ თანატოლებთან ურთიერთობის დამყარება. ჩვენი მომავლისათვის ესეც მნიშვნელოვანია, ვინაიდან მჭიდრო ყოფითი ურთიერთობებისთვის, როგორც ცნობილია, ყოველგვარი პოლიტიკური მანიპულაცია, საიდანაც უნდა მომდინარეობდეს ის, უძლურია.

22 წლის ბათუმელი რუსუდან ნარაკიძე ერთი წლის წინ გაემგზავრა სასწავლებლად თურქეთში და საზაფხულოდ, მშობლიურ ქალაქში, როგორც იტყვიან, შთაბეჭდილებებით დახუნძლული დაბრუნდა. მეც დრო არ დამიკარგავს და გადავწყვიტე, მისი ამბები ჩვენი ჟურნალის მკითხველებისათვის გამეცნო; რუსუდანი არა მარტო მომხიბლავი, საინტერესო მოსაუბრეც აღმოჩნდა.

რუსუდან ნარაკიძე:

— 2009 წელს დავამთავრე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თურქული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით და გადავწყვიტე, სწავლა თურქეთში გამეგრძელებინა. ამისთვის 1 წლის განმავლობაში, თურქეთის საგანმანათლებლო სისტემის მოთხოვნათა გათვალისწინებით, მოსამზადებელზე უნდა მესწავლა და შემდეგ მექნებოდა უფლება, სასურველ ფაკულტეტზე ჩამებარებინა. ასე გავემგზავრე 2010 წლის სექტემბერში, ანკარის ჰაჯეთთეფეს უნივერსიტეტში. იქ საქართველოდან ჩასული სულ თერთმეტნი ვიყავით — ზოგს მაგისტრატურაში გვსურდა სწავლის გაგრძელება, ზოგიც ბაკალავრიატში აბარებდა.

— თურქეთში ჰაჯეთთეფეს უნივერსიტეტი რითია ცნობილი?

— ძირითადად, ცნობილია მისი სამედიცინო ფაკულტეტი, მაგრამ სხვა სფეროშიც ეს უმაღლესი სასწავლებელი თურქეთში ერთ-ერთი თვალსაჩინოა. ჩვენ იქ თურქულის შემსწავლელ ცენტრში ვსწავლობდით, რათა ენის ცოდნა დაგვეხვეწა და შემდგომში — სწავლისას, ამ მხრივ პრობლემები აღარ შეგვქმნოდა.

— იმ თერთმეტ ქართველს ადრეც იცნობდი თუ თურქეთში გაიცანი?

— ადრე არ ვიცნობდი, გზაში გავიცანით ერთმანეთი. საქართველოდან კი კიდევ ერთი გოგონაც იყო; ჩვენსავით ჰაჯეთთეფეში სწავლობდა, მაგრამ თურქეთში ცხოვრობდა და წამოსვლისას გავიცანით. ასე რომ, ქართველები ჰაჯეთთეფეში ბევრნიც არ ვიყავით (*ღიმება*). თავიდან ჩვენთან იყვნენ მაჰმადიანი მესხებიც, მაგრამ რამდენადაც ვიცი, მათ ჰაჯეთთეფეში სწავლა აღარ გაუგრძელებიათ.

— ინტერვიუს დაწყებამდე მითხარი, რომ მოსამზადებელზე თქვენთან ერთად, აფხაზებიც იყვნენ. ხომ არ გიჭირდათ ერთმანეთთან ურთიერთობა?

— ჩასვლისას გავიგეთ, რომ ჩვენს ჯგუფში ლექციებს 2 აფხაზი სტუდენტიც უნდა დასწრებოდა. ისინი ოფიციალურად, საქართველოდან ჩასულებად ითვლებოდნენ და, მართალი გითხრათ, ძალიან გვაინტერესებდა მათი გაცნობა. პირადად მე, ჩემი თაობის სხვა ქართველებივით, არასოდეს მქონია აფხაზ თანატოლებთან ურთიერთობა და ყოველთვის მინდოდა გამეგო, რას ფიქრობდნენ ისინი ჩვენზე და საერთოდ — საქართველოზე. მოკლედ, ასე გავიცანით ორივენი (ერთი ბიჭი იყო, მეორე — გოგო). თავიდან გარკვეულ უხერხულობას კი ვგრძნობდით, მაგრამ დროთა განმავლობაში, ასე თუ ისე, ნორმალური ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა. ჩვენი მხრივ ვცდი-

ლობდით, კარგად მოვქცეოდით და მათაც, მართალია, ძნელად, მაგრამ ნელ-ნელა თითქმის გადალახეს ის წინაღობა, რაც ჩვენგან უკვე წლებია, აშორებთ.

— ძალიან კარგი. მათთან ურთიერთობისას რაიმე აღსანიშნავი ხომ არ მომხდარა ან კურიოზს ხომ არ გაიხსენებ?

— რამდენად კურიოზულია ეს, ვერ გეტყვი, მაგრამ მაინც მოგიყვები: ჰაჯეთთეფეში ყველა ლექტორმა იცოდა, რომ აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია და, ერთ-ერთი მათგანი განსაკუთრებით, ხშირად ეკითხებოდა ამ აფხაზ ბიჭს, ესა და ეს როგორაა ქართულად, ან როგორი ადათებია საქართველოშიო? თავდაპირველად ბიჭს ერიდებოდა და რაღაცებს გაურკვევლად პასუხობდა. ერთ დღესაც, როგორც ჩანს, ვეღარ მოითმინა და ხმამაღლა შეეპასუხა: „ბატონო ლექტორო! სამწუხაროდ, მე არ ვიცი ქართული და არც ის, თუ რა ხდება საქართველოში! არ დაგავიწყდეთ, რომ მე ვამბობ „სამწუხაროდ“ და, თუ მეტს აღარ შემეკითხებით, მადლობელი დაგრჩებით!“ (*ღიმეტა*). მოკლედ, აი, ასე იყო...

— ჰაჯეთთეფეში გადაღებულ ერთ-ერთ ფოტოზე, ამხანაგებთან ერთად ხარ, საქართველოს დროშით. იქვე რამდენიმე უცხოელსაც ვხედავ და, გარდა ამისა, აუდიტორიაში საქართველოს რუკაც გიკიდიათ. როდისაა ეს ფოტო გადაღებული?

— ჰაჯეთთეფეს ენის შემსწავლელ ცენტრში ხშირად ტარდებოდა ღონისძიება, რომლებზეც უცხოელი სტუდენტები ვალდებულნი იყვნენ, საკუთარი სამშობლოს ისტორია, კულტურა, თანამედროვე ცხოვრება და ზნე-ჩვეულებები წარმოეჩინათ. ასეთი ღონისძიება, რა თქმა უნდა, ქართველებმაც გავმართეთ და ეს ფოტოც სწორედ მაშინაა გადაღებული. ჩვენ დიდად დაგვეხმარა საქართველოს საელჩო, საიდანაც გამოგვიგზავნეს ქართული ტრადიციული სამოსი, ყანწები და ყველაფერი, რაც კი ქართული სუფრისთვის იყო საჭირო; საბოლოოდ, კარგი ღონისძიება გამოგვივიდა. როგორც წესი, მას ჰაჯეთთეფეს სხვა სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლებიც ესწრებოდნენ და, სიამაყით მინდა აღვნიშნო, რომ ყველას მოეწონა (*ღიმეტა*).

— აფხაზებიც იყვნენ თქვენთან ერთად?

— სხვათა შორის, ესწრებოდნენ და მათაც გამართეს რაღაც მსგავსი, მაგრამ როგორც გითხარი, ჰაჯეთთეფეში ყველამ იცოდა, რომ აფხაზეთი საქართველოს ერთ-ერთი რეგიონია და ეს იმ პრეზენტაციაზეც აღინიშნა. მერე აფხაზები ჩვენთან მოვიდნენ და ბოდიშიც კი მოგვიხადეს — გვაპატიეთ, თუ რაიმე ისეთი ვთქვით, რითაც უნებურად განყენინეთო...

— ანუ ურთიერთობამ მაინც თავისი გაიტანა, არა?

— დიახ, რაც ძალიან გვესიამოვნა.

— იმ ღონისძიებაზე იცეკვეთ და იმღერეთ კიდეც თუ უბრალოდ, საქართველოზე ისაუბრეთ?

— გვქონდა რამდენიმე ნომერი, სადაც ჩვენ თვითონ ვიცეკვეთ და ვიმღერეთ.

— შენ სხვა ფოტოებიც მაჩვენე, რომელიც კაპადოკიაში გადაგიღია. ალბათ, იცი, რომ ეს უძველესი ქრისტიანული ცენტრი იყო მთელ მცირე აზიაში და იქ ქართველებიც მრავლად მოღვაწეობდნენ. ექსკურსიაზე უნივერსიტეტიდან წახვედით თუ თქვენი ხარჯით?

— არა, უნივერსიტეტიდან წაგვიყვანეს. ანკარაში ქართული მართლმადიდებლური ეკლესია არ არის და ცოტა არ იყოს, განვიცდიდით ამას; ამიტომაც, როცა გავიგეთ, რომ კაპადოკიაში მივყავდით, ძალიან გაგვიხარდა, რომ იქაური სიწმინდეების ნახვის საშუალება გვექნებოდა. მართლაც, დიდი სიამოვნება განვიცადეთ ამ ექსკურსიით. ისე, ადრეც წაგვიყვანეს ექსკურსიაზე — მახლობელ ქალაქ ბეიფაზარში, სადაც კარგი ბუნებაა და მშვენიერი პიკნიკი გამოგვივიდა (*ღიმეტა*).

— საქართველოდან ჩასული ქართველები და არაქართველები თურქეთში ერთად იყავით? შენ მაჰმადიანი მესხები ახსენე და ისინი თუ აიგივებდნენ ქართველებთან და ქართულ სამყაროსთან თავს?

— რა თქმა უნდა! ისინი ყოველთვის აღნიშნავდნენ, რომ ქართველები არიან და მათი მშობლიური ენაც ქართული იყო... იქ ჩვენ ყველანი ერთად ვიყავით.

— აქედან ჩასულ ქართველთა გარდა, თურქეთში უამრავი მკვიდრი ქართველიც ცხოვრობს. მათთან თუ ურთიერთობდით?

— დიახ, ჩვენ იქაური ქართველები ინტერნეტით ადრევე შეგვეხმიანნენ და დიდად დავმეგობრდით. ყოველ შაბათს ვიკრიბებოდით და ერთად ვერთობოდით. ამასთანავე, აჭარიდან და ართვინიდან გადახვეწილი მუჰაჯირების შთამომავლებიც ხშირად გვხვდებოდნენ — მათ წინაპრების გვარები და სოფლები კარგად ახსოვდათ და ჩამოსვლაც ძალიან უნდოდათ.

— შენ ხომ წარმოშობით ლაზი ხარ; ლაზეთიდან გადახვეწილი მუჰაჯირები არ შეგხვედრიან?

— სამწუხაროდ, არა (*ღიმეტა*). რამდენადაც ვიცი, ისინი ანკარიდან მოშორებით ცხოვრობენ და მათი მონახულების საშუალება არ მომეცა.

— ქართველთა გარდა, სხვა რა ეროვნების უცხოელი სტუდენტები სწავლობდნენ ჰაჯეთთეფეში?

— იყვნენ ყაზახები, ირანელები, არაბები, რუსეთის ფედერაციიდან — თათრებიც... ვისაც ვიცნობდით, ყველასთან კარგი ურთიერთობა გვქონდა. ერთმანეთის ღონისძიებებს ხშირად ვესწრებოდით და კარგად ვერთობოდით.

— ჟურნალი „გზა“ თუ აღწევს თურქეთში?

— სხვათა შორის, „გზას“ კარგა ხანია, სისტემატურად ვკითხულობ და მინდა გითხრათ, თურქეთში განვიცდიდი იმას, რომ მისი წაკითხვის საშუალება არ მქონდა. „გზა“ ჩემი საყვარელი ჟურნალია.

— სამომავლოდ რა გეგმები გაქვს?

— მინდა, საკმარისი განათლება მივიღო და ისე დავბრუნდე საქართველოში, აქ საყვარელი საქმე ვაკეთო და ოცნებებიც ავისრულო (*ღიმეტა*).

— წარმატებებს გისურვებ პირადად ჩემი და ჩვენი ჟურნალის სახელით და დიდ მადლობას გიხდი საინტერესო საუბრისათვის.

— დიდი მადლობა თქვენც ჩემგან! ■

ჰაჯეთთეფეს უნივერსიტეტის ქართველი და უცხოელი სტუდენტ-მაგისტრანტები საქართველოს დროშით. მარცხნიდან მეოთხე – რუსუდან ნარაკიძე

„მორდუობა“, ფიცის გატეხა და საშინელი ცოდვა...

ქართულ-აფხაზური ნათესაური კავშირისა და ორი მსგავსი ტრადიციის მქონე ერის თანაცხოვრების არაერთი მაგალითი არსებობს. დიახ, აფხაზურმა „მორდუობის“ ტრადიციამ არაერთი ოჯახი ისე დაამოყვრა, რომ XX საუკუნის 90-იან წლების მოვლენებმაც ვერ შეძლო მისი გაწყვეტა... როცა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების გზებზე საუბრობენ, სახალხო დიპლომატია, მათ შორის დღემდე შენარჩუნებული ადამიანური ურთიერთობები და ნათესაური კავშირები არავის აგონდება. არადა, ერთმანეთთან მტრად გადაკიდებული ამ ორი ხალხის ურთიერთობაში ეს „ხიდი“ ჯერ კიდევ მყარია და სიცოცხლის რისკის ფასად, ისინი ერთმანეთს მაინც არ კარგავენ...

ლალი პაპასკირი

37 წლის აფხაზი ნანო, აფხაზებთან დამოყვრებული ქართველების მეოთხე თაობის შვილია. რამდენიმე წლის წინ მან ომის დროს დროებით გაწყვეტილი ურთიერთობა აღადგინა.

— აფხაზურად ისე თავისუფლად ვლაპარაკობ, როგორც ქართულად. ქართველ ნათესავებთან ყოფნისას, მათთან მშობლიურ ენაზე ვურთიერთობ, აფხაზებთან სტუმრობისას კი — „მეორე მშობლიურ ენაზე“ (აფხაზურს ასე ვუწოდებ). აფხაზეთში, მგონი, ერთადერთი ოჯახი ვიყავით, ვინც შერეული ნათესაური შეკრებების დროს, შეგნებულად არ საუბრობდა რუსულად.

— **თქვენი აფხაზი ნათესავებიც ქართულად ლაპარაკობენ?**

— დიახ, ბაბუაჩემის ხელშეწყობით, უმეტესობამ უმაღლესი სასწავლებელი თბილისსა და ქუთაისში დაამთავრა... მოდი, ჩემი ოჯახის ამბის თხრობას ცოტა შორიდან დავიწყებ: ბაბუასა და ბებიას ერთმანეთი ბავშვობიდან ჰყვარებიათ. ბაბუა ქართველი იყო, ბებია — აფხაზი, მაგრამ ამას მათი ურთიერთობისთვის ხელი არ შეუშლია. როცა დაოჯახება გადაწყვიტეს, მეორე მსოფლიო ომი დაიწყო. ბაბუა ფრონტზე წაიყვანეს. ბებიაც ფრონტზე გაეპარა ოჯახს. მისი თქმით, ძლივს გააკეთა „ქართული“ პასპორტი, რადგანაც ეროვნებამ ფრონტზე სანიტრად წასვლაში ხელი შეუშალა: იცით ალბათ, რომ სტალინის ბრძანებით, აფხაზი ქალები კი არა, მამაკაცებიც კი არ მიჰყავდათ ჯარში. ამიტომაც, ათასობით ქართველი აფხაზად ჩაეწერა. ბებიას გადაწყვეტილება სამხედრო კომისარიატში გაჰკვირვებიათ... დღემდე არ ვიცი, როგორ შეხვდნენ შეყვარებულები ერთმანეთს, მაგრამ 1945 წელს ჯანმრთელობაშერყეული წყვილი მშობლიურ აფხაზეთში ერთად დაბრუნდა. ცხადია, დაოჯახდნენ, მაგრამ შვილი არ გაუჩნდათ. რამდენიმეწლიანი თანაცხოვრების შემდეგ, ცოლ-ქმარმა ბაბუაჩემის სიყრმის მეგობრის, აფხაზი კაცის პატარა იშვილეს. ბაბუამ გვარიც მისცა და ღვიძლი შვილივით გაზარდეს. ის ბავშვი მამაჩემი იყო, რომელიც არც თავის ნამდვილ მშობლებს კარგავდა.

— **ალბათ ბევრი და-ძმა ჰყავდა...**

— არა, მამაჩემის ჩათვლით, 3 დედმამიშვილია — ანუ მამას და-ძმა ჰყავს. მართალია, მამაჩემი ქართველების „მორდუ“ (გაზრდილი) იყო, მაგრამ თავისი და-ძმის ნახვა მაშინ შეეძლო, როცა მოესურვებოდა. ერთი ოჯახივით ცხოვრობდნენ... ბაბუასა და ბებიას, როგორც ფრონტგამოვლილებს, ადგილობრივი ხელმძღვანელობა დიდ პატივს სცემდა, ორივე დაასაქმეს და, მაშინდელი კანონის თანახმად, არაერთი შეღავათით სარგებლობდნენ. როცა მამაჩემისთვის განათლების მიღების დრო დადგა, ბაბუა მის ძმადნაფიცს მაინც დაეკითხა: შენი შვილია და საჭიროდ ჩავთვალე, შენგან აზრი მომესმინაო. გადარეულა თურმე ის კაცი, — შენი შვილია და როგორიც შენ გამოგადგება, ისეთი გაზარდეო... მამამ ქართული სკოლა დაამთავრა და მისი დამსახურებით, და-ძმაც ქართულად ლაპარაკობდა. როცა სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან დაბრუნდა, თავისი ღვიძლი დედ-მამის მეზობელი, 13 წლის პატარა გოგონა შეჰყვარებია. მართალია, მაშინ ადრეულ ასაკში ქმნიდნენ ოჯახებს, მაგრამ ასე პატარას მაინც არავინ გაატანდა, ამიტომაც, იმის შიშით, — ამას დაქალებას არავინ აცდის და ვინმემ არ წამართვასო, — არასრულწლოვანი საცოლე მოიტაცა.

— **გოგონას მშობლებმა არ უჩივლეს?**

— კი უჩივლეს, მაგრამ მამას დედაჩემი გუდაუთის მთებში გადაუმალავს და მილიციამ მათ კვალს ვერ მიაგნო. დანაშაული კი მისმა ღვიძლმა მამამ აიღო საკუთარ თავზე — აბა, ინვალიდ ძმადნაფიცს ხომ არ გაუშვებდა ციხეში!..

— **უცნაურია...**

— დიახ, ჩემმა აფხაზმა ბაბუამ ამ საშინელი მუხლით, 12 წელი მოიხადა... იმაზე უცნაური ის იყო, მამაჩემი არასრულწლოვან საცოლეს 3 წელი რომ არ მიჰკარებია. მთაში, ბაბუაჩემის აგარაკზე ცხოვრობდნენ. დედაჩემი სიგიჟემდე ჰყვარებია, მაგრამ მის დაქალებას დაელოდა და ცოლად შემდეგ შეირთო. მისი ძმაკაცები ჰყვებოდნენ, მათთან სტუმრად მისულებს, „პატარძალთან“ თოჯინები და ტკბილეული მიგვქონდაო...

— **მგონი, დედაც აფხაზი გყავთ, არა?**

— დიახ, დედაც აფხაზია. 5 უფროსი ძმა ჰყავს და წარმოიდგინეთ, რა ამბავს დაატრიალებდნენ პატარა დის მოტაცების გამო. როცა თავიანთი მეზობლის სახლ-კარის გაპარტახებით გული ივჯერეს, თურმე ჩემს ქართველ ბაბუას სახლში მიუცვივდნენ, მაგრამ მას მთელი სოფელი გვერდში დაუდგა. მაშინ, სოფელში დაბრუნებულებმა, ბიძაჩემი მძევლად აიყვანეს და მოკვლით დაემუქრნენ... თურმე ცუდ დღეში ჩავარდა ჩემი ქართველი ბაბუა. მისი ჯიუტი შვილის „ხუშტურს“ ლამის 2 ოჯახი გადაჰყვა. ძმადნაფიცი მილიციას ჩაჰბარდა, ხოლო მის ოჯახს ყოველდღე აწიოკებდნენ. რაღას იზამდა — გათამამებულად გაზრდილი შვილობილისთვის ისღა უთქვამს, — მეგონა, უფროსების მიმართ მეტი რიდი გქონდაო, — მაგრამ რის ვაი-ვაგლახით მოტაცებულ ცოლს ხომ არ წაჰგვრიდა!.. ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ, თვითონ მისულა აფხაზი რძლის ოჯახში და საკუთარი ჯიუტი შვილის საქციელის გამო, მუხლებზე დაჩოქილს უთხოვია პატიება და უთქვამს, — ალბათ იცით, რომ ჩემი გაზრდილი — აფხაზია; ჩემი ღვიძლი შვილი რომ ყოფილიყო, სხვანაირად გავზრდიდი და არც მამამისის ოჯახში გაზრდილი იქნებოდა ასეთი თავხედი... თუკი ვინმე დასასჯელია, ეს მე ვარ და თქვენთან ჩემი ფეხით მოვედიო...

— **როგორ შეხვდნენ?**

— ყველას ეგონა, რომ ბაბუა იქიდან ცოცხალი ვერ დაბრუნდებოდა, მაგრამ აფხაზისთვის სტუმარი, ვინც უნდა იყოს და რა დანაშაულიც უნდა მიუძღოდეს, ისეთივე ძვირფასია, როგორც სისხლით ნათესავი. სტუმრად მისული ადამიანი მათთვის ისეთივე ხელშეუხებელია, როგორც ტაძარში შემთხვევით ნანახი მტერი. თან, მოხუცი კაცი მათთან თხოვნით მისულა და ცუდად როგორ შეხვდებოდნენ?! დედაჩემის მამას უთქვამს, — ეთქვა, თუ ასე უყვარდა ჩემი ქალიშვილი, ას თვალსა და ყურს გამოვიბამდით და ისე გავუფრთხილდებოდით, სანამ სრულწლოვანი გახდებოდაო... ბიძაჩემი, მამაჩემის ძმა მეორე დღესვე

გაათავისუფლეს და ოჯახის დაწიოკებაც შეწყვიტეს... როცა ყველაფერი ჩაწყნარდა, დედაჩემი მთიდან სახლში ჩამოუყვანიათ. თურმე უშვილო ბებია საკუთარი ქალიშვილივით ზრდიდა, დიასახლისობას ასწავლიდა. ყველაზე უცნაური კი ის არის, რომ სკოლაშიც ატარებდნენ. სკოლის დამთავრების შემდეგ, დედ-მამა შეუღლდა და უმაღლეს სასწავლებელშიც ერთად მოეწყო.

— **აფხაზმა ბაბუამ 12-წლიანი სასჯელი მოიხადა?**

— დიახ. ბოლო 2 წელი შრომაგასწორების კოლონიაში გაატარა. ამ ხნის განმავლობაში მის ოჯახსა და შვილებს მისი ქართველი ბაბუა ჰპატრონობდა... იცით, მიუხედავად იმისა, რომ მისი შვილის გამო კაცს ცხოვრება დაენგრა და ამდენი წელი ციხეში გაატარა, საყვედური არასდროს დასცდენია. როცა დედაჩემი უნახავს, უთქვამს, — ასეთი მშვენიერი რძლისთვის ამდენწლიანი პატიმრობა კი ღირდაო.

სტუმრად მისული ადამიანი მათთვის ისეთივე ხელშეუხებელია, როგორც ტაძარში შემთხვევით ნანახი მტერი

— **ქართულ-აფხაზური ომის დროს ამ ორ ოჯახს შორის ურთიერთობა შეიცვალა?**

— ჩემი აფხაზი ბაბუა ციხიდან სრულიად ჯანმრთელი დაბრუნდა, მაგრამ 80-იანი წლების მიწურულს, როცა ქართველებსა და აფხაზებს შორის პირველი შეტაკება მოხდა (გახსოვთ ალბათ, მაშინ რამდენიმე ადამიანიც დაიღუპა), ბაბუას, ნერვიულობის ნიადაგზე, გულის შეტევა დაემართა, რადგან აფხაზების მხარეს მისი ვაჟიც — მამაჩემის ძმაც იყო...

— **თუმცა, როგორც აღნიშნეთ, ორივე ოჯახი ერთმანეთის მიმართ განსაკუთრებულად კარგი ურთიერთობით გამოირჩეოდა...**

— დიახ, ასე იყო. ჩემს ძმას მისი აფხაზი ბაბუის ანუ მამაჩემის ძმადნაფიცის სახელი ჰქვია... ბაბუამ ბიძაჩემი გააფრთხილა, — ქართველები ჩვენი ღვიძლი ნათესავები არიან და მსგავსი შეცდომა არ დაუშვაო, — მაგრამ ბიძაჩემი ქართველების წინააღმდეგ ბრძოლასა და ეროვნული საქმის კეთებას მაინც განაგრძობდა. თავიდან ამის შესახებ მხოლოდ მამაკაცებმა იცოდნენ. იცით ალბათ, რომ აფხაზური ტრადიციების თანახმად, ქალები მამაკაცების მორჩილები არიან და ასეთ საქმეებში არასდროს ერევიან, მაგრამ ამ შემთხვევაში, ყველამ ერთად სთხოვა ახალგაზრდა აფხაზს, მეტი წინდახედულება გამოეჩინა, მაგრამ — ამაოდ: ის სახლიდან წავიდა და ერთ-ერთ აფხაზურ დაჯგუფებას შეუერთდა. იმ დროს გაგრის შეტაკებები უკვე დაწყებული იყო. მამამ დიდი გაჭირვებით დაადგინა ღვიძლი ძმის ადგილსამყოფელი და კიდევ ერთხელ სთხოვა, — შეცდომას ნუ დაუშვებო.

— **რას პასუხობდა ბიძათქვენი „ქართველ ძმას“?**

— თავიდან თბილად შეხვდა, თურმე თავჩაქინდრული უსმენდა, მერე კი უთქვამს, — ახლა ჩვენს ხალხს და ქვეყანას გადამწყვეტი მომენტი უდგას, არჩევანი უნდა გავაკეთო, ქართველებისა და აფხაზების მითური ძმური ურთიერთობის მსხვერპლი გავხდები თუ საქვეყნო საქმეს გავაკეთებო... როცა მამა სახლში ცოცხალ-მკვდარი დაბრუნდა, მივხვდი, რაშიც იყო საქმე.

— **ვიცი, რომ მან უმაღლესი განათლება თბილისში მიიღო...**

— დიახ, რაც უნდა ბედის ირონია იყოს, ისტორიული ფაკულტეტი წითელ დიპლომზე დაამთავრა, მაგრამ როგორც ჩანს, ამ საქმეში გამოცდილმა ადამიანებმა გონება ადვილად აურიეს... ყველამ იცოდა, რომ ბიძაჩემი ქართველების წინააღმდეგ იბრძოდა, მაგრამ ამაზე საუბარს გავურბოდით. სანამ სოხუმის დატოვება პირველად მოგვიწევდა, რამდენიმე დღით ადრე, შუაღამეს ჩემი აფხაზი ბაბუა მოვიდა. სახე წაშლილი ჰქონდა და ბაბუასა და მამაჩემთან ცალკე საუბარი ისურვა. მე და ჩემი ძმა პატარები ვიყავით, მაგრამ ყველაფერი გვესმოდა და გვაინტერესებდა. ამიტომაც, კარს მიღმა ავიტუზეთ და ვუსმენდით უფროსების ლაპარაკს... არასდროს დამავიწყდება, როგორ დაიღმუვლა მამაჩემმა, როცა მისმა მშობელმა საუბარი დაასრულა. აფხაზურად საუბრობდნენ, მაგრამ ყველაფერი გვესმოდა და მივხვდით, რომ მამამ შვილი მოკლა. ასე ვუთხარი, ქართველის ტყვიამ რომ მოგკლას, იმას მირჩევნია, ჩემი ხელით მოკვდეო... იცით, ამდენი დაპირისპირების მიუხედავად, ორივე მხარემ იმდენი შეძლო, რომ ყველა პრობლემა უსისხლოდ მოაგვარა და ქართულ-აფხაზური „მორდუობის“ ფიცი წმინდად შეინახა, ბიძაჩემმა კი ამ ყველაფერს ანგარიში არ გაუწია... ალბათ ციხეში გატარებული წლები მასზე ცუდად აისახა და შვილთან საუბრისას ნერვებმა უმტყუნა...

— **რატომ მოკლა? იმისთვის, რომ ქართველების წინააღმდეგ იბრძოდა?**

— დიახ, ბევრი რამის გამო: იმისთვის, რომ მან არავის, მათ შორის, უფროსების თხოვნას ანგარიში არ გაუწია, ტრადიციებს პატივი არ სცა და ყველაზე მთავარი — ქართველებთან „მორდუობის“ ფიცს უღალატა! ეს კი ჩვენი ხალხისთვის ისეთივე წმინდა და მნიშვნელოვანია, როგორც ჩვენი სალოცავი... ამ მკვლელობიდან რამდენიმე ხანში, ჩემი აფხაზი ბაბუა გაგიჟდა, მაგრამ მისმა ქართველმა ძმადნაფიცმა და მამაჩემმა მთაში, უსაფრთხო ადგილას წაიყვანეს. ჩემი აფხაზი ნათესავები რუსეთში გაემგზავრნენ, ჩვენ კი თბილისში წამოვედით. ომის დამთავრების შემდეგ, მამაჩემი თბილისში კოდორის ხეობის გავლით დაბრუნდა. იმ დღეებში იმდენი უბედურება გადავიტანეთ, მეგონა, ემოციას ვეღარ გამოვხატავდი, მაგრამ თურმე ყველაფერი წინ მქონდა: ჩემმა აფხაზმა ბაბუამ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა, მეორე ბაბუის კვალი კი იქ დაიკარგა — სავარაუდოდ, აფხაზებმა მოკლეს!

— **ნანო, როგორ ცხოვრობთ ახლა? თუ გაქვთ აფხაზ ნათესავებთან ურთიერთობა?..**

— მე აფხაზი ვარ, უფრო სწორად — გაქართველებული აფხაზი და ჩემთვის ორივე ერი ახლობელია, არასდროს მიფიქრია, თუ რომელია უფრო ძვირფასი... გარკვეული დროის განმავლობაში მამაჩემის აფხაზ ოჯახთან ურთიერთობა არ გვქონია. მამა თავს იკავებდა, დანაშაულის განცდა აწუხებდა, ამ უბედურებაში ჩემი გამზრდელის წვლილი ურევიაო, მაგრამ ინიციატივა მათგან წამოვიდა, რამაც ძალიან გაგვახარა. აფხაზეთში სახლკარი მათაც დაიტოვეს და რუსეთის ქალაქ გორკიში ცხოვრობენ... ინტერნეტითა და ტელეფონით ვეკონტაქტებით ერთმანეთს და აგვისტოში თბილისში ჩამოსვლასაც აპირებენ... ბედნიერი ვარ, რომ ამდენი ტკივილის მიუხედავად, ადამიანური ურთიერთობების გაგრძელება შევძელით. ■

ქართველი პიტკინის ფანი და ქალბატონი, რომელთანაც „შუა ქალაქის“ მსახიობები იხსნებიან

პროფესიით მხატვარია, ტელეკომპანია „იმედში“ მისი დაარსების დღიდან მუშაობს. არხის არსებობის მანძილზე, თითქმის ყველა გადაცემამ მის ხელში გაიარა. მაგრამ როგორც ამბობს, საზოგადოებამ მისი საქმიანობის შესახებ მაინც სერიალიდან — „შუა ქალაქში“ შეიტყო, რაკი მისი გვარი და სახელი ტიტრებშია გამოტანილი. ირინა იამანიძე აღნიშნული სერიალის ვიზაჟისტ-გრიმიორი გახლავთ. ის დღესდღეობით არხის საინფორმაციო სამსახურშიც მუშაობს, მაგრამ ჩვენი საუბარი მაინც პოპულარულ სერიალს შეეხო.

ლალი ფაცია

— ყოველთვის მიყვარდა საკუთარი თავისა და სხვების დახატვა. ამიტომ, ამ საქმეს ძალიან ადვილად ავუღე ალღო... მსახიობები მადლობას ყოველთვის მეუბნებიან, მაგრამ ჩემთვის ყველაზე დიდი ჯილდო მაინც ის არის, როდესაც ჩემი გრიმწასმული ადამიანები სარკეში საკუთარ თავს უყურებენ და უღიმიან, კომფორტულად გრძნობენ თავს. ეს იმას ნიშნავს, რომ მოვახერხე მათი ტრანსფორმაცია ანუ შევასრულე ჩემი საქმე.

— რას ნიშნავს თქვენთვის ისეთ პოპულარულ სერიალზე მუშაობა, როგორიც „შუა ქალაქშია?“

— ჩემი აზრით, ამ სერიალის მთავარი ღირსება მისი პოპულარობა კი არ არის, არამედ ის, რომ კეთილი და დადებითი მუხტის მქონე პროექტია. ასეთი რამ ჩვენს საზოგადოებას იმ პრობლემების ფონზე, რაც აქვს, სჭირდებოდა. „შუა ქალაქში“ სავსეა სახასიათო პერსონაჟებით. მასში თითქმის ყველანაირი (ბოროტის გარდა) ტიპაჟია თავმოყრილი. მოკლედ, ხასიათების არაჩვეულებრივი პალიტრაა, რამაც განსაზღვრა ამ პროექტის პოპულარობაც.

— სერიალში როგორ მოხვდით?

— როდესაც დათო გოგიჩაიშვილი „იმედში“ სამუშაოდ მოვიდა, გადაწყვიტა, შემოქმედებითი ჯგუფი ტელეკომპანიის კადრით დაეკომპლექტებინა. ჰოდა, მეც ამიყვანა სამუშაოდ, სადაც დღემდე სიამოვნებით ვმუშაობ.

— სერიალი რომ იწყებოდა, მასში მონაწილე მსახიობები ისეთი პოპულარულები არ იყვნენ, როგორებიც დღეს არიან. ბევრი მათგანი ფართო საზოგადოებისთვის საერთოდ უცნობიც იყო. მათ გაპოპულარებაში წვლილი თქვენც მიგიძღვით, რადგან მათი „სახეები“ შეიძლება ითქვას, თქვენ „გამოძერწეთ“. ამასთან, ისინი თქვენს ხელში გახდნენ საზოგადოებისთვის საყვარლები და ცნობილები... რას იტყვით ამაზე?

— თავიდან მართლაც არც ერთი არ იყო პოპულარული. შეიძლება ითქვას, რომ ერთმანეთი თავისი მინუსებითა და პლუსებით მართლაც რომ გამოვძერწეთ; ჩემი პროფესიის წყალობით, სერიალის მსახიობებთან შინაური ურთიერთობა მაქვს. ერთმანეთთან საოცრად გულახდილად ვსაუბრობთ. ადამიანები იხსნებიან ჩემთან, რადგანაც მათ ცხოვრებასთან, შეიძლება ითქვას, რომ შერწყმული ვარ. მესაუბრებიან პირად, ოჯახურ პრობლემებზე, საკუთარ გასაჭირზე, სიხარულზე — ყველაფერში მათი თანამოაზრე გახლავართ. მოკლედ, ყველანი ოჯახის წევრებივით ვართ. ამასთან, თვალდახუჭულმა ვიცი თითოეულის სახე და შესაბამისად, ვის როგორი ვიზაჟი თუ გრიმი სჭირდება. სულ თავიდან, ჩემი მოსაზრებებიც მქონდა: მაგალითად, ამბიციური და პროვინციული დები — ღლონტები ვიზაჟის საშუალებით ძალიან გამომწვევები და სახასიათო ტიპაჟები უნდა ყოფილიყვნენ და ასეთებიც იყვნენ. მერე ამ პერსონაჟებმა ცოტა ქალაქური იერი შეიძინეს და შესაბამისი ცვლილებებიც განიცადეს. რაც შეეხება იმას, თუ რა გრძნობაა, როცა ეს ადამიანები თვალსა და ხელს შუა გაპოპულარულდნენ, ესაა ალბათ ცხოვრებაც თავისი მთელი სილამაზეებითა და მოულოდნელობებით, და როცა ამ ყველაფერში შენც ჩართული ხარ, ერთ-ერთი ჭანჭიკი ხარ, რა თქმა უნდა, სასიამოვნო და სასიხარულოა.

— ჯგუფის წევრებთან არაფერი გაქვთ საპრეტენზიო? ვიზაჟის კეთებისას, საგრიმიოროში არც ერთი არ ჭირვეულობს?

— არა, ნებისმიერი მათგანი გადასარევი ადამიანია. ამ ჯგუფთან საპრეტენზიო არაფერი მაქვს. მერწმუნეთ, ისეთი აწყობილი წარმოება, როგორც ჩვენი სერიალია, იშვიათად მეგულება. კარგი გუნდია. ყველა ერთმანეთზე ვმუშაობთ და ერთმანეთისგან ვსწავლობთ.

— რას იტყვით მთავარი პერსონაჟის — ირაკლი ჩხეიძის როლის შემსრულებელ ოთარ ტატაშვილზე?

— ოთარი ძალიან მხიარული ექიმია. ერთმანეთში მუდმივად დებატებს ვმართავთ. კერძოდ, ის ამა თუ იმ დაავადების სამკურნალოდ წამლების გამოყენების მომხრეა ანუ კლასიკურ მედიცინას ვერ ღალატობს. მე არ ვეთანხმები ამაში, ალტერნატიული მედიცინის მომხრე ვარ და სულ იმას მემუქრება, წაგიყვან და ჩემთან, კლინიკაში გამუშავებო (*იღიმება*)... შესანიშნავი ადამიანია. ჩვენ ერთმანეთს ამა თუ იმ დიეტასაც ვუზიარებთ...

— ისე, ოთარმა, ბოლო დროს, წონაში საგრძნობლად დაიკლო. თვალსა და ხელშუა დაილია კაცი...

— როდესაც ადამიანი რაღაცას საქმიანობს და იმით ბედნიერია, ჭამაც

ჩემი პროფესიის წყალობით, სერიალის მსახიობებთან შინაური ურთიერთობა მაქვს

აღარ ახსოვს და აი, ეს გახლავთ უმთავრესად ოთარის წონაში დაკლებ-ის მიზეზიც.

— ისე გახდა, რომ დიეტა არ დაუცავს?

— დიეტა როგორ არ დაუცავს, მაგრამ იმას ვგულისხმობ, რომ საკუთარი თავის ხელში აყვანა მეტად შეძლ-ომეთქი. ამისათვის სტიმული ჰქონდა. ოთარი წარმატებული ადამიანია, დღის განმავლობაში ბევრი საქმის გაკეთებას (პაციენტების მიღება, რეპეტიცია, სერიალის გადაღება, „ღამის შოუს“ ჩაწერა) ასწრებს და კარგადაც იღლება...

— დები ღლონტები საგრიმ-ოროში არ წუწუნებენ?

— (*იღიმება*) ძალიან მიყვარს ორივე — თათულიც და თამუნაც...

— პრეტენზიები არაფერზე აქვთ?

— იქ, სადაც ადამიანებს დათო გოგიჩაიშვილი აიყვანს სამუშაოდ, პრ-ეტენზიული ვერავინ იქნება. რაც მის გუნდში ხდება, ცოტა სხვა რამ არის. ეს სწორად გათვლილი საქმე გახლავთ, სადაც ერთმანეთის პატივისცემის შემ-დეგ საქმის მოთხოვნა მოდის. ჩვენს სერიალზე მუშაობისას ყველამ იმხ-ელა ბედნიერება მიიღო, რომ არავის არაფერი აქვს სასაყვედურო და საპრეტენზიო. ისე, ვიზაჟის გაკეთებ-ისას ყველაზე მოძრავი, აქტიური და ემოციური ალბათ თამუნა ნიკოლაძეა...

— რაკი იუმორისტული სერია-ლია, ალბათ იუმორისტული სიტუა-ციაც ხშირია კულუარებშიც...

— კომიკური სიტუაციები უმეტე-სად მაშინ იყო ხოლმე, როდესაც სერ-იალში ჯაბა კილაძე მონაწილეობდა. ძალიან საინტერესო პიროვნებაა და მისი გარდასახვისას ბევრი სასაცილო სიტუაციაც იქმნებოდა, რაზეც მთელი ჯგუფი საგრიმიოროშიც ერთობოდა... კომიკური სიტუაცია იყო, როდესაც საგრიმიოროში ოთარი რეპეტიციას გა-დიოდა, ერთ-ერთი სერიისთვის — ყუთიდან უნდა ამომხტარიყო. ამაზე ბევ-რი ვიხალისეთ... ისე, სასაცილო სიტუ-აციები უფრო რეპეტიციასა და ჩაწერ-აზეა ხოლმე, როცა ტექსტი ავიწყდებათ. იმ დროს შეიძლება ვიღაცას სიცილი წასკდეს და ისტერიკა დაემართოს... აი, რა მახსოვს კიდევ: რამდენიმე ცნობილი და გამოჩენილი მსახიობი, რომლებიც მოწვეულები იყვნენ თეატრებიდან, სან-ამ გადაღება დაიწყებოდა, ცუდად გახდ-ნენ, იმაზე კი არ ნერვიულობდნენ, რომ თამაში გაუჭირდებოდათ, იმდენად პოპ-ულარულია ეს სერიალი, რომ მათზე პასუხისმგებლობის განცდამ იმოქმედა. მოკლედ, მათთვის, ვალოკორდინისა და წყლის მიწოდება დამჭირდა...

— როგორც მაყურებელი, სერ-იალის რომელი პერსონაჟის ფანი ხართ?

— დათო ალექსიძის — იმავე გოგა ბარბაქაძის, პირველივე დღიდან ის ჩემთვის ქართველი პიტკინია, თავი-სი საოცარი მოძრაობებით. ისე, სცენა-რიდან გამომდინარე, ყველას თამაშზეც მიცინია. მაგრამ გოგამ პირველივე დღიდან გამაოცა. თავიდან, როგორც გმირს, უფრო მეტი სათამაშო ჰქონ-და. ახლა სერიალი გაიშალა — ყვე-ლა პერსონაჟი სხვადასხვა სივრცეში აღმოჩნდა...

— ეკრანიდან რომ უყურებთ მათ, მაშინ რა ხდება?

— მაშინ ჩემს თავზე ვმუშაობ. სულ იმ კუთხით ვუყურებ სერიალს, სახეზე როგორ აქვთ გრიმი... საერთოდ, ტე-ლევიზორში ყველაფერს ასეთი თვალით ვუყურებ და იმხელა შეცდომები მაქვს აღმოჩენილი ჰოლივუდის ვიზაჟისტე-ბის ნამუშევრებშიც, გაოცდებით. ალ პაჩინოსთვის ეკრანზე ისეთი მინუსები მაქვს დაჭერილი, რომ გამიკვირდა...

— რა არის მთავარი თქვენს საქმიანობაში?

— მთავარია, სუფთად გამოძერწო სახე, ისე, რომ სახის ყველა ნაწილი ერთმანეთთან ჰარმონიულად იყოს.

— მოდი, თემა შევცვალოთ; როგორც ვიცი, მამათქვენი ცნობილი ქართველი ფეხბურთელი — შოთა იამანიძე გახლდათ, რომელიც სამ-წუხაროდ, 34 წლის ასაკში, ავ-ტოკატასტროფაში დაიღუპა. ალბათ პატარა იყავით მაშინ, არა?

— მამა რომ დაიღუპა, 7 წლის გახლდით და მასთან ურთიერთობა ფრაგმენტულად მახსოვს. მთელი ბავშ-ვობა მამაჩემის პიროვნების შესახებ მხ-ოლოდ კარგი მესმოდა და ყველანი სი-ნანულით იხსენებდნენ მას. ეს რასაკვირვე-ლია, დიდ პასუხისმგებლობას მანიჭებ-და და გული მწყდებოდა, რომ მას ჩემ გვერდით ვერ ვხედავდი... ახლა კი მეამაყება, რომ მისი შვილი ვარ! მერე რა, რომ 34 წელი იცოცხლა, ეს ღმერ-თის გადაწყვეტილება იყო და მისი სულის არჩევანი... მთავარი ის არის, რომ მე ძალიან კარგი მამა მყავდა! ამიტომ ამ ქვეყნიდან მისი უდროოდ წასვლა დიდ ბედნიერებად მივიღე...

— ვინ გზრდიდათ?

— დედა და ბებია. მყავს უმცროსი ძმაც. მას საერთოდ არ ახსოვს მამა... ჩემს მეხსიერებაში კი მამა ასე ჩანს — ვმეგობრობდით, როდესაც „ზბორებზე“ იყო, იქიდან წერილებს მწერდა, რომ-ლებიც შენახული მაქვს. როცა შინ უწევდა ყოფნა, გაკვეთილებსაც მამეცა-დინებდა და სკოლაშიც მივყავდი...

— მამათქვენის მეგობრებიდან (ფეხბურთელებს ვგულისხმობ) მისი გარდაცვალების შემდეგ თქვენს ოჯახ-თან აქტიურად ვინ ურთიერთობდა? ვინ კითხულობდა თქვენს ამბავს?

— თითქმის ყველა ახლოს იყო: ილო დათუნაშვილი, სიომა ბარქაია, სერგო კოტრიკაძე... მამის დაბადები-სა და გარდაცვალების დღეები არ ავიწყდებოდათ. მრგვალი თარიღები სახელმწიფოებრივ დონეზე აღინიშ-ნებოდა. მამას სახელობის ტურნირი-ც არსებობდა. გაგრა რომ დავკარ-გეთ, იქიდან ბოლო თასი ჩამოიტანეს.

— ინტერნეტში ასეთ ინფორმა-ციას წავაწყდი — რომ შოთა იამანიძე გარდაცვალების შემდეგ ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით არის დაჯილდოებული. როდის მოხდა ეს?

— ასეთი ორდერი მას არ მი-ეღია. ეს სიცრუეა. ერთადერთი, იმ სახლს ჩუღურეთში, სადაც მამაჩემი გაიზარდა, პრეზიდენტ საკაშვილის მოსვლის შემდეგ მემორიალური დაფა გაუკეთდა. მისი სახელობის ქუჩაც

მამა რომ დაიღუპა, 7 წლის გახლდით

არსებობს, რაც ნოდარ ახალკაცის ინიციატივით მოხდა...

— პირადად თქვენ თუ გიყვართ ფეხბურთი?

— მიყვარს, ოღონდ, ყველანაირ თამაშს არ ვუყურებ. ვუყურებ მხ-ოლოდ კარგ თამაშებსა და სანახ-აობას, მსოფლიოსა და ევროპის ჩემ-პიონატებს. შიდა ჩემპიონატებს — არა, რადგანაც აქ ჯერ ჩემთვის საინ-ტერესო არაფერი ხდება და პერ-სპექტივასაც ვერ ვხედავ. მამაჩემის თაობის ფეხბურთელები ამბობენ, რომ ჩვენ ის სტადიონები არ გვაქვს, სა-დაც შეიძლება, მომავალი თაობა აღი-ზარდოს, ხელოვნურ საფარს ვგულისხ-მობ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ოდესმე მაინც აღორძინდება ქართუ-ლი ფეხბურთი!.. ■

„ტანია მარიამ ხელი გადამხვია, რამაც ძალიან დამაბნია“...

სოლოგიტარისტი გია ფეიქრიშვილი ბევრ ცნობილ კომპოზიციასთან ერთად საკუთარსაც ქმნის და ასრულებს. მუსიკოსი გულდაწყვეტით აღნიშნავს, რომ ბევრი ნიჭიერი ადამიანი დღესდღეობით რეალიზაციას მხოლოდ ბარში ან რესტორანში თუ ახდენს. მიაჩნია, რომ გაუმართლა, როდესაც ტანია მარიასთან ერთად სცენაზე რამდენიმე წუთით მაინც იდგა, რამდენიმე წლის წინ კი ბრაიან ადამსის მოწონებაც დაიმსახურა. გია 8 წლიდან უკრავს და ამიტომაც ხუმრობს — გიტარა ჩემი მეორე ნახევარია, რადგან ყველაზე დიდი დრო მასთან მაქვს გატარებულია.

ნინო ჯავახიშვილი

— უკვე 35 წელია, ვუკრავ. თავიდან ფორტეპიანოს ვსწავლობდი, მაგრამ შემდეგ გიტარამ დამაინტერესა. მუსიკალური სასწავლებელი აკორდეონის განხრით დავამთავრე. როკი ბავშვობიდანვე მომწონდა. მახსოვს, 8-9 წლისანი ვიქნებოდით მე და ჩემი მეგობრები, გიტარას ვუკრავდით და ვმღეროდით, ვითომ ბიტლზს ვბაძავდით. სკოლაში ბელაფონტეს (40-50-იანი წლების ამერიკელი მომღერალი იყო) მეძახდნენ. რადგან სიმღერა ძალიან მიყვარდა, ეს მეტსახელი შემარქვეს და სხვათა შორის, დღემდე შემომრჩა. მოგვწონდა და ვუსმენდით ბიტლზს, „პინქ ფლოიდს“, „დიფარფლის“, „აბბას“. ალბათ გახსოვთ, მაშინ რა დროც იყო. გრძელი თმის გამო გვიჭერდნენ. გრძელი თმა რატომღაც ერთგვარ პროტესტად აღიქმებოდა. ჩვენ კი ჰიპობა მოგვწონდა, როკს უხდება. ერთ ჩემს მეგობარს რამდენიმე უცხოური ჯგუფის ფირფიტები ჰქონდა (თითო 100-200 მანეთი ღირდა, ძალიან ძვირი იყო), ერთად ვიკრიბებოდით და ვუსმენდით ხოლმე. მაგნიტოფონით ვახერხებდით გემოვნების დახვეწას, თვალსაწიერის გაფართოებას. აბა, რადიოს თუ ჩართავდი, სულ ერთსა და იმავე ქართველ მომღერლებს მოუსმენდი. რა თქმა უნდა, კლასიკა კარგია, მაგრამ იმის იქით ხომ გინდა რაღაც სხვა, ახალი? თან, იმ ასაკში ვიყავით, რომ ახლის ძიება გვჭირდებოდა. მოკლედ, ჩვენი „მასწავლებელი“, ვინც სმენა და გემოვნება დაგვიხვეწა, მაგნიტოფონი იყო.

სცენიდან ძმაკაცებივით რომ გავედით — მქუხარე აპლოდისმენტების შემდეგ ხელი გადამხვია, რამაც ძალიან დამაბნია

— ვინც გიცნობს, ყველამ იცის შენი დამოკიდებულება როკის და გიტარის მიმართ — შეიძლება ითქვას, რომ შეყვარებული ხარ...

— (*იცინის*) ასეა, მაგრამ სამწუხაროდ, საქართველოში ნაკლებად აინტერესებთ როკმუსიკა. რატომღაც ხმაურიანი ჰგონიათ, იმიტომ, რომ არასწორი ინფორმაცია აქვთ. დეზმეტალს, სისხლიან მეტალს და რაღაც ამის მსგავსს კარგ მუსიკად რატომღაც ვერც მე აღვიქვამ. ეს როკი არ არის. როკმუსიკა მაგარია! გიტარას კი ამოუწურავი შესაძლებლობა აქვს, მით უმეტეს, ელექტროგიტარას. ჯიმი ჰეისი გიტარას ალაპარაკებდა. ამ ინსტრუმენტს მართლაც ბევრი რამის თქმა და გადმოცემა შეუძლია. იცით, დღეში 12-13 საათს ვუკრავდი, ოჯახის წევრები მსაყვედურობდნენ — ყველაზე და ყველაფერზე მეტად გიტარა გიყვარსო.

— ერთ-ერთ ფესტივალზე პირველი გიტარისტის წოდებაც მოგანიჭეს, ხომ?

— 24 წლის რომ ვიყავი, ბალტიისპირეთში ჩატარდა როკფესტივალი. 50-მდე ჯგუფი მონაწილეობდა. ჩვენმა ჯგუფმა — „მწირი“ პირველი ადგილი დაიკავა. კლასიკურ როკს ვუკრავდით. პირველი გიტარისტის წოდებაც მაშინ მომანიჭეს. საინტერესო წინადადებები გვქონდა, მაგრამ ჩამოვედით თუ არა, ქვეყანაში არეულობა დაიწყო (90-იან წლებს ვგულისხმობ) და ჩვენი კარიერაც და მუსიკაც კარგა ხანს დავიწყებას მიეცა. ჯგუფიც დაიშალა — ზოგი ამერიკაში წავიდა, ზოგი ჰოლანდიაში, ზოგმაც ცხოვრების სხვა გზა მონახა...

— თქვენ როგორ ცხოვრობდით იმ პერიოდში?

— როგორ ვცხოვრობდი და ბაზრობაზე კასეტებს ვყიდდი. თავი ამით გამქონდა. ჩემს ჭიას ვახარებდი და ხშირად ვუკრავდი, მაგრამ ცოტა არ იყოს, ფორმიდან ამოვვარდი. ახლა უფრო ადვილია თავის გატანა — უამრავი რესტორანი და ბარი გაიხსნა და იქ რაც მიყვარს, იმ საქმეს მაინც ვაკეთებ. პროფესიონალიზმს ჩემი დაუღალავი შრომით და მონდომებით მივაღწიე. ვამბობდი: თუ ვარ, უნდა ვიყო პირველი-მეთქი! მაგრამ ჩვენს ქვეყანაში გინდ პირველი იყავი და გინდ — ბოლოდან პირველი, მგონი, სულერთია!.. გული მწყდება, მაგრამ ასეა...

— ახლა მიამბე, ტანია მარიას კონცერტზე როგორ აღმოჩნდი?

— ბიბი კვაჭაძემ დამირეკა და მითხრა, რომ მონაწილეობა უნდა მიმეღო ერთ კონცერტში. თავიდან არ უთქვამს, ტანია მარიაზე თუ იყო ლაპარაკი. დავთანხმდი და ვუთხარი: ვინც უნდა იყოს, მასთან მუშაობა არ გამიჭირდება-მეთქი. სხვებთან ერთად მოასმენინეს ჩემი მუსიკაც და სასიამოვნოა, რომ მან ჩემთან მუშაობის სურვილი გამოთქვა. სტუდია — „ბრავო რეკორდში“ მისი ერთი ძველი ჰიტი ჩავწერეთ, რომელსაც ჰქვია — „ერთად“. აკუსტიკურ გიტარაზე ვუკრავდი. წინადღეს მომცეს ჩანაწერი და ნოტები, რეპეტიცია ორჯერ გვქონდა, მეორე დღეს კი კონცერტზე დავუკარი. ურთიერთობაში ძალზე უბრალო იყო. დიდი პრეტენზიები არ ჰქონია. უბრალოდ, თავიდან გაგვაცნო საკუთარი მოთხოვნები და ეგ იყო. მახსენდება, სცენიდან ძმაკაცებივით რომ გავედით — მქუხარე აპლოდისმენტების შემდეგ ხელი გადამხვია, რამაც ძალიან დამაბნია (*იცინის*).



ერთი კომპოზიციის შემდეგ ადგა, ჩემკენ წამოვიდა, ხელი ჩამომართვა და შემაქო

— **ბრაიან ადამსს როგორლა შეხვდი?**

— რამდენიმე წლის წინ საქართველოს რომ სტუმრობდა, ერთ-ერთ რესტორანში შოუბიზნესის ცნობილმა წარმომადგენლებმა სავახშმოდ მოიყვანეს. იქ ბენდთან ერთად ვუკრავდი. ერთი კომპოზიციის შემდეგ ადგა, ჩემკენ წამოვიდა, ხელი ჩამომართვა და შემაქო: — კარგად უკრავ, ახლა სასტუმროში წავალ, გამოვიცვლი და მალე დავბრუნდებიო. რესტორნის მეპატრონემ კი რატომღაც იმ დღის ხელფასი იმ ერთ კომპოზიციაში გადამიხადა და მითხრა, რომ თავისუფალი ვიყავი. ნეტავ, სხვა დროსაც ასე იყოს, რომ მთელი საღამოს ხელფასს ერთ კომპოზიციაში მიხდიდნენ. სიმართლე გითხრათ, გამიკვირდა, რატომ „მოგვტეხეს“ იქიდან, ვერ მივხვდი. იმის ნაცვლად, რომ ეჩვენებინათ, რა ნიჭიერი მუსიკოსები გვყავს, დაგვმალეს... ამ ამბის ერთმა მომსწრემ კიდეც აღნიშნა: — აქ ასე ხდება, ვინც სცენაზე უნდა იდგეს, რესტორანშია და ვინც რესტორანში უნდა უკრავდეს და მღეროდეს, ის — სცენაზეო. სამწუხაროდ!..

— **მერე, გული არ გწყდება, რომ პროფესიულ სცენაზე არ დგახარ?**

— გული როგორ არ მწყდება, მაგრამ რა ვქნა?! აქ ყურით კი არა კუჭით აფასებენ მუსიკას ანუ ფულით. ვისაც ფული აქვს, ის არის ყველაზე ნიჭიერი და წარმატებული მუსიკოსიც და მომღერალიც. ან უბრალოდ, ბედმა უნდა გაგიღიმოს და გაგიმართლოს. სხვანაირად აქ ვერაფერს მიაღწევ. აქედან რომ წავიდე და წარმატებას სხვა ქვეყანაში მივაღწიო, მაშინ აქაც დამაფასებენ. 90-იან წლებში მოსკოვში ჩატარდა ფესტივალი — „როკი ტერორის წინააღმდეგ“. ერთ-ერთმა ტელევიზიამ ეს ღონისძიება გააშუქა. იქ ყველამ გაგვიცნო და ყველას მოვეწონეთ. მაღაზიებშიც კი გვცნობდნენ და გვესალმებოდნენ. ჩამოვედით და ბევრმა ჩემმა ნაცნობმა მუსიკოსმა მითხრა: თურმე რა მაგრად უკრავ, ტელევიზიით მოგისმინეო. შე კაი კაცო, აქ არ ვიყავი?! ვერ ხედავდი, როგორ ვუკრავდი? ჯერ უცხოეთში უნდა მაღიარონ იმისთვის, რომ დამინახო?! ეს გულდასაწყვეტია... ერთხანს ანტალიაში ვიყავი სამუშაოდ. ყველა მოდიოდა და თბილ სიტყვებს არ იშურებდა, მადლობას მიხდიდნენ; უხაროდათ, კარგ მუსიკას რომ უსმენდნენ. აქ კი მაშინვე ფეხს დაგიდებენ, ტაშის დაკვრაც კი ეზარებათ. დღემდე ვნანობ, თავის დროზე სერიოზული წინადადებები რომ მქონდა მოსკოვსა და ამერიკაში წასვლასა და იქ მოღვაწეობაზე და რომ არ დავთანხმდი; მაგრამ მაშინ დაოჯახებული ვიყავი და თავი შევიკავე... ბევრი კომპოზიციის შექმნის იდეა მიჩნდება, მაგრამ რომც ჩავწერო, ვის რაში სჭირდება?! აქ მაინცდამაინც „აბობოქრებულ ზღვაში“ უნდა იმღერო ან რაღაც ამის მსგავსი, რომ ვიღაცას მოეწონო...

— **გია, მიწისქვეშა გადასასვლელებშიც უკრავ, ხომ?**

— ჩემს მეგობრებთან ერთად ვერთობი ხოლმე, როდესაც სხვა საქმე არ გვაქვს. სხვათა შორის, რეალური მსმენელი და დამფასებელი იქ უფროა. ვისაც ბარსა რესტორანში დასაჯდომი ფული არ აქვს, რა ქნას?! ბევრს გემოვნებიანი მუსიკის მოსმენა სურს, მაგრამ ამისთვის 100 ლარს ვერ გადაიხდის. რესტორანში ღიპიან და ფულიან ბიძებს ჩემი გიტარა ისე აინტერესებთ, როგორც მე — ჩინური.

— **ეი. მუსიკის გარეშე ცხოვრება არ შეგიძლია?**

— არც ერთი წუთით! რომ მითხრან, მილიარდს მოგცემთ და გიტარას არ გაეკაროო, დაუფიქრებლად ვეტყვი უარს...

■

თემატური წიგნები
ჟურნალ „ოჯახის მკურნალთან“ ერთად
წიგნი №6
გამოვიდა



სერიის მომდევნო თემები:

№7 ყველაფერი ფარისებრი ჯირკვლის დაავადებების შესახებ
№8 ყველაფერი ფსორიაზის, ეკზემისა და ჯანის სოკოვანი დაავადებების შესახებ

უკვე გამოსული წიგნები შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნის მაღაზიებში!

5 შვილი და 10 წელი უბინაოდ

ხორბალაძეების 8-სულიანი ოჯახი, სადაც 5 არასრულწლოვანი ბავშვი იზრდება, ზემო ფონიჭალაში, ყოფილი სახლმმართველობის შენობაში ცხოვრობს. გარდა იმისა, რომ ბინა საცხოვრებლად პრაქტიკულად უვარგისია, ოჯახს არც ელექტროენერგია მიეწოდება და არც ბუნებრივი აირი.

ელენე გასილიძე

„ზოგჯერ სასოწარკვეთილება მძლევს, მაგრამ როცა ჩემს შვილებს ვუყურებ...“

ნონა ხორბალაძე:

— ცაში ვართ გამოკიდებული, არც კი ვიცით, როდის მოვლენ და ბინის დაცლას მოგვთხოვენ. ჯერჯერობით არავინ გვაწუხებს, მაგრამ ხომ ვიცით, რომ აქ ჩვენი არაფერია?! 3 წელია, უკვე ამ შენობაში ვცხოვრობთ.

— წარმოშობით საიდან ხართ?

— თბილისელები ვართ. მე და ჩემი მეუღლე კლასელები ვიყავით და სკოლის დამთავრების შემდეგ დავოჯახდით... 2002 წელს ჩვენმა უფროსმა შვილმა ტვინის შერყევა მიიღო და, მისი მკურნალობის ხარჯები რომ აგვნაზღაურებინა, ბინა გავყიდეთ. მაშინ ვფიქრობდით, რომ ყიდვას მალევე მოვახერხებდით, მაგრამ მოკლე ხანში ბინების ფასმა ისე აიწია, საკუთარ ჭერზე ოცნებასაც კი ვეღარ ვბედავდით. ჯერ ქირით ვცხოვრობდით, მაგრამ მეუღლემ სამუშაო დაკარგა და ბინის მეპატრონემ გადასვლა მოგვთხოვა... ერთ დღეს, კომუნისტების დროს მშენებარე, დაუსრულებელი კორპუსის ერთ-ერთ ბინაში შევედით — ცარიელი იყო და პატრონიც არსად ჩანდა. ავეჯი რომ გადავიტანეთ, ლტოლვილები მოვიდნენ და გამოგვაძევეს, — ჩვენი ბინაა. თუმცა ჩემმა მეუღლემ წინასწარ გაარკვია, რომ ეს დაუსრულებელი სახლი არავის სახელზე არ იყო გაფორმებული, მაგრამ პოლიციასთან ერთად მოსულ ადამიანებთან რას გავხდებოდით?!. მერე ახლობლებმა გვითხრეს, რომ იყო მიტოვებული სახლმმართველობის შენობა, სადაც არავინ ცხოვრობდა და იქ შემოვიხიზნეთ. ახლა რას ჰგავს აქაურობა და პირველად რომ შემოვედით, გული გვისკდებოდა, არ გვეგონა, ეს ოთახი ოდესმე რამეს თუ დაემსგავსებოდა. კედლები დაბზარულია და წვიმა ჩამოდის, არც წყალია, არც — დენი და არც — ბუნებრივი აირი.

— ელექტროენერგია ახლაც არა გაქვთ?

— მთელი წელი ისე ვიცხოვრეთ, შუქი არ გვქონდა. მერე მეზობელს შევეცოდეთ და კაბელით შემოგვიყვანა დენი, რომელიც ტელევიზორსა და ერთ ნათურას ანათებს... ყოველი ზამთარი ჩვენთვის ჯოჯოხეთია — წყალი არა გვაქვს, შეშის ღუმლით ვთბებით და წელს ფიჩხი ჩემს უფროს ვაჟს მოჰქონდა. გიორგი გვერდით ისე მიდგას, როგორც ზრდასრული მამაკაცი. უფროსი ვაჟები პატარების გაზრდაშიც მეხმარებიან.

— თქვენი შვილები არასრულწლოვნები არიან, არა?

— დიახ, 3 ვაჟი და 2 გოგონა მყავს: გიორგი 15 წლისაა, დათო — 11-ის, მარიამი 4-ის, ნინო 3-ის, ხოლო ნაბოლარა, ვახო — 1-ის. ღმერთს მადლობას ვწირავ, რომ ბავშვებს სკოლაში წიგნები დაურიგეს და ეს პრობლემა მოსაგვარებელი არ გვაქვს... ვარკეთილში სოციალურად დაუცველი ადამიანებისთვის შენდება ბინები; პირველი და მეორე ეტაპი უკვე დასრულდა, მაგრამ ჩვენ ვერც ერთში ვერ მოვხვდით; ალბათ მესამე ეტაპს დაველოდებით — ამ ბინების მშენებლობა 2012-2013 წელს დასრულდება. 10 წელია, უბინაოდ ვართ და სიმართლე გითხრათ, აღარც მჯერა, რომ ოდესმე საკუთარი ჭერი გვექნება... ხშირად მეკითხებიან, — ასეთი გაჭირვებული თუ ხარ, ამდენი ბავშვი რატომ გააჩინეო?! მითხარით, რა შეიძლება ამ კითხვაზე ვუპასუხო ადამიანებს?..

— თქვენ მეუღლე მუშაობს?

— კი, მაგრამ მასაც ხან აქვს სამუშაო, ხან — არა. ჩვენი იმედი — დედამთილის პენსიაა. ხშირად მთელი თვის განმავლობაში 100-150 ლარით გვიწევს თავის გატანა.

— მას შემდეგ, რაც აქ დასახლდით, ვინმე თუ მოსულა თქვენი დახმარების მიზნით?

— დახმარებაზე რა გითხრათ და, მოსულით კი მოსულან: არაერთი პარტიის წევრებს უთქვამთ, — ხმები გვჭირდება, თუ პარლამენტში შევედით, აუცილებლად დაგეხმარებითო, — მაგრამ ჯერჯერობით ჩვენთვის ხელი არავის გაუმართავს.

— სოციალურ დახმარებას თუ ილებთ?

— დიდი ბრძოლა გადავიტანეთ, სანამ სოციალურ დახმარებას მივიღებდით. მიღებული მაღალი ქულები რამდენჯერმე გავასაჩივრეთ და, როგორც იქნა, ფულადი დახმარება დაგვენიშნა, მაგრამ რამდენიმე თვის წინ კვლავ შეგვიწყდა. სოციალური აგენტი მოვიდა და ხელმეორედ გადაგვამოწმა; გვითხრა, — ინფორმაცია გვაქვს, რომ თქვენ არაფერი გიჭირთ, შემოსავალიც გაქვთო.

— რის საფუძველზე გაუჩნდათ ეჭვი, რომ უფულობას არ უჩიოდით?

— არ ვიცი. სოციალურმა აგენტებმა ხელმეორედ რომ გადაამოწმეს ჩვენი მონაცემები, გაოცებულები დარჩნენ: მაღალი შემოსავალი რომ გქონოდათ, ასეთ პირობებში ხომ არ იცხოვრებდითო?! ალბათ სოციალური დახმარება ისევ დაგვენიშნება. უფასო სასადილოთი ვსარგებლობთ და გაჭირვებით გაგვაქვს თავი. ზოგჯერ სასოწარკვეთილება მძლევს და აღარ ვიცი, რა გავაკეთო, მაგრამ როცა ჩემს შვილებს ვუყურებ, ვფიქრობ, რომ დანებების უფლება არა მაქვს. ამას წინათ ჩემი მეუღლე ჩვენი პატარების თამაშს თვალს ადევნებდა და ღიმილით მითხრა, — მათ რომ ვუყურებ, სურვილი მაქვს, კიდევ 5 გვყავდესო, — მაგრამ ჩვენს მდგომარეობაში... ვის არ ვთხოვეთ დახმარება, მაგრამ ჩვენი გაჭირვება გულთან ახლოს არავის მიუტანია. იმედს არ ვკარგავ, იქნებ სახლში ელექტროენერგია და ბუნებრივი აირი მაინც შემოგვიყვანონ?..

P.S. **თუ ხორბალაძეებისთვის დახმარების სურვილი გაგიჩნდებათ, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ ტელ. ნომერზე: 5(58) 26-04-23** ■

ვინ სად „კერავს“ და „იკერება“

გარუჯული თაობის პრობლემა

ზოგი ზღვაზე გასარუჯად მიდის, ზოგიც — საპირისპირო სქესის „დასაკერად“ ან სულაც, უბრალოდ, დასასვენებლად და გასართობად. ვისაც ზღვისპირა ქალაქებში წასვლა არ ხელეწიფება, ის ცდილობს, „დასაზაგრად“ სხვა გზა იპოვოს და, ვიღაც სოლარიუმს სტუმრობს, ვიღაც — აუზზე „დაძვრება“, ვიღაც კი საკუთარ აივანზე იღებს ნამზეურს. ბევრი აღიარებს, რომ გარუჯული კანი არ ეკვასება, მაგრამ აუზზე მაინც მიდის, რადგანაც იქ ქალები (თუ კაცები) კარგად „იკერებიან“ ბევრი კი იმას წუწუნებს, — მზე ისე აჭერს, ხალხს ერთმანეთის გაცნობაც ეზარებაო. ასეა თუ ისე, ცხადია, დამსვენებელი არც ზღვისპირა ქალაქებს აკლია, არც სოფლის მდინარეები თუ აუზები განიცდის „კუპალნიკიანი“ სტუმრების ნაკლებობას და „დასაკერ-დამკერებლებიც“ ძველებურად აქტიურობენ.

ლიკა ქაჯაია

ქეთო:

— ბათუმში უკვე ვიყავი და როგორც ხედავთ, კარგადაც გავირუჯე. მართალია, მშობლებმა დასასვენებლად მხოლოდ 10 დღით გამიშვეს, მაგრამ ეგ არაფერი — აგვისტოში თურქეთში წავალ და იმას, რისი გაკეთებაც ბათუმში ვერ მოვასწარი, საზღვარგარეთ ავინაზღაურებ.

— საინტერესოა, რა ვერ მოასწარი?

— საკურორტო რომანს ვგულისხმობ (*იცინის*).

— ანუ როცა დასასვენებლად მიდიხარ, ვინმესთან რომანის გაბმა მიზნად გაქვს დასახული?

— არა, მთლად ასეც არაა საქმე, მაგრამ შეყვარებული არ მყავს, თავისუფალი გოგო ვარ და გართობა ხომ მინდა?

— ეი. ადვილად „დასაკერი“ ხარ, არა?

— ბიჭი გარეგნულად თუ არ მომეწონება, ძალიანაც რომ ეცადოს, მიზანს ვერ მიაღწევს. როცა საპირისპირო სქესის წარმომადგენლისკენ თვალს მხოლოდ იმიტომ აპარებ, რომ გინდა, მასთან ერთად რამდენიმე დღის განმავლობაში გაერთო, მერწმუნე, მისი სულიერება და ხასიათი არ გაინტერესებს. მთავარია, გარეგნულად იყოს მიმზიდველი და...

— რაღაცის თქმა აპირებდი თუ ვცდები?

— და კარგი კოცნა უნდა იცოდეს — ეს მთავარი პირობაა.

— საინტერესოა, გართობაში რას გულისხმობ?

— კოცნას, ცეკვას, მხიარულებას...

— ანუ შენი პარტნიორი ყველაფერთან ერთად, კარგი მოცეკვავეც უნდა იყოს, იუმორის გრძნობაც უნდა ჰქონდეს...

— ეგ არაა მთავარი — იმდენად მხიარული ვარ, მიცვალებულსაც გავაცინებ; ცეკვას კი ასე თუ ისე, ყველა ახერხებს. სუხიშვილი არა ვარ, ვინმეს „ტანცაობა“ პროფესიულ დონეზე რომ მოვთხოვო.

— თავად ცდილობ ხოლმე კაცის „დაკერვას“ თუ ელოდები, როდის დაგიწყებენ „შებმას“?

— ხან როგორ, ხან — როგორ. ჩემი აზრით, როცა მამაკაცი მოგეწონება, მხოლოდ იმის გამო, რომ ქართველი ხარ და აქ მსგავსი რაღაცები „ტეხავს“, სასურველი ადამიანის გაცნობის შანსი ხელიდან არ უნდა გაუშვა.



ნია, *19 წლის:*

— წელს გონიოში მივდივარ. ზღვა ძალიან მიყვარს. გარდა იმისა, რომ იქ კარგად ვირუჯები, მშვენივრადაც ვერთობი. ძალიან მომწონს საკურორტო რომანებიც — სეზონური „პაკლოების“ საწინააღმდეგო არაფერი მაქვს.

— მსგავსი რომანი ბევრჯერ გქონია?

— მშობლების გარეშე დასასვენელად პირველად 15 წლის ასაკში წავედი და მას მერე ერთი წელიც არ ჩამიგდია.

— გინდა თქვა, რომ ბიჭების გულის მოგებას ოლად ახერხებ?

— კი, ასეა! მერწმუნე, ფეხები მაქვს იმსიგრძე (სხვა ღირსებებზე რომ აღარაფერი ვთქვა), რომ ჩემი დანახვისას კაცები ნერწყვს ყლაპავენ... დროებით „ლოვეებთან“ ერთად დროს მშვენივრად ვატარებ. მინდა გითხრა, რომ ასეთი თავგადასავლები ძალიან საინტერესო და სახალისოა.

— საინტერესოა, კაცები შენს „დასაკერად“ როგორ მეთოდებს იყენებენ?

— აუ, ზოგჯერ ისეთი სასაცილოები არიან, გაგიჟდები. ზოგიერთი ცდილობს, შენი ყურადღება კუნთების თამაშით მიიპყროს, ვიღაც მობილურს ამარიაჟებს, ვიღაც კი ძველ მეთოდს იყენებს და გეკითხება: — ხომ არ იცი, რომელი საათიაო, არადა, თავად შესაძლოა, საათიც ეკეთოს და ხელში მობილურიც ეკავოს. მოკლედ, ასეთი კაცები ძალიან სასაცილოები არიან და ამიტომაც, ჩემთან არანაირი შანსი არა აქვთ. მე უფრო „დასტოინი“ ტიპები მომწონს; ისეთები, შენს გასაცნობად თავს ზედმეტად რომ არ შეიწუხებენ (თავდაჯერებულ დეგენერატებს არ ვგულისხმობ), რომლებიც ცდილობენ, მზერით გამოგიწვიონ და მათკენ პირველი ნაბიჯის გადადგმის სურვილი გაგიჩინონ.

— არჩევანში არასდროს შემცდარხარ?

— ჩემი ყველა დროებითი „ლოვე“ ჩემს გემოვნებასა და მოთხოვნებს აკმაყოფილებდა. იმედია, წელსაც კარგი პონტი გამეჩითება.

ნიკო, *18 წლის:*

— როგორც წესი, აუზებზე ქალის „დაკერვის“ შანსი მინიმალურია. იქ ძირითადად, გარუჯვის მოყვარულები დადიან და კაცები ნაკლებად აინტერესებთ ან თავს გვაჩვენებენ, რომ ჩვენი დარდი არა აქვთ. ამას წინათ „ლაგუნაზე“ მაგარი ნაშა „გაეძრო“. მე ერთთვიანი აბონემენტი მქონდა და მთელი თვე მის „დაკერვას“ ვცდილობდი, მაგრამ არაფერი გამომივიდა — ისეთი მჟავე სიფათით მხვდებოდა და ისეთ „პიმპილა“ სიტყვებს მეუბნებოდა, გულს მიხეთქავდა. ბოლოს, როცა ამ მჟავე და მწარე ქალის დევნით დავიღალე, მოხდა საოცრება — ერთ დღეს „ლაგუნას“ გასასვლელთან „დამიპადიეზდა“ და თავისი სახელი „მაჯახა“. გაინტერესებს, მე რა ვქენი? — ზედაც არ შევხედე, გვერდი „გულგრილად“ ავუარე, მეორე დღეს კი აუზზე მეგობარ ქალთან ერთად გავეჩითე. ჰოდა, ამ ნაბიჯით საბოლოოდ დავკარგე ეს ძლივს „დაკერილი“ ქალი. არადა, მართლა მაგარი გოგო იყო და ვაღიარებ, სულელურად მოვიქეცი, მასთან დაახლოების შანსი რომ გავუშვი ხელიდან.

ლელა, *17 წლის:*

— „ზაგარი“ უკვე მივიღე. ასეთი ფერი კარგა ხანია, არ მქონია.

— **სად გაირუჯე?**

— თბილისის ზღვაზე.

— **იქ ბიჭები შენს „დაკერვას“ არ ცდილობდნენ?**

— ზღვაზე იმიტომ ნამდვილად არ დავდივარ, ვიღაცები რომ გავიცნო. შეიძლება, ვიღაც მომეწონოს, მაგრამ მაინც არ გავეცნობი, რადგან ზუსტად ვიცი, იქ ისე გიყურებენ, როგორც გასართობს.

— **გასარუჯად რაიმე ბუნებრივ საშუალებებს თუ იყენებ?**

— ლეღვის რძესა და ფოთლებს არა, მაგრამ სტაფილოს წვენს კი ვისვამ კანზე...

ფორუმზე წავაწყდი თემას, რომელიც სწორედ „დაკერვაზე“, პლაჟსა და აუზებზეა. ვინაიდან იქ საინტერესო რაღაცებზე, თანაც — გულახდილად ლაპარაკობდნენ, ცხადია, მათ ნააზრევს გვერდი ვერ ავუარე.

GADYA:

„დათბა და შესაბამისად, „ზაგრისა“ და წყლის მოყვარულმა საზოგადოებამ აუზებს მიაშურა... მეც, ბევრი ვიფიქრე თუ ცოტა, გადავრეკ-გადმოვრეკე და „ლაგუნა“ შევარჩიე. ჰოდა, „სასტავმა“ მითხრა: თუ გინდა „დაგკერონ“, მიდი, იარე, იქ სულ ბიძაკაცები „აბირჟავებენო“. აუზზე ბავშვობის მერე არ მივლია და მაინტერესებს, მართლა ასეთი სიტუაციაა?“

MBA:

„კარგი იდეაა... აუზზე მართლაც, კარგია თავის „დაკერვინება“, თან — რაც აინტერესებთ, თითქმის ყველაფერს ნახავენ... ოღონდ, ცოტა შენც იაქტიურე...

მაგ საქმისთვის აუზზე მეც დავდივარ..

BLOODSUCKER:

„გარღვეულით ნუ შეხვალ აუზზე და არავინ არ „დაგკერავს“.

CUSTOMER:

„მომწონს ჯინსის შარვლით ან ფართხუნა ქვედაბოლოთი რომ ბანაობენ. რა საყვარლები არიან, არა?.. აბა, ქართველი ქალი რომ დაცალკევებულ საცურაო ბიკინს ჩაიცვამს, იმას რა უნდა მოჰკითხო?“

JANISHI:

„მაგ მიზნით არ მივდივარ... ვინმესთვის თვალების პრუწვას და ტუჩების კვნეტას ჭყუმპალაობა მირჩევნია“.

ვანო:

„როცა მივდივარ, „დაკერილები“ მიმყავს“.

RAZVRATNIK:

„სამსახურის მერე მივდივარ ხოლმე, ასე — 8 სააათზე, ჰოდა, მაგ დროს აუზზე პონტები აღარაა ანუ არავინ „მკერავს“.

WILKINSON:

„დახურულ აუზს არაფერი სჯობს. ავიღე აბონემენტი და დილის 7 საათზე ვივლი — არანაირი ხალხი, არანაირი ხმაური, სუფთა წყალი. მოკლედ, ჩადი და იცურავე რამდენიც გინდა. მაგრად ასწორებს!.. ღია აუზზე კიდევ, ყველა ერთმანეთს აზის, მდედრები წიოკობენ, შუაზე სკდებიან, ცალკე ბავშვები არიან ჩატენილები...“

NITRO-N:

„თუ „კერავ“, კარგი ხარისხის უნდა „დაკერო“, ქართველი გოგოების უმრავლესობის ხარისხი კიდევ, გახდისას ნახევრდება“.

ბაჩი:

„ნუ, მე ვაფშე არ დავდივარ აუზზე. მშვენიერი სოფელი მაქვს და იქ მივდივარ, ჩანჩქერში გასაგრილებლად, სადაც სხვათა შორის, მყუდროებას არავინ მირღვევს.

„იტოგში“, შენ თუ გინდა, რომ არ „დაგკერონ“, გარეთაც არ უნდა გამოხვიდე — საქართველოში ყველგან ყველას „კერავენ“.

MAKIAVEL:

„მგონი, აუზზე გოგონები დადიან იმ მიზნით, რომ ბიჭები, უფრო სწორად, წყალბურთელები, მოცურავეები ათვალიერონ. იმ დროს, როცა სპორტსმენები ვარჯიშობენ, იქაურობა სავსეა შეზლონგზე წამოწოლილი გოგონებით, რომელთა უმრავლესობა აუზში არც კი ჩადის. რაც შეეხება „დაკერვას“, დიდიდიდი, ჰიპოპოტამის სტილში მოცურავე ღიპიანი ბიძაკაცი გაგეხახუნოს, ისიც მაშინ, თუ მის ზოლში აღმოჩნდები. ასე რომ, „დონთ ვორი“, საღამოს კი მით უმეტეს — იქ ცოტა ხალხია“.

DOWN-SHOOTER:

„ამაყად შემიძლია ვთქვა, რომ გოგო, რომელიც მომწონებია, არ „გამიმაზია“; მხოლოდ ერთი „გავმაზე“ და ისიც დღემდე მახსოვს. არა უშავს, სად წამივა, პატარაა დედამიწა და სადმე წამოვეწევი“.

გიორგი ვაჩაძე:

„აუზების არ ვიცი, მაგრამ ზღვაზე ყველაფერი სხვაგვარადაა: თბილისში თუ შენგან თავს შორს იჭერენ, აჭარაში ჩასვლისას უცებ იცვლებიან, დროის ტარების განწყობილებაზე დგებიან და შესაბამისად, მათთან დაახლოებაც იქ უფრო ადვილია... შორიდან ვიცნობდი ერთ გოგოს, რომელიც უნივერსიტეტში გამარჯობასაც ხანდახან თუ მეუბნებოდა, მაგრამ ერთხელ, ქობულეთში შემთხვევით შემხვდა და ისე მებდღვნა, თითქოს მისი ახლობელი ვიყავი“.

I LOVE CHRIS:

„ვერ ვიტან, ზღვაზე მყოფს გვერდით რომ მომიჯდებიან ხოლმე და უაზრო ლაპარაკს იწყებენ. ამიტომაცაა, რომ სულ ვიბღვირები, რათა ახლოს მოსვლა ვერ გაბედონ. ერთხელ ახალგაცნობილმა ლამის, ზღვაში დამახრჩო. მაშინ 17 წლის ვიყავი. ის მომვარდა და ხუმრობით ზღვაში შემათრია. კინაღამ დამახრჩო და თან — დებილივით იცინოდა. მას შემდეგ დაშინებული ვარ... ჩემი ყურადღების მიქცევა ცოტა უფრო ცივილიზებული მეთოდებით შეიძლება. და რაც მთავარია, დებილური მზერა არ უნდა მომაპყროს, არ უნდა მკითხოს, თუ როგორ მომწონს წყალი და ა.შ“.

GADYA:

„ამბობენ, — კაცებს თვალებით უყვართ, ქალებს — ყურებითო.... ტვინი და ენა სრულიად საკმარისია ნებისმიერი ქალის მოსახიბლად; ნუ, ახლა მთლად მახინჯი და კვაზიმოდოც არ უნდა იყოს. პირადად მე, ზესიმპათიურ, მაგრამ საშუალო გონებრივი მონაცემების მქონე მამაკაცს საშუალო გარეგნობის ინტელექტუალი მირჩევნია...“

მუნჯი მეგალე:

„უკვე ერთი თვეა, „ლაგუნაზე“ დავდივარ და მგონი, გოგონები ძირითადად, აქეთ „იკერინებიან“. ასე რომ, კონკურენცია დიდია და თუ ვინმეს „დასაკერად“ მიდიხართ, გაგიჭირდებათ“.

გუგიტო:

„თუ გინდა, „დაგკერონ“, წყალში არ უნდა ჩახვიდე. აბა, შენი ქუდი და წყლის სათვალე ვის „მოესექსუალურება“?

HERMION GRANGER:

„დამკერავი“ ბიჭები რაღაცნაირად სასაცილოები, ამჩატებულები, ახუნტრუცებულები არიან. როცა წევხარ შენთვის და მზეს ეფიცხები, რაც არ უნდა კარგი ტიპი მოვიდეს, მისი ნებისმიერი შეკითხვა შენთვის ისე ჟღერდეს იქნება, როგორც — რომელი საათია?.. მიდი, რა, მიიღე „ზაგარი“, იცურავე და გაერთე. ეს ქართველი კაცები (ზოგიერთების გარდა) რა არიფები ხართ, რა“.

მზეჭაბუკი:

„ქართველი გოგონები ძირითადად, ძალიან უუმურები არიან. საზღვარგარეთაც არაერთხელ ვყოფილვარ და იქ შეიძლება, გოგომ ისე „დაგაპაშოლოს“, რომ ყურს ცუდად არც კი მოხვდეს. მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ყველა ქართველი „კარჩაკეტილია“, უცხოელები კი „გახსნილები“ არიან — ყველგან არის ერთნაირიც და მეორენაირიც, მაგრამ უარის გამოხატვის ფორმასაც ხომ გააჩნია?..“

HERMION GRANGER:

„ჰოდა, „დაპაშოლებას“ უუმური სახის ყურება არ სჯობია? შორიდან ხვდები, რომ არ უნდა გაეკარო... ქართველმა მამაკაცმა ქართველი მანდილოსნის ფასი უნდა იცოდეს“.

LOVE THE SUN:

„ვინც ამ ე.წ. დაკერვაში რაიმე ცუდს ხედავს, შორს ვერ გაფრინდება. გოგო თუ მომეწონება, არა აქვს მნიშვნელობა, სად ვნახავ — აუზზე, კლუბში, მთაში, ბარში თუ ზღვაზე, მის მიმართ სიმპათიას ყველგან გამოვხატავ. ჰოდა, თუ გოგოსაც მოვეწონები, ავაწყობთ ურთიერთობას, თუ არა და, ყველაფერი იქვე დასრულდება... გოგომ უუმურად რომ ამომხედოს ან რაიმე უხეშად მითხრას, უბრალოდ გამოვტრიალდები და წამოვალ — ხამთან ურთიერთობის სურვილი არა მაქვს... რა თქმა უნდა, გოგოსთვის გამაღიზიანებელია, როცა 20 წლით უფროსი, ღიპიანი ძიები „აბამენ“, მაგრამ მგონი, მსგავსი რაღაცები აღარ ხდება, ეს პრობლემა აქტუალური ნამდვილად არაა...“ ■

„ის ძალდატანებით, უბნელ ბიჭზე გაუთხოვებიათ“

უცნობი:

„მინდა, აღსარება ჩაგაბაროთ. ერთ ზაფხულს პლაჟზე ვიღაც გოგო „შევაბი“. ცხადია, მასზე სერიოზულად არ მიფიქრია, მას კი თურმე, მართლა შევუყვარდი და როცა თბილისში წამოვედი, ლამის უკან გამომყვა, მთელი წელი მირეკავდა და მთხოვდა, მასთან ჩავსულიყავი (ერთ-ერთი რაიონიდან გახლდათ). რადგანაც არ ჩავაკითხე, გაბრაზებულმა ნათესავები გამომიგზავნა, — ჩემი მოტყუებისთვის პასუხი მოსთხოვეთო. მე უსინდისოდ ვიცრუე: — იმ გოგოსთან არაფერი მქონია. თავადაა ჩემზე უგონოდ შეყვარებული და გამუდმებით უკან დამდევს. ძალიან გთხოვთ, ჩამომაშორეთ-მეთქი. ასე იყო თუ ისე, ისინი დავაჯერე, რომ ყველაფერი იმ საცოდავი გოგოს ფანტაზიის ნაყოფი იყო და შემეშვნენ. მოგვიანებით გავიგე, რომ თურმე, შინ დაბრუნებულ ბიძაშვილს მასთან მაგრად უჩხუბია, მერე ყველაფერი მამამისისთვის მოუყოლია, მშობელს კი შვილი სასტიკად უცემია; რაღაც პერიოდის შემდეგ, ის საცოდავი ძალდატანებით, უბნელ ბიჭზე გაუთხოვებიათ... ახლა გავაცნობიერე, თუ როგორ ცუდად მოვიქეცი, მაგრამ არაფრის გამოსწორება აღარ შემიძლია. თუ გინდათ, გამლანძღეთ, გამთათხეთ, მაგრამ იქნებ ისიც მირჩიოთ, როგორ გამოვასწორო ჩადენილი შეცდომა? მერწმუნეთ, ყველაფერს გულით ვნანობ...“ ■

ემიგრანტზე შეყვარებული გოგონა

„მეუბნება, რომ უმადური შვილი ვარ...“

ლია, *18 წლის:*

„გულით დიდ ტკივილს ვატარებ, რადგან დედამ მიმატოვა — თურქეთში წავიდა სამუშაოდ. მის გარეშე ყოფნა ძალიან მიჭირს, უმისობას განვიცდი; მისი თანადგომა სწორედ ახლა, ყველასა და ყველაფერზე მეტად მჭირდებოდა, რადგანაც წელს სკოლა დავამთავრე და აბიტურიენტი გახლავართ! ვიცი, ჩემ გამო წავიდა, მაგრამ ამას მაინც ვერ ვპატიობ. როცა რეკავს, თავს ვერ ვიკავებ და თითქმის ყოველთვის ვეჩხუბები, ის კი მეუბნება, რომ უმადური შვილი ვარ... ვიცი, რომ არ წასულიყო, ჩემთვისვე იქნებოდა უარესი — არც ნაირ-ნაირი ტანისამოსი მექნებოდა და არც იმის ფული, რომ რეპეტიტორებთან მევლო; სამაგიეროდ, გვერდით მეყოლებოდა და „ბოლო ზარზე“, სკოლის ბანკეტზე გამყვებოდა... მის კალთას არასდროს მოვშორებივარ. დედა ჩემთვის მშობელიც იყო და მეგობარიც, მას ყველაფერს ვუზიარებდი და კარგ რჩევებსაც მაძლევდა, ახლა კი ხომ ხედავთ, რჩევის საკითხავად თქვენ მოგმართავთ... ჯერ ერთი, იქნებ მირჩიოთ, როგორ დავარწმუნო დედა იმაში, რომ დამიბრუნდეს ან როგორ დავძლიო ტკივილი, რომელიც მისმა წასვლამ მომაყენა.

და კიდევ, ახლახან მივხვდი, რომ მიყვარს ადამიანი, რომელიც ასევე, ემიგრანტია. მას ინტერნეტით ვეკონტაქტები ხოლმე. ის ეგვიპტეში სწავლობს და პარალელურად, მუშაობს კიდეც. მას მანამდე ვიცნობდი, სანამ წავიდოდა, მაგრამ მაშინ, როცა გვერდით მყავდა, ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ ოდესმე ასე ძალიან შემიყვარდებოდა. მოკლედ, სიშორემ ჩემი და დედიკოს ურთიერთობაში სიცივე შემოიტანა, სამაგიეროდ, მაპოვნინა ადამიანი, რომელიც ვგრძნობ, სიცოცხლეზე მეტად მიყვარს, მაგრამ საქმე ისაა, რომ ის ნაცოლარია, გოგონაც ჰყავს და ზუსტად ვიცი, მშობლები ჩვენი ურთიერთობის წინააღმდეგნი იქნებიან. რას მირჩევთ, ნაცოლარ კაცთან საქმის დაჭერა ღირს? სიყვარულის გამო ამაზე თვალი უნდა დავხუჭო? ცნობისათვის, ის მეუბნება, — ცოლს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ დავშორდი, რომ მატერიალური პრობლემა გვქონდა, მას კი კარგი ცხოვრება უნდოდაო. მზად ვარ, საყვარელ ადამიანთან ერთად ვიცხოვრო იმ შემთხვევაშიც კი, თუ საუზმედ და სადილად მხოლოდ ძველი პური გვექნება, ვახშამს კი არც გავეკარები. მთავარია, მასაც ვუყვარდე და ფული ჭირსაც წაუღია, მაგრამ... „ლოვეს“ დავუჯერო? იქნებ, სხვა მიზეზის გამო დაშორდნენ? ეჭვები მღრღნის და არ ვიცი, როგორ მოვიქცე. გთხოვთ, მირჩიეთ რამე. წინასწარ გიხდით მადლობას“. ■

P.S. გაშ ასე თუ უცნობისა და ლიას წერილის წაკითხვის შემდეგ, მათთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81. მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ. ■



სამყარო

„მეორე საბჭოთა დეპორტაციის“ საიდუმლოებანი

II მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, როცა იოსებ სტალინის ძლიერებამ პიკს მიაღწია და შესაბამისად, საბჭოთა კავშირის გავლენაც მთელ მსოფლიოში შესამჩნევი გახდა, დასავლეთმა მოსკოვთან აშკარა დაპირისპირებაზე ნელ-ნელა აიღო ხელი, ეს კი უპირველეს ყოვლისა, ანტისაბჭოთა ემიგრაციის დაფინანსებისა და უპირობო მხარდაჭერის შესუსტება-შეწყვეტაში გამოიხატა. ამდენად, დასავლეთში მოქმედ საბჭოთა სპეცსამსახურებს საშუალება მიეცათ, შედარებით თავისუფლად ემოქმედათ და გაენადგურებინათ ქართული, ბალტიისპირული, უკრაინული, რუსულ-მონარქისტული თუ სხვა ემიგრაციის წარმომადგენლები, რომლებიც საბჭოთა რეჟიმსა და მათ უმაღლეს მესვეურს იმთავითვე დიდ პრობლემას უქმნიდნენ.

მიხეილ ლაბაძე

40-იანი წლების დასასრულს, როდესაც უცხოეთიდან მომდინარე საფრთხე ასე თუ ისე, შენელდა, კრემლში უშუალოდ საბჭოთა კავშირში დარჩენილი ე.წ. „ხალხის მტრებისთვის“ ანუ იმათთვისაც მოიცალეს, ვინც ხელისუფლებას თვალში არ მოსდიოდა. ამჯერადაც, „ხალხის მტრებად“ ბალტიისპირელი, კარელიელი და დასავლეთუკრაინელი „კულაკები“, ასევე საქართველოსა და ჩრდილო კავკასიაში მოსახლე, ყოფილი ოსმალეთის იმპერიის ქვეშევრდომები (რომელთა დიდ ნაწილს საბჭოთა მოქალაქეობის მიღებაზე უარს ეუბნებოდნენ) მიიჩნიეს. აღსანიშნავია ისიც, რომ ოსმალეთის ქვეშევრდომების თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა წარმოშობით ქართველი (ლაზი) იყო და ცხადია, თურქეთში წასვლას საქართველოში ყოფნა ერჩივნათ, მაგრამ კრემლში მიაჩნდათ, რომ ამ ხალხს არჩევანის საშუალება აღარ უნდა ჰქონოდა.

საბჭოთა ხელისუფლებამ ოსმალეთის ყოფილი ქვეშევრდომების საქართველოდან გასახლება პირველად 20-იანი წლების შუახანებში სცადა — მაშინ თურქეთის მესვეურებთან საიდუმლო შეთანხმებით, ქართულ პორტებში თურქული ხომალდები შემოვიდა. ოფიციალურად ისე გამოცხადდა, თითქოსდა მათ „სამშობლოში“ უნდა გადაეყვანათ ყოფილი ოსმალეთის იმპერიის ის ქვეშევრდომები, ვისაც ამის სურვილი ექნებოდა, მაგრამ სინამდვილეში, თურქულ ხომალდებზე ჩეკისტებმა ხალხი ძალით არეკეს. აღსანიშნავია ისიც, რომ პირველ რიგში, ასე მოექცნენ იმათ, ვინც 1915-1920 წლებში „საქართველოს დამოუკიდებლობის ლაზეთის კომიტეტის“ წევრი იყო და თავის დროზე, საქართველოს დამოუკიდებლობისთვის იარაღით ხელში იბრძოდა. ამ ხალხის დიდი ნაწილი შემდგომში ათათურქსაც დაუპირისპირდა და იძულებული გახდა, თავი საბჭოთა საქართველოსთვის შეეფარებინა. ასე რომ, მათი თურქეთში დეპორტაციით ანკარაც დაინტერესებული იყო.

გადასახლებულები შუა აზიის ერთ-ერთ რკინიგზის სადგურში

„დამოუკიდებლობის კომიტეტის“ ყოფილი წევრების მცირე ნაწილმა სარწმუნო წყაროებიდან შეიტყო, რასაც უპირებდნენ და როგორც შეეძლო, თავს უშველა: ზღვისპირეთს მოსცილდა და საქართველოს შიდა კუთხეებში გადაიხვეწა, სახელი და გვარიც შეიცვალა და წარსულის დავიწყებაც კი სცადა. თუმცაღა, საბჭოთა მოქალაქეობის არმქონე ლაზთა უმეტესობამ ჩათრევას მაინც ჩაყოლა ამჯობინა და თურქეთში წასვლაზე დათანხმდა. სხვათა შორის, ათათურქი ამ ხალხს რუსებზე სამართლიანად მოექცა — მისი ბრძანებით, დეპორტირებულების წარსული საგანგებოდ გამოიძიეს და ვინც რაიმე კანონსაწინააღმდეგო ქმედებაში შემჩნეული არ აღმოჩნდა, თურქული პასპორტი უპრობლემოდ მისცეს. რაღა თქმა უნდა, თურქების მხრივ ეს გარკვეული დიპლომატიური სვლა იყო — ათათურქი შორს იხედებოდა და საბჭოთა კავშირიდან დეპორტირებულთა გულის მოგებით, ქართველ მუსლიმანთა შორის გავლენის მოპოვებას ცდილობდა. მისმა ამ ნაბიჯ-

მა სტალინი გააცოფა და 1927 წელს ოსმალეთის ყოფილ ქვეშევრდომებს თურქეთში გადასვლა საერთოდ აუკრძალა, მეტიც — გამკაცრდა კონტროლი საბჭოთა კავშირისა და თურქეთის საზღვარზე (კერძოდ, საქართველოს მონაკვეთზე). საბჭოთა კავშირში დარჩენილ ოსმალეთის ყველა ყოფილ ქვეშევრდომს დაურიგეს საბჭოთა პასპორტი, ოჩამჩირეში კი საგანგებოდ შეიქმნა კოლმეურნეობა — „მჭითა ლაზისტანი“ („წითელი ლაზეთი“), რომელშიც ამ ხალხის უმეტესობა გააერთიანეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ერთადერთი პარტიული მოღვაწე, ვინც მაშინ სტალინის ამ ჩანაფიქრს სერიოზული წინააღმდეგობა გაუწია, ლავრენტი ბერია იყო.

„პენსნეიანი კაცი“ კარგად ხედავდა, რომ სტალინისა და ათათურქის შესაძლო დაპირისპირებაში მუსლიმანი ქართველები (კერძოდ — ლაზები) ორივე მხრიდან ე.წ. „საზარბაზნე ხორცის“ ფუნქციას შეასრულებდნენ. ის იმასაც ხვდებოდა, რომ ლაზთა შორის პროპაგანდის წარმოება საბჭოთა კავშირისთვის დიდად მომგებიანი იყო და ის, ვინც ამ საქმეს კურირებდა, სტალინ-ათათურქის დაპირისპირებისთანავე, მთელ ამიერკავკასიაში ხელისუფლებას თავად ჩაიგდებდა ხელში. იმ დროისათვის, ოსმალეთის ყოფილ ქვეშევრდომ ლაზთა საქმეები ცნობილ აფხაზ რევოლუციონერსა და პარტიულ მოღვაწეს — ნესტორ ლაკობას ებარა, რომელიც ლავრენტი ბერიას დაუძინებელი მტერი იყო და აქედან გამომდინარე, „პენსნეიან კაცს“ უნდა ეჩქარა.

1935-1937 წლებში ლავრენტი ბერიამ ნესტორ ლაკობა ფარულ ომში სასტიკად დაამარცხა — აფხაზი ლიდერი, რომელიც სეპარატისტული განწყობილებით გამოირჩეოდა, ხელისუფლებას ჩამოაშორეს, დააპატიმრეს და დახვრიტეს. რა თქმა უნდა, თითქმის ყველა საქმე, რასაც ლაკობა კურირებდა, არათუ შეჩერდა, არამედ საფუძველშივე აღიკვეთა. ამ დროს ბერია მხოლოდ ვიწრო, პირადი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდა, მაგრამ მისი მიღებული ეს ზომები ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესებსაც ემთხვეოდა და ამიტომაც იყო, რომ თხემით ტერფამდე კომუნისტ ლავრენტი ბერიას კრემლში „ნაციონალისტის“ იარლიყი მიაკერეს. მსოფლიო ომი რომ არ დაწყებულიყო, ალბათ, „პენსნეიანი კაცის“ წინააღმდეგ, შეთქმულებასაც მოაწყობდნენ, მაგრამ ადოლფ ჰიტლერისა და მისი თანამეინახეების მიერ მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის დარღვევამ ლავრენტი ბერიას ხელისუფლების განმტკიცებაში შეუწყო ხელი.

მიუხედავად ყველაფრისა, ომის შემდგომ კრემლის კულუარებში „პენსნეიანი კაცის“ მტრები მაინც გააქტიურდნენ. დღევანდელ უცხოურ ისტორიოგრაფიაში ერთი მეტად საინტერესო, მაგრამ მხოლოდ ირიბი მტკიცებულებებით არგუმენტირებული მოსაზრება არსებობს, რომლის თანახმადაც, ლავრენტი ბერიას ხელისუფლებისგან ჩამოშორებას პირადად სტალინი ხელმძღვანელობდა. მისი გეგმის თანახმად, ბერია „თურქეთის აგენტად“ უნდა გამოცხადებულიყო, რის შემდეგაც ცხადია, დაიჭერდნენ და დახვრეტდნენ; თუმცა მანამდე, საქართველოსა და ჩრდილო კავკასიაში მცხოვრებ ოსმალეთის ყოფილ ქვეშევრდომთა ის ნაწილი, რომელიც თურქეთში დეპორტაციას გადაურჩა, ციმბირსა და შუა აზიაში უნდა გაესახლებინათ.

1949 წლის 12 მარტს, საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრმა, სერგეი კრუგლოვმა საგანგებო ბრძანებას მოაწერა ხელი, რომლის თანახმადაც, ყოფილი ოსმალეთის იმპერიის ყველა ქვეშევრდომი, რომელსაც საბჭოთა მოქალაქეობა ან არ ჰქონდა, ან 1921 წლიდან ჰქონდა მიღებული, ციმბირსა და შუა აზიაში გასახლებას ექვემდებარებოდა. უნდა ითქვას ისიც, რომ ლავრენტი ბერიამ, რომელიც იმ დროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე იყო, ხსენებული ბრძანების შესახებ მხოლოდ ის იცოდა, რომ გადასახლება ეხებოდათ



СОВ. СЕКРЕТНО

СОВЕТ МИНИСТРОВ СССР

РАСПОРЯЖЕНИЕ

от 10 августа 1951 г. № 14150рс

Москва, Кремль.

1. Принять предложение МГБ СССР о выселении с территории Грузинской ССР выявленных органами МГБ 69 человек иранцев, греков, турок и дашнаков, которые в момент выселения из Грузии указанных контингентов в соответствии с Постановлением Совета Министров СССР № 2214-856 от 29 мая 1949 г. и № 727-26[illegible] от 21 мая 1950 г. отсутствовали по месту их жительства.

2. Обязать МГБ СССР (т.Игнатьева) произвести в течение августа 1951 года выселение из Грузинской ССР лиц, указанных в п.1 настоящего распоряжения, согласовав персональный состав выселенцев с Первым Секретарем ЦК КП(б) Грузии т.Чарквианиа.

Председатель Совета Министров Союза ССР И.Сталин

Ενα από το Δικαίωμα ξενοτονίας που υπήρχαν ο Στάλιν (10-8-1951).

ი. სტალინის ხელმოწერილი, 1951 წლის 10 აგვისტოს ბრძანება საქ. სსრ-დან 1949 წლის დეპორტაციის დროს საცხოვრებელ ადგილზე დროებით არმყოფი 69 ირანელის, ბერძენის, თურქისა და „დაშნაკის“ გასახლების თაობაზე. ბრძანება საბჭოთა მანიპულაციის იმვიათ ნიმუშს წარმოადგენს.

მხოლოდ და მხოლოდ პონტოელ ბერძნებსა და ხემშილებს (მუსლიმან სომხებს) და არავითარ შემთხვევაში — ლაზებს. თუმცა, როცა ბრძანების აღსრულება დაიწყო, ჯარისკაცებს ამისათვის ყურადღება არ მიუქცევიათ — ოსმალეთის ყველა ყოფილ ქვეშევრდომს ერთბაშად დახვიეს ხელი და სატვირთო ვაგონებით ციმბირისა და შუა აზიის გზას გაუყენეს.

ამდენად, გასახლებას დაექვემდებარა სულ 10 ათასამდე კაცი, თუმცაღა ეს მონაცემი დაუზუსტებელია, რადგანაც სხვადასხვა დოკუმენტში სხვადასხვა რიცხვია მოცემული. გასახლების ძირითად მიზეზად სახელდებოდა „საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილ სახელმწიფოთა მხარდაჭერა და შეფარვით ჯაშუშობა“. ამავდროულად, გადასახლება ხორციელდებოდა საბჭოთა „ჩეკას“ მიერ მრავალგზის გამოცდილი მეთოდით: შუაღამისას ანდა განთიადისას, მოულოდნელად გაისმოდა კარზე ბრახუნი და განწირულ ოჯახს, განაჩენის გაცნობის შემდეგ, ვადად ორ საათს აძლევდნენ, რათა საჭირო ნივთები და ორი დღის საგზალი მოემა-

ლავრენტი ბერია და საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრი სერგეი კრუგლოვი მოსკოვის დიდ თეატრში, 1952 წლის ფოტო

რაგებინათ, მერე კი დახურული სატვირთო მანქანებით რკინიგზის სადგურებში გადაჰყავდათ. იქ სატვირთო ვაგონებში ტენიდნენ (როგორც გადატანითი, ისე პირდაპირი მნიშვნელობითაც) და აღმოსავლეთისაკენ გზავნიდნენ.

ასეთი მანქანებით მიჰყავდათ გადასახლებულები რკინიგზის სადგურებიდან გადასახლების ადგილებზე

როგორც მოსალოდნელი იყო, გასახლებულებს შორის პონტოელ ბერძნებზე მეტნი ქართველები (ლაზები) იყვნენ. ნიშანდობლივია ისიც, რომ ეს ხალხი დოკუმენტებში აღნუსხეს, როგორც „თურქები“ ან „მუსლიმანები“, რათა ბერიასა და მის მომხრეებს ეჭვი არ აეღოთ და ოპერაცია არ ჩაეშალათ. არადა, აფხაზეთში ლაზები ჯერ კიდევ მეფის რუსეთის დროს იყვნენ გადმოსულნი და მუსლიმანობის მიუხედავად, უმრავლესობა არც თურქად მიიჩნევდა თავს და არც თურქული ენა იცოდა. თანაც, ეს ხალხი იმთავითვე წარმატებით ეწინააღმდეგებოდა აფხაზურ სეპარატიზმსაც და ბერიას ავტონომიურ რესპუბლიკაში უმთავრესი მოკავშირეები სწორედ მათ შორის ეგულებოდა. ამიტომაც, აფხაზეთიდან ლაზების გადასახლება მისი პოზიციების შერყევას მოასწავებდა, ამით კი გარკვეულწილად, სტალინიც იყო დაინტერესებული.

„პენსნეიანმა კაცმა“ მოულოდნელად, ყველაფერი შეიტყო: გადმოცემით, ბერია ერთ-ერთმა საყვარელმა გააფრთხილა, რომ „ზემოთ“ მის წინააღმდეგ შეთქმულება მზადდებოდა. ეს ქალი სტალინთან დაახლოებული ერთ-ერთი სამხედრო მაღალჩინოსნის მეუღლე გახლდათ და ასეთ ინფორმაციებზე ხელი მიუწვდებოდა. ბერია ქალის სიტყვას არ ენდო, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ გაიგო, რომ მთელ საბჭოთა კავშირში და პირველ ყოვლისა — საქართველოში მის კადრებს „ზემოდან“ ავიწროებდნენ.

ამის პარალელურად, საქართველოდან და ჩრდილო კავკასიიდან ოსმალეთის ყოფილი ქვეშევრდომების გასახლება გრძელდებოდა. გადასახლებულთა უმეტესობა ჩრდილო ყაზახეთის სტეპებში გადაიყვანეს, ნაწილი — ციმბირში. ბრძანების შესრულებისას ბერიას მოწინააღმდეგე პარტიული მაღალჩინოსნები განსაკუთრებით აქტიურობდნენ. მაგალითად, მაშინ სოფელ სარფის მცხოვრებთა გასახლება გათვალისწინებული არ ყოფილა, მაგრამ ბერიას მოწინააღმდეგე ერთ-ერთმა სარფელმა მაღალჩინოსანმა, რამდენიმე თანასოფლელი გასასახლებელთა სიაში ჩაწერა. გადმოცემით, სიაში მოხვდა მისი ღვიძლი ძმა(!) და რამდენიმე უახლოესი ნათესავიც. რასაკვირველია, ყველანი გაასახლეს, მათი მიწები კი იმ მაღალჩინოსანს დარჩა. არადა, სარფელები იმთავითვე საბჭოთა კავშირის მოქალაქეები იყვნენ და შესაბამისად, გასახლებას არ ექვემდებარებოდნენ, მაგრამ ისინი ოფიციალურად გააფორმეს როგორც ირანელები, ბერძნები, თურქები, ე.წ. დაშნაკები და ისე გაასახლეს.

ამგვარი უპასუხისმგებლობის აღსაკვეთად, მეორე სარფელმა პარტიულმა, რომელიც ძველი ბოლშევიკი კი იყო, მაგრამ მაღალი თანამდებობა 1947 წლიდან აღარ ეჭირა, მოსკოვში, პირადად ბერიასთან ჩასვლა გადაწყვიტა და „პენსნეიანი კაცი“ 1950 წელს, როგორც იქნა, ინახულა. მაშინ ლავრენტი ბერიამ უკვე იცოდა, რომ ვიღაცა ძირს უთხრიდა და ძველი ნაცნობის მოტანილი ამბავი პირად შეურაცხყოფად მიიღო. გადმოცემით, ბერიამ მაშინვე დაურეკა კრუგლოვს და სტუმრის თვალწინ რუსულ-ხალხურად აგინა, თანაც მოსთხოვა, საქართველოდან გადასახლებულთა საქმეები მისთვის სასწრაფოდ წარედგინა.

თანამედროვე გადასახედიდან, ძნელია იმის თქმა, თუ რამ აიძულა სტალინი ბერიას წინააღმდეგ დაწყებული ბინძური კამპანიაც შეეწყვიტა და გადასახლებულ ლაზთა საქმეების გადასინჯვაზეც დათანხმებულიყო. ყველაზე სარწმუნო ისაა, რომ „დიდმა ბელადმა“ მოცდა ამჯობინა და სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე, ნაბიჯი უკან გადადგა. თანაც, გაირკვა, რომ სარფიდან გასახლებული იყვნენ ის ადამიანები, რომლებიც ბერიასთან ჩასული პარტიულის ნათესავები გახლდნენ და მის მხარდამჭერებად მოიაზრებოდნენ; ხოლო ის, ვინც მათ გასახლებას კურირებდა, ხსენებულ პარტიულთან პიროვნულად იყო დაპირისპირებული. ამიტომ, ლავრენტი ბერიამ, შესაბამის არგუმენტებზე დაყრდნობით, ყველაფრის ჩაშლაც მოახერხა და პოზიციებიც გაიმყარა. ისიც უნდა ითქვას, რომ მართალია, ყველა გასახლებული ლაზი უკან ერთდროულად არ დაუბრუნებიათ, მაგრამ მათზე კონტროლი მალევე შეასუსტეს და ბევრი საქართველოში თავადვე დაბრუნდა, მცირე ნაწილმა კი თურქეთში წასვლა არჩია. იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც უკან დაბრუნების ნება საერთოდ ვერ მიიღეს და გადასახლების ადგილებზევე დარჩნენ. მათი შთამომავლები დღესაც ციმბირსა და შუა აზიაში ცხოვრობენ.

ერთი სიტყვით, „მეორე საბჭოთა დეპორტაცია“ (ასე უწოდებენ 1949-1951 წლების მოვლენებს რუსულ ისტორიოგრაფიაში. პირველ დეპორტაციად კი 1942-1944 წლების მოვლენებს მიიჩნევენ, როდესაც ჩრდილოკავკასიელები და მაჰმადიანი მესხები გაასახლეს) ბერიას მოხერხების წყალობით, ნელ-ნელა შეჩერდა, მაგრამ კრემლში მის წინააღმდეგ შეთქმულება არ შეწყვეტილა — გადასახლებულთა უკან დაბრუნების პროცესი დასრულებული არც იყო, როცა პირადად სტალინის ბრძანებით, ახალი ავანტიურა დაიწყო, რომლის მიზანიც ბერიას საბოლოოდ ჩაძირვა გახლდათ — 1952 წლის ბოლოს, შიდაპარტიულ რეპრესიებს ბოლშევიკთა ძველი თაობის დიდი ნაწილი შეეწირა; უცხოელ ისტორიკოსთა მტკიცებით, სწორედ ამის საპასუხოდ მიიღო ბერიამ სტალინის მოშორების გადაწყვეტილება, თუმცა ეს სულ სხვა ისტორიაა... ■

10 მიზეზი, რის გამოც შეიძლება მამაკაცმა მიგატოვოთ

1. თუკი ქალთან ურთიერთობა უინტერესო გახდა

მამაკაცი იდეალურს თუ არა, ისეთ ქალს მაინც ეძებს, ვისთან კონტაქტიც საინტერესო იქნება — საუბრისას თუ ფიზიკური სიახლოვისას. მართალია, ზედმეტად ჭკვიან ქალთან ურთიერთობა მას აფრთხობს — ანუ არასრულფასოვნების კომპლექსს უჩენს, მაგრამ არც მხოლოდ სერიალებისა და იაფფასიანი რომანების მოყვარული ქალი იზიდავს.

დასკვნა: თავი ისეთად მოაჩვენეთ, როგორიც მას სურს, იყოთ.

2. როცა ადგილი აქვს ხასიათთა შეუთავსებლობას

თითქოს ყველაფერი რიგზეა, მაგრამ წყვილი რატომღაც წვრილმანებზე კამათობს, ვერ პოულობს კომპრომისებს, არანაირ დათმობაზე არ მიდის. ასეთ შემთხვევაში, ერთი გამოსავალი დაგრჩებათ — დაშორება.

დასკვნა: მამაკაცი ბუნებით ლიდერია, ამიტომაც სურს, რომ უმეტესწილად მას დაუთმოთ.

3. თუკი ქალი თავშეუკავებელია

არც ერთ მამაკაცს არა აქვს სურვილი, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში წითლდებოდეს თავისი პარტნიორის დაუფიქრებელი საქციელის გამო.

დასკვნა: ისწავლეთ საკუთარი თავის გაკონტროლება.

4. როცა ქალს საეჭვო წარსული აქვს

გაითვალისწინეთ, რომ პარტნიორების ხშირად ცვლას კარგი არაფერი მოაქვს. ნებისმიერ მამაკაცს აქვს სურვილი, იყოს ქალის ცხოვრებაში პირველი. ყოველ შემთხვევაში, 51-ე ადგილზე ყოფნა ნამდვილად არავის მოხიბლავს!

დასკვნა: იფიქრეთ მომავალზე იმ წუთიდანვე, როგორც კი თქვენს ცხოვრებაში პირველი მამაკაცი გამოჩნდება და ნუ დაივიწყებთ, რომ ახალგაზრდობა მარადიული არ არის!

5. როცა ქალი მამაკაცში მხოლოდ ფსიქოთერაპევტს ხედავს

ბუნებრივია, მას უნდა მოუყვეთ თქვენს პრობლემებზე, საზრუნავზე, გაუზიაროთ თქვენი მოსაზრებები, მაგრამ გადაჭარბებული არაფერი ვარგა. წუწუნით თავს თუ მოაბეზრებთ, მალე თქვენზე მეტად გაღიზიანებული და პრობლემებით დახუნძლული პარტნიორი შეგრჩებათ ხელთ.

დასკვნა: ნუ დაივიწყებთ, რომ ამისთვის დაქალები არსებობენ!

6. როცა ქალი თავს აღარ უვლის

თუკი ის სიმპათიური ქალბატონი — რომელმაც დანახვისთანავე ასე მოხიბლა, მოუვლელ, თმაგაწეწილ, ფორმადაკარგულ დედაკაცად გადაიქცევა, ცხადია, მამაკაცი მისგან გაქცევას შეეცდება.

დასკვნა: არასოდეს მოადუნოთ ყურადღება საკუთარი გარეგნობის მიმართ, პირიქით — დღითი დღე უკეთესობისკენ უნდა ისწრაფოდეთ!

7. როცა ქალს მხოლოდ მამაკაცის ჯიბე აინტერესებს

მართალია, მამაკაცს სიამოვნებს ქალზე ზრუნვა, მაგრამ სამაგიეროსაც ითხოვს. და ეს სამაგიერო — სიყვარულია.

დასკვნა: თუ გსურთ, რომ მისგან საჩუქრები კვლავინდებურად მიიღოთ, დაანახვეთ, რომ ძველებურად გიყვართ.

8. როცა ქალი ძორწინებას ჩქარობს

მამაკაცს სჭირდება დრო, რათა ჩამოყალიბდეს და თავად გამოთქვას მოსაზრება, თუ როგორი ურთიერთობა სურს თქვენთან.

დასკვნა: ნუ გაუსწრებთ მოვლენებს, ამით მხოლოდ დააფრთხობთ მას.

9. თუკი მამაკაცმა ქალის ღალატის შესახებ შეიტყო

მამაკაცს შეუძლია გაპატიოთ თითქმის ყველაფერი, გარდა ღალატისა. თუ ეს მოხდა, ის აუცილებლად წავა თქვენი ცხოვრებიდან.

დასკვნა: უმჯობესია, მანამ დაშორდეთ მას, ვიდრე სხვასთან გააბამდეთ ურთიერთობას. ამგვარად მოსალოდნელ სკანდალსაც აიცილებთ თავიდან.

10. როცა ქალს მეტი შემოსავალი აქვს, ვიდრე მამაკაცს

თუკი ნებსით თუ უნებლიეთ, ამას გამუდმებით აყვედრით, ის დაკომპლექსდება და სავარაუდოდ, თქვენგან წასვლის სურვილიც გაუჩნდება.

დასკვნა: თუ თქვენ მასზე მაღალანაზღაურებადი სამსახური გაქვთ, ნურასოდეს გაუსვამთ ხაზს ამ გარემოებას; პირიქით — მის მიმართ იყავით თბილი, უშუალო, ლოიალური... ურთიერთობაში მთავარი ხომ ფინანსური მხარე არ არის.

■

ატმის მურაბა



შეარჩიეთ მწიფე (ოღონდ გადაუმწიფებელი) სახრავი ატამი, გაფცქვენით, ხის ჩხირით დაჩხვლიტეთ და ჩააწყვეთ ცივ წყალში რამდენიმე საათით. შემდეგ გადაიტანეთ მოდუღებულ და გაცივებულ სიროფში, შედგით ცეცხლზე და ადუღეთ 15-20 წთ. ქაფქირით ამოიღეთ ნაყოფი, სიროფი კი ადუღეთ 20-25 წთ. მოხადეთ ქაფი, გააცივეთ და ატამს დაასხით. მეორე დღეს იგივე გაიმეორეთ, მესამე დღეს კი ატამი სიროფთან ერთად მოხარშეთ.

ატმის მოხარშვის მეორე წესიც არსებობს: გათალეთ ატამი, დაჩხვლიტეთ ხის ჩხირით. ჩააწყვეთ სამურაბე თასში, ფენა-ფენა მოაყარეთ შაქრის ფხვნილი, დატოვეთ მთელი ღამით. დილით დადგით ცეცხლზე და მოხარშეთ თავისსავე წვენში, ჩვეულებრივი წესით (თუ სიროფი სქელი გამოვიდა, ცოტა მდუღარე წყალი დაუმატეთ).

მასალად საჭიროა: 4 კგ ატამი; ამდენივე შაქარი, 12 ჩ/ჭ წყალი (მეორე წესით მოხარშვისას სამი კილო შაქარიც საკმარისია). ■

რჩევები დიასახლისებს

• ბოსტნეულის წვნიანი უმჯობესია, ზუსტად სუფრის გაშლის მომენტისთვის მოამზადოთ. მაშინ მასში C ვიტამინი დიდი რაოდენობით შენარჩუნდება. წვნიანის მომზადებიდან 3-4 საათის გასვლის შემდეგ ვიტამინების შემცველობა ბევრად ნაკლები იქნება.

• მჟავე ვაშლი ჰაერღუმელში დიდხანს არ გააჩეროთ — მისგან პიურეს მიიღებთ. ხოლო ტკბილი ჯიშის ვაშლები, პირიქით, ჰაერღუმელში შეწვისას ფორმას შესანიშნავად ინარჩუნებს.

• ნიგოზი ალერგიას რომ იწვევს, ცნობილია, მაგრამ თურმე სულ იოლად შეიძლება ამ უსიამოვნო შედეგის თავიდან აცილება: ნიგოზი (თხილი, ნუში) ცოტა ხნით ჰაერღუმელში შედგით ან ტაფაზე ოდნავ მოხალეთ.

• ბრინჯი უკეთ შეინახება, თუკი შუშის ქილაში ჩაყრით და ერთ ცალ ცხარე წიწაკასაც ჩააყოლებთ.

• თურმე კვერცხი ადვილად იღებს უცხო სუნს. ამიტომაც მისი შენახვა თევზის, გუდის ყველისა და სხვა სპეციფიკური, მკვეთრი პროდუქტების გვერდით არ შეიძლება.

• კატლეტი განსაკუთრებით გემრიელი გამოგივათ, თუ ფარშს თანაბარი რაოდენობით უმ და შემწვარ ხახვს და გახეხილ, უმ კარტოფილს დაუმატებთ. კარტოფილი კატლეტს უფრო ფუმფულას და გემრიელს გახდის. ■

რუბრიკა მოამზადა
ეკა გუნთაიმვილმა

საქართველოში შექმნილი ბრიტანული ბრენდი

უკვე 2 წელია, რაც ახალგაზრდა ქართველი დიზაინერი ლაკო ბუკია ლონდონისა და პარიზის მოდის კვირეულში მონაწილეობს. მიუხედავად იმისა, რომ დროის უმეტეს ნაწილს ლონდონში ატარებს, მას არც საქართველო ავიწყდება — რამდენიმე კვირის წინ დიზაინერმა თბილისში საკუთარი სალონი გახსნა.

ლონდონში მცხოვრები ქართველი დიზაინერის წარმატება

ელენე გასილიძე

— მას შემდეგ, რაც სამხატვრო აკადემიის მეორე კურსი დავხურე, სასწავლებლად ლონდონში წავედი. იქ მოსამზადებელი კურსი სენ-მარტინის უნივერსიტეტში — London College of Fashion-ში გავიარე... 2 წლის წინ დავიწყე მუშაობა საკუთარ ბრენდზე და მახსოვს, ჩვენება „ნაით ოფისში“ მოვაწყვე. ახლა ძირითადად, ლონდონში ვმუშაობ. იქ ვმართავ „პაკაზებს“ და ლონდონის მოდის კვირეულშიც ვმონაწილეობ ხოლმე.

მოსამზადებელი კურსი სენ-მარგინის უნივერსიტეტში – London College of Fashion-ში გავიარე...

— მეც მაქვს ნანახი შენი კოლექცია — „ემოციონ“. საინტერესოა, ამ 2 წლის განმავლობაში შენს შემოქმედებაში რა შეიცვალა?

— ყველა კოლექციაში იგრძნობა ჩემი სტილი, ხაზი და ხელი. ცხადია, ამ 2 წლის განმავლობაში მეტი გამოცდილება შევიძინე და შესაბამისად, ჩემი კოლექციები უფრო დაიხვეწა; პირველ ჩვენებაზე გატანილი კოსტიუმები ხელოვნების ნიმუში უფრო იყო, ახლა კი აქცენტს კომერციულ გათვლაზე ვაკეთებ ანუ ვქმნი ისეთ ტანისამოსს, რომელიც მომხმარებელზეა გათვლილი... მართალია, ლონდონში ვცხოვრობ, მაგრამ სახელოსნო თბილისში გავხსენი.

— ამის მიზეზი ის ხომ არ არის, რომ საქართველოში მუშახელის დაქირავება გაცილებით იაფია?

— შესაძლოა, კოსტიუმის შეკერვა აქ მართლაც ბევრად იაფი იყოს, მაგრამ კოლექციას გაგზავნაც ხომ სჭირდება, ეს კი მერწმუნეთ, სოლიდურ თანხასთანაა დაკავშირებული. უბრალოდ, საქართველოში ბევრ ისეთ კარგ მკერავს ვიცნობ, რომელსაც ჩემი მშვენივრად ესმის. გარდა ამისა, აქ გაცილებით „სუფთად“ კერავენ, ვიდრე სხვაგან. მართალია, ჩემი ბრენდი ბრიტანულ ბრენდადაა აღიარებული, მაგრამ ყველაფერი საქართველოში იქმნება.

— ლონდონში თუ იციან, საქართველოდან რომ ხარ?

— რა თქმა უნდა, იციან და მეც გამუდმებით იმას ვცდილობ, რომ უცხოელმა მომხმარებელმა საქართველოს შესახებ ბევრი რამ შეიტყოს. მაგალითად, ერთ-ერთ ჩვენებაზე ჩოხებისა და ქართული საცეკვაო კაბების მიხედ-

ვით შექმნილი ტანისამოსი წარვადგინე.

— როგორც ვხვდები, ბრიტანული მოდის სამყაროში ფეხის მოკიდება არც ისე იოლი უნდა იყოს...

— კი, ძალიან რთულია... ლონდონს „დიზაინერების ინკუბატორს“ ეძახიან, სადაც ახალ-ახალი დიზაინერები „იჩეკებიან“ და მერე, მთელ მსოფლიოს მოედებიან ხოლმე. ძალიან კრეატიული უნდა იყო, იქ ვინმეს ნამუშევარი რომ მოაწონო. ინგლისელები ცოტა რთული ხასიათის მქონე ადამიანები არიან და თუ არ მოსწონხარ, მეგობრობისა და ნაცნობობის მიუხედავად, შენს ჩვენებას არც კი დაესწრებიან. ბედნიერი ვარ, რომ ჩემს „პაკაზებზე“ ხშირად, 400 მოსაწვევიც არაა საკმარისი, მეტი ადამიანი გამოთქვამს დასწრების სურვილს.

— რა არის შენი საგიზიტო ბარათი?

— ჩემი კოლექცია აუცილებლად, ქალური და ნაზი უნდა იყოს. არ მივიჩნევ, რომ ქალი სექსუალური მხოლოდ ღრმა დეკოლტეში ან მოკლე ქვედაბოლოშია. ის მიმზიდველი უნდა იყოს ისეთ სამოსშიც კი, რომელშიც მისი სხეულის არც ერთი ნაწილი არაა გამოკვეთილი — ამაზე დიზაინერმა უნდა იზრუნოს.

— მოდი, შენს ახალგახსნილ სალონზეც მომიყევი. ქართველი მომხმარებლების შეკვეთებს თუ ილებთ?

— რა თქმა უნდა! ამჟამად ლონდონისა და პარიზის კვირეულისთვის წარსადგენ კოლექციაზე ვმუშაობთ, სექტემბრიდან კი ქართველი მომხმარებლების სურვილებსაც ავასრულებთ. ჩემ გარდა, სალონში სხვა დიზაინერებიც იქნებიან, რომლებიც ამა თუ იმ შეკვეთაზე ჩემთან შეთანხმების შემდეგ იმუშავებენ.

— საქართველოში საცხოვრებლად ჩამოსვლას არ აპირებ?

— ოჯახის წევრებიც სულ მაგას მეკითხებიან: ახლა სახელოსნო რომ გახსენი, ხომ ჩამოხვალო? დაბრუნებას

ჩემი კოლექცია აუცილებლად, ქალური და ნაზი უნდა იყოს

ჯერ არ ვაპირებ. აქ რომ დავსახლდე, მაშინ ყველაფერი, რისთვისაც მიმიღწევია, წყალში უნდა ჩავყარო. სამშობლოში აუცილებლად დავბრუნდები მაშინ, როცა საშუალება მექნება, ჩემი საქმე აქედანაც ვაკეთო.

— საქართველოში ჩვენების გამართვას არ აპირებ?

— რა თქმა უნდა, აქ დიდი ჩვენების მოწყობასაც ვაპირებ და იმედია, რაიმე სიახლის დანერგვასაც მოვახერხებ.

— შეიძლება ითქვას, რომ ლაკომ პარიზისა და ლონდონის კვირეულებზე დაიმკვიდრა თავი?

— ლონდონის მოდის კვირეულზე, ასე თუ ისე, უკვე მიცნობენ, მაგრამ ჩემს ბრენდს ჯერ ისევ ახალგაზრდა დიზაინერის ბრენდად აღიქვამენ და ამიტომაც, ხმამაღალი განცხადებების გაკეთებისგან თავს შევიკავებ.

— რა სიახლეს სთავაზობ ხალხს ლონდონის მოდის კვირეულზე?

— ყოველთვის ვცდილობ, მომხმარებელს სიახლე შევთავაზო. ამჟამად, ჩემი ნახატები ქსოვილზე დავაბეჭდვინე და ხალხს ამ მასალისგან დამზადებულ კოლექციას შევთავაზებ. საერთოდ, ლონდონელებს თავისუფალი სტილის, ავანგარდული სამოსი მოსწონთ. ნიუ-იორკში ჩემს ჩვენებას შოუს სახეს მივცემ და იმედი მაქვს, მსგავსი წარმოდგენა მათთვის სიახლე იქნება.

— ლაკო, რამდენად გემოვნებიანია ქართველი მომხმარებელი?

— მივიჩნევ, რომ ძალიან ბევრ ქართველს კარგი გემოვნება აქვს, უბრალოდ, ზოგჯერ იმაზე „იციკლებიან“, რასაც სხვის ტანზე ნახავენ და საბოლოოდ, ისე გამოდის, რომ ყველას ერთნაირი სტილის სამოსი აცვია. მართალია, მსგავსი რამ ყველგან ხდება, მაგრამ საქართველო პატარა ქვეყანაა და ეს ყველაფერი ასე შესამჩნევი ამიტომაცაა... ჩვენი ხალხი, ასე თუ ისე, მოდას ფეხს უწყობს.

■

გიგი დედალამაზიშვილისა და უკრაინელი ფოტოგრაფის სიყვარულის ამბავი

თამუნა კვინიკაძე

პრეამბულის მაგიერ

— ვიცი, რომ შეყვარებული ხარ და ვიდრე კითხვარზე გადავალთ, გთხოვ, შენს რჩეულზე მიამბე რამე.

— ჩემი რჩეული უკრაინელი გოგონაა. სახელსა და გვარს ნუ მათქმევინებთ. კარგი ადამიანია. ძალიან მიყვარს და ვუყვარვარ. ერთმანეთი უკრაინაში გავიცანით. ვეძებე, ვეძებე და ასე შორს ვიპოვე.

— რამდენი ხანია რაც ერთმანეთს იცნობთ?

— 7-8 თვეა. ისე, უკრაინასთან ერთწლიანი „მეგობრობა“ მაკავშირებს. სხვათა შორის, ერთმანეთი გაცნობისთანავე მოგვწონა.

— შენ საქართველოში ხარ, ის — უკრაინაში. საინტერესოა, ერთმანეთის ნახვას ხშირად ახერხებთ?

— საქართველოში ხშირად ჩამოდის, მე კი იშვიათად ვახერხებ გამგზავრებას. ის ჩემზე კარგადაა.

— ეს როგორ გავიგოთ?

— ფოტოგრაფია. ჯერ 21 წლისაა და უკვე მსოფლიოს 100 საუკეთესო ფოტოგრაფს შორის დასახელეს. როცა იღლება, შეუძლია, ახალი საქმე არ აიღოს და რამდენიმე დღით დაისვენოს. თავისუფალი გრაფიკი აქვს. ძალიან ნიჭიერი გოგოა, მაგრამ ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ მიყვარს... მოკლედ, საქმიანობის მხრივ, მასავით თავისუფალი ნამდვილად ვერ ვარ. „მგზავრები“ უკრაინაში 2 თვეში ერთხელ ჩავდივართ და ღვთის წყალობით, კონცერტებს წარმატებით ვმართავთ, მაგრამ ვინაიდან ახლა ზაფხულია და კიევი ხალხისგან დაიცალა, უახლოეს მომავალში კონცერტს ოდესაში ჩავატარებთ.

— დაოჯახებას აპირებთ?

— ვაპირებთ, მაგრამ თარიღი ჯერ არ ვიცით. ჩემი ცხოვრება „მგზავრებზეა“ დამოკიდებული. მთლიანად საქმეზე ვარ გადართული.

— პირადი ცხოვრების აწყობაში საქმე გიშლის ხელს?

— რა თქმა უნდა, მაგრამ ამ საქმის გარეშე პირადი ცხოვრების აწყობაც არ მინდა. მე ვაკეთებ იმას, რაც მსიამოვნებს და ერთი მეორეს ხელს იმ გაგებით უშლის, რომ მინდა, საყვარელი ადამიანისთვის ცოტა მეტი დრო დამრჩეს. არა უშავს, დრო რაც უფრო ცოტა გაქვს, მეტად აფასებ.

— ერთმანეთის ოჯახის წევრებს იცნობთ?

— რა თქმა უნდა! სხვათა შორის, ის ახლაც საქართველოშია.

— და შენს ოჯახში ცხოვრობს?

— არა!

— უკრაინიდან ერთად ჩამოხვედით?

— დიახ. მე 1 კვირით ვიყავი წასული, იქაურ პროდიუსერებთან მქონდა შეხვედრები და მერე ერთად წამოვედით. აქ 2 კვირის განმავლობაში დარჩება.

— ჩვენი ქვეყანა მოსწონს? ალბათ, აქაც ბევრ ფოტოს იღებს.

— დიახ. მაგალითად, გუშინ ჩემთან მოვიდა და ფოტოები ეზოში მყოფ ბავშვებს გადაუღო. მან საქართველოზე ბევრი რამ იცის. თბილისი, მცხეთა, ბათუმი, ქუთაისი — სადაც კი კონცერტი გვქონდა, ყველგან იყო. როცა აქაა, თან დაგვყვება. საქართველო უყვარს და ამიტომაც, მისთვის უკრაინიდან წამოსვლა და აქ ცხოვრება პრობლემა არ იქნება.

— მუსიკალურია?

— სიმღერები უყვარს.

— ბედნიერებას გისურვებთ! ახლა კი დროა, კითხვარზე გადავიდეთ.

— კარგი, დავიწყოთ.

ბავშვობაში წიგნებს ბაბუა უკითხავდა, მერე კი ურჩევდა, როდის რა უნდა წაეკითხა. როგორც ამბობს, საინტერესო ნაწარმოებებს ყოველთვის დაუზარელად ეცნობოდა, მაგრამ თეატრალურ უნივერსიტეტში ჩაბარებისას აღმოაჩინა, რომ ძალიან ცოტა წიგნი ჰქონდა წაკითხული და იმ ნაწარმოებების გაცნობას შეუდგა, რომლებიც პედაგოგმა — ნუკრი ქანთარიამ მას და მის ჯგუფელებს წასაკითხი წიგნების გრძელ სიაში ჩამოუწერა. პირველი ნაწარმოები, რომელმაც მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა, „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“ იყო; ახსოვს, ბევრი იტირა. ლიტერატურული პერსონაჟებიდან მეგობრობის სურვილს არაერთთან გამოთქვამს, მაგრამ პირველ რიგში, ჰანს კასტროფს ასახელებს (თომას მანის „ჯადოსნური მთიდან“), შემდეგ კი დოსტოევსკის რაგოჟინს — „იდიოტიდან“. ამჯერად, რუბრიკა „ერუდიტისთვის“ „მგზავრების“ სოლისტი, გიგი დედალამაზიშვილი შევარჩიეთ, თან — მასთან სხვა ამბავიც გვქონდა გასარკვევი.

„ვეძებე, ვეძებე და ასე შორს ვიპოვე...“

— ისევე, როგორც შელოცვა, სიმღერა საქართველოში სამკურნალო საშუალებად მიიჩნეოდა. რომელი სამკურნალო ხალხური სიმღერის დასახელება შეგიძლია?

— „ბატონებო“.

— ვინ იყო დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის შეერთებული სამეფოს ისტორიაში პირველი ქალი პრემიერ-მინისტრი?

— მარგარეტ ტეტჩერი.

— ამ ცნობილ მოდელიერთან გალაკტიონის მუზას — მერი შერვაშიძეს მოდელად უმუშავია. ვისზეა ლაპარაკი?

— კოკო შანელზე.

— სად არის დასვენებული წმინდა ნინოს ჯვარი?

— სიონში.

— რომელ ნაწარმოებს უწოდებენ ბეთჰოვენის მუსიკალურ ანდერძს?

— მე-9 სიმფონიას, რომელიც მან დაყრუების შემდეგ დაწერა.

— **ვის მიუძღვნა იგი?**

— არ ვიცი.

— **მის წერილებში ვკითხულობთ: „ჩემს ცხოვრებას ცოტა ხალისი შემატა ხალხში ყოფნამ, ვერც კი წარმოიდგენთ, რა ეულად, ნაღვლიანად გავატარე ბოლო 2 წელიწადი... აჩრდილივით მუდამ თან მდევდა ჩემი დაქვეითებული სმენა და გავურბოდი ხალხს. მიზანთროპს ვგავდი, სინამდვილეში სულაც არ ვარ ასეთი. ეს ცვლილება ჩემში მოახდინა საყვარელმა მშვენიერმა გოგონამ, რომელსაც ვუყვარვარ და მეც მიყვარს“. ყველა ბიოგრაფის აზრით, ბეთჰოვენი აქ ლაპარაკობს ადამიანზე, რომელსაც მე-9 სიმფონია მიუძღვნა. ის მისი მოწაფე და მეგობარი იყო.**

— სამწუხაროდ, არ ვიცი.

— **ჯულიეტა გვიჩარდი. „ესე არაკი მართალი ჩინს ქვასა ზედა წერია, ვინც...“**

— „...მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“.

— **როგორ იწყება „ვეფხისტყაოსანი“?**

— „რომელმან შექმნა სამყარო, ძალითა მით ძლიერითა...“

— **ვის უწოდებენ „ვალსების მეფეს“?**

— შტრაუსს.

— **რა მოხდა 1981 წლის 13 მაისს?**

— ფეხბურთში კარგად ვერ ვერკვევი, მაგრამ ვიცი, რომ ამ დღეს თბილისის „დინამო“ ევროპის თასების მფლობელთა თასის მფლობელი გახდა.

— **გუნდის მწვრთნელი ვინ იყო?**

— ნოდარ ახალკაცი. „კარლ ცაისთან“ 2:1 მოვიგეთ.

— **ვინ არის ავტორი ილია ჭავჭავაძის ლექსზე შექმნილი სიმღერისა — „ჩემო კარგო ქვეყანავ“?**

— რევაზ ლაღიძე.

— **რომელ ქალაქში ტარდება ამერიკის კინოაკადემიის უმაღლესი ჯილდოს — „ოსკარებით“ დაჯილდოების ცერემონია?**

საქართველო უყვარს და ამიტომაც, მისთვის უკრაინიდან წამოსვლა და აქ ცხოვრება პრობლემა არ იქნება.

— ლოს-ანჯელესში, არა?

— **ნამდვილად ასეა! ახლა კი დაასახელე 3 ციფრი, რომელთა ჯამი და ნამრავლი ერთმანეთის ტოლია.**

— (*ფიქრობს*) მგონი, ასეთი ციფრი არ არსებობს.

— 1, 2 და 3. როგორ იბადება ზღარბი — ეკლებით თუ მის გარეშე?

— ეკლებით როგორ დაიბადება?

— ახალდაბადებულ ზღარბს თხელი თმა აქვს, მაგრამ შემდეგ ის ეკლებად იქცევა ხოლმე. რა არის ტანკა?

— იაპონური პოეზიის ჟანრია.

— ადამიანის რომელ თვისებას უწოდა შექსპირმა „მწვანეთვალება ურჩხული“ — შურს, სიხარბეს, სიყვარულსა თუ ეჭვიანობას?

— ალბათ, ეჭვიანობას.

— თავად ეჭვიანი ხარ?

— ზომიერად. ვფიქრობ, ეს გრძნობა რაღაც დოზით ყველა ადამიანშია.

— „უხერხულია — შენ გერქვას ცოლი...“

— (*მაწყვეტინებს*) „...შენ უნდა ცისფერ ღრუბელთან იწვე./ აჰა, დამბაჩა და სველი თოვლი!../ მე შენს მეუღლეს დუელში ვიწვევ“. ეს ლექსი ძალიან მომწონს.

— მაშინ მისი ავტორიც გეცოდინება.

— ტარიელ ჭანტურია.

— რომელმა კომპოზიტორმა დაწერა მუსიკა ფილმისთვის — „მიმინო“?

— გია ყანჩელმა.

— მულტიპლიკაციურ ფილმში, რა ჰქვია კომბლეს ძროხას?

— (*იცინის*) ჭრელა.

— რას უწოდებენ დაუძველებლად გამოშვებულ ღვინოს?

— არ ვიცი.

— ორდინარულს. ალკოჰოლთან როგორი დამოკიდებულება გაქვს?

— „ვმეგობრობ“. ღვინო, არაყი, ვისკი — ყველაფრის დალევა შემიძლია, ოღონდ — მერე ცოტა ბევრს ვლაპარაკობ. სამაგიეროდ, კონფლიქტური არ ვარ.

— „მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე სიყვარულით ერთხელაც არ ამძგერებია გული. თუმცა მოჩვენებით ხშირად მომჩვენებია თავი, ტრფიალების ალი მწვავს-მეთქი. ეტყობა, ვერც ვერასდროს ვიგრძნობ ამ გულის ძგერას... ავხორცი თუ ვარ? მაშა! არ მოუტყუებიხართ, ოღონდ განა საშიშარი ვარ. ქალს დავინახავ თუ არა, როდი შევყივლებ და ვეძგერები. სრულიად ურისკოდ შეიძლება ჩემთან ერთად საზოგადოებაში გამოჩენა, მით უმეტეს თუ ხმის მისაწვდენ ადგილზე პოლიციელი მორიგეობს“... — ეს არის მწერლის მიერ შეულამაზებლად დახატული ავტოპორტრეტი. დაასახელე ეს მწერალი.

— რომელი ქვეყნიდანაა?

— საფრანგეთიდან. მიგანიშნებ, როცა იგი გარდაიცვალა, პარიზის ყველა საროსკიპომ გლოვა გამოაცხადა.

— ვერ გიპასუხებ. ასეთ ფაქტს ვერც ერთი მწერლის ბიოგრაფიიდან ვერ ვიხსენებ.

— გი დე მოპასანი. როგორი ორკესტრი არ არსებობს — სიმფონიური, სასულე, ხალხურ საკრავთა, საორგანე თუ საესტრადო?

— გთხოვ, კითხვა გამიმეორე (*გამეორების შემდეგ*), საორგანე ორკესტრი არ გამიგია.

— სწორი პასუხიც ეს არის. რამდენი პლანეტა მოძრაობს მზის გარშემო?

— 12.

— ცდები.

— აბა, 13?

— მზის გარშემო 9 პლანეტა მოძრაობს. სარდინია, სიცილია, კორსიკა — ხმელთაშუა ზღვის ამ კუნძულებიდან რომელია ყველაზე პატარა?

— მგონი, კორსიკა უნდა იყოს.

— რა თქმა უნდა! რომელი ქვეყნიდან გავრცელდა სერენადა?

— იტალიიდან.

— სერენადა თუ გიმღერია?

— რამდენჯერმე. ჩემი მეგობრები მთხოვდნენ ხოლმე და მივყვებოდი.

— შეყვარებულებს თავად არ უმღეროდი?

— რატომღაც, ყველანი იმდენად მაღალ სართულზე ცხოვრობდნენ, იქამდე ხმას ვერ მივაწვდენდი.

— ცეცხლსასროლ იარაღებში ერკვევი?

— არა. ეს სფერო ნაკლებად მაინტერესებს და თუ ამ თემაზე უნდა მკითხო რაიმე, წინასწარ გეტყვი, ვერ გიპასუხებ.

— ვცადოთ. რამდენ ტყვიას იტევს ნაგანის სისტემის რევოლვერის დოლი?

— არ ვიცი, მაგრამ მოდი, 7-ს ვიტყვი.

— კარგი ინტუიცია გქონია, ეს სწორი პასუხია.

— (*იცინის*) მართლა? ვაღიარებ, ეს ციფრი შემთხვევით ვთქვი.

— სად მდებარეობს ევროპის გეოგრაფიული ცენტრი?

— ვერ გიპასუხებ.

— უკრაინელებს სიძეობას რომ უპირებ, ამის არცოდნას გაპატიებენ?

— იმედია, მაპატიებენ. ე.ი. უკრაინაშია?

— დიახ. დაბოლოს, დაასრულე შექსპირის ცნობილი გამონათქვამი: „გიყვარდეს ყველა, ენდე ცოტას და...“

— „...არავის უღალატო“. ■

ჩემი ცხოვრება „მგზავრებზეა“ დამოკიდებული

რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარგეიშვილი

ფიტოთერაპია: ჯანმრთელობისთვის სასარგებლო რამდენიმე რეცეპტი

1. კვერცხის ნაჭუჭი:

აიღეთ ახალი კვერცხი, მოხარშეთ და გაფცქვენით. ნაჭუჭს მოაშორეთ ზედა აპკი და ოთახის ტემპერატურაზე (ოღონდ, არა მზეზე ან აირღუმელში), 2 საათის განმავლობაში აშრეთ, შემდეგ კი ნაჭუჭი ფაიფურის როდინში დაფქვით (უნდა მიიღოთ პუდრის მსგავსი ნარევი).

დოზირება: 6 თვიდან 1 წლამდე ბავშვებმა უნდა მიიღონ დაფქული ნაჭუჭი იმ ოდენობით, რაც დანის წვერს ამოჰყვება, 1-დან 2 წლამდე — 2-ჯერ მეტი, 5-7 წლის ასაკში — 1/2 კვერცხის ნაჭუჭი.

კვერცხის ნაჭუჭს მიღების წინ უნდა დააწვეთოთ რამდენიმე წვეთი ლიმონის წვენი. კერძოდ: წლამდე ბავშვებისთვის — 3-5 წვეთი, 2 წლამდე — 2-ჯერ მეტი და ა.შ. ახალგამოწურული ლიმონის წვენის კონსერვანტებით ან ლიმონმჟავათი შეცვლა არ შეიძლება. ლიმონის წვენის დამატებით ხდება ქიმიური რეაქცია, რის შედეგადაც ნაჭუჭში შემავალი ნივთიერებები ორგანიზმისათვის ადვილად ათვისებადი ხდება. ზემოთ მითითებული ნორმა ბავშვს დღეში ერთჯერ, 2 ან მეტი თვის განმავლობაში უნდა მისცეთ. შედეგად, კანზე დიათეზი აღარ გამოვლინდება ისეთი პროდუქტების მიცემის შემთხვევაშიც კი, რომლებზეც ადრე ბავშვს რეაქცია ჰქონდა. ეს საშუალება იმდენად უსაფრთხოა, რომ მისი მიღება შეიძლება ნებისმიერ სხვა საშუალებებთან ერთად და ეფექტურია არა მარტო ბავშვებისთვის, არამედ დიდებისთვისაც.

ნაჭუჭის მარაგის წინასწარ გაკეთებაც შეგიძლიათ, მაგრამ ის უნდა შეინახოთ მუქი ფერის მინის ჭურჭელში, ოთახის ტემპერატურაზე.

დაიმახსოვრეთ: 14 წელზე მეტი ასაკის ბავშვებისა და მოზრდილთათვის ზღვრული ნორმა დღეში ერთ ნაჭუჭს შეადგენს. და კიდევ, კვერცხსა და ციტრუსებზე ალერგია ამ საშუალების მიღების უკუჩვენება არ არის.

2. ოროვანდი:

ამ მცენარის ფესვების ნახარშს აძლევენ ბავშვებს რძეზე დიათეზის დროს. ნახარში შემდეგნაირად მზადდება: 1 ს/კ დაქუცმაცებულ ოროვანდის ფესვს დაასხით 500 მლ მდუღარე წყალი, შეფუთეთ, გააჩერეთ 1-2 საათი, შემდეგ გაფილტრეთ. მიიღეთ 1/2 ჭიქა ნახარში დღეში 3-4-ჯერ, თბილ-თბილი სახით.



ეს ნახარში მიიჩნევა სისხლის გამწმენდ და ნივთიერებათა ცვლის გასაუმჯობესებელ საშუალებად.

3. ბაბუაწვერას ფესვი:

1 ს/კ ბაბუაწვერას დაქუცმაცებულ ფესვს დაასხით 1 ლ მდუღარე წყალი, შეფუთეთ, გააჩერეთ 1-2 საათი, შემდეგ გაფილტრეთ. მიიღეთ 1/4 ჭიქა ნახარში დღეში 3-4-ჯერ, ჭამამდე 30 წუთით ადრე.

გამოიყენება როგორც კანის დაავადებების დროს, ისე ნივთიერებათა ცვლის გასაუმჯობესებლად.

4. ჭანგას ფესურა:

1 ს/კ დაქუცმაცებულ ჭანგას ფესურას დაასხით 500 მლ მდუღარე წყალი. ადუღეთ 15 წუთი, შეფუთეთ, გააჩერეთ 2 საათი, შემდეგ გაფილტრეთ. მიიღეთ 1/2 ჭიქა ნახარში დღეში 3-4-ჯერ, ჭამის წინ.

ეს ნახარში მიიჩნევა როგორც სისხლის გამწმენდ, ისე კანის დაავადებების დროს ნივთიერებათა ცვლის აღმდგენ საშუალებად.

5. ორკბილა:

2 ს/კ დაქუცმაცებულ ორკბილას დაასხით 500 მლ მდუღარე წყალი. შეფუთეთ და გააჩერეთ 12 საათის განმავლობაში, შემდეგ კი გაფილტრეთ. მიიღეთ 1/3 ჭიქა დღეში 3-ჯერ. ეს ნახარში აღადგენს ნივთიერებათა ცვლას კანის დაავადებების დროს. ამგვარად მომზადებული ორკბილას ნახარში გამოსადეგია, როგორც შინაგანად მისაღებად, ასევე აბაზანების, კომპრესის და ჩამოსაბან საშუალებად, დიათეზისა და კანის სხვადასხვა დაავადების (გამონაყარი, ფურუნკულოზი, ეგზემა, თავის სებორეა) დროს.

ძალზე ეფექტიანია მცენარეული ნაკრების მიღება. დიათეზისა და ბავშვთა ეგზემის დროს მიიღება შემდეგი მცენარეებისაგან მომზადებული ნახარში: 5-5 გრამ კულმუხოს ფესურას, ნაღველასა და ფარსმანდუკს დაასხით 0,5 ლიტრი წყალი, ადუღეთ 10 წუთის განმავლობაში, შემდეგ კი გააჩერეთ 30 წუთი. მიიღეთ თბილი სახით, ჭამის წინ, 1 ს/კ დღეში 3-ჯერ, 1-2 თვის განმავლობაში.

10 გ ძირტკბილას, 15 გ ბაბუაწვერასა და 30 გ ოროვანდის ფესვს დაუმატეთ 30 გ ენდროს ფესურა. ამ ნარევის 10 გრამს დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი, გააცხელეთ მდუღარე წყლის აბაზანაზე 30 წუთის განმავლობაში, გააჩერეთ 10 წუთი, შემდეგ გაფილტრეთ და თან, ნედლეული კარგად გამოწურეთ. მიღებული ნახარშის მოცულობა ანადუღარი წყლით, 200 მლ-მდე შეავსეთ და მიიღეთ 1-2 ჭიქა დილას, ექსუდაციური დიათეზის მკურნალობის მიზნით. ბავშვებში დოზა ასაკის შესაბამისად კლებულობს.

30 გ ხეჭრელის ქერქის, 30 გ ძირტკბილას ფესვისა და 40 გ სამფერა იის ნარევი წინა რეცეპტის მსგავსად მოამზადეთ. მიიღეთ 2 ჭიქა ნახარში დილას, ექსუდაციური დიათეზის დროს. ბავშვებში დოზა ასაკის შესაბამისად კლებულობს.

40 გ ნიგვზის ფოთლის, 10 გ ხეჭრელას ქერქის, 10 გ ძირტკბილას ფესვისა და 40 გ სამფერა იისგან მოამზადეთ ნარევი, შემდეგ კი 1 ს/კ ამ ნარევს დაასხით 3 ჭიქა წყალი და ადუღეთ მანამ, ვიდრე 2 ჭიქამდე არ დავა. მიიღება ექსუდაციური დიათეზის დროს, დღის განმავლობაში რამდენჯერმე.

აიღეთ თითო ჩ/კ სამფერა ია, ოროვანდი, მარწყვის ფოთოლი და ჭინჭრის დედა. 1 ს/კ ამ ნარევს დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი, შეფუთეთ და გააჩერეთ 1 საათის განმავლობაში, შემდეგ კი გაფილტრეთ. მიიღეთ 1/3 ჭიქა ნახარში დღეში 3-ჯერ, ბავშვებმა კი 2 ს/კ დღეში 3-ჯერ.

აიღეთ თითო ჩ/კ დედაოფლისთითა, სამფერა ია და ორკბილა. 10 გ ამ ნარევს დაასხით 1 ლ მდუღარე წყალი. შეფუთეთ და გააჩერეთ 2 საათის განმავლობაში, შემდეგ გაფილტრეთ. მიიღეთ დღის განმავლობაში რამდენიმე ჯერზე. ბავშვებში დოზა 3-ჯერ ნაკლებია. ■

P.S. პატივცემულო მკითხველებო, მოგვწერეთ, თუ რომელი დაავადების შესახებ გსურთ ინფორმაციის მიღება. რასაკვირველია, ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან სრული განკურნების მიღწევა შეუძლებელია, მაგრამ იმის გაგებას, თუ რა შეიძლება იყოს თქვენი ჩივილების მიზეზი და ვის უნდა მიმართოთ, ნამდვილად შეძლებთ. რუბრიკის ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 8(99) 30.35.97 ან ელფოსტაზე: nino.char@yahoo.com.

ანტიდეპრესანტი

გზაში საკითხავი კოლაქი

ქეთევანი თოქაჩ ივანიძე

1. ბინ ლადენს 11 ვაჟი ჰყავს.
2. დინდგელი სკის შავი ცვილია.
3. ლურსმნებს ფოლადის სქელი მავთულისგან ამზადებენ.
4. ფილადელფია ამერიკის შეერთებული შტატების პირველი დედაქალაქი იყო.
5. ექიმ ვეტერინარს, რომელიც აკვარიუმის თევზებს მკურნალობს, იქთიოპათოლოგი ჰქვია.
6. კატები და ძაღლები ადამიანის მსგავსად, კბილებს სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ იცვლიან.
7. პირველი ალმასი რუსეთში, ურალში მცხოვრებმა 14 წლის ყმა-გლეხმა, პაველ პოპოვმა იპოვა.
8. გარეულ ტახს კელტები იმდენად მძვინვარე ცხოველად მიიჩნევდნენ, რომ იგი ომის სიმბოლოდ აქციეს.
9. მსოფლიოს მასშტაბით მოპოვებული ზღვის პროდუქტების ერთ მეექვსედს იაპონელები მოიხმარენ.
10. სტალინგრადში 100 ათასი გერმანელი ჩავარდა ტყვედ, რომელთაგან გერმანიაში მხოლოდ 6 ათასი დაბრუნდა. ზოგიერთ მათგანს, შინ დასაბრუნებლად, 13 წელი დასჭირდა.
11. ტყე ინგლისში იმის მიხედვით ფასობდა, თუ რა რაოდენობის ღორის კოლტების გამოკვება შეეძლო.
12. ქალის ფეხსაცმლის ქუსლის თითოეული სანტიმეტრი ათი კილოგრამით ზრდის დატვირთვას ხერხემალზე.
13. საღვადორ დალის ცოლს, გალას მთელი ცხოვრება ახალგაზრდა საყვარლები ჰყავდა, მაგრამ დალი ამას არ აპროტესტებდა. მხატვარს მოსწონდა კიდეც, მისი ასაკოვანი ცოლი ახალგაზრდა მამაკაცებს რომ იზიდავდა.
14. ყოფილი მეკობრე და ინგლისის ფლოტის ადმირალი — ფრენსის დრეიკი გამუდმებით ძარცვავდა ესპანეთის სამხრეთამერიკულ კოლონიებს. ესპანელი ჩინოვნიკები ამით სარგებლობდნენ და თავიანთ გაფლანგულ ფულს დრეიკის მიერ წართმეულ ქონებასთან ერთად ჩამოწერდნენ.
15. „ჩვენთვის ნაციონალური კულტურა არ არსებობს, ნაციონალურ ენას მხოლოდ პირობითი და წარმავალი მნიშვნელობა აქვს; რაც შეეხება ნაციონალურ ზნე-ჩვეულებებს, ესენი მხოლოდ კონსერვატორობის გამომხატველია“, — გაიძახოდა ფილიპე მახარაძე.
16. „ნუ მიწამლავთ მოხუცს გრძნობას და ნუ ამბობთ, რაც არ მჯერა! ნუთუ მართლა დღეს გადაწყდა საქართველოს ბედისწერა?!“ — წერდა ილიას სიკვდილით გულშეძრული აკაკი წერეთელი.
17. დავით აღმაშენებლის გამეფებამდე ერთი წლით ადრე, 1088 წელს მანამდე

„საწყლების მოწვევა ნადიმზე“

ლუკას სახარების მე-14 თავში მოთხრობილია უფლის მიერ თქმული იგავი — „საწყლების მოწვევა ნადიმზე“. ვიდრე ლუკა მახარებელი უშუალოდ იგავს მოგვითხრობს, გვაუწყებს — რაკი იესო ქრისტემ შეამჩნია, რომ მოწვეულები წინა ადგილებს ირჩევდნენ, უთხრა მათ იგავი: „თუ ვინმემ ქორწილში მოგიწვიოს, ნუ დაჯდები წინა ადგილზე, რადგან შეიძლება შენზე უფრო საპატიო სხვა ჰყავდეს მას მოწვეული. რომ არ მოვიდეს შენი მასპინძელი და არ გითხრას: დაუთმე ამას ადგილი, მაშინ შერცხვენილმა უნდა დაიკავო უკანასკნელი ადგილი; ხოლო როდესაც მოგიწვევენ, მიდი და დაჯექ უკანასკნელ ადგილზე, რომ მოვიდეს შენი მასპინძელი და გითხრას: მეგობარო, გადაბრძანდი უფრო მაღლა! მაშინ გექნება მეტი დიდება ყოველი თანამეინახის წინაშე. ვინაიდან ყველა, ვინც თავს აიმაღლებს, დამდაბლდება და ვინც თავს დაიმდაბლებს — ამაღლდება“... იგავს განგვიმარტავს მამა ბესარიონ მშვილდაძე:

— სახარებიდან ვიცით, რომ უფალი ხშირად ამხელდა ფარისევლებსა და იუდეველთა სჯულის მოძღვრებს, მათი სულიერი მდგომარეობის გამო. ეს იგავიც იმ დროს სწორედ მათ სამხილებლად წარმოთქვა. ფარისევლებმა იცოდნენ თავის წარმოჩენა, თავს ყველაზე ღირსეულად და პატივდებულებად მიიჩნევდნენ. ისინი სჯულის წესებს გარეგნულად აღასრულებდნენ, სინამდვილეში კი შინაგანი მდგომარეობით შორს იყვნენ სჯულის ჭეშმარიტი აღსრულებისგან. მათი და მსგავსი სულიერი მდგომარეობის მქონე ადამიანთათვის ბრძანებს უფალი იგავურად, — ნუ დაიკავებთ წინა ადგილებს, ნუ ჩათვლით თავს ღვთის წინაშე ღირსეულად, ნუ წარმოიდგენთ, თითქოს რჩეულნი ხართ; შესაძლოა, თქვენი ადგილი უფალს სხვისთვის აქვს გამზადებული. სხვანი თქვენზე წინ დგანან ღვთის წინაშე, რომლებიც თქვენს ადგილს დაიკავებენო. უფალი გულისხმობს უბრალო და მდაბალი გულის ადამიანებს, თუნდაც — თავის მოწაფეებს, რომლებიც სულიწმიდის მადლის მიღების შემდეგ მოციქულები გახდნენ და იმ უბრალო მეთევზეებს, რომლებმაც მაცხოვარი აღიარეს, მწიგნობართა, ფარისეველთა და სჯულის მოძღვართა ადგილები დაიკავეს.

ამ იგავური თქმით მაცხოვრის მიერ მხილებულია ამპარტავნება. ამპარტავნება უმძიმესი ცოდვაა, რომელიც ყველაზე მეტად აშორებს კაცის გულს ღმერთს. ამპარტავან ადამიანს შეიძლება სურდეს კიდეც ღმერთთან მიახლოება, მაგრამ ამისთვის არასწორ გზას ირჩევს, არ გამოიძიებს ღვთის ნებას; უფალთან მისვლას გარეგნულად აღსრულებული წესებით ცდილობს. ამასთანავე, ამპარტავან კაცს ღვთის მხილება — სინდისის ხმა არ ესმის სულიერი სიყრუისა და მიწიერებაზე მიჯაჭვულობის გამო. მაცხოვარი აურაცხელ სასწაულებს აღასრულებდა, კურნავდა ცოდვილთ — მეძავებს, მეზვერეებს, მემრუშეთ. ამის გამო ხალხი მას მიჰყვებოდა და არა ფარისეველთ და იუდეველთა სჯულის მოძღვრებს. მათ კი, იმის ნაცვლად, რომ მეზვერეთა და მეძავთა მსგავსად, ღვთისგან შეწევნა ეთხოვათ, რათა ამ მძიმე ცოდვისგან განკურნებულიყვნენ, მაცხოვარს ბრძოლა დაუწყეს — რატომ ის და ჩვენ არაო?! ასე დაემართა ამპარტავნების გამო ნათლის ანგელოზსაც და ეშმაკად იქცა — მან ხომ ღმერთთან გატოლება მოინდომა. ფარისევლებმა და იუდეველთა სჯულის მოძღვრებმა სწორედ ამპარტავნების გამო ვერ შეიცნეს იესო ქრისტეში ღმერთი, რადგან ასეთ მდგომარეობაში მყოფი ადამიანის გულში ღმერთისთვის ადგილი აღარ რჩება.

ამპარტავნება ყველაზე მეტად ამრავლებს ცოდვილ ჩვევებსა და მიდრეკილებებს. ეს ყველაზე საშიში ცოდვაა, რადგან ისე აშკარად არ ჩანს, როგორც სხვა ცოდვები, მა-

გალითად — მრუშობა, ქურდობა... წმინდა მამებმა ამპარტავნებას უწოდეს დედა ყოველგვარი ცოდვისა.

იგავის მომდევნო ნაწილში უფალი ბრძანებს: „ხოლო როდესაც მოგიწვევენ, მიდი და დაჯექი უკანასკნელ ადგილზე...“ ამ იგავური თქმით, მაცხოვარი მოგვიწოდებს და მიგვანიშნებს უმაღლესი სათნოების — სიმდაბლისკენ. ღვთის წინაშე ყველაზე ამაღლებული და პატივდებული — თავმდაბალი ადამიანია. წმინდა ანტონი დიდი ბრძანებდა: ერთხელ მე ვიხილე ეშმაკის ყოველგვარი მახე დედამიწაზე დაგებული და შეძრწუნებულმა ვიკითხე: არის ვინმე, ვინც ამას გადაურჩება-მეთქი? შემომესმა ხმა: — მხოლოდ თავმდაბალნი და მშვიდნი. გადარჩენაში სულის ცხონება იგულისხმება. თავმდაბლობის საუკეთესო მაგალითია მეზვერე, რომელიც „მეზვერისა და ფარისევლის“ იგავში უფალმა ფარისეველს დაუპირისპირა. მეზვერეს არა მარტო ლოცვის სიტყვებში, არამედ ტაძარში დგომის მანერასა და ქმედებაშიც გამოსჭვივის თავმდაბლობა. მას შეცნობილი ჰქონდა საკუთარი სულიერი უღირსება უფლის წინაშე და გულწრფელად გლოვობდა თავის ცოდვებს. თანაც, საკუთარ თავზე კი არ ამყარებდა იმედს, არამედ უფლისგან ითხოვდა შემწეობას. სწორედ სიმდაბლის, თავის დამდაბლების გამო ამაღლდა და გამართლდა მეზვერე ღვთის წინაშე. ასეთივე გამართლება და წყალობა მოგვეცემა ჩვენც თავმდაბლობის სანაცვლოდ.

იგავის თხრობის დასრულების შემდეგ მაცხოვარი თავის მასპინძელს მიუბრუნდა და მიმართა: „როდესაც სადილს ან ვახშამს გამართავ, ნუ მოიწვევ შენს მეგობრებს, ნურც შენს ძმებს, ნურც შენს ნათესავებს, ნურც მდიდარ მეზობლებს, რათა მერე იმათაც არ მიგიწვიონ და არ მიიღო სამაგიერო. არამედ, როცა ლხინს გამართავ, მოიწვიე გლახაკნი, ხეიბრები... ნეტარი იქნები, რადგან მათ არაფერი აქვთ, შენ რომ მოგიზღან. ამიტომ შენ მართალთა აღდგომისას მოგეზღვება“, — ამით უფალი ისევ და ისევ თავმდაბლობისკენ მოგვიწოდებს. გლახაკებში უნდა ვიგულისხმოთ უპირველესად, სულით გლახაკნი — თავმდაბალი ადამიანები. ადამიანს ამპარტავან ადამიანებთან ურთიერთობა ხელს უშლის ღვთისკენ სვლაში, თავმდაბალ ადამიანებთან სიახლოვე და ურთიერთობა კი ყველაზე მეტად ეხმარება ნეტარების — სულიერი სიხარულის მოპოვებაში, რაც მართალი ცხოვრების სანაცვლოდ, „ცათა შინა გველოდება“.

მაცხოვარი მასპინძლის მიმართ წარმოთქმული სიტყვებით მოწყალების, მოყვასის თანადგომისა და სიყვარულის აუცილებლობაზეც მიგვანიშნებს. კეთილი საქმეები უნდა ვაკეთოთ უანგაროდ, არა იმ შეგნებით, რომ სამაგიერო მოგვიზღან, დედამიწაზევე გადაგვიხადონ ან მადლობა და ქება დავიმსახუროთ, არამედ იმის გამო, რომ ეს ჩვენი ვალია და ღვთის წინაშე დავიუნჯოთ. ვინც ჩემთან არ აგროვებს, ის ფანტავსო, — ბრძანებს მაცხოვარი. დაგროვებაში სწორედ ღვთის სადიდებლად, უანგაროდ გაკეთებული კეთილი საქმეების დაუნჯება იგულისხმება. სიკეთის გაკეთება რომ შევძლოთ, ამაშიც ღმერთი გვეხმარება, ამისთვისაც უნდა ვადიდოთ უფალი და ვმადლობდეთ მას.

■



ანტიდეპრესანტი

გზაში საკითხავი კოლაქი

ქემდგენელი თემურ ივანიძე

გაუგონარმა მიწისძვრამ დააქცია საქართველო. მთელი წელიწადი ირყეოდა ქვეყანა, ინგრეოდა და იმარხებოდა სოფლები, ქალაქები, ტაძრები, ციხენი და სასახლენი. ჩამოქცეულ თმოგვის კედლებქვეშ ცოცხლად, ცოლთან ერთად ჩაიმარხა ერისთავი კახაბერ ნიანიას ძე.

18. რომაელ დიქტატორ ლუციუს კორნელიუს სულაზე თანამედროვენი ამბობდნენ, რომ მის სხეულში ერთდროულად ორი ცხოველი — ლომი და მელაა ჩასახლებული და აუცილებლად დასძენდნენ: ეს უკანასკნელი ლომზე გაცილებით სახიფათოაო.

19. გადმოცემით ცნობილია, რომ ბანქოს მოყვარულმა ინგლისელმა გრაფმა, თამაშის დროს ხელი რომ არ დასვროდა, შემწვარი ხორცის ნაჭერი პურის ორ ნაჭერს შუა მოათავსა და ისე შეექცა. გრაფი გვარად სენდვიჩი გახლდათ და სახელდახელოდ გაკეთებულ ამგვარ ნამზადსაც მისი სახელი უწოდეს. სინამდვილეში, გრაფს ბანქო დასანახავად სძულდა და სენდვიჩი მხოლოდ იმისთვის გამოიგონა, რომ დაძაბული მუშაობისას სწრაფად დანაყრებულიყო, რადგან იგი, როგორც ინგლისის პარლამენტის წევრი, 1778 წელს მსოფლიოს გარშემო, კაპიტანი კუკის მოგზაურობის მომზადებაში მონაწილეობდა.

20. 1899 წელს ივანე ჯავახიშვილმა პეტერბურგის უნივერსიტეტი პირველი ხარისხის დიპლომით დაასრულა და იქვე დატოვეს, პროფესორის თანამდებობაზე მოსამზადებლად. არდადეგებზე პეტერბურგიდან თბილისში ჩამოსული მეცნიერი ბედისწერამ ლამის სასიკვდილოდ გაიმეტა — სოლოლაკში, რომელიღაც საკონდიტროში ფუნთუშების ერთმა წყებამ უამრავი ხალხი მოწამლა და მათ შორის გახლდათ ივანე ჯავახიშვილიც. იგი ძლივს გადაურჩა სიკვდილს და იძულებული გახდა, მთელი ცხოვრება მკაცრი დიეტა დაეცვა.

21. ინგლისელი ფიზიკოსი მაიკლ ფარადეი არასდროს ისწრაფოდა სიმდიდრისა და პატივისაკენ, მაგრამ საკუთარი დამსახურებებისათვის იგი სამოცდაათზე მეტი სამეცნიერო საზოგადოებისა და აკადემიის საპატიო წევრად იყო არჩეული. მისი შრომები ფიზიკაში ახალი ეპოქის დასაწყისად იქცა, მაგრამ ფარადეის საკუთარი გამოგონებანი არასოდეს დაუპატენტებია. მეცნიერს არაერთხელ უთქვამს უარი ხელსაყრელ თანამდებობაზე, რომელიც არნახულ შემოსავლებს უქადდა; მან უარი განაცხადა თავად-აზნაურის ტიტულზეც და განაცხადა: „დიდი მადლობა, მაგრამ მე მინდა, უბრალოდ ვიწოდებოდე — მაიკლ ფარადეი!“

ბიბლუსი

ბიბლუსი — იგივეა, რაც პაპირუსი, გრაგნილი, წიგნი

წვეთი პოეზია

ვერ ალივსება გული ჩემი შენდამი მტრ-ობი-თ...



ვერ ალივსება გული ჩემი შენდამი მტრ-ობი-თ,
მხოლოდ ეგაა, სახელს შენსას მოედო ობი.
შენ ცხოვრ-ობ შენი გულგრილ-ობი-თ, მე ვარ უშენოდ
და ალარ მინდა უშენ-ობ-ას ამოვუშენო
მტრ-ობი-ს ჯედელი, რადგან ახლაც მოჩანს გარჯვევით,
ქსოვ სიმარტოვეს აბრეშუმის ჭიის პარჯივით.

გივი ალხაზიშვილი

საახსოვარი

მურმან ლებანიძე

◆ ჩემს გალაკტიონს მე ვკითხე ერთხელ
(ის მთვრალი იყო, როგორც ყოველთვის):
— ბატონო გალაკტიონ, თქვენ პირველი ხართ,
დაგვისახელეთ მეორე პოეტი...
უცებ ჭინკებით გაევსო თვალი —
თვისი სიმაღლით ის იყო მთვრალი,
— საქართველოში??? — ჩაიქირქილა
და ღომურ წვერზე მოისვა ბრჭყალი...

ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია
არნოლდ ჩიქობავას რედაქტორობით

1982 წელს გამოცემული ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის
ერთტომეულის მიხედვით

შემდგენელი თემურ ივანიძე

დასაწყისი იხ. „გზა“, №2-52, 2010 — №1-27, 2011

ლიკლიკი — 1. პატარა და სწრაფი მდინარის ან ნაკადულის გამოცემული ხმა — რაკრაკი; 2. ბავშვის ლაპარაკი — ტიტინი.

ლილახანა სპარს. — 1. (ძვ.) სამღებრო; 2. გადატ. (საუბ.) ადვილი რამ; ადვილად ხელწამოსაკრავი (ლილახანა წაუხდება — ფასი, მნიშვნელობა დაეკარგება).

ლილვი — 1. მექანიზმი — მბრუნავი ღერო, რომელიც მოძრაობას გადასცემს მექანიზმის სხვა ნაწილებს; 2. საქსოვი დაზგის ნაწილი — მრგვალი ხე — საგორავი.

ლილიფარა — იგივეა, რაც მზესუმზირა.

ლილო — 1. ალაგ-ალაგ გამდნარი თოვლი; 2. აჭრელებული მინდორი, ადგილი.

ლილოჭრელი — იგივეა, რაც ლილო.

ლიმფა ლათ. — უფერული სითხე ადამიანისა და ცხოველის ორგანიზმის სადინარებში, მისი საშუალებით მიმდინარეობს ნივთიერებათა ცვლა სისხლსა და ქსოვილებს შორის.

ლინგი — ფიცრის კიდე (საბა.); რისამე კუთხე ან ნაპირი.

ლინეიკა რუს (ძვ.) — ღია გრძელი ეტლი ერთგვარი.

ლინოტიპი ლათ. ბერძ. — ასოთამწყობი მანქანა; ანაწყობს ჩამოასხამს მთელ-მთელ სტრიქონებად.

ლიპი — სრიალა ზედაპირის მქონე.

ლიჟული — წყლით გაჟღენთილი (შეშა).

ლირსი — ჩარჩოში ჩასმული თხელი ფიცარი.

ლირფი (ძვ.) — თავხედი, ურცხვი უტიფარი.

ლირწი — გარყვნილი, ბილწი, აჯორცი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ჩემი რჩეული

გალაკტიონ ტაბიძე

აკაკი

აკაკის იუბილე იყო, ბევრმა პირველად დაინახა ამ დღეს აკაკი.

მე ერთი კვირის წინეთ ვიკითხე სახაზინო თეატრის კასაში ბილეთი, მაგრამ სრულიად გაყიდული იყო ბილეთები.

დავრჩი ისე, რომ აკაკი ვერ ვნახე, უკვე 15 წლის ვიყავი, სემინარიაში ვსწავლობდი, ლექსებსაც ვსწერდი, ვბაძავდი აკაკის... „სირცხვილი არ არის, რომ აკაკი ვერ ვნახო“? — ვფიქრობდი, მაგრამ შემთხვევა არ მომეცა. სიონის ტაძრიდან აკაკი ეტლით წამოიყვანეს, მინდოდა დამენახა, მაგრამ ჩემს წინ ჩემზე მაღალი ხალხი დადგა. ეტლმა ჩაიარა კიდეც... შემდეგ სახაზინო თეატრის წინ ვიცდიდი, ხალხი ბუზივით ირეოდა... გათავდა საიუბილეო ზეიმი, აკაკი კი არ სჩანდა. ხალხი მოუთმენლად ელოდა მის გამოსვლას.

— □□□□□□□□□□□□! გაისმა პოლიციელების ხმა, — □□□□□□ □□□ □□□□□*

— აკაკი წავიდა!

გულდაწყვეტილი გვიან დავბრუნდი ბურსაში, სადაც სემინარიელები ერთმანეთს უზიარებდნენ თავიანთ შთაბეჭდილებებს აკაკიზე.

გავიდა რამდენიმე წელი...

მე უკვე სემინარიაში აღარ ვსწავლობდი. როდესაც სემინარიიდან გამოვედი, სადგურ ხორაგაულის ახლო, ერთ პატარა სოფელში მასწავლებლის ადგილი მომცეს.

კვირა-უქმე დღეებში სოფლიდან სადგურზე ჩამოვდიოდი, აქ თავს იყრიდნენ ჩემი ამხანაგი მასწავლებლები... საღამოობით თფილისიდან მატარებელი ჩამოივლიდა და ესეც ერთგვარ სიამოვნებას გგვრიდა. სრულიად მოულოდნელად რომელიმე ნაცნობი გადმოვიდოდა მატარებლიდან... მოგვიტანდა თბილისის ამბებს, გვეტყოდა რამეს ნაცნობების შესახებ...

ერთხელ დიდხანს ვიდექით სადგურზე... ვსაუბრობდით, ვიცინოდით... მატარებელიც მოვიდა. ჯგუფი ახალგაზრდა ქალების იდგა და მგზავრებს ათვალიერებდა.

ამ დროს მატარებლის მეორე კლასის ფანჯარა ჩამოიწია. კუპედან ღმერთივით გადმოიხედა ბამბის ქულასავით ჭაღარამ, ოლიმპიურად ამაყი სახის მქონე მოხუცმა...

— აკაკი! — ჩაილაპარაკა ვიღაცამ.

ელექტრონის ძალასავით იმოქმედა ამ სიტყვამ ყველაზე. ერთხანათ გაშეშებულნი ვიდექით. მე თვალებით ვჭამდი ამ სახეს. აკაკიმ წაიკითხა სადგურის შენობაზე მიკრული სახელწოდება და ფანჯარა ისევ დახურა. ვხედავდი, რომ იგი დინჯად გადაეშვა სავარძელში.

ყველანი ამ კუპესკენ გაექანენ... ბევრმა მატარებელში შესვლაც მოინდომა. დაჰკივლა ამ დროს მატარებელმა, მისცეს მესამე ზარი და მატარებელი გუ-

გუნით გაექანა სიპივით გალესილ რელსებზე.

დიდხანს დაყრუებულივით ვიდექი.

ორი წლის შემდეგ ქუთაისში ვცხოვრობდი.

არასდროს არ დამავიწყდება სალიტერატურო საღამო, რომელშიდაც პირველად გამოვდიოდი. ხუმრობა იყო? სცენაზე ლექსი უნდა წამეკითხა!

დილიდანვე რაღაც საშინელების გრძნობამ შემიპყრო... შიშმა სრულიად დამიმონა...

ერთიც ვნახოთ, დამავიწყდა ლექსი! მაშინ?.. საზოგადოება დაინტერესებულია „ახალგაზრდა მგოსნით“, იგი გაფაციცებით თვალ-ყურს გადევნებს, მაგრამ იგი სრულიადაც არ შესწუხდება, თუ შენ ლექსი დაგავიწყდა და შუა ადგილას გაყინდი... რომელიმე დაურიდებელი პირი შემდეგ საყვედურით გეტყვის:

—□□□□□□□□□□□

მორიგანი
ეჩხიდილთა ლეღოფალი

დასაწყისი იხ. „გზა" №48-52, 2010 - №1-27, 2011

მარი ჯაფარიძე

სათვალთვალო კამერის დაყენება მოვახერხე და დიმა ნარკოტიკების გასაღებაში ვამხილე. წამალი მასთან იმ მამაკაცს მიჰქონდა, რომელიც ყოველდღე, თითქმის ერთსა და იმავე დროს სტუმრობდა. დიმა „ტავარს" აფასებდა — „ჩეკებს" სიგარეტის ცარიელ კოლოფებში სათითაოდ ალაგებდა და ასე ყიდდა. ყველაფერი ისე ჰქონდა გათვლილი, არ ეგონა, რომ ვინმე მის „ბიზნესს" გაშიფრავდა. როცა დავიმარტოხელე და „კარტი გავუხსენი", დაბნეული ახამხამებდა თვალებს და ლუღლუღით ცდილობდა, ჩემთვის რამე აეხსნა, მაგრამ ბოლოს თვითონვე მიხვდა, თავის მართლება არ გამოუვიდოდა და ცოტა ხანში გაჩუმდა. ამის შემდეგ მისგან სასურველი ინფორმაციის მიღება სიძნელეს აღარ წარმოადგენდა.

რაც შეეხებოდა მაღალჩინოსანი ქართველი მილიციელების საქმეს, აქაც ყველაფერი ისე წავიდა, როგორც ვგეგმავდი — ორივე მათგანის გადმობირება იოლად მოვახერხე. გია ფსუტური თანამშრომლობას ვალების დაფარვის სანაცვლოდ დათანხმდა.

ჩემთვის დავალებული საქმეებიდან ყველაზე რთული ტოტას საქმე აღმოჩნდა. მას ქურდულ სამყაროში (და არა მარტო ქურდულში) დიდი გავლენა ჰქონდა — შეეძლო, სასურველი კანდიდატი სახელმწიფო დუმაში გაეყვანა, ბევრი მაღალჩინოსნის ოჯახში შინაურად მიიჩნევდნენ და ელიტურ თავყრილობებზეც ხშირად ჩნდებოდა. იმის მიუხედავად, რომ ასეთი გავლენიანი ახლობლები და „კრიშა" ჰყავდა, ნარკოდილერობაში ბრალი დასდეს და გარკვეული ხნით ციხეში გამოკეტეს. მერე საქმეში საჭირო ხალხი ჩაერთო და, გირაოს გადახდის სანაცვლოდ, ტოტა გარეთ გამოვიდა. თუმცა სასამართლოს ვერ აარიდებდა თავს და სავარაუდოდ, რამდენიმე წლით პატიმრობა ელოდა. დროებითი თავისუფლება ტოტამ თავის სასარგებლოდ გამოიყენა — მოძებნა ადამიანი, რომელიც მას გარეგნულად ჩამოჰგავდა და დიდი თანხის საფასურად, მის ნაცვლად ციხეში წასვლაზე დაითანხმა. სწორედ ეს გახდა ქართული მხარისთვის ცნობილი და ამის აღკვეთა მევალებოდა. რადაც უნდა დამჯდომოდა, ციხეში აუცილებლად თვითონ ტოტა უნდა მოხვედრილიყო და არა ვინმე სხვა. ჩემთვის არ იყო ცნობილი, ვის, მაგრამ ვიღაცას მისი თავისუფლება ხელს არ აძლევდა.

ტოტას მოძებნა პრობლემატური აღმოჩნდა. საჭირო ხალხის დახმარებით, მასთან დაახლოებული რამდენიმე ადამიანის გაცნობა მოვახერხე და იმდენი შევძელი, რომ ერთ-ერთ მათგანთან საცხოვრებლად გადავედი. ამის შემდეგ ჩემთვის ბევრი მნიშვნელოვანი ინფორმაცია გახდა ხელმისაწვდომი. ვესწრებოდი „სხადნიაკებს", საკუთარი ყურით ვისმენდი, როგორ ხდებოდა სხვადასხვა სფეროში წილების განაწილება, ამა თუ იმ ადამიანისთვის „განაჩენის" გამოტანა — საქმიდან გაყვანა ან საქმეში შეყვანა, ლიკვიდაცია, „თანამდებობრივი" წინაწევა.

ერთ მშვენიერ დღეს კი ის ადამიანი მოვიდა, რომელიც ტოტას ნაცვლად ციხეში წასვლას აპირებდა.

სასამართლომდე რამდენიმე დღე იყო დარჩენილი. მას ინსტრუქტაჟი ჩაუტარეს, იმ კითხვების სავარაუდო ვარიანტები გააცნეს, რომლებსაც მოსამართლე და ბრალდების მხარე დაუსვამდნენ, დაამშვიდეს, რომ ყველაფერი კარგად ჩაივლიდა, ვინაიდან მოსამართლიდან დაწყებული, პროკურორით დამთავრებული, ყველა საქმის კურსში იქნებოდა და გაუთვალისწინებელი არაფერი მოხდებოდა. პატიმრობის დროს საუკეთესო პირობებს შეუქმნიდნენ, 2 წელიწადში კი ჩიტივით თავისუფალი იქნებოდა და მის ანგარიშზე გადარიცხულ სოლიდურ თანხას მშვიდად მოიხმარდა.

მიკვირდა, რომ გენადი ყველაფერზე თანახმა იყო. თუმცა დაპირებული თანხა ალბათ ამად ღირდა. გენადის უკან გავყევი და მისი საცხოვრებელი ადგილი დავადგინე. სასამართლოს წინადღეს, გვიან ღამით, 2 ადამიანთან ერთად მივადექი, შინიდან გავიტაცე და გადავმალე.

ამით ჩემი მისია დასრულებული იყო. როგორც ჩანს, ამის შემდეგ საქმეში სხვა ადამიანი ჩაერეოდა, მე კი თბილისში დაბრუნების ბრძანება მივიღე.

ლაშამ და ჯონიმ ახალი საქმე დამახვედრეს, რომელიც თითქმის ბოლომდე ჰქონდათ მიყვანილი. ძებნილის ადგილსამყოფელი მათთვის ცნობილი იყო და ჩემი ჩამოსვლის შემდეგ ისღა რჩებოდა, რომ დამნაშავე აგვეყვანა. საამისოდ კი რაიონში უნდა წავსულიყავით. ვინაიდან ძებნილი ერთ მიყრუებულ, პატარა სოფელში იმყოფებოდა, მარტო წასვლა ვამჯობინე — შესაძლოა, 2 ადამიანის გამოჩენას ეჭვი გამოეწვია და დამნაშავე ხელიდან გაგვსხლტომოდა.

დილაუთენია დავადექი დასავლეთისკენ მიმავალ გზას. სოფელში ჩასულმა თავი ჟურნალისტად გავასაღე და ერთ-ერთ ოჯახში დავბინავდი. მასპინძლებს 2 პატარა ბავშვი ჰყავდათ, რომლებიც მთელი დღის განმავლობაში გვერდიდან არ მცილდებოდნენ და კარგად მართობდნენ. დიასახლისს ავუხსენი, რომ მათი სოფლის შესახებ რეპორტაჟის გაკეთებას ვაპირებდი და ვთხოვე, საინტერესო ადამიანებთან შემახვედრე-მეთქი, მაგრამ ჩემი იქ ყოფნის ამბავი ისედაც უცებ მოედო ყველა ოჯახს და დილიდან საღამომდე ჩემი გაცნობის მსურველების ნაკადი არ წყდებოდა. რა თქმა უნდა, ქალები მოდიოდნენ სტუმრად. მამაკაცები მხოლოდ ღობის ზემოდან თუ გადმოიხედავდნენ ხოლმე ეზოში და გზას განაგრძობდნენ. ქალები თავიანთ ამბავს, გასაჭირს მიყვებოდნენ. მეც, გულმოდგინედ ვუსმენდი და თანაგრძნობას გამოვხატავდი.

ზუსტად ვიცოდი, ვის ოჯახში იმალებოდა ძებნილი და ცხადი იყო, როგორმე მათთან უნდა მივსულიყავი. სოფელში რამდენიმე ოჯახს შინ ვეწვიე, მათ შორის — ახალგაზრდა ცოლ-ქმარს, სადაც ჩემთვის საინ-

ტერესო ადამიანი იმყოფებოდა. ეზოში ღობის ზემოდან გადავიხედე. ახალგაზრდა, სიმპათიური მამაკაცი სამიოდე წლის ბიჭუნას ეთამაშებოდა.

ჭიშკარი შევაღე და იქვე გავჩერდი — მასპინძლის მიპატიჟებას დაველოდე. მამაკაცმა გამომხედა, მაგრამ თითქოს არც დავუნახავვარ, — ბავშვთან თამაში გააგრძელა.

სახლიდან გამხდარი, ახალგაზრდა ქალი გამოვიდა და დამინახა თუ არა, მაშინვე გამიღიმა და შინ შემიპატიჟა.

— თქვენ ის ჟურნალისტი ხართ, ჩვენს სოფელზე რომ უნდა დაწეროთ, ხომ? — ხელი გამომიწოდა. — მე ნანა ვარ.

— დიახ, — ვუღიმოდი დიასახლისს და თან, თვალს არ ვაშორებდი მამაკაცს, — სასიამოვნოა.

— შინ შემობრძანდით, ყავას მოგართმევთ.

— მგონი, აქ ჯობია, ჩრდილში დავსხდეთ, გრილა კიდეც, — აივანზე დადგმულ, მოქანავე სავარძელში ჩავეშვი.

დიასახლისი შინ შევიდა.

— თქვენ ნანას მეუღლე ხართ? — ვცადე, მამაკაცის ყურადღება მიმეპყრო.

— არა, — კუშტად შემომხედა და მოკლედ მიპასუხა.

— ჩემი ქმრის ბიძაშვილია, შვებულება აქვს და დასასვენებლადაა ჩამოსული, — სახლიდან გამომძახა ნანამ.

— თბილისელი ხართ? — არ ვეშვებოდი.

— დიახ.

— სად მუშაობთ?

— თქვენ სოფლის ამბები გაინტერესებთ თუ აქ ჩამოსული დამსვენებლების?

— ყველაფერი მაინტერესებს.

როგორც იქნა, შემომხედა და უტიფრად ამათვალიერ-ჩამათვალიერა.

— ინტერვიუებს არ ვიძლევი!

— არცაა საჭირო. უბრალოდ, უხერხული სიჩუმე რომ დამერღვია, იმიტომ დაგელაპარაკეთ, მაგრამ როგორც ვხედავ, არ გსიამოვნებთ ჩემთან საუბარი და წავალ, — წამოვდექი.

— როგორ გეკადრებათ?! — თვითონაც წამოდგა. — ნანა! — ხმამაღლა გასძახა. — მაპატიეთ, შესაძლოა, ცოტა უხეშად გამომივიდა, მაგრამ უცხო ადამიანებთან კონტაქტი არ მიყვარს.

— თუ არ გამიცნობთ, სულ უცხო ვიქნები, — ადგილს დავუბრუნდი, — ჟურნალისტები მიჩვეული ვართ უცნაურ ადამიანებთან ურთიერთობას, — სასხვათაშორისოდ ვთქვი.

— გია მქვია და უცნაური არა ვარ, — წამოდგა და შინ შევიდა.

ნანამ ყავით სავსე 3 ფინჯანი გამოიტანა და ჩემ გვერდით მდგარ, დაბალ მაგიდაზე დადგა, 2 დაბალი სკამიც მიუდგა და ერთ-ერთზე თვითონ დაჯდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ გიაც გამოვიდა და მეორე, თავისუფალი სკამი დაიკავა.

კარგა ხანს დავრჩი მათთან. გია თანდათან გაიხსნა, ანეკდოტებს ჰყვებოდა, საკუთარ თავგადასავლებს იხსენებდა. თუმცა შუბლს ბოლომდე არ ხსნიდა და ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, თითქოს ნაძალადევად, სტუმარმასპინძლობის გამო იქცეოდა ასე.

ბინდდებოდა, როცა მათი სახლიდან წამოვედი. გიამ მხოლოდ ჭიშკრამდე მიმაცილა და დამემშვიდობა.

კარგა ხანს არ მცილდებოდა მასზე ფიქრი. ვერ ვხვდებოდი, რით მოახდინა ასეთი შთაბეჭდილება, მაგრამ ვგრძნობდი, რომ მასზე ფიქრი სიამოვნებას მანიჭებდა და დიდი სურვილი მქონდა, კიდევ მენახა.

მეორე დღეს ჩვენს ეზოს ახალგაზრდა გოგონა მოადგა, რომელმაც გადმომცა, — ნანა თავისთან გეპატიჟებაო.

მიწვევა სიხარულით მივიღე. ამჯერად ნანას ეზოში, ჭერმის ძირში სუფრა გაეწყო. თვალით გიას ვეძებდი, მაგრამ ვერსად შევნიშნე და გული დამწყდა.

ნანას გვერდით მივუჯექი, ერთმანეთი მოვიკითხეთ და გიაც გამოჩნდა. ცოტა ხანს სიჩუმემ დაისადგურა. ვცადე, უხერხული დუმილი დამერღვია და ლაპარაკი წამოვიწყე. კონკრეტულად გიასთვის არ მიმიმართავს და არც მას გამოუმჟღავნებია სურვილი, რომ საუბარში ჩაბმულიყო. გვისმენდა და სახის მიმიკაც კი არ ეცვლებოდა. მადიანად ილუკმებოდა და ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, საჭმლის მეტი ამწუთას არც არაფერი აინტერესებდა.

მოგვიანებით შევნიშნე, რომ ჩუმჩუმად მათვალიერებდა. ამ ადამიანს ვუყურებდი და რაღაცნაირ სითბოს ვგრძნობდი, მიუხედავად იმისა, რომ ასე უხეშად და ცივად მექცეოდა. მაშინ ვერც წარმოვიდგენდი, რომ ეს სწორედ ის ადამიანი იყო, ვინც ჩემს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი გახდებოდა.

თანდათან ჩავითრიე საუბარში, ვალაპარაკე. რაღაცებს მომიყვა, მაგრამ იმის შესახებ, რომ ძებნილი იყო, არაფერს ამბობდა და არც მქონდა იმედი, რომ ამ თემას შეეხებოდა. მე კი ჩემი თავი იმაში დავიჭირე, რომ უკვე იმაზე ვფიქრობდი, თუ როგორ დამეხსნა ის გარდაუვალი პატიმრობისგან.

მისთვის განსაცდელი რომ ამერიდებინა, საჭირო იყო, საქმის შესახებ ისეთი დეტალები მცოდნოდა, რაც გამოძიებისთვის დაფარული იყო.

ნანას კეთილგანწყობილებით ვისარგებლე და განგებ, გვიანობამდე შემოვრჩი. დიასახლისმა მოგვიბოდიშა, ბავშვს დავაძინებ, ცოტა ხნით დაგტოვებთო და შინ შევიდა.

— მე ჟურნალისტი არა ვარ, — ვუთხარი, როცა მარტონი დავრჩით.

— არ მიკითხავს შენი პროფესია — არ მაინტერესებს.

— ისეთი პროფესია მაქვს, რომ გაიგებ, დარწმუნებული ვარ, აუცილებლად დაგაინტერესებს.

— ქალბატონო მარგო, რა პროფესიაც უნდა გქონდეთ, არ მაინტერესებს.

— თუ პოლიციელი ვარ, არც მაშინ?

ჩემმა ნათქვამმა ცოტა დააბნია, მაგრამ არ შეიმჩნია, გონს მალე მოეგო.

— არც მაშინ. ყველა ადამიანს აქვს უფლება, ის პროფესია აირჩიოს, რომელიც სურს. ასე რომ, თუ პოლიციელი ხარ, ეგ შენი პრობლემაა, — პირველად მომმართა „შენობით“ და თვალებში გარეული ნადირის მზერა ჩაუდგა, რომელიც საფრთხის მოახლოებას გრძნობს და მზადაა, კამარა შეკრას, თავზე გადაგევლოს და ტყეში გაუჩინარდეს.

— კარგი. მინდოდა, გულახდილი ვყოფილიყავი, მაგრამ როგორც ჩანს, არ გამომივა.

— მოძღვარი არა ვარ, რომ აღსარება ჩავიბარო, — ხმაში აგრესია გამოერია.

— კარგი, როგორც გენებოს. თუ მოგინდება ჩემი მოსმენა, შეგვიძლია, ხვალისთვის გადავდოთ. ახლა კი წავალ, გვიანაა უკვე.

— გაგაცილებ, — მითხრა და ამჯერად მხოლოდ ჭიშკრამდე კი არა, ბოლომდე მიმაცილა, დამემშვიდობა და ხვალამდეო, — მითხრა.

კარგა ხანს ვფიქრობდი, რას ნიშნავდა ეს „ხვალამდე“. იმას, რომ ხვალ გავაგრძელებდით ლაპარაკს თუ იმას, რომ მიმანიშნა, — ყველაფერს მივხვდი, მაგრამ გაქცევას არ ვაპირებ და ხვალ ისევ შევხვდებითო.

მაინტერესებდა, რას მოიტანდა მეორე დღე. ყველაზე საწყენი ის იქნებოდა, იმ ღამით გია რომ აბარგებულიყო და სადმე გადაკარგულიყო. თუმცა, თუ სწორად იაზროვნებდა, უნდა მიმხვდარიყო, რომ ჩემ მიერ წამოწყებული საუბარი იმას ნიშნავდა, — მის მიმართ მტრულად არ ვიყავი განწყობილი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

დასაწყისი იხ „გზა“ №19-27

რუსუდან ბერიძე

— მეარშიყება არა კიდევ ის! — შეუღრინა ნატამ მაქსს. — რას მიედ-მოედები? ადამიანი ხედავს, რომ მოწ-ყენილი ვზივარ და მართობს. თან, ეს ყველაფერი მართლა მაინტერესებს. თუ ეჭვიანობ, პირდაპირ მითხარი!

— ვეჭვიანობ?.. ვისზე?.. იმ იდიოტზე?

— როგორ ლაპარაკობ უცხო ად-ამიანზე, მას ხომ არ იცნობ!

— ვიცნობ! უკვე მოვუსმინე, რა ჩიტიც ბრძანდება!

— შენთვის მისი მოსმენა არავის დაუვალებია.

— თქვენი ჭყლოპინი ლამის მთელ თვითმფრინავს ესმის და როგორ დავიყრუო თავი?

— ნეტავ, ცოტა ხნით მართლა დაყრუ-ვდებოდე და დამუნჯდებოდე კიდეც, რომ შენი ნოტაციებისგან დავისვენო!

— და, თან, იმ აფერისტთან იფ-ლირტაო, ხომ?

— შემთხვევით ჩემზე ხომ არ ლაპარ-აკობთ? — მოულოდნელად თავის ადგ-ილს დაუბრუნდა გლები.

— დიახ, თქვენზე! — აღარ მოერი-და მას მაქსი.

— არა, თქვენზე არა! — მაშინვე ჩაერია ლაპარაკში ნატა. — სულ სხვა რამეზე ვკამათობდით.

ამის შემდეგ უხერხული სიჩუმე ჩამოწვა, რომელიც შემდეგ მაქსმა დაარ-ღვია:

— წავალ, ისევ გავივლი, თორემ ვატყობ, აქ სრულიად ზედმეტი ვარ.

— ახლა კი მგონი, ძალიან გავანაწ-ყენეთ თქვენი მეგობარი, — შეწუხდა გლები.

— ყურადღებას ნუ მიაქცევთ. ეს მისი ჩვეული მდგომარ-ეობაა.

— მართლა პოლი-გლოტია?

— დიახ.

— რამდენი ენა იცის?

— მგონი, 6 თუ სუ-ლაც 7...

— ჩინურშიც ძლი-ერია?..

— კი, ჩინურშიც, ფრანგულშიც, ინგლი-სურშიც და ასე შემდეგ... — ამოიოხრა ნატამ. — მარტო ჩემი ენა არ ეს-მის.

— ჰო, საერთო ენის გამონახვა ადვილი საქ-მე არ არის, მაგრამ თქვენ და თქვენს მეგობარს ჯერ მაინც ყველაფერი წინ გაქვთ.

— სიმართლე გითხ-რათ, მაქსის შემხედვარეს აღარაფერი მინდა, — თავი უმწეოდ ჩაქინდრა ნატამ.

— აბა-აბა, ასეთები არ იყოს! — შეუძახა გოგონას გლებმა. — მოწყენა არ გიხდებათ. ამიტომ, თუ ჯერ კიდევ არ მოგაბეზრეთ თავი, შეგვიძლია, შოუ განვაგრძოთ.

— შოუ?

— დიახ. მართლა, შეხედეთ ერთი, ჩვენი მშვენიერი „სტიუარდესები“ როგორ გრაციოზულად არიგებენ ნაირ-ნაირ სასმელს. რას ინებებთ, ჩაის თუ ყავას?

— ყავას.

— მეც.

გლებმა ნატას ყავით სავსე ფინჯანი მიაწოდა და ორივე სიამოვნებით შეექ-ცეოდა არომატულ სასმელს.

— ტელეპათიის თუ გჯერათ? — დაინტერესდა გლები.

— ალბათ — არა, — მოულოდ-ნელად ფეხზე წამოდგა ნატა.

— სად მიდიხართ? — შეცბა ახალი ტრიუკის ჩასატარებლად მომართული მამაკაცი.

— არსად. ჯდომით დავიღალე, — უპასუხა ნატამ და უცბად სახე შეეცვ-ალა, რადგან თვითმფრინავის ბოლო-ში, ტუალეტის სიახლოვეს, ტკბილად მოუბარი წყვილი შენიშნა.

ახალგაზრდა სიმპათიურ ქალს, რომელიც მამაკაცს ყურადღებით უს-მენდა და ზოგჯერ გულიანადაც კისკისებდა, ნატა პირველად ხედავდა; მამაკაცი კი, ვინც უცხო ქალს ასე არ-თობდა და ამხიარულებდა, მაქსი აღ-მოჩნდა.

— რა დაგემართათ? — შეწუხდა გლები.

— არაფერი, — მამაკაცისკენ აღარ მიუხედავს, ისე უპასუხა ნირწამხდარმა ნატამ და მაშინვე თვითმფრინავის ბო-ლოსკენ გასწია.

გლებმა კი გოგონასთვის კიდევ რაღაცის კითხვა დააპირა, მაგრამ უე-ცრად საშინლად გაფითრდა, საიდან-ღაც მოულოდნელად მოვარდნილი ტკივილისგან თვალის გუგები გაუფარ-თოვდა, ტუჩები გაულურჯდა, პირი საცოდავად დააფჩინა და დაკრუნჩხუ-ლი თითებით სავარძლის სახელურს გამეტებით ჩააფრინდა...

— რას გეტყვი, იცი? — თემოს ბოლო რომანის რამდენიმე თავის წაკ-ითხვის შემდეგ სავარძელში გადაწვა შეფიქრიანებული არჩილ ასათიანი და ბურთივით მრგვალი ფუჟერიდან კო-ნიაკი ნება-ნება მოწრუპა. — „ალგორით-მთან“ დაკავშირებით მგონი, მართლა ავჩქარდი.

— რას გულისხმობ? — დაინტერეს-და მის პირდაპირ, მეორე სავარძელში მოკალათებული თემო და, თან, კო-ნიაკიანი ფუჟერი ჟურნალის მაგიდაზე ფრთხილად დადგა.

— არ მოგეწონა? — კითხვაზე კითხ-ვით უპასუხა ასათიანმა.

— რა, „ალგორითმი?“

— „ალგორითმი“ კი არა, — კონია-კი.

— კონიაკს ჩემი დასაწუნი რა სჭირს? — ფუჟერი ისევ ხელში აიღო თემომ და სასმელი მოსვა. — უბრალოდ, მან-ქანით ვარ და პოლიციასთან პრობლე-მებს ვერიდები. აი, შენი ქებული „ალ-გორითმი“ და მისი წარმომადგენელი კი არ მეხატება გულზე და მგონი, ნელ-ნელა შენც ჩემს აზრზე დგები.

— მთლად სწორად ვერ გამიგე.

— შენც ადექი და უფრო გასაგებად ამიხსენი.

— ზოგადად „ალგორითმთან“ ურთ-იერთობის წინააღმდეგი როდი ვარ.

— აბა?

— უბრალოდ, არ უნდა „შემეტენე“ მის მიერ მოწყობილ კონკურსში. შენი რომანები მკითხველისკენ უამისოდაც გაიკვლევდა გზას.

— ამას ახლა მეუბნები?

— ხომ გაგიგონია, — ჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო.

— აბა, ახლა რას მთავაზობ?

— ამ ეტაპზე — ახალს ვეღარაფერს, — საკუთარ კაბინეტს თვალი ისე ყურა-დღებით მოავლო ასათიანმა, თითქოს იქ პირველად მოხვდაო, — ხომ იცი, უკვე ყველაფერი გადაწყვეტილია. ასე რომ, მაინც მოგიწევს იმ უცნაურ კონკურსში მონაწილეობა. თან, იქ მარ-ტო კი არა, მშვენიერ ქალთან ერთად მიდიხარ და მეტი რაღა გინდა?!

— ის მშვენიერი ქალი, ცნობისთვის,

ჟურნალისტია და კონკურსზე ჩემთან გასართობად როდი მოდის, — გაღიზიანდა თემო.

— რა თქმა უნდა, მაგრამ სხიერელი რისი სხიერელი იქნება, რომ სასარგებლოს სასიამოვნოც არ შეუთავსოს? — თვალები ეშმაკურად მოწკურა აჩიკომ.

— მორჩი რა უაზრო ლაპარაკს! — ფეხზე უკმაყოფილო სახით წამოდგა თემო.

— კარგი, ჰო, რას ავარდი? — ზანტად წამოდგა ასათიანიც. — იუმორზე ხომ არ აგცრეს?

— გაფრთხილებ, ლალისთან დაკავშირებით ასე აღარასდროს მეხუმრო!

— მოიცა, მოიცა, — ხელში შერჩენილი ფუჟერი მაგიდაზე ხმაურით დადგა ასათიანმა, — არ მითხრა ახლა, რომ...

— წავედი! — კარისკენ დემონსტრაციულად შებრუნდა სხიერელი.

— ვერ მოგართვეს! — მეგობარს გზა გადაუღობა აჩიკომ. — სანამ ყველაფერს არ ჩამიკაკლავ, აქედან ფეხსაც ვერ მოიცვლი!

— მაინც რა უნდა ჩაგიკაკლო?

— კიდეც რომ მეკითხება! — თავი უკმაყოფილოდ გადააქნია ასათიანმა. — როგორც იქნა, ქალი სერიოზულად მოგეწონა და ამას მიმალავ?

— არაფერსაც არ გიმალავ, — გვერდზე დამნაშავესავით გაიხედა სხიერელმა.

— ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო, — თვალები ისევ ეშმაკურად მოწკურა აჩიკომ და შემდეგ მეგობარს მხარზე ხელი შინაურულად დაჰკრა: — რაო? როგორც იქნა, შენს „ქუჩაზეც“ ჩამოიარა სიყვარულმა?.. არა, რა, ის გოგო სასწრაფოდ უნდა გავიცნო! ერთი სული მაქვს, ვნახო, მოურჯულებელი სხიერელი ასე ვინ დააბა.

— ეგღა მაკლია, შენისთანა მექალთანეს წესიერი ქალი გავაცნო.

— მოგიწევს, ძმაო. შენი მეჯვარე ხომ მე უნდა ვიყო.

— მეჯვარეო?.. როდის გითხარი, ცოლი მომყავს-მეთქი?

— გინდა, დავნაძლევდეთ? და თუ წააგე, იცოდე, საქორწინო მოგზაურობაში მეც აგეკიდები.

— შემეშვი, რა! — მეგობარს ხელი უხერხულად აუქნია სხიერელმა. — ნამდვილი მასხარა ხარ.

— კარგი, ახლავე დავსერიოზულდები და ისევ ჩვენს საქმეს მივუბრუნდეთ.

— ნამდვილად ასე აჯობებს.

— მაშინ აჰა, კონკურსზე წასასვლელი რამე-რუმეები, — სეიფიდან თვითმფრინავის ბილეთები, ფული და კიდევ რაღაც ფურცლები გამოიღო ასათიანმა და ჟურნალის მაგიდაზე დაუდევრად დაყარა, — ბათუმამდე თვითმფრინავით ჩაბრძანდებით, იქ კი „ალგორითმის“ წარმომადგენლები დაგეპატრონებიან და დანარჩენი უკვე მათ მარიფათზე იქნება დამოკიდებული.

— ეს რა ფულია? — დაინტერესდა თემო.

— ბათუმამდე ჩასასვლელი.

— მერე ამდენი რა საჭიროა?

— აიღე, აიღე! დანარჩენი ჩემი ფეშქაშია, — მეგობარს თვალი ეშმაკურად ჩაუკრა აჩიკომ, — შენს მდგომარეობაში მყოფ კაცს ფული მოემეტება?

— მართალი ხარ, — ფული ჯიბეში ჩაიქანა სხიერელმა და შემდეგ ფურცლებს მიუბრუნდა.

— აი, მანდ კიდევ კონკურსის პირობებია დაწვრილებით ახსნილი, — დაასწრო ასათიანმა, — ოღონდ გთხოვ, აქ არ დაიწყო კითხვა და პრეტენზიების წამოყენება.

— არ დავიწყებ, — ფურცლებისთვის არც კი დუხედავს, საქაღალდეში ისე შეინახა თემომ.

— სწორადაც იქცევი, — მხარზე ხელი ისევ შინაურულად მოუთათუნა ასათიანმა მეგობარს, — მაინც აღარაფერი შეიცვლება...

ოთარ ორდენიძემ კაბინეტში შესვლა ძლივს მოასწრო, რომ ანდრო ლეკიშვილი მაშინვე ფეხდაფეხ მიჰყვა:

— აუ, შეფ, ძალიან მმმაგარია!

— ჩემს დევნას როდის მოიშლი? — ხელქვეითისკენ არც კი მიუხედავს, ისე ჰკითხა გამომძიებელმა.

— არასდროს, შეფ.

— ასეც ვიცოდი, — ამოიოხრა ორდენიძემ და მაგიდას მიუჯდა, — მაშინ ის მაინც ამიხსენი, რა არის მაგარი?

— რა კი არა, — ვინ. ნინო საღირაშვილის გოგოზე გეუბნები.

— ა-ა, უკვე მოვიდნენ?

— მარტო მოვიდა.

— მერე დედამისი?

— დედამისს აქ წამოსვლის წინ რაღაც გადაუდებელი საქმე გამოსჩენია და როგორც კი მოიცლის, მაშინვე შემოგვიერთდება. რა ვქნა, შემოვიყვანო თუ დაველოდოთ და ბარემ ერთად დავკითხოთ დედა-შვილი?

— არა, ახლავე შემოიყვანე. იქნებ იმ ქალმა დღის ბოლომდეც ვერ მოიცალოს და მისი შვილი აქ სადამდე უნდა ვაყურყუტოთ?

— ჩემი ნება რომ იყოს, აღარ გავუშვებდი, — ტუჩები ვნებიანად მოილოკა ლეკიშვილმა, — მაგარი ვინმეა.

— მორჩი სისულელეებს!.. ხომ არ გავიწყდება, ის გოგო ადამიანის მკვლელობასთან დაკავშირებით რომ უნდა დავკითხოთ?

— მთლად მაგის მოკლულიც რომ იყოს ის უბედური იოსებიძე, ციხეში ჩასასმელად მაინც ვერ გავიმეტებდი, — თავისას არ იშლიდა ანდრო.

— დროზე შემოიყვანე-მეთქი! — ხმა გაიმკაცრა ორდენიძემ.

ანდრო ოთახიდან სწრაფად გავიდა და, ცოტა ხანში, უკან უმშვენიერეს ახალგაზრდა ქალთან ერთად დაბრუნდა.

— გამარჯობა, — ოთახში შესვლისთანავე მიესალმა ქალი გამომძიებელს, — მე ნატა სტაშკო ვარ.

— გამომძიებელი ოთარ ორდენიძე, — ქალს ხელი მშვიდად ჩამოართვა გამომძიებელმა და დაჯდომა შესთავაზა.

ნატა სკამის კიდეზე მოხდენილად ჩამოჯდა და გამომძიებელს მომლოდინე მზერა მიაპყრო.

— ალბათ, უკვე იცით, აქ რატომაც დაგიბარეთ? — შორიდან მოუარა გამომძიებელმა, რომელიც ქალის სილამაზემ თავის ხელქვეითზე ნაკლებად როდი მონუსხა.

— ვიცი. დედამ ყველაფერი მიამბო.

— მაშინ პირდაპირ საქმეზე გადავიდეთ.

— როგორც ინებებთ.

ის იყო, გამომძიებელს პირველი კითხვა უნდა დაესვა, რომ მის მაგიდაზე

მდგარი ტელეფონი აწკრიალდა. ორდენიძემ ყურმილი სწრაფად აიღო და როგორც კი სატელეფონო ხაზის მეორე ბოლოში მყოფი ადამიანის ხმა გაიგონა, მაშინვე სახე შეეცვალა. პოლკოვნიკი კახაბერ ურთმელიძე რეკავდა, რომელმაც ხელქვეითი სასწრაფოდ თავისთან იხმო.

— ორ წუთში მანდ ვიქნები, ბა-

ტონო კახაბერ, — ჩასძახა ყურმილში გამომძიებელმა და ფეხზე უხალისოდ წამოდგა.

— რა უნდა? — დაინტერესდა ლეკიშვილი.

— ჯერ არ ვიცი, — ყურმილი თავის ადგილზე დააბრუნა შეფიქრიანებულმა ორდენიძემ, — მაგრამ ჩვენი საუბარი მცირე ხნით უნდა გადავდოთ, — ნატას მორიდებით შეხედა შემდეგ, — უფროსს ჩემთან სასწრაფო საქმე აქვს.

— დაგელოდებით, არსად მეჩქარება, — მომხიბვლელად გაუღიმა გამომძიებელს ნატამ...

— სად ხარ ამდენ ხანს? — კაბინეტში შესვლისთანავე შეუღრინა ორდენიძეს პოლკოვნიკმა. — გგონია, შენი ლოდინის გარდა სხვა საქმე აღარ მაქვს?

— ბოდიშს გიხდით, ბატონო კახაბერ, იოსებიძის საქმეზე ერთ მის ნაცნობს ვკითხავდი და...

— შეგიძლია, დაკითხვა აღარ გააგრძელო, — გააწყვეტინა ხელქვეითს პოლკოვნიკმა.

— რატომ? — გაუკვირდა გამომძიებელს.

— სეხნიაშვილმა იოსებიძის მკვლელობა აღიარა.

— აღიარა? — გაოგნდა გამომძიებელი. — როგორ? როდის?..

— ზუსტად 2 საათის წინ, — ძვირფას საათზე კმაყოფილი სახით დაიხედა ურთმელიძემ.

— მაგრამ ეს ხომ...

— არავითარი მაგრამ! — ხმას აუწია პოლკოვნიკმა. — გიმეორებ, რომ იოსებიძის მკვლელობა უკვე გახსნილია. მეტიც, სეხნიაშვილი იმდენად დამყოლი აღმოჩნდა, რომ ლაზიშვილის მკვლელობაც საკუთარ თავზე აიღო და ორმაგი მკვლელობის იარაღის ადგილსამყოფელიც თავად მიგვითითა. ჩვენმა ბიჭებმა იარაღი მისსავე საცხოვრებელ სახლში, რამდენიმე მოწმის თანდასწრებით უკვე ამოიღეს. ასე რომ, ორივე საქმე დასრულებულია და დღედღეზე მასალები სასამართლოს გადაეცემა.

— კი, მაგრამ...

— რაც შეეხება სეხნიაშვილის ბებიის სიკვდილს, — ისევ გააწყვეტინა ურთმელიძემ გამომძიებელს, — ის მხოლოდ უბედური შემთხვევა იყო და ერთადერთმა მოწმემ, სეხნიაშვილის მეზობელმა ეს უკვე დაადასტურა.

— და ამ ყველაფერს მე ახლა ვიგებ? — სიმწრისგან ხმაც კი ჩაუწყდა გამომძიებელს.

— აი, ეს კი საკუთარ თავს დააბრალე, — პრიალა მაგიდის ზედაპირზე ხელისგულები მხიარულად აატყაპუნა პოლკოვნიკმა, — საქმის სასურველ დასასრულამდე მისაყვანად დროც გქონდა და ჩემი სრული კეთილგანწყობილებაც, მაგრამ არც ერთი გამოიყენე და არც — მეორე.

— მართალი ბრძანდებით, — ამოიოხრა ორდენიძემ, — ჩემი ბრალია ყველაფერი.

— მიყვარს თვითკრიტიკული ადამიანები, — ფეხზე წამოდგა ურთმელიძე და ოთახში მედიდურად გაიარ-გამოიარა, — მაგრამ გული არ გაიტეხო! არც შენ და არც შენს მწითურ თანაშემწეს მაინც არ დაგჩაგრავთ და მარტო პრემიას კი არ გამოგიწერთ, ერთკვირიან შვებულებაშიც გაგიშვებთ.

— ასეთი პატივი რისთვის გვერგო?

— იმისთვის, რომ... მოკლედ, „ზემოთ“ იციან, რომ საქმე თქვენ ორმა გამოიძიეთ და ლოგიკურ დასასრულამდეც თქვენ მიიყვანეთ. ხომ ყველაფერი გასაგებია? — ისევ სამუშაო მაგიდას მიუჯდა ურთმელიძე.

— და მერე როგორ, ბატონო კახაბერ.

— მაშინ წადი და საქმეს მიხედე!

ორდენიძე ფეხზე დაღვრემილი წამოდგა და კარისკენ უსიტყვოდ შებრუნდა.

— მართლა, გაითვალისწინე, რომ შენ და ლეკიშვილი შვებულებაში მომავალი ორშაბათიდან გადიხართ! — დააწია კართან მისულ ხელქვეითს პოლკოვნიკმა.

— გავითვალისწინებ, ბატონო კახაბერ, — კაბინეტის კარი უსიამოჭრიალით გამოაღო ორდენიძემ...

საკუთარ კაბინეტთან მისულ ორდენიძე სანდროს და ნატას მხიარული სიცილი შემოესმა და თავი უკმაყოფილოდ გადააქნია: „თავისას მაინც არ იშლის ეს ბიჭი!“

გამომძიებლის დაღვრემილი სახის დანახვისთანავე ანდროს სიცილი პირზე შეაშრა:

— რა მოხდა?

— არაფერი, — სკამზე მოწყვეტით დაჯდა ორდენიძე და მაგიდაზე გაშლილ ფურცლებს უაზროდ დააშტერდა.

— შეფ... — ისევ რაღაცის თქმა დააპირა ლეკიშვილმა, მაგრამ გამომძიებელმა დაასწრო:

— ნუ ნერვიულობ, მშვიდობაა.

— მართლა? — როგორც იქნა, შვებით ამოისუნთქა ანდრომ. — თორემ ისეთი სახით შემოხვედი, რომ...

— სამაგიეროდ, თქვენ არ მოგიწყენიათ უჩემოდ, ხომ ასეა? — მიუბრუნდა ორდენიძე ნატას.

— ასეა, — გაეღიმა ნატას, — ენამოსწრებული კოლეგა გყავთ.

— გეთანხმებით, — ლეკიშვილს ქვეშ-ქვეშ გახედა გამომძიებელმა, — ენა რომ არ ჰქონდეს...

— მარტო ენა, შეფ? — სასწრაფოდ ჩაერია ლაპარაკში გახალისებული ლეკიშვილი.

— მაშ ასე, — მაგიდას გაშლილი ხელი ფრთხილად დაჰკრა ორდენიძემ, — შენს დანარჩენ ღირსებებზე სხვა დროს ვილაპარაკებთ. ახლა კი...

— მართლა, — ისევ გააწყვეტინა გამომძიებელს ანდრომ და, თან, მოგრძო კონვერტი გაუწოდა, — სანამ „თლა უფროსთან“ იყავი აი, ეს მოგიტანეს.

კონვერტში 2 მოსაწვევი ბარათი იდო. ორდენიძემ ერთ-ერთი გაშალა და თვალით სწრაფად გადაურბინა.

— რაო, რა გვინდაო?

— ო, ეს სერიოზული და საჩქარო საქმეა, — ბარათი ისევ კონვერტში ჩააბრუნა ორდენიძემ, — ორივე ახლავე უნდა წავიდეთ.

— ორივე? — გაუკვირდა ლეკიშვილს. — მაინც სად?

— ამას მერე გეტყვი, — მრავალმნიშვნელოვნად შეხედა გამომძიებელმა ქვეშევრდომს და შემდეგ ნატას მიუბრუნდა: — ქალბატონო ნატა, ვწუხვარ, მაგრამ დღეს ჩვენი საუბარი ველარ შედგება.

— არა უშავს, — წასასვლელად მოემზადა ნატა. — როცა მოიცლით, დამირეკეთ და მაშინვე აქ გავჩნდები.

— დამავალებთ.

— პირიქით, თქვენ დამავალებთ, თუ ბიძია იონას საქმეს ობიექტურად გამოიძიებთ და ციხეში მის ნამდვილ მკვლელს გაუშვებთ.

— რა თქმა უნდა, ქალბატონო ნატა, ან კი სხვაგვარად როგორ იქნება?

— რა ვიცი, რა ვიცი!.. — სევდიანად გაეღიმა ნატას. — ჯერ არც ისე დიდი ვარ, მაგრამ უკვე იმდენი უსამართლობა მაქვს ნანახი, რომ სულ არ გამიკვირდება თუ ამჯერადაც...

— პირობას გაძლევთ, რომ ამჯერად სასიამოვნოდ გაგაოცებთ, — სათქმელის დასრულება აღარ აცალა გამომძიებელმა ქალს და სასწრაფოდ დაემშვიდობა.

— რა იყო, შეფ, რა უცერემონიოდ გაუძახე იმ გოგოს გარეთ? — ნატას გაცილების შემდეგ სკამზე უხალისოდ ჩამოჯდა ორდენიძის კაბინეტში დაბრუნებული ლეკიშვილი. — ცოტა ხანს კიდევ გვეყურებინა სილამაზისთვის, გაცვდებოდა თუ რა?! ან ამ მოსაწვევში რა წერია ისეთი, რომ ნახევარი საათი ვეღარ მოიცდიდა?

— ნახევარი საათი კი არა, მთელი ცხოვრება მოიცდის, — კონვერტი ხელქვეითისკენ მისწია ორდენიძემ.

ლეკიშვილმა კონვერტიდან მოსაწვევი ამოიღო, სწრაფად გადაიკითხა და ორდენიძეს გაკვირვებულმა შეხედა:

— ეს რა კრეტინობაა?

— არ ვიცი და სიმართლე გითხრა, არც მაინტერესებს, რადგან მე და შენ კიდევ უფრო დიდ კრეტინობაში ვართ გახვეულები.

— ესე იგი, მაინც რაღაც ცუდი მოხდა, ხომ?

— ცუდი კი არა, ყველაზე უარესი. სეხნიაშვილმა იოსებიძისა და ლაზიშვილის მკვლელობა ერთად აღიარა.

— გაგიჟდა? — კონვერტი და მოსაწვევი მაგიდაზე ნერვიულად მოისროლა ლეკიშვილმა.

— პირიქით. რომ არ გაგიჟებულიყო, იმიტომ გააკეთა ეს ყველაფერი.

— ეგ როგორ?

— იცი, ვინ ჩამოართვა აღიარებითი ჩვენება?

— „კბილამ“ ხომ არა?

— გამოცანა გეკუთვნის, მაგრამ კოლეგების მეტსახელებით მოხსენიება რა უბედურებაა?

— ეშმაკი და ქაჯი იყოს „კბილას“ და მისთანების კოლეგა! — გაგულისდა ლეკიშვილი. — სულ აღარ მიკვირს სეხნიაშვილის საქციელი. არ აღიარებდა და მისი აჯობებდა...

— ჰო, მაგრამ ესეც არ არის ყველაფერი.

— აბა?

— ურთმელიძემ „ზემოთ“ უკვე ისიც უპატაკა, რომ ეს ყველაფერი „კბილას“ ანუ უჯმაჯურიძის კი არა, ჩვენ ორის დამსახურებაა და ამისთვის პრემია და ერთკვირიანი შვებულებაც კი გვეკუთვნის.

— ისე, რა შესაფერისი გვარი აქვს ამ „კბილას“, არა? მართლა ჯმაჯური და ჯაჯგურია მაგის მთავარი დანიშნულება.

— ჩვენი დანიშნულება რაღაა? უდანაშაულო ადამიანის ცხოვრების გადახაზვა?

— ჰო-ო, — ამოიოხრა ლეკიშვილმა, — ნამდვილად ვერ არის კარგი საქმე, მაგრამ ღმერთმა ხომ მაინც იცის, რომ ეს ჩვენ არ ჩაგვიდენია.

— სწორედაც რომ ჩვენ ჩავიდინეთ! — ხმას აუწია ორდენიძემ. — ჩვენმა, პირველ რიგში კი ჩემმა უპრინციპობამ მიგვიყვანა აქამდე!

— კარგი რა, შეფ, ხომ იცი, რომ მაინც ვერაფერს გავხდებოდით! აბა, ჩვენ რა შეგვიძლო?!

— თუ ამის მეტი მართლა არაფერი შეგვეძლია, მაშინ ქუდები უნდა დავიხუროთ და სახლებში წავიდეთ.

— სხვათა შორის, ცოტა ხნის წინ სწორედ ამის გაკეთებას ვაპირებდი და შენ არ დამანებე.

— არც ახლა დაგანებებ.

— აბა, რას აპირებ?

— რას და... — წამით ჩაფიქრდა ორდენიძე და შემდეგ დაუმატა: — მართალია, მთელ ქვეყანას ვერ გავასწორებთ, მაგრამ ირაკლი სეხნიაშვილი ციხისგან აუცილებლად უნდა ვიხსნათ...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

დასაწყისი იხ. გზა №23-27

სამზარეულოში გავედი. ვასიკო გამომეკიდა. სანამ ჩაის გავამზადებდი, გვერდიდან არ მომცილებია. მეც დავასაქმე, ერთობ „მნიშვნელოვანი“ დავალება მივეცი. ვთხოვე, მურაბა და ნამცხვარი გაეტანა ოთახში. სიხარულით დამთანხმდა. ფინჯნები და გავარვარებული ჩაიდანი კი მე თვითონ გავიტანე. კარგი ჩაი მქონდა, ინგლისური, ნამდვილი ჩაის არომატით, ისეთი კი არა, ჩვენს მაღაზიებში რომ იყიდება ორ ლარად... ამით ყოველთვის ვიწონებდი თავს სტუმრების წინაშე. თუმცა ამჯერად ეს არ გამიკეთებია. მეტი საქმე არ მქონდა, ლადოს ლაქიას წინაშე თავი მომეწონებინა. ერთხანს უხმოდ ვსვამდით სამივე. დღევანდელი საღამო თითქოს რაღაც დროებითი შერიგების რიტუალს ჰგავდა. შიგადაშიგ ლევანი გამიღიმებდა ხოლმე. მიკვირდა მისი ღიმილი. ვერც კი ვიფიქრებდი, თუ მას გაღიმება შეეძლო და რამდენჯერმე უცნაურად გავხედე.

— რატომ მიყურებთ ასე? — ვერ მოითმინა და მკითხა.

— პირველად დავინახე თქვენს სახეზე ღიმილი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მთლად ბოლომდე წყალწაღებული არ ყოფილხართ, მაპატიეთ ჩემი პირდაპირობა, თუკი ეს ტკივილს მოგაყენებთ.

— არა უშავს, ხდება ხოლმე, — ხმადაბლა ჩაილაპარაკა და ნამცხვარი გადაიღო.

— აბა, იქნებ მითხრათ ახლა, რა სიურპრიზი მომიმზადეთ, — ვთქვი ბოლოს.

— არანაირი... უბრალოდ, ვასოს უნდოდა თქვენი ნახვა და მოგიყვანეთ.

— სულ ეს იყო? რა განსაცვიფრებელი ამბავია! ბიძამისმა თუ იცის? — ირონიულად შევნიშნე.

— რა თქმა უნდა, იცის, — თავი დამიქნია.

— მაშინ, გამოდის, რომ თქვენმა ბოსმა რაღაც ჩაიფიქრა, თორემ რატომ უნდა მიეღო ასეთი გადაწყვეტილება? ფაქტია, რომ არ მოვწონვარ.

— არა, რატომ ამბობთ ასე...

— რატომ? იმიტომ, რომ საშინლად მომექცა. რა, დაგავიწყდათ? თუ თქვენ არ იყავით იმ ყველაფრის მოწმე? დაგავიწყდათ, რა დღე დაგვაწიეთ მეც და ბავშვსაც? — წარბები შევკარი.

— მაშინ სხვა სიტუაცია იყო, — თავის მართლებას შეუდგა ლევანი.

— მართლა? რას მელაპარაკებით! ახლა რა, შეიცვალა სიტუაცია? თუ თქვენს უფროსს წინადადება აქვს ჩემთან და იმის სათქმელად გამოგგზავნათ? ნაწყენია ალბათ, რომ არ მოვუსმინე, — იქედნურად ჩავიცინე, — თუ ასეა, გადაეცით, რომ მისი წინადადება საერთოდ არ მაინტერესებს. ჩემთან ეგეთები არ გამოუვა!

— ანა... — ძალიან ჩუმად წარმოთქვა ლევანმა. — შეიძლება, ასე მოგმართოთ?

— დიახ, რა თქმა უნდა.

— მეგობრულად გირჩევთ, ბატონ ლადოზე ასე ნუ ილაპარაკებთ. ეს კარგს არაფერს მოგიტანთ.

— ვაა! მემუქრებით კიდეც? რა მაგარია! თქვენ საერთოდ იცით, მე ვინ ვარ? სად ვმუშაობ? რას წარმოვადგენ? არ იცით! და მინდა იცოდეთ, რომ თქვენი მუქარის საერთოდ არ მეშინია! — რაც შეიძლებოდა, ცივად ვთქვი და უკვე მეორედ ვინანე, რომ სამსახურიდან წამოვედი.

ახლა რომ გამოკითხვა დამიწყოს, ხომ არ მოვატყუებ, ვმუშაობ-მეთქი. მაშინვე შემატყობს, რომ გულწრფელი არ ვარ. საერთოდ არ შემიძლია ტყუილის თქმა.

ვასიკო ჩუმად იჯდა და ხან მე შემომხედავდა შეშინებული მზერით, ხან — ლევანს. შემეცოდა ბიჭი. ხელი დავუქნიე, ჩემ გვერდით დაჯექი-მეთქი და როგორც კი გადმოჯდა, მხარზე ხელი მოვხვიე.

— შენ ხომ კარგად ხარ? — თბილად ვკითხე.

— კი, კარგად... ბიძიამ მითხრა, ბავშვთა სახლში აღარ დაგაბრუნებო. მასთან უნდა ვიცხოვრო.

— ძალიან მიხარია, თუ ასეა.

— მე კი არ მიხარია, — უკმაყოფილოდ ჩაიბუზღუნა.

— რატომ?

— იმიტომ, რომ მე შენთან მინდა ვიცხოვრო.

ისე მეუხერხულა მისი ნათქვამი, გავწითლდი. უხერხულობის დასაფარავად ჩავახველე და დამნაშავესავით გავხედე ლევანს. ის იღიმოდა.

— ეს შეუძლებელია, ვასიკო, — დავიწყე დინჯად, — ჯერ ერთი, შენ... შენ უპატრონო არ ხარ, მეორეც, ჩვენ სულ რამდენიმე დღეა, რაც ერთმანეთი გავიცანით და მესამეც... ამას არ დაუშვებენ შენები. გასაგებია? შენ შეგიძლია სტუმრად მოხვიდე ხოლმე ჩემთან, როცა გაგიხარდება, მაშინ. შევთანხმდით?

— მულტფილმების ყურება შეიძლება შენთან?

გამეცინა.

— რა თქმა უნდა, შეიძლება.

— ახლა რომ ვუყურო?

— მიდი და უყურე, პულტი დივანზე დევს, აიღე და ჩართე, — თავზე ხელი გადავუსვი, სანამ წამოხტებოდა.

მერე ორივემ გავხედეთ ტელევიზორის წინ მოკალათებულ ვასიკოს, რომელიც არხიდან არხზე დიდი მონდომებით რთავდა ტელევიზორს, სასურველი მულტფილმის მოსაძებნად.

— მართლა ასე გადაწყვიტა თქვენმა ბოსმა? — ლევანს ვკითხე.

— იცით, რა... ბატონი ლადო რთული ადამიანია, მაგრამ ის ვასოს არასდროს არაფერს დაუშავებს. უბრალოდ, სიყვარულის გამომჟღავნება არ იცის, თორემ კეთილი გული აქვს.

— კეთილი გულის ადამიანი, მით უმეტეს, ასეთი შეძლებული, ძმისშვილს ბავშვთა სახლში არ ჩააბარებ-

და. ნუ იცავთ, თუ შეიძლება, — არ დავინდე „დემონი“.

ლევანმა არ მიპასუხა, რამაც, ცოტა არ იყოს, ამაღელვა. ესე იგი, მეთანხმება იმაში, რაც ახლა ვთქვი. ალბათ ამასაც ეშინია თავისი უფროსის, მაგრამ სამსახურის დაკარგვა არ უნდა და იმიტომაც იცავს, თუმცა ამ შემთხვევაში მის დასაცავად ერთი სიტყვაც არ გაიმეტა.

ამ დროს კარზე ზარი დაირეკა. მოულოდნელობისაგან შევკრთი. ახლავე მოვალ-მეთქი, სტუმარს ვუთხარი და ჰოლისკენ გავემართე.

კარი გავაღე თუ არა, ადგილზე გავშეშდი. საშკა შემრჩა ხელთ. დაბნეულმა კრინტი ვერ დავძარი. უკვე აღარ ველოდი მის გამოჩენას.

— ცუდ დროს ხომ არ მოვედი? — ისე თბილად მკითხა, თითქოს უბრად არც ვყოფილიყავით.

— ა...რა, — წავილუღლუღე და ფერწასულმა გზა დავუთმე, რომ შიგნით შემოსულიყო.

— მარტო ხარ?

— არ ვარ მარტო, სტუმრები მყავს, — ძლივს გასაგონად ამოვთქვი და უკან მივყევი.

საშკა სასტუმრო ოთახში შევიდა თუ არა, შედგა და უკან, მე გამომხედა.

— გაიცანი, ეს ვასიკოს ნ...ნათესავია, — სხვა ვერაფერი მოვიფიქრე, — ეს კი ჩემი მეგობარი ალექსანდრე, — გაცნობის ცერემონია ჩავატარე.

— ძალიან სასიამოვნოა, — ლევანი წამოდგა და საშკას ხელი ღონივრად ჩამოართვა.

— ჩემთვისაც, — ჩაიბურტყუნა საშკამ და ბავშვს გახედა, — პრივეტ, მეგობარო, როგორ ხარ?

ვასიკომ — კარგადო, მორცხვად ჩაილაპარაკა და კვლავ ეკრანს მიაშტერდა.

— ჩვენი წასვლის დროა, — ლევანი ფეხზე წამოდგა, — დიდი მადლობა ჩაისთვის, ანა. ჩვენ, ალბათ, კიდევ შემოგივლით.

— რატომ მიდიხართ? ჩემი მოსვლა ხომ არ გეწყინათ? — საშკამ ხელები გაშალა.

— არა, რას ამბობთ. უბრალოდ, დიდი ხანია, აქ ვართ, — ლევანმა ვასიკოს გადასძახა, წავედითო და ორივეს დაგვემშვიდობა.

— კარგად ბრძანდებოდეთ, — თავაზიანად დავემშვიდობე მეც და ვასიკოს ლოყაზე ვაკოცე.

— გელოდები, — ყურში ჩავჩურჩულე და თმა ავუბურდე.

როცა ისინი გავაცილე და უკან შემოვბრუნდი, საშკა ოთახში არ დამხვდა. სამზარეულოდან წყლის ჩხრიალი მომესმა. იქითკენ გავემართე.

— ცივი წყალი რატომ არ გაქვს მაცივარში?

— იმიტომ, რომ მე ცივ წყალს არ ვსვამ, სხვა კი ამ სახლში არავინ ცხოვრობს, — გულგრილად ვუპასუხე.

— სტუმრებისთვის მაინც ხომ უნდა გქონდეს?

— სტუმრები იშვიათად მოდიან, — კვლავ იმავე ტონით ვთქვი.

— აჰა... როგორ ხარ, ისე? — გაღიმება სცადა.

— ისე — კარგად, — ირონიას არ ვიშურებდი.

— ასე?

— ასეც კარგად, — ვთქვი და თვალი თვალში გავუყარე.

— ვნახე შენი განცხადება.

— და იმიტომ მოხვედი, რომ ეს გეთქვა?

— ჰო, დაახლოებით.

— რაღაც გვიან გაგახსენდა ჩემი განცხადება. მას შემდეგ, თუ არ ვცდები, ერთი კვირა გავიდა, თუ მეტი არა.

— ზუსტად ერთი კვირა. ეს სწორედ ის პერიოდია, როცა განცხადების განხილვა მიმდინარეობს წესით და კანონით.

— რას მელაპარაკები! არ ვიცოდი! — წარბები ავწკიპე და ხელები გულზე გადავიჯვარედინე.

— რატომ მერჩი, ანა? — ღრმად ამოიხვნეშა საშკამ და წყალი სულმოუთქმელად დალია.

— არ გერჩი, — წამსვე უკან დავიხიე.

— აბა, რას აკეთებ?

— შენი გამოჩენის მიზეზს ვარკვევ, რას უნდა ვაკეთებდე!

— და რა გგონია, რისთვის გამოვჩნდი?

— არ ვიცი, — მხრები ჯიუტად ავიჩეჩე და კარის ძგიდეს მივეყრდენი.

— მომენატრე და იმისთვის.

არ ვუპასუხე. ტუჩი ავიბზუე მხოლოდ. არ მინდოდა, ისეთი რამ მეთქვა, რაც გააბრაზებდა და წასვლას გადააწყვეტინებდა. არ მინდოდა, წასულიყო, მაგრამ თან იმაზე მომდიოდა გული, აქამდე რომ არ გამოჩნდა.

— ეგ ბავშვი რატომ მოიყვანა მაგ კაცმა? — შეცვალა საუბრის თემა, რაც მაინცდამაინც არ მეპიტნავა. მისი „მომენატრე“ უფრო სასიამოვნო მოსასმენი იყო, ვიდრე ვასიკოს თემით დაინტერესება.

— ისე, უბრალოდ. ჩემს სანახავად მოვიდა.

— ბავშვი თუ ის ბეჰემოთი? — უკბინა ლევანს.

— ორივე, — ნიშნის მოგებით ვუპასუხე, ზურგი შევაქციე და სასტუმრო ოთახში შევბრუნდი მაგიდის ასალაგებლად.

— არ აპირებ ჩემთან დაბრუნებას? — სამზარეულოს კართან მისულს წინ ამესვეტა.

— სად შენთან? — დაკონკრეტება მოვითხოვე. მაინტერესებდა, რა იგულისხმა — სამსახური თუ ურთიერთობა.

— სამსახურში.

— არა, არ ვაპირებ.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ცუდად მექცევი, — გავუშიფრე.

— ცუდად გექცევი? აბა, ერთი კარგად ამიხსენი, რას გულისხმობ? — თეფშები გამომართვა და ნიჟარაში ჩადო.

— არ მინდა ამ თემაზე საუბარი.

— სამაგიეროდ, მე მინდა!

— არც შენ გირჩევ.

— როგორ?! რას ნიშნავს, არ მირჩევ? რა ლაპარაკია ეს? — შუბლი შეკრა და თავი გვერდზე გადახარა.

— იქნებ სხვა რამეზე გვესაუბრა?

— მაგალითად, რაზე?

— მაგალითად, ჩვენს ურთიერთობაზე.

— და რას ერჩი ჩვენს ურთიერთობას? ცუდად გრძნობ თავს ჩემთან? — მომიახლოვდა და თვალებში გამომცდელად ჩამხედა.

— მე არა, — მზერა ავარიდე.

— აბა ვინ?

— შენ.

— და ვინ გითხრა ეგ სისულელე?

— არავინ. ვგრძნობ.

— ცუდად გიგრძნია, — პირი გააწკლაპუნა, ნიკაპი ამიწია და ტუჩებზე მსუბუქად მაკოცა.

ავიმრიზე.

— არ მითხრა, რომ არ გეგემრიელა, — გამიღიმა, თბილად, თბილად.

— სიტყვას ბანზე ნუ აგდებ! — არ შევიმჩნიე, რომ მეგემრიელა.

— რა გინდა, ანა, შარზე ხარ?

— არა, არ ვარ შარზე.

— აბა რა გჭირს?

— ცუდად ვარ, — წავიჩურჩულე და თვალები ცრემლით ამევსო.

— მეც ცუდად ვარ, შენ რა გგონია? ერთი კვირაა, წესიერად არ მიძინია, სულ შენზე ვფიქრობ.

— რაღაც არ გეტყობა! — ვუკბინე.

— როგორ უნდა შემეტყოს, მეც ვიტირო?

— არა.

— აბა, რა უნდა ვქნა?

— უნდა მომეფერო, — ატირებული ხმით ვუთხარი, მეტი ვეღარ მოვითმინე და მკლავები ყელზე შემოვხვიე.

მისი ცხელი სუნთქვა სახეში მცემდა და მსიამოვნებდა... ძალიან, ძალიან. ამწუთას არაფერზე ლაპარაკი არ მინდოდა. მინდოდა მხოლოდ ის, რომ მომფერებოდა და ყველა ტკივილი დაევიწყებინა ჩემთვის. ის ყველაზე უკეთ ახერხებდა ამას...

და ამჯერადაც მოახერხა...

დილით, გაიღვიძა თუ არა, დედა-ჩემის ოჯახზე ჩამომიგდო ლაპარაკი. როგორც ჩანს, ეს თემა ყველაზე მეტად აწუხებდა. დამიწყო გამოკითხვა, როგორ შემხვდნენ, კარგად მოვეწყვე თუ არა, ჩემი და-ძმა რას წარმოადგენდა, როდის ვაპირებდი მათთვის ყველაფრის თქმას და ა.შ. მეც მოვუყევი ყველაფერს.

— არ მომწონს ეს ამბავი, იცი? — ამოიხვნეშა, — არა მგონია, ამას კარგი ბოლო ჰქონდეს.

— ცუდი ბოლო რატომ უნდა ჰქონდეს?

— იმიტომ, რომ როცა გაიგებენ, ვინ ხარ, ეგრე კი არ მოგეფერებიან.

— რატომ გგონია?

— იმიტომ, რომ... აბა, როგორ გითხრა... ეს მათთვის ძნელი აღსაქმელი გახდება.

— საერთოდ არ მადარდებს ეგ. თუ ვერ გაიგებენ, კარგად იყვნენ! — გავწიწმატდი. — მათი კეთილგანწყობილების მოსაპოვებლად არ მივსულვარ იქ.

— აბა, რას გინდა ამით მიაღწიო?

— მინდა გავიგო, რატომ მომიშორა იმ ქალმა თავიდან.

— და რას მოიგებ მაგით, ეგ მაინტერესებს.

— არაფერს, უბრალოდ, გულს მოვიფხან.

— სულელი ხარ.

— ვიცი.

— იქნებ გადაგეფიქრებინა?

— მოვრჩეთ ამაზე ლაპარაკს! ვიცი, რასაც ვაკეთებ! — ცივად ვუთხარი და ავდექი, რომ აღარ გაეგრძელებინა ჩემი დამოძღვრა.

— რა ჯიუტი ხარ!

— ჰო, — გაბუტული ბავშვივით ვუპასუხე და ხალათი შემოვიცვი.

კვირა დილით, გულისფანცქალით გავემართე ჩემი ახალი სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად. გულისფანცქალით იმიტომ, რომ ვიცოდი, ქალბატონი ნინო შინ დამხვდებოდა.

კიბის საფეხურები რომ ავიარე, ქოშინი ამიტყდა, თითქოს ხუთი კი არა, ხუთასი საფეხური ამევლოს. თურმე როგორ ვნერვიულობდი! ჩვეულებრივზე მეტად!

ზარის ღილაკსაც ჩვეულებრივზე მეტხანს მივაჭირე თითი. ამჯერად კარი ტასომ გამიღო. მომეჩვენა, რომ დაღლილი სახე ჰქონდა.

— დილა მშვიდობისა, — მივესალმე, თან არ ვიცოდი, გამეღიმა თუ არა.

— მოდი, ანა, — არ მომესალმა ტასო, ისე შემიპატიჟა შიგნით.

— გამოიყვანეს ქალბატონი ნინო? — ყრუდ ვიკითხე.

— ჰო, სახლში ბრძანდება და გადაგვდგა სუყველა.

— რატომ? — სუნთქვა შემეკრა, ვიგრძენი, როგორ მომეკვეთა მუხლები.

— რა ვიცი, გაღიზიანებულია ძალიან. დაღალა ალბათ სულ ცუდად ყოფნამ. გაეგოისტებულია. უნდა, რომ გამუდმებით მის გვერდით იყოს ყველა და ეგრე არ გამოდის. ბავშვებს სამსახური აქვთ, ნანას თავისი ოჯახის პრობლემებიც ჰყოფნის. მარტო მე კი რა ვქნა? სულ მიყვირის, თითქოს პატარა ბავშვი ვიყო. კარგია, რომ მოხვედი. იქნებ შენ მაინც მოეწონო.

წარბები ავზიდე, რაღაც ეჭვი მეპარებოდა ამაში.

— მოიცა, ვკითხავ ერთი, ინებებს თუ არა მისი უდიდებულესობა შენს გაცნობას, — გაჯავრებულმა წარმოთქვა, ზურგს უკან ხელი აიქნია, აქ მომიცადეო და ნინოს საძინებლის კარი ფრთხილად შეაღო.

სუნთქვა შემეკრა, რადგან არ მესმოდა, რას ელაპარაკებოდა. მერე კარი მოიხურა და მთლად გამომეცალა ძალა, მარტო რომ დავრჩი. გაქცევა მინდოდა. უკვე აღარ მაინტერესებდა მისი არც ნახვა და არც გაცნობა. მივხვდი, რომ ვნანობდი, აქ რომ მოვედი. ჩემი ბრალია. უნდა დამეჯერებინა საშკასთვის. პრობლემებს ძალად ვიქმნი!

გამახსენდა, საშკა რომ მეუბნებოდა, ძალიან ვნერვიულობ, იქ რომ დადიხარო. მე ვუმტკიცებდი, ის ქალი ვამპირი ნამდვილად არ არის-მეთქი. ეს ჩვენ არ ვიცითო, მიპასუხა. მაშინებდა... და მართალიც აღმოჩნდა... შემეშინდა...

მოულოდნელად საძინებლის კარი გაიღო და... ის გამოჩნდა. სწორედ ამ მომენტში ჩემმა გულმა ისეთი „ნახტომი“ გააკეთა, კინაღამ ბუდიდან ამოვარდა. არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი. გამეცინა, ავტირებულიყავი თუ, საერთოდ გავქცეულიყავი აქედან! ქალი მოჩვენებას უფრო ჰგავდა, ვიდრე ჩვეულებრივ მოკვდავს, მით უფრო — ჩემს სისხლსა და ხორცს. თეთრი, სრული კაბა ეცვა და სახეზეც მიტკალივით იყო გათეთრებული. გაუნძრევლად იდგა, მისი ოთახის ფანჯრიდან შემომავალი მზის სხივი სწორედ მის თავს ზემოთ ანათებდა და ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს გაცოცხლებული ხატი იდგა ჩემ წინ. ნამდვილი სრულყოფილება იყო. ლამაზი, ლამაზი... არა, მეტი — ულამაზესი. ფრესკიდან გადმოსულ ანგელოზს ჰგავდა. სად მე ან ნანა! მას ვერც ერთი ვერ შეედრებოდით სილამაზით. გაოგნებული მივჩერებოდი და ფიქრებში საკუთარ თავს ვეკითხებოდი, როგორ შეიძლებოდა, 60 წელს მიღწეულ ქალს ასე შეენარჩუნებინა თავისი სილამაზე!

დაახლოებით ჩემი სიმაღლის იქნებოდა, შეიძლება ოდნავ დაბალიც... მაგრამ ისე შემართულად იდგა, თითქოს საცეკვაოდ ემზადებაო... გადატკეცილი სახის კანი ჰქონდა, თითქმის უნაოჭო, რაც არ იძლეოდა საშუალებას, გამოგეთვალათ მისი ასაკი. 45 წელზე მეტისას არ ჰგავდა. აი, ამას ჰქვია მოვლილი ქალი! გრძელი, კეფაზე დახვეული თმა ფერფლისფრად შეეღება, რაც კიდევ უფრო თეთრს აჩენდა მის ისედაც გათეთრებულ სახეს.

ერთი სიტყვით, ეს იყო ნამდვილი ლედი — თმის ძირიდან ფეხის ფრჩხილამდე! ზუსტად ისეთი, ინგლისურ ფილმებში რომ მინახავს — სამეფო ოჯახის არისტოკრატი ქალბატონი!

თვალებიც კი გემოვნებით ჰქონდა დახატული. შეუმჩნევლად და მსუბუქად. არაფერი ზედმეტი, ერთი შტრიხიც კი. ბაცი ვარდისფერი პომადა

კიდევ უფრო ანაზებდა მის ისედაც ნაზ სახეს.

მე კი... მე გახევებული ვიდექი და ზუსტად ვიცოდი, რომ ფსიქიატრიული საავადმყოფოდან გამოქცეულ გიჟს ვგავდი, რადგან საშკას დამსახურებით, მთელი ღამის უძინარს, ამწუთას მისი დანახვით გამოწვეული შოკი დამემატა.

თვითონაც არ ვიცოდი, როგორ ქალს ველოდებოდი... იქნებ ისეთს, როგორიც ჩემი დედობილი იყო ან როგორი დედებიც ჩემს მეგობრებს ჰყავდათ?! არ ვიცი... ვიცოდი მხოლოდ ერთი რამ — ასეთს ნამდვილად არ ველოდი! ის არავის დედას არ ჰგავდა, ჩემსას — მით უმეტეს! ნუთუ ეს ქალი დედაჩემია? ღმერთო! დაუჯერებელია!

ერთიანად დაძაბული ველოდი გადამწყვეტ მომენტს. ახლა გააღებს პირს და მეტყვის...

— გამარჯობა, ანა... — მისუსტებული ხმით წარმოთქვა უცებ და გამიღიმა... მედიდურად, დაყენებული ღიმილით, დაახლოებით ისე, როგორც მოსამსახურეებს უღიმიან დიასახლისები.

მგონი, ენა გადავყლაპე. ხმა ვერ ამოვიღე, ვერც მივესალმე და ვერც თავი დავუქნიე. სარგადაყლაპულივით ვიდექი და ამ საოცარ ქალს დამუნჯებული მივჩერებოდი.

— კარგად ხარ, ანა? — თითქოს ყინულზე მოსრიალებსო, ისეთი ნაბიჯებით მომიახლოვდა და ნიკაპქვეშ ამომდო თითი, ზუსტად ისე, როგორც საშკას სჩვეოდა ხოლმე.

გამაჟრჟოლა. ცივი, ყინულივით ცივი ჰქონდა საჩვენებელი თითი.

— დ... დ-იახ... ახ.... კარგად ვარ, ქალბატონო, — ჩემი ჩურჩულით ნათქვამი მხოლოდ მე გავიგონე, ისიც სადღაც, ძალიან შორიდან ჩამესმა.

— რა ლამაზი ანა ყოფილხარ, არ ველოდი, — საოცრად მელოდიური ხმა ჰქონდა, თან პატარა გოგოსავით წვრილი.

რატომღაც, მეგონა, სიგარეტისგან დაბოხებულხმიანი ქალი შემრჩებოდა ხელთ. ვერ გამოვიცანი.

— იმედია, ერთმანეთს გავუგებთ, — კიდევ უფრო დაირბილა ხმა და ღიმილიც დაითბო.

ჰო, ნამდვილად დედაჩემია, — დავასკვენი ჩემთვის გულში, ასე მხოლოდ დედაჩემს შეუძლია, სხვას არავის. ამაში ნამდვილად ვგავარ.

ნუთუ გულმა არაფერი უგრძნო? ნუთუ საერთოდ ვერ ხედავს მსგავსებას? თვალებით მაინც ხომ ვგავარ? სიცივემ ამიტანა. ამ შუა ზაფხულში რომ შეგცივდება ადამიანს, ხომ წარმოგიდგენიათ, როგორ უნდა ნერვიულობდე!

— იმედია, ქალბატონო... — მორჩილად დავეთანხმე.

ის ისეთი ტონით ლაპარაკობდა, ვიგრძენი, რომ ახლაც და მომავალშიც ყველა მის თხოვნას თუ მოთხოვნას მორჩილად შევასრულებდი. ქალღმერთივით გამოიყურებოდა და იმიტომ. ქალღმერთივით მეტყველებდა და იმიტომ!

და ამისთანა ქალღმერთივით ქალმა გამაშვილა! ახლაღა გამახსენდა, რომ ეს სათნო, ამაყი და ლამაზი ქალბატონი ერთ დროს დაუმსახურებლად მომექცა!

— ძალიან იღლები? — ახლა უკვე მზრუნველობა დაეტყო ხმაში.

— არა, არ ვიღლები, საერთოდ არ ვიღლები, — ჩქარ-ჩქარა მივაყარე, ერთი ამოსუნთქვით, რადგან სუნთქვაშეგუბებული ამოსუნთქვას ვერ ვბედავდი.

— ესე იგი, ჯანმრთელი სხეული გაქვს. ეს კარგია, — დაასკვნა და კვლავ გამიღიმა... ისევ ისე, მედიდურად და თბილად, ერთდროულად.

— ალბათ, რა გითხრათ... — ძლივს ვლუღლუღებდი.

ამ დროს ტასოც მოგვიახლოვდა.

— თუ არ გააქციე, ძალიან კარგი გოგოა, — შენიშნა ქალმა.

— რატომ უნდა გავაქციო? კუდიანი დედაბერი კი არ ვარ, — 25 წლის გოგოსავით გადაიკისკისა.

— რა ვიცი, შინაურები დაგვცოფე და ამ უცხოს რა ხეირს დააყრი. მეორე დღეა, თითის წვერებზე დავდივართ ყველანი, — უსაყვედურა ტასომ.

— თქვენ იმსახურებთ. არ უნდა დაიმსახუროთ და არ დაგცოფავთ. ასე არ არის, ანა? — ისე მომესიყვარულა ნინო, თითქოს მზე და მთვარე ჩემზე ამოსდიოდა.

გავიღიმე. რომ დავთანხმებოდი, ტასოსთვის უნდა მეწყენინებინა, ეს კი არ მინდოდა. ღიმილი ამ დროს საუკეთესო გამოსავალი იყო. ვერავინ მიხვდებოდა, მისი ნათქვამი თანხმობას ნიშნავდა თუ უარყოფას.

— შვილები გყავს? — შემეკითხა, თან ხელი მაჯაზე წამავლო, მაღლა ასწია და თითებზე დამაკვირდა, — როგორი მოვლილი თითები გქონია. მოსამსახურისას არ ჰგავს.

გავწითლდი.

— არა, გათხოვილი არ ვარ.

— მართლა? რატომ, მერე? რამდენი წლის ხარ? მგონი, დროა უკვე.

— 29-ის, — მომენტი ჩამივარდა, ისეთი რამ მეთქვა, რაც მას გულზე მოხვდებოდა, — 15 აპრილს 30-ის გავხდები.

ესეც ასე, ჩემი დაბადების თარიღი ვუხსენე. ნუთუ არაფერი შეეტყობა? თქვენც არ მომიკვდეთ! წარბიც არ შერხევია.

— არ გეტყობა, — თავი გაიქნია, — მთლად ნორჩი შეხედულება გაქვს. ალბათ გენები გიწყობს ხელს... თუ თავს უვლი?

— ალბათ გენები, — მრავალმნიშვნელოვნად ვუპასუხე და ზუსტად ისე გავუღიმე, როგორც თვითონ მიღიმოდა.

მომეჩვენა, რომ წამით ჩრდილმა გადაურბინა სახეზე... თვალებში ჩამაშტერდა, ღრმად, ძალიან ღრმად... თითქოს ჩემს სულში „ჩაასრიალა“ დაჟინებული და ლამაზი მზერა... მაგრამ მხოლოდ წამით, მერე კვლავ ღიმილი აიკრა ტუჩებზე და ხელი შემიშვა.

— კარგი, მე წამოვწვები. თუ დამჭირდი, დაგიძახებ. სასიამოვნო იყო შენი გაცნობა, ანა, — წარბები ზუსტად ნუკრივით ასწია, დასწია, ასწია, დასწია და ზურგი შემაქცია.

როგორც კი თავის ოთახში შევიდა და კარი მიიხურა, შვებით ამოვისუნთქე... ახლაღა მივხვდი, რომ შუბლი ერთიანად ოფლით დამცვაროდა...

ესეც შეხვედრა 29 წლის უნახავ დედასთან... წარუმატებელი შეხვედრა... განა სხვას რას მოველოდი?..

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ადამიანი ან მოვლენა, რომელმაც ჩემს ცხოვრებაზე გავლენა იქონია

მარი ჯაფარიძე

გამარჯობა, ზაფხულის სიცხით შეწუხებულო, ხის ჩრდილსა თუ პლაჟზე წამოწოლილო მკითხველებო. პირველთ ჩემი თანაგრძნობა და თანადგომა, დანარჩენებს, ვისაც გაგიმართლათ და არ გცხელათ, მოსალოცად გაქვთ საქმე. ბათუმს და ბათუმელებს ჩემი მოკითხვა და მადლობა მიპატიჟებისთვის. სიამოვნებით მივუწვებოდი ცოტნე დადიანივით, მზეზე შიშვლად „დაყრილ“ თანამოძმეებს, მაგრამ საქმე, საქმე და ისევ საქმე! — მუშაობამ ვირი მოკლაო, ამას წინათ ერთმა ახლობელმა მითხრა და მირჩია, დამესვენა, მაგრამ... კარგი, დავანებებ თავს წუწუნს და თქვენს მესიჯებს გაგაცნობთ.

პანკური შეხედულებები ცხოვრებაზე

„ერთხელ, ოპერის წინ უცნაურად გამოწყობილმა გოგონამ გამაჩერა, ჯერ სანთებელა გამომართვა, მერე სახელი მკითხა და ბოლოს მაჯახა — დამეხმარე, არ წახვიდე, ხელი ჩამკიდე და სახეში მიყურეო. რა თქმა უნდა, ვერ მივხვდი, რა უნდოდა ამ ადამიანს ჩემგან. იმდენად დავიბენი, კითხვაც აღარ დამისვამს, ზუსტად ისე მოვიქეცი, როგორც მითხრა. ცოტა ხანში ხელი გამიშვა, ზურგი შემაქცია და სიგარეტს მოუკიდა. მისით ძალიან მოვიხიბლე. ფეხები არ დამემორჩილა, ასე უბრალოდ წამოვსულიყავი. წინ დავუდექი და კითხვები დავაყარე: „რა გჭირს?“ „რატომ ჩამკიდე ხელი?“ „დახმარება ხომ არ გჭირდება?“ დამცინავად გამომხედა და მიპასუხა, შენი თავი არ მაქვსო. — მაშინ, როცა დამშვიდდები, მერე დავილაპარაკოთ-მეთქი. ტელეფონი გამომართვა და თავისი ნომერი ისე აკრიბა, არც კი შემოუხედავს. ავდექი, დავემშვიდობე და წამოვედი. ვერაფრით დავივიწყე ის დღე და ის გოგო. ბევრჯერ დავურეკე და როგორც იქნა, მიპასუხა. გაირკვა, რომ მას გვანცა ერქვა. თურმე, იმ დღეს პანკ მეგობრებს ბიჭის გამო ეჩხუბა. იცოდა, მათ იქ უნდა ჩამოევლოთ, მე კი იმისთვის გამომიყენა, რომ მისი ახალი შეყვარებულის შთაბეჭდილება დამეტოვებინა. გავბრაზდი, თუმცა ეს არ შევიმჩნიე. მითხრა, ისე გეცვა, შენთან ერთად დგომა არ გამიტყდებოდა, თან გრძელი თმაც გაქვს და ამიტომ გაგაჩერეო. რაღაც ძალა მისკენ მექაჩებოდა. ჩემზე ძალიან დიდ გავლენას ახდენდა. სამყაროს მისი თვალებით დავუწყე ყურება, აგრესიული და ახირებული გავხდი. მან მასწავლა, როგორ უნდა იყო განსხვავებული და არ დაემსგავსო ინკუბატორის წიწილას; ჩამინერგა, რომ არავის ნდობა არ შეიძლება, არ უნდა იყო კეთილშობილი, თორემ ყველა იაფფასიანი ხელსახოცივით გამოგიყენებს. არ მიმაჩნია, რომ გვანცასთან ურთიერთობით ჩემი პიროვნება ან პრინციპები შეიცვალა. უბრალოდ, საკუთარი თავი ვიპოვე, შანსი მომეცა, 15-16 წლის ასაკში თავშესაფრისთვის მიმეგნო, რაღაც იდეას, ღირებულებებს ამოვფარებოდი. გვანცამ შეძლო და ვარდისფერი სათვალე ჩამომხსნა, მე კი ვასწავლე, რომ მხოლოდ ინდივიდებზე განაწყენებულიყო და არა — მთელ სამყაროზე. სამაგიერო კონკრეტული პიროვნებებისთვის გადაეხადა და არა — განურჩევლად ყველასთვის. ჩვენ ძალიან ახლო მეგობრები გავხდით, შემდეგ სიყვარულიც ვცადეთ, თუმცა არ გამოგვივიდა და დღემდე ვმეგობრობთ. სხვათა შორის, გვანცა ფრიად ინტელექტუალური ადამიანია, მასთან ნებისმიერ თემაზე საუბარი დიდ სიამოვნებას მანიჭებს. მით უმეტეს, უკვე გავიზარდეთ და დავჭკვიანდით, ისე აღარ ვჭირვეულობთ, როგორც წლების წინ, აღარც მე მაქვს გრძელი თმა და აღარც ის დადის ვარდისფერი კოლჰოტითა და ჰალსტუხით. ერთ რამეს ვხვდები: ეს გოგო ნამდვილად კანონზომიერი იყო ჩემს ცხოვრებაში... ნიკოლო“.

მიწისძვრის შედეგად დარღვეული იდილია

„ლაბა 75 წელს მიტანებული ბერიკაცი გახლავთ. ასაკთან შედარებით მშვენივრად გამოიყურება, მკლავში ძალაც ერჩის და მუშაობაც არ ეზარება. ყველაფერთან ერთად, სისუფთავის მოყვარულია და ოთახი ისე აკურატულად აქვს მილაგებული (რასაც მის ცოლზე ვერ ვიტყოდი), ქალის დალაგებულს არაფრით ჩამოუვარდება. თავისთვის არის ჩუმად, არავის არ აწუხებს და ოჯახს შეძლებისდაგვარად ეხმარება. მისი ცხოვრება ერთი წლის წინ შეიცვალა და დღემდე ასე ცხოვრობს. ცოტა სასაცილოც კია ეს ამბავი (სატირალი რომ არ იყოს). შუაღამისას მიწისძვრა მოხდა. რა თქმა უნდა, ატყდა ერთი კივილ-წივილი და ამბავი. ლაბას გაუგია პირველს და ოჯახის წევრები გააღვიძა. ვაი, იმისთანა გაღვიძებას — დედაბუდიანად პანიკაში ჩაცვივდნენ და ერთმანეთის მიყოლებით გარეთ გაცვივდნენ შვილიშვილები და ლაბას შვილი და მეუღლე. ბერიკაცი საპირფარეშოში შესულა და იქიდან რომ გამოვიდა, შინ აღარავინ დახვდა. თურმე ის შეჩვენებულები მანქანით გაქცეულან სადღაც (ნეტავ, სად გარბოდნენ?). ლაბა ჩვენთან გადმოვიდა, ჩემები აქ ხომ არ არიან, სუყველა გაქრაო. 10 წუთში მოვიდა ლაბას ბედოვლათი ოჯახი. მოხუცმა უსაყვედურა: სად გარბოდით, რომ გარბოდით, მიწისძვრა სხვაგან არ იქნებოდა? თანაც, მე თქვენი დედაც! ყველა მე გაგაღვიძეთ და მე დამტოვეთო? შვილმა ვითომ დანაშაული გამოასწორა — უი, შენ სულ აღარ გვახსოვდიო. ლაბას ცხოვრებაზე მიწისძვრამ და მისი შვილის სიტყვებმა დიდი გავლენა იქონია და იმ დღიდან, საწყალი სახლის გვერდით მოშენებულ, უსაშველოდ ვიწრო, მეტისმეტად არაკომფორტულ ოთახში დასახლდა და ოჯახიც მოიძულა. თავისი პენსიის წყალობით, თავის რჩენას ახერხებს. ოჯახის წევრები კი ისე იქცევიან, ვითომ არაფერი დაუშავებიათ და აქეთ ემდურიან. საწყალი კაცი წუწუნებს, რამდენი ხანია, ცხელი კერძი არ მიჭამიაო, მაგრამ გამგონე და გამკეთებელი არავინაა. ლუნა“.

მგზავრული

„ახლა ამ გზავნილს კახეთის ცის ქვეშ, ჰამაკში ნებივრად მოკალათებული გწერთ და გულით თანაგიგრძნობთ თბილისის სიცხეში დარჩენილთ. მინდა, ჩემი კახეთში გამომგზავრების შესახებ მოგიყვეთ: დიდი ხანია, სოფელში არ ვყოფილვარ და ისე მენატრებოდა აქაურობა, თავისუფალი დროის გამოჩენისთანავე გავვარდი სამარშრუტო ტაქსების გაჩერებაზე. არადა, შემეძლო, მეორე დღეს კომფორტულად მემგზავრა ავტომობილით. მაგრამ ისე მინდოდა წამოსვლა, აღარ მიფიქრია, როგორი სიცხე იქნებოდა საზოგადოებრივ ტრანსპორტში. მოკლედ, ბილეთი შევიძინე და ბედნიერმა ავაბიჯე „მარშრუტკაში“. ხალხი სიხარულით შეხვდა ჩემს გამოჩენას და მისაყვედურეს კიდეც, თანამგზავრიც რომ გყოლოდა, ხომ გავიდოდა უკვე ეს წურბელაო? — მძღოლზე მიმანიშნეს. ის „ტრადიციულად“, — აბა, ერთი კაცი და გავდივარო, გაიძახოდა. მზის გულზე გაჩერებულ მანქანაში მგზავრების მოთმინებამ პიკს მიაღწია და ერთმანეთს უკმაყოფილებას უზიარებდნენ. ერთმა ქალმა კივილი დაიწყო. სოფიკო ჭიაურელის პერსონაჟი გამახსენდა „დათა თუთაშხიადან“ და გამეღიმა, მაგრამ რადგან ეს ღიმილი იმ სიტუაციაში თანამგზავრთა ღალატის ტოლფასი იყო, სასწრაფოდ მოვისხიპე სახიდან და „გზის“ ფურცლებს ჩავაცქერდი. — ნეტავ შენ, რომ კითხვის გული გაქვს, შვილო, — მითხრა შუახნის ქალმა და შუბლზე „ნაბეღლავით“ დასველებული ცხვირსახოცი მიიკრა. პასუხად საცოდავად დავაქნიე თავი და მეც დანარჩენებივით იმ ერთადერთს დავუწყე ხალხში ძებნა, ვინც მესიასავით გვიხსნიდა გასაჭირიდან. უზარმაზარჩანთებიანი გოგო გამოჩნდა და გურჯაანის ბილეთი მოითხოვა. — არიქა, გვეშველა, დაფაცურდა იმედმიცემული საზოგადოება. — მაგხელა ბარგით ვერ წაგიყვან, — სასიკვდილო განაჩენივით გაიუღერა მძღოლის სიტყვებმა. ამაოდ ველოდეთ ბოლო მგზავრს და სანამ არ დაემუქრა ხალხი, ჩვენც ჩავალთო, არ გვაღირსა წამოსვლა. სიცხისგან სიცოცხლის ხალისდაკარგულებს ისეთი მუსიკა ჩაგვირთო, პროტესტის გამოხატვის უნარიც დავკარგეთ. ეტყობა, ისეთი შეწუხებული სახე მქონდა ზედმეტად დარდიმანდული მელოდიებისგან, რომ გვერდით მჯდომ ქალბატონს შევეცოდე და კანფეტი გამომიწოდა, — „მეატნია“, გულზე მოგეშვებაო. ის იყო, მგზავრების აღშფოთება ფანჯრიდან მონაბერმა ნიავმა გააგრილა, რომ ლილოში „ის ერთადერთიც“ გამოჩნდა, რაც გამოცდილი მძღოლის თვალს არ გამოეპარა და ისე უცებ დაამუხრუჭა, წინა რიგში გოგონას ნაყინი გადასცდა საყლაპავში და უკნიდან კახურად მიაწყევლეს: — გაგისკდეს გული, ჩვენ რომ მიგვიყვან, მერე! — მოკლედ, გაჩერებაზე ჩამოსულს მარტო იმის თავიღა მქონდა, დავრეკე და წამილეთ-მეთქი, ვითხოვე. ახლა კი ვტკბები მშობლიური მთების ნიავით, მაგრამ მალე შევუერთდები თბილისურ ხვატს და ჩავერთვები დედაქალაქის საქმიან ფერხულში. არ მოიწყინოთ. გკოცნით, თქვენი პარიჟანკა“.

საინტერესო აღმოჩენა

„2 წლის წინ, 12 აგვისტოს ცხელი დღე იყო, როდესაც ჩემს სახლთან, ორ ძმაკაცთან ერთად ბინძურ ბორდიურზე ვიჯექი და ვსაუბრობდი არაფრისმომცემ თემაზე. სწორედ ამ დროს მოვიდა ჩემი ოჯახის ერთ-ერთი წევრი და მახარა, რომ სამუშაო მომიძებნეს და დამასაქმებდნენ... სინამდვილეში კი არ ვიცოდი, უნდა გამხარებოდა თუ არა. სამსახური ჩემთვის ხომ ახალი და უცხო იქნებოდა, ამიტომ გული არ მომიწევდა და ეს იყო მიზეზი, როდესაც სამსახურისკენ მიმავალი, ესკალატორზე ვიდექი და გულში ვამბობდი, ნეტავ ეს ესკალატორი სვლას განაგრძობდეს, მაგრამ მაღლა არ ავიდეს-მეთქი... პირველი დღე გაცნობისა და დაკვირვების დღე იყო. გარემოს კი არა, იმ სიახლეს ვაკვირდებოდი, რომელსაც ჩემი ცხოვრება უნდა შეეცვალა და ყოველდღიური ერთიდაიგივეობა გარდაექმნა... შემდეგ კი ნელ-ნელა გავაცნობიერე, რას ნიშნავს დასაქმებულობა — გაგაჩნია მიზანი, რომლისკენაც მიილტვი... მაოცებდა ერთი და იმავე ადმიანების ყოველდღიურად ერთსა და იმავე დროსა და ადგილზე ნახვა და კიდევ უფრო ვრწმუნდებოდი, რომ ასეთი იყო ცხოვრება. გავიცანი ადამიანები არა როგორც მეგობრები, არამედ გავიცანი მათი პიროვნული თვისებები და გავოცდი. იცით, რატომ? იმიტომ, რომ ადამიანთა უმრავლესობა, საკუთარ თავზე წარმოდგენის შესაქმნელად ტყუილს მიმართავდა. დავინახე, რომ ირგვლივ უნდობლობა, უამრავი ტყუილი და მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნვა იყო პრიორიტეტული. ამიტომ, თავი მარტო ვიგრძენი და შემეშინდა კიდეც, რადგანაც ამ ყველაფრის წინააღმდეგ საბრძოლველად არ გამაჩნდა შესაბამისი თვისებები. სწორედ ამიტომ შევქმენი საკუთარ თავშივე ტიპაჟი, რომელსაც ვუწოდე მისტერი. ამ მოვლენამ ჩემს ცხოვრებაზე უდიდესი ზეგავლენა იქონია. ყველაფერს უფრო მეტი სერიოზულობით მოვეკიდე. გამეღიმა კიდეც, რადგანაც ამ ეტაპამდე მეგონა, რომ ცხოვრების არსს ჩაწდომილი ვიყავი. აი, სწორედ იმაზე მეღიმება, რომ — „მეგონა“... ცხოვრება ნამდვილად არაა: „დეე, ნაყინი მიყიდე, რაა“, საკუთარი თავი მაშინ უფრო მოგეწონება, როდესაც იტყვი: „დეე, ნაყინი გინდა?“

დაბოლოს, სწორედ ამ შემთხვევის შედეგად შემეცვალა შეხედულებები სამყაროზე და გაჩნდა მისტერიც“...

ზრუნვის საფასური

„ყოველი ჩვენგანის ცხოვრებაში მეტნაკლებად ადგილი ჰქონია მოვლენათა უცნაურ დამთხვევას თუ შემთხვევას, რომელსაც დავუფიქრებივართ ჩვენს ცხოვრებაზე და გაგვიცნობიერებია მთელი რიგი მოვლენები.

მინდა მოგიყვეთ ადამიანზე, რომელმაც თავი თავისი სიყვარულით, სიკეთით, გამტანობითა და ზრუნვით დამამახსოვრა, ხოლო გული ძალიან მატკინა ამ ქვეყნიდან წასვლით. ჩემს დაბადებას მთელი ოჯახი 3 წელი ელოდა. როგორც იქნა, დავიბადე, გვარის გამგრძელებელი არა, მაგრამ დედას სიცოცხლე, მამას სიამაყე, ბაბუების პრინცესა და ბებიების ყველაზე დიდი ზრუნვის ობიექტი. ჩემი დიდი ბებია ჯულიეტა ამ ამბით ისეთი გახარებული ყოფილა, ლამის დაფრინავდა. ჯერ ერთი, შვილიშვილი ხომ დიდი ბედნიერებაა და ამავე დროს, დიდი საფიქრალი და საზრუნავია. პატარაობიდანვე მანებივრებდა, ყველა კაპრიზს უსიტყვოდ მისრულებდა. ძილის წინ დამხედავდა, საბანს გამისწორებდა. ცდილობდა, ჩემზე ეზრუნდა თავისებურად. სკოლიდან დაბრუნებულს მუდამ ფანჯარაში, მოღიმარი მხვდებოდა. ჩემთვის ყოველთვის ჰქონდა მოხალული თხილი და გარჩეული მზესუმზირა — მე ხომ ეს მიყვარდა? თუ სახლში დაბრუნება შემაგვიანდებოდა, მთელ ოჯახს ააწრიალებდა კითხვით — სად არის ბაღანა, რატომ იგვიანებსო? სიცოცხლის ბოლო წუთამდე ჩემზე ზრუნავდა, ფიქრობდა და დარდობდა. უნდა ვაღიარო, რომ ხშირად მის გადამეტებულ ყურადღებას სათანადო სითბოთი ვერ ვპასუხობდი. ამაზეც არაფერს ამბობდა და ისევ ისე განაგრძობდა ჩემზე ზრუნვას. ძალიან მაკლია მისი ზრუნვა, სითბო, გამოხედვა... მისგან ძალიან ბევრი რამ ვისწავლე — გამტანობა, ამტანობა, სულის სიმტკიცე და სიძლიერე, უანგაროდ სიკეთის კეთება და ყველაზე მთავარი — სიყვარულის გაცემა. ამ ყველაფრის თქმა მისთვის სიცოცხლეში ვერ მოვახერხე, რასაც ძალიან ვნანობ და მინდა, სახალხოდ გადავუხადო მადლობა მას ყველაფრისთვის! პარასკევა“.

■

მომდევნო ნომრის თემა იქნება — „უჩვეულო თავგადასავალი“. ამბები შეგიძლიათ გამოგზავნოთ მესიჯებით ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com

ყურადღება! **თუ გსურთ, თქვენი მესიჯი „გზავნილებში“ დაიბეჭდოს, ტექსტი ვრცელი მესიჯით არ გამოგზავნოთ. ერთი მესიჯი (და არა — ამბავი) მხოლოდ 160 სიმბოლოს უნდა შეიცავდეს. ამიტომ, თუ ამბის მოყოლას ერთ მესიჯზე მეტი სჭირდება, გთხოვთ დაანაწევროთ და ცალ-ცალკე გამოგზავნოთ, წინაალმდეგ შემთხვევაში, თქვენი მონათხრობი არ გამოქვეყნდება.**

„ქალს კაცების კუდში დევნა არ შეჰფერის“

„გზის“ №26-ში დაიბეჭდა ლიკ 94-ის მესიჯი. იგი გვწერდა: „ნიკა 3 წლის წინ, „დისკოზე“ ვნახე და ძალიან მომეწონა. დაქალმა მის შესახებ რაღაცები კი მითხრა, მაგრამ პირადად არ იცნობდა. იმ დღის შემდეგ ნიკას ხშირად ვხვდებოდი და მოსვენებაც დავკარგე. მერე შემთხვევით, მისი მობილურის ნომერი გავიგე და რაღაც მივწერე, თუმცა, მოგვიანებით შევეშვი... მასაც შემჩნეული ვყავარ, მიყურებდა კიდეც, მაგრამ — არაფერი... ვიფიქრე: დავივიწყებ-მეთქი, მაგრამ როცა ვხვდები, მის გარდა ყველაფერი მავიწყდება და უცნაური რამ მემართება. მინდა, დავუახლოვდე, თუმცა არ ვიცი, ეს როგორ უნდა მოვახერხო, რადგან საერთო მეგობარიც კი არ გვყავს. მინდოდა, „სკაიპში“ დამემატებინა, მაგრამ რა მეთქვა მერე? უჭკუო ნამდვილად არ ვარ და არ მინდა, თავი მოვაბეზრო...“

„თუ ადამიანი მოინდომებს, ყველაფერს შეცვლის“

სვანუკა:

„გოგო, სვანი მე ვარ თუ შენ? კაცი ზედაც არ გიყურებს და რით ვერ მიხვდი, რომ მასზე ფიქრს უნდა შეეშვა? მერწმუნე, თუ ადამიანი მოინდომებს, ყველაფერს შეცვლის. ახლა არ დამიწყო იმის მტკიცება, რომ მისი დავიწყება არ შეგიძლია — საერთოდ, რა იყო თქვენ შორის, რომ ვერ დაივიწყო?.. კარგია, „სკაიპში“ რომ არ დაიმატე, თორემ მართლა სულელურ სიტუაციაში აღმოჩნდებოდი“.

ქეთი:

„თუ მართლა ასე უზომოდ ხარ შეყვარებული, ჯობია, მიხვიდე და პირდაპირ უთხრა, რომ მისი გაცნობის სურვილი გაქვს. რა იცი, რა ხდება, იქნებ ის ბიჭი ძალიან მორცხვია და ვერ გეუბნება, რომ თავადაც მოსწონხარ? ჯობია, ყველაფერი ახლავე გაარკვიო, თორემ პლატონური სიყვარული შეგიპყრობს და დაიტანჯები“.

ნია:

„რომ გიყურებდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ შენზე გიჟდება. ალბათ ხვდება, მასზე რომ გიჟდები. ჰოდა, ჭკვიანად თუ არ მოიქცევი, შეიძლება, ნიკამ შენი სისულელით ისარგებლოს და გული გატკინოს. იმედია ხვდები, რასაც ვგულისხმობ და მას ამის საშუალებას არ მისცემ. წარმატებებს გისურვებ!“

უცნობი:

„კარგად იქცევი, რომ აღარ ეკონტაქტები. აბა, რა პონტია, ბიჭი თავად რომ „შეაბა“? საერთოდ, გოგოსთან ურთიერთობისას მამაკაცი უნდა აქტიურობდეს, მას კი, როგორც ჩანს, საერთოდ არ აინტერესებ და თავი რატომ უნდა „შეატენო“? მერწმუნე, როცა ვინმე შეგიყვარდება, ეს ყველაფერი სასაცილოდ მოგეჩვენება. ახლა გგონია, რომ გიყვარს, მაგრამ მერწმუნე, სინამდვილეში მის მიმართ არაფერს გრძნობ; ის უბრალოდ, გარეგნულად მოგწონს და ამით აჟიტირებული ხარ. იმედია, ერთი თაყვანისმცემელი მაინც გყავს. ჰოდა, მასზე იფიქრე, შენთან დაახლოების შანსი მიეცი და მიხვდები, რომ ნიკას გამო სულ ტყუილად დარდობ. ღვთის წყალობა არ მოგკლებოდეს!“

სალი:

„გოგო, შენ ხომ არ უბერავ? ქართველ ქალს კაცების კუდში დევნა არ შეჰფერის. იმ ბიჭს რომ მოსწონდე, შენი გაცნობის სურვილს მაინც გამოთქვამდა... ჯობია, ნიკაზე ფიქრს შეეშვა. მერწმუნე, მალე შენს ცხოვრებაშიც გამოჩნდება ისეთი ადამიანი, რომელიც თავად დაგიწყებს კუდში დევნას და თავსაც შეგაყვარებს. წარმატებები!“

ნიკოლო:

„შენ უბრალოდ, მისმა გარეგნობამ მოგხიბლა, მაგრამ ვინ იცის, მაგ ლამაზი ნაკვთების მიღმა ვინ იმალება. თუმცა, ვინც არ რისკავს, ის ვერც იგებს და ამიტომაც, როცა შეგხვდება, მიესალმე, გაუღიმე, თვალებით ესაუბრე და თბილად მოიკითხე. წესით, ამ ყველაფრის მერე შენთან ურთიერთობის სურვილი უნდა გაუჩნდეს. P.S. კარგად იქცევი, „სკაიპში“ რომ არ ამატებ. ჰიპერაქტიურ გოგონებს ჩვენ მაინც, ალმაცერად ვუყურებთ ხოლმე“.

ლუნა:

„უკვე მაღიზიანებს, ეს ხალხი პრობლემას არაფრისგან რომ ქმნის და ბუზს სპილოდ აქცევს. ჩემო კარგო, ამქვეყნად უამრავი სიმპათიური ბიჭია და შესაძლოა, ბევრი მათგანი მოგეწონოს, მაგრამ გრძნობებს არ უნდა აჰყვე, ვაი-უშველებელი არ უნდა ატეხო... შენი მესიჯიდან ჩანს, რომ იმ პიროვნებამ, რომლის გამოც მოსვენება დაგეკარგა, მესიჯზე არც კი გიპასუხა. ჰოდა, ნურც შენ გადაირევი. ჩემო კარგო, თავი უნდა დაიფასო. გაკოცე“.

ნიკ-ნიკა:

„მაგარი სასაცილოები ხართ ეს გოგონები, რა. ბიჭს კვალში თუ ჩაუდგები, გგონია, ამით მის გულს მოიგებ? ძალიან ცდები, ჩემო კარგო. მეტიც, შესაძლოა, ასეთი საქციელით მისი გაღიზიანებაც კი გამოიწვიო. დარწმუნებული ვარ, ის იმიტომ გიყურებს, რომ ვერ ხვდება, მისგან რას მოითხოვ. როცა ვიღაც დაგდევს, შეუძლებელია, ეს ვერ შეამჩნიო. ჰოდა, მზერით გახვედრებს, შემეშვიო, შენ კი ამასაც ვერ ხვდები“.

საფო:

„ეგ ბიჭი შენი არასდროს გახდება, ასე რომ, თავს ტყუილად ნუ დაიმცირებ. ისე, მესიჯი თუ მისწერე და კუდშიც დასდევ, „სკაიპში“ რომ დაიმეგობრო, რა მოხდება? გადამრევთ, რა... ისე, „დისკოზე“ თუ ნახე, ვერ წაუცეკვე? მერწმუნე, ცეკვის დროს ბევრი წყვილი უახლოვდება ერთმანეთს“.

მაცმაცუნა:

„თავი დაიფასე და დაგაფასებენ! P.S. ზოგ-ზოგიერთს მივმართავ: თუ ადამიანისთვის რჩევის მიცემა არ შეგიძლიათ, ღანძღვა თქვენთვის შეინახეთ“.

ატარეძსია:

„უჭკუო არა ვარო, რომ იძახი, ე.ი. იმასაც უნდა ხვდებოდე, რომ იმ ბიჭთან დასაახლოებლად ინიციატივა არაერთხელ გამოიჩინე და მას რაიმეს სურვილი რომ ჰქონოდა ანუ რომ აინტერესებდა, ამ შანსს ხელიდან არ გაუშვებდა. აქედან დასკვნა: ნიკას მანამდე უნდა შეეშვა, ვიდრე ამას თავად გეტყვის“.

რუსპირი (GREEN):

„უჭკუო რომ არ იყო, ამ მესიჯს არ გამოგზავნიდი. თავადაც კარგად ხვდები, რომ ნიკას არ აინტერესებ. მას შენი ნომერი ჰქონდა და არ შეგეხმიანა, გაცნობის შანსი ჰქონდა, მაგრამ არ იაქტიურა. მერწმუნე, ქუჩაში თვალს რომ გაყოლებს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ შენ მიმართ სიმპათიითაა განწყობილი და ილუზიებს ნუ იქმნი. თვალი გაახილე, კარგად გაიხედ-გამოიხედე და აუცილებლად იპოვი ისეთ ბიჭს, ვინც დაგაფასებს“. ■

„მეგობრობას გაფრთხილება სჭირდება“

„გზის“ №26-ში დაიბეჭდა უცნობის მესიჯი. შეგახსენებთ, იგი გვწერდა, რომ მეგობარი დაშორდა, მაგრამ ამის მიზეზს არ ეუბნება. „ეს ყველაფერი ჩვენი საერთო მეგობრის გამო მოხდა, რომელსაც ყველაზე მეტად ვენდობოდი და რომელმაც მიღალატა: როგორც სხვებმა მითხრეს, ის დაქალს ჩემზე ისეთებს ეუბნებოდა, რომ სხვა გზა არ დაუტოვა. არადა, ვიცი, მეგობარს მაგრად ვუყვარვარ და ის მეც მიყვარს, მაგრამ ურთიერთობის აღსადგენად არაფრის გაკეთება არ ძალმიძს...“

„ჭორის „ამგორებელს“ ყურები დააჭერით“

უცნობი:

„რაღაც უაზრობის გამო მეგობარი მეც დავკარგე. სხვათა შორის, ჩვენი ურთიერთობის დანგრევა ჩვენივე დაქალის კისერზეა, რომელმაც ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ დავეშორებინეთ — ამას ახლა, წლების შემდეგ მივხვდი, მაგრამ ცხელ გულზე ერთმანეთს ისეთი სიტყვები ვუთხარით, რომ უკან დასაბრუნებელი ყველა გზა მოვიჭერით. ახლა გული მტკივა, უიმისობას ძალიან განვიცდი, მაგრამ ვერც თავს დავიმცირებ... ასეა თუ ისე, დავკარგე საუკეთესო დაქალი და ზუსტად ვიცი, მისნაირ მეგობარს ვეღარასდროს გავიჩენ. ამიტომაც გირჩევ: სანამ დროა, მოძებნე და ურთიერთობა გაარკვიეთ. სჯობს მეგობარს გულახდილად დაელაპარაკო და თუ მის წინაშე თავს დამნაშავედ მიიჩნევ, ესეც აღიარო, ვიდრე ჩუმად იყო და იტანჯებოდე. და კიდევ, იმ მესამე მეგობრის უხერხულ სიტუაციაში ჩაგდებასაც ნუ მოერიდები — ის თქვენი ნამდვილი დაქალი ვერასდროს იქნება. ადამიანი, რომელსაც შეუძლია, ჭორები მოიგონოს, ყოველთვის გაგხვევთ შარში და მასთან ურთიერთობას ამიტომაც არ გირჩევ. წარმატებები!“

ნია:

„საინტერესოა, იმ გოგომ ასეთი რა უთხრა, შენგან უსიტყვოდ რომ წავიდა? ეტყობა, მასზე მართლაც, რაღაც ძალიან ცუდი თქვი, თორემ ასე ხომ არ დაგშორდებოდა? ჩემო კარგო, მეგობრობას გაფრთხილება სჭირდება. ცხოვრებაში დაქალზე უკეთესი არავინ გეყოლება და მერწმუნე, ნამდვილი მეგობრის პოვნა ძალიან ძნელია. ასე რომ, თუ დამნაშავე ხარ, იმ გოგოს ბოდიში მოუხადე და შეურიგდი, ხოლო თუ მის წინაშე თავს უდანაშაულოდ მიიჩნევ, მაშინ გაარკვიე, რატომ გაირბინა თქვენ შორის შავმა კატამ. მეგობრის დაბრუნებას გისურვებ!“

ლალა:

„შენნაირი მეგობრის ყოლას ნამდვილად არ ვისურვებდი. არა მგონია, ის გოგო უმიზეზოდ დაგშორებოდა. ვცდები? თუ ასეა, რატომ არ აუხსენი, რომ უდანაშაულო ხარ? შენნაირი ვირთხები ყოველთვის ცდილობენ, სოროში დაიმალონ და საკუთარი კუდი არ გამოაჩინონ. თუ ვცდები და შენზე მცდარი შთაბეჭდილება შემექმნა, მაშინ დამიმტკიცე, რომ კარგი მეგობარი ხარ — ახლავე წადი შენს ყოფილ დაქალთან, მას ყველაფრისთვის (თუნდაც, მის წინაშე დამნაშავე არ იყო) ბოდიში მოუხადე, აუხსენი, რომ არაფერი მიგიქარია, მერე კი ერთად მიდით იმ თქვენს ვითომ დაქალთან და მაგრად „გატისკეთ“. თუ ასე არ მოიქცევი. ე.ი. რაღაცაში დამნაშავე ხარ, მაგრამ ამის აღიარება არ გსურს (ან გსურს, მაგრამ გრცხვენია). P.S. გაგვაგებინე, როგორ მოიქცევი, რას მოიმოქმედებ“.

ნიკო:

„არ მესმის, რატომ ამბობ, — არაფრის გაკეთება არ ძალმიძსო? როგორ დავიჯერო, რომ უდანაშაულო ადამიანს საკუთარი სიმართლის დამტკიცება არ შეგიძლია ან ასეთი რა ჭორი ააგორეს, უსიტყვოდ რომ დაგშორდა? ის მესამე პირი ისევ დაქალობს შენთან? თუ კი, რა პონტში ედაქალები, როცა იცი, რომ უზნეო ადამიანია? გირჩევ, ყოფილი მეგობარი დაიბრუნო...“

ზურა:

„ვერ ვხვდები, მეგობარი ასეთი სისულელის გამო როგორ დაგშორდა? ეტყობა, რაღაც მიქარე და ამაში საკუთარ თავსაც კი არ უტყდები. ისე, თუ მისი დაბრუნება გინდა, თუ მეგობარი მართლა ასე ძალიან გიყვარს, მასთან ურთიერთობის აღსადგენად ყველაფერი უნდა გააკეთო, პირველ რიგში კი, მას გულახდილად უნდა დაელაპარაკო. წარმატებები!“

ქეთი:

„ასე მგონია, ცოტა ვერა ხარ, რა. აბა, რას ნიშნავს, რომ ამბობ, — ურთიერთობის აღსადგენად არაფრის გაკეთება არ ძალმიძსო? ვიღაცის მიერ აგორებული ჭორის გამო საუკეთესო მეგობარს რატომ კარგავ? ჯორიდან ჩამოდი, დაქალს დაელაპარაკე და აუხსენი, რომ ერთმანეთს მართლა უსაფუძვლოდ კარგავთ; უთხარი, რომ მასზე ძვირფასი არავინ გყავს და თუ უყვარხარ, აუცილებლად დაგიჯერებს, მერე კი ერთად იპოვეთ ჭორის „ამგორებელი“ და ყურები დიდი მაკრატლით დააჭერით“.

რუსპირი (GREEN):

„სამი დაქალი, ჭორები, ერთი მოღალატე, გულნატკენი გოგონები — ნაცნობი ამბავია. მაპატიე, მაგრამ შენს ადგილას მას დაქალს, მით უმეტეს — მეგობარს არ დავუძახებდი. ის, ვინც შენს ერთგულებას ვერ ამჩნევს და რაღაც მონაჭორის გამო დაგკარგავს, უხეშად რომ ვთქვა, უნდა „დაიკიდო“. წარმატებები!“

ლუნა:

„ისეთი მეგობარი, რომელიც სხვას დაუჯერებს და ადვილად დაგთმობს, გვერდს ვერასდროს გაგიმაგრებს. გირჩევ, მასთან მიხვიდე და შენი წუხილის შესახებ პირდაპირ უთხრა ან „გზის“ ეს ნომერი წააკითხე და ყველაფერი უფრო იოლად მოგვარდება. გკოცნი“.

ნიკოლო:

„ღირსეული მეგობარი რომ გყოლოდა, ვიღაცების ნაბოდვრის გამო არ „დაგადებდა“, შენს აზრსაც მოისმენდა. მის დასაბრუნებლად არაფერი მოიმოქმედო, მეტიც — ეგ დაქალი წარსულის სანაგვეზე მოისროლე. თუ უყვარხარ, გული არ მოუთმენს და ყველაფრის გარკვევას თავად შეეცდება“. ■

მობილი-ზაკია

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

ქალები

1. ვარ 40 წლის. ფინანსურად და სამსახურით უზრუნველყოფილი. გავიცნობ ოჯახის შექმნის მიზნით ასეთივე მდგომარეობის, 40-55 წლის მამაკაცს, თუნდაც ქვრივს და ნაცოლარს.

2. ვეხმაურები 27-ე ნომრის მე-19 მესიჯის ავტორს. დამიკავშირდნენ.

3. გთხოვთ, მომცეთ „გზა“ №27, მე-19 სმსის ავტორის ტელეფონის ნომერი.

4. ვარ 38 წლის. ფინანსურად და სამსახურით უზრუნველყოფილი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 40-55 წლის კაცს, ასეთივე მდგომარეობით. იყოს ქვრივიც და ნაცოლარიც.

ყურადღება! გთავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მობილი-ზაციისთვის“ გამოსაგზავნი მესიჯის ტექსტი უნდა აკრიბოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საბერძნეთში მცხოვრებ მგზავნელებს, რადგან მათი მესიჯების გაშიფვრა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრებილი, არ გამოქვეყნდება!

ა — a	მ — m	ღ — gh
ბ — b	ნ — n	ყ — y
გ — g	ო — o	შ — sh
დ — d	პ — p	ჩ — ch
ე — e	ჟ — zh	ც — c
ვ — v	რ — r	ძ — dz
ზ — z	ს — s	წ — w
თ — t	ტ — t	ჭ — wh
ი — i	უ — u	ხ — x
კ — k	ფ — f	ჯ — j
ლ — l	ქ — q	ჰ — h

5. გავიცნობ ქერა, ცისფერთვალება ბიჭს, 25-28 წლამდე. ვცხოვრობ წყალტუბოში. რა თქმა უნდა, დასაქმებულს.

6. ვარ 45 წლის მანდილოსანი. ვცხოვრობ და ვმუშაობ თბილისში. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ საჩხერელ მამაკაცს.

7. გავიცნობ შეგნებულ ბიჭს, ვინც სულიერებასა და პატიოსნებას აფასებს და არა — ქონებასა და სხვა ფასეულობებს. ვარ სერიოზული და მორწმუნე, 26 წლის ქალიშვილი. ქუთაისი.

8. ვარ 19 წლის გოგონა. გავიცნობ 19-30 წლამდე ასაკის, პატიოსან მამაკაცს. სერიოზული ურთიერთობისთვის, თუ ერთმანეთს გავუგეთ.

მამაკაცები

9. ვარ 25 წლის. გავიცნობ 30 წლამდე გოგოს, ლამაზი ურთიერთობისთვის. ვარ სამსახურითა და ბინით უზრუნველყოფილი. მურიკო.

10. ვარ 36 წლის, სიმპათიური, განათლებული და მოსიყვარულე მამაკაცი. ვისაც ერთხელ არ გაგიმართლათ სიყვარულში და გული გაქვთ ნატკენი, მომწერეთ, იქნებ ახლა გაგვიმართლოს?

11. გთხოვთ, მომცეთ „გზა“ №26-ში გამოქვეყნებული, 1-ელი და მე-3 მესიჯების ავტორების ნომრები. წინასწარ გმადლობ. ზურაბი.

12. გავიცნობდი გოგონებს, 18-დან 25 წლამდე. დამიმესიჯეთ.

13. გთხოვთ, მომცეთ 26-ე ნომრის მე-5 მესიჯის ავტორის ნომერი.

14. 26-ე ნომრის მე-4 მესიჯის ავტორს ვეხმიანები, ვარ 30 წლის, მაღალი, თბილისელი, უცოლო ბიჭი. გთხოვთ მომცეთ ნომერი.

15. ვარ თბილისელი, 28 წლის, დასაქმებული. გამომეხმაუროს 40 წლამდე ასაკის მანდილოსანი, ვისთვისაც მარტოობა მომაბეზრებელია. ერთად დავძლიოთ მარტოობა. თედო.

16. გთხოვთ, მომცეთ „გზა“ №26, მე-5 სმსის ავტორის ნომერი. წინასწარ დიდი მადლობა.

17. ვეხმაურები „გზა“ №27, მე-6 მესიჯის ავტორს. დამიტოვეთ თქვენი ნომერი.

18. ვეხმაურები 27-ე ნომრის მე-10 მესიჯის ავტორს.

19. ვარ 33 წლის, სიმპათიური მამაკაცი, მატერიალურად უზრუნველყოფილი. გავიცნობ 25-35 წლამდე ასაკის, მხოლოდ თბილისელ მანდილოსანს. არ ინანებთ. ზაზა.

20. გთხოვთ, მიეცით ჩემი ნომერი 23-ე ნომრის 1-ელი სმს-ის ავტორს. ვარ 23 წლის ბიჭი. ოჯახის შექმნის მიზნით ვეძებ სერიოზულ გოგოს. ჯაბა.

21. გთხოვთ, მომცეთ „გზა“ №26-ში 1-ელი და მე-9 მესიჯის ავტორების ნომრები.

22. გავიცნობ მანდილოსანს 30-40 წლამდე, ოჯახისა და ბავშვის ყოლის პერსპექტივით, ვარ 44 წლის, განქორწინებული, უშვილო (არა — ჩემი მიზეზით), ვცხოვრობ მარტო, ჩემს ბინაში. სიმაღლით ვარ 162 და 64 კგ, უმაღლესი განათლებით, ნორმალური გარეგნობის. ასე რომ, სიმაღლის (მაღლების) მოყვარულებს... ბოდიში... ქალბატონი მთლად მახინჯი ნუ იქნება.

23. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ 18-25 წლამდე ასაკის, ნორმალური გარეგნობის, ქართველ გოგოს. ვარ 27 წლის, ვარ დასაქმებული. მსუქნებმა და პრანჭიებმა თავი შეიკავონ.

გისოსებს მიღმა

• პატარავ, დედას სიხარულო და ტკივილო, როგორ ხარ? დღეს, ანუ სამშაბათს, გავუშვი სოფელში ბაღნები :) მარიც წაიყვანეს. დავსვი დილით „მარშრუტკაზე“ და წავიდნენ. ახლა, ამას რომ ვწერ, ჯერ თერჯოლაში არიან და არ ჩასულან. სახლში რომ

მივალ და არ დამხვდებიან, გავგიჟდები ალბათ. ახლა მალე გნახავთ უკვე... სულ რაღაც, 2 კვირაში... ახალი არაფერია... ჰო, მართლა, ასია გარდაიცვალა, თურალას ბებია. საწყალი, მარტო იყო სახლში, ღამე ამდგარა და წნევას დაურტყამს. დილით რომ არ გამოჩნდა, მოიკითხეს, ფანჯრიდან გადავიდნენ და გარდაცვლილი იპოვეს. უწვალია, საწყალს, მთელი 6 საათი... სხვა რა გითხრა? წინა კვირას ეტყობა, დეპრესია მქონდა და ისეთი წერილი მოგწერე, ვინც წაიკითხა, ყველა ბღაოდა თურმე... შენც დაგგრუზე ალბათ... რა ვქნა, სიხარულო, ხან ისეთ დღეში ვარ, სიკვდილი მინდა, ხან კიდევ, სიცოცხლე მწყურია, რომ ამ ტანჯვის მერე, ყველაფერი კარგად რომ იქნება, ერთად და ბედნიერად ვიყოთ ყველანი და ამით დავტკბე. ერთი გალახვა კი მაინც გაგლახავ, რომ გამოხვალ, აბა, ისე როგორ იქნება? გორებზე წაგიყვან და იქ გაგლახავ. გენაცვალე, დე... ოღონდ შენ გამოდი და... შენ იცი, გეხუტები, სიხარულო. უფალი გფარავდეს. გიკოცნი მწვანე და ციმციმა თვალებს. დედა.

• სიხარულო, როგორ ხარ? ჩვენ ძველებურად. 12-ში რაჭაში წავედით და შენს შეხვედრამდე ჩამოვალთ. გული მტკივა, იქ რომ უშენოდ ვიქნებით. თავიდან ძალიან გამიჭირდება. ძალიან მენატრები და სიგიჟემდე მიყვარხარ. დავიღალე მარტოობით, მაგრამ რომ გამოხვალ, ძალიან მაგრად ვიქნებით. ჩვენზე ნუ იდარდებ, თავს გაუფრთხილდი. საბა გკითხულობს. ჩემი მამიკო მაგარი ბიჭიაო, ამბობს, ბევრ ფულს მოაგროვებს და დიდ პიპიას მიყიდისო. ძალიან ბევრი ლექსი იცის და მღერის. ძალიან ცელქია და სულ ხულიგნობს. მე ორშაბათს გამოვგზავნი წერილს, შენც გამოგზავნე, რომ ჩამოვალ, დამხვდება. 20-ში შენს ხმას მაინც გავიგონებ. კარგი, დროებით, სიხარულო და მიხედე თავს. მიყვარხარ ტკივილამდე. ჟურნალში მოგწერ ხოლმე.

• ირაკლი, ძალიან გვენატრები კლასელებს და გვაკლიხარ. მაიკო დეიდასგან ვიგებთ შენ ამბებს და შენთან ერთად გატარებულ დროს ვიხსენებთ. მარიამ თავართქილაძე. გკოცნით.

• დათო ზირაქაშვილს! ჩემო ძამიკო, ყოველ საღამოს შენზე ვლოცულობ, უფალს ვთხოვ შენს მფარველობას. მშობლებს უჭირთ უშენობა. ძალიან მიყვარხარ და გელოდებით.

• იკა, რავა ხარ, ბრატ, მაგრად იყავი. მოკითხვა საჩხერიდან, ღმერთი — შენკენ და მალე ჩვენთან ყოფილიყავი. მიშკა, რევაზი, თეა, ასმათი... იმდენი ვინმე გითვლის მოკითხვას, ყველას ვერ ჩამოვთვლი.

• 3.198გი, როგორ ხარ, ნეტავ? როგორ იწელება დღეები, მოუთმენლად ველოდები თვის ბოლოს, მაგრამ ამჯერად სალო-ლუკას შემოგიყვან. მენატრები უზომოდ. მოგონებებით ვცხოვრობ. ძალიან მიჭირს უშენოდ. ფრთამოტეხილივით ვარ. დიტოა ჩემი მარჯვენა ხელი. გვერდით მიდგას და ძალიან გგულშემატკივრობს. არ ვიცი გი, ეს კოშმარი როდის დასრულდება. ის კი ვიცი, რომ ნერვები მწყობრში აღარ მექნება. ყველა დეტალს ვიხსენებ და რომ მომენატრები, ბავშვივით ვტირი. გთხოვ, მომწერე, თუნდაც ორიოდე სიტყვა იყოს. დუმილი მეტად მანადგურებს. თავი სულ ზედმეტი მგონია და ისედაც ტკივილზე და ჯავრზე მეტი ტკივილი მემატება. გკოცნი ბუს, ცრემლებამდე მენატრები. თავს გაუფრთხილდი. უფალი მოწყალეა. შენი რჩევები, დარიგებები როგორ მაკლია. შენთან საუბარი გამინატრდა. მალე მოხდებოდეს სასწაული და ჩემთან იქნებოდე, ბუუს. საბამ და ნიამ მოგიკითხეს, გი. თეე.

• იკა, დე, როგორ ხარ? გუშინ ჯემიკომ 50 ლარი ჩაგირიცხა. გარეთ როგორ ცხელა და მანდ როგორ იქნები, შენ მოგიკვდეს დედა, მაგისთვის ვის ემეტებოდი? ბამბაში გზრდიდი და ახლა სად ხარ... იკა, აბა შენ იცი, როგორ ჭკვიანად იქნები. ღმერთმა დაგლოცოს, ჩემო დაუჯერებელო შვილო. ჩემს გულში რა ხდება, ღმერთმა იცის და ის მიმსუბუქებს ამ ტკივილს. თავს გაუფრთხილდი, დედი.

• მოვიკითხავ ნუგო30-ს და მივმართავ: მიმაჩნია, რომ არ შეიძლება, სრული სერიოზულობით მიუდგე ამ საკითხს. ვფიქრობ, კაცი უნდა იყოს იმდენად ამაყი, რომ მოხარული იყოს, თუ გოგო შეძლებს მის დავიწყებას. მგონია, ის გოგო ახლაც გიყვარს, მაგრამ არ ყოფილა შენი სიყვარულის ღირსი. ახალ სიყვარულს გისურვებ. პატივისცემით, კუნკულა.

• გიო თურაზაშვილო, ძალიან მიყვარხარ. თავს გაუფრთხილდი, ხომ იცი, როგორ გვჭირდები მე და დათუნას. ჩემი ცხოვრება ხარ. ანი.

• აჩი, როგორ ხარ? გილოცავ დაბადების დღეს, ღმერთმა ჯანმრთელობა და სიხარული არ მოგაკლოს. გაუძელი და უფლის წყალობით მალე ჩვენთან იქნები. გვენატრები ყველას. სოფო.

• აჩი, თავს გაუფრთხილდი და რწმენა არ დაკარგო, ღმერთი სამართლიანია და ყველას თავისი სიმართლით მიეზღვება. შენ კი უფრო ადრე გამოხვალ, ვიდრე ვიღაცებს ჰგონიათ. სოფო.

• კასკუ, ჩემო სიხარულო, იმედია დაწყნარდი. თუ შენი საბუთები მოიტანეს, პარასკევს გნახავ, თუ არა და იმ კვირაში. მიყვარხარ სიგიჟემდე და გეფერები გულში. შენი ლიკუნა.123.

• 3.198გი, ნეტავ, როგორ ხარ? უშენოდ უხალისოა ყველაფერი. შენზე ფიქრით მიღამდება და მითენდება. მინდა მჯეროდეს, რომ ყველაფერი კარგად იქნება. მიყვარხარ, ბუუს. გკოცნი. თეე.

სხვადასხვა

• გამარჯობა, მგზავნელებო. ძალიან მიყვარხართ. არასდროს დამიმესიჯებია. იმედია, ჩემს მესიჯს გამოაქვეყნებთ. გმადლობ. დონ ლუკა.

• გოგოვ, შენთვის დავიბადე და გავიცან შენი სახე. მიცან-გიცან ჩემო ვარდო, შენ დამიგე ფეხქვეშ მახე. იგრძენ-ვკვდები, გოგოვ შენთვის, თან მიმყვება შენი სახე. მხედავ? ვკვდები შენს ალერსში, საფლავს მაინც ჩამომძახე. საატრფოსათვის დატანჯული, შავს მიწაში დავიმარხე, თან წავიღებ, არ დამრჩება, ჩემს ჭირსვარამს, სისპეტაკეს. განვისვენებ ბნელ საფლავში, მეყო, რაც რომ დრო ვატარე, რაც შენს მკერდზე თავი მედო, რა გრძნობებიც შენ ჩამიხშე. ხელებს გაშლის, გულზე შემომეხვევა, ვარდის ბაგე პირზე დამეკონება. სიზმარეულ ნეტარების ალერსით, გრძნობით მთვრალი ნაზად მომეფერება. სიზმარია მოგონება წყეული, ყველა თითქოს ცხადად მომეჩვენება. მისი ტანი ახლად აყვავებული, მისი სახის ვარსკვლავივით მშვენება. მე რამდენჯერ შენზე ფიქრმა დამღალა, რა ძალა და რა ცეცხლია უქრობი, ხან ტკბილია ბადაგივით სასმელი, ხან მწარეა, შხამად მომეჩვენება. დაგივიწყო? მაშ დავკარგო ყოველივე? როგორ გავძლო? ან ვიღაზე ვიფიქრო? შენი სახე რომ გულიდან ამოვიღო, საჭიროა გულიც ამოვიგლეჯო. სულ სიხარული სად გაგონილა, განა ყოველთვის იშლება ვარდი? ცხოვრებაშიაც ზოგჯერ სიხარულს, თანა სდევს ხოლმე ათასი დარდი.

• თაზო, მიყვარხარ ძალიან, ძალიან. იცოდე, სადაც უნდა ვიყო, ყოველთვის მეყვარები, ჩემო სიცოცხლეე. დუდუ, მიყვარხარ.

• ძალიან მინდა, გაგეცნოთ ყველას: რუისპირს, უწუწურს, ატარექსიას... 14 წლის ვარ. იქნებ როგორმე შემეხმიანოთ. :)

• პუწკუ, ძალიან მიყვარხარ, ჩემი ამოსუნთქვა ხარ. ვიი.

• ჰოლმს, დაწყნარდი, ღრმად ისუნთქე და ირიბი წიხლების სროლას შეეშვი. შეიძლება, მაშინ ცოტა სარკასტულად გამომივიდა, მაგრამ მართლა არ მინდოდა გამენაწყენებინე. ნიკოლო.

• ძალიან, ძალიან მეცინება ზოგიერთ ნორჩ მგზავნელზე (ვიცი, მეც ნორჩი ვარ), რომლებიც ცდილობენ, რაც შეიძლება ბევრჯერ, ზოგჯერ უადგილოდ ახსენონ ძირძველი მომესიჯის სახელი, გვამცნონ, რომ მათ იცნობენ. დიახ, იცნობენ! და ამით დაიმკვიდრონ თავი. P.S. ხალხო, ინდივიდუალიზმი არ გაგაჩნიათ? P.P.S. მომწონს, ძველ ნიკს რომ დაუბრუნდი. ნიკოლო.

• ჰეპ, როგორ ხარ? რატომ დამეკარგე ასე უცნაურად? ხომ არ გეწყინა, რომ გითხარი, არც შენ და არც ის-მეთქი? უბრალოდ, არ მინდა, ტვირთი ვიყო შენთვის და მაგიტომ... შენთვის უკეთესია. ჩემი აზრით, შენთვის ასე აჯობებს. ნაკლები საფიქრალი გექნება და ნაკლებად მოგიშლი ნერვებს. მე ხომ შენს ცხოვრებაში დროებითი ვიყავი. დადგა ჩემი წასვლის დრო.

• ნიკოლო, არ მეგონა, ჩემი სმს-ის ქვეტექსტს თუ გაშიფრავდი, ყოჩაღ! :) ატარექსია.

• რაც შეეხება უტაქტობას, უბრალოდ, საკუთარ აზრს ზედმეტი შელამაზებისა და აქსესუარების გარეშე გამოვთქვამ. რა ვქნა, არ მეხიბლავება ეს მლიქვნელობა და... :) ატარექსია.

• სილამაზე ველარ გადაარჩენს სამყაროს, მე უარი ვთქვი! ასე რომ, თავს თვითონ უშველეთ! :):) ატარექსია.

• CRAZY GIRL, მახსოვს, ადრე ჩემი გზავნილი შეაქე, უფრო სწორად, ის იყო ჩემი დებიუტი მარისთან. :) მაშინ უდროობის გამო ვერ გიპასუხე და მოკლედ, მადლობას გიხდი. :) ნიკოლო.

• სევდიანო ქალო, ნიკისა და სენტიმენტალური ლექსების მიუხედავად, მაინც პოზიტივს ასხივებ. ამიერიდან კარგი ბიჭი გავხდები და შენს ლექსებს აღარ გადავახტები. ნიკოლო.

• ჩემო ჰილდა, სადაც უნდა ვიყო, სულ შენზე ვფიქრობ, მიყვარხარ, ჩემი ბუსუსუნა ხარ. მამუკა.

• მე ახალი ვარ. „გზას“ მუდამ ვკითხულობ იმიტომ, რომ ყველაზე მაგარი ჟურნალია. რაც შეეხება მგზავნელებს, ყველანი ძალიან მიყვარხართ. BLACK GIRL.

• ბამბუჩა, მაისურაძე ხომ არ ხარ? მე საკობიანოდან ვარ. პატივისცემით, ჯ.ხავი.

• ხანდახან მიზანს ააცილე! ხანდახან ჩამოჯექი ქვაზე! ხანდახან მტერიც გააცინე! ცხოვრებას სჭირდება ასე! მიყვარხართ, მგზავნელებო. პირველად გწერთ... ტანჯული.

• ჩემი სურიტა არ გამოჩენილაა?! რომელ სამინისტროში მოვძებნო, ის მაინც ვიცოდე.

• ჯონი მახაჭაძე, ჩემი სიცოცხლე ხარ, ძალიან მენატრები ჩემო ძვირფასო, შენ შემოგევლოს ჩემი თავი. ძალიან მაგარი ადამიანი ხარ. უზომოდ მიყვარხარ. მადონა.

• მე ყველაფერი გაპატიე. მენატრები. თინა.

• გამარჯობა. მე „გზის“ მუდმივი მკითხველი ვარ. მაინტერესებს, აქ ლეჩხუმიდან, კერძოდ, ცაგერის რაიონიდან თუ ვინმე ამესიჯებთ? დუდა.

• აუჰ, გუშინ 1 წელი გავიდა, რაც ვმუშაობ. ამდენ ხანს თუ გავქაჩავდი, არ მეგონა. ყოჩაღ, მე! :) დღეს კიდევ უფროსობამ უძალიანმაგრესი პიკნიკი მოგვიწყო. CRAZY GIRL.

• სოფუნია, გია სურამელაშვილის რძალი რომ გახდები, ჰოპლა! — შემდეგ დაიძახე. გია სახლში მეყოლება სულ თუ საწოლში, ჩემი გადასაწყვეტია. გია, სარძლოს ცუდი კანდიდატურა გყავს.

• გამარჯობა, ჩემო კარგო მარი. პარიჟანკას მესიჯი რომ წავიკითხე, ბევრი ვიტირე. მინდა მას ვუთხრა, რომ ძალიან მიყვარს და მინდა, მისმა დედიკომ დიდხანს იცოცხლოს. გერასიმე.

• ჯერ პატარა ტკივილი იყო, პატარა ტკივილს პატარა სიხარული მოჰყვა, პატარა სიხარულს კი დიდი სიყვარული. ერთმა ქორწილის ღამემ ჩემს ცხოვრებაში ყველაფერი შეცვალა. დაჟინებული მზერა ვიგრძენი. მივიხედე და დემოს თვალებმა დამატყვევა და აქამდე დატყვევებული დავდივარ. იმ ღამეს ერთმანეთი გავიცანით, უკვე 5 წელია, ერთმანეთთან გვაქვს ურთიერთობა, უცნაური ურთიერთობა — ჩვენ არ გვიყვარს ერთმანეთი, მაგრამ ვერ ვიტანთ, როცა ერთ-ერთ ჩვენგანს ვინმე უყვარდება. მიუხედავად ყველაფრისა, ის ჩემგან რომ წავიდეს, ძალიან დამაკლდება. და წავა კიდეც, ვიცი წავა, რადგან მე მას არ ვუყვარვარ, მე კი შემიყვარდა... დემო, გაფიცებ პირველი შეხვედრის წამებს, დარჩი ჩემთან... სოფიო.

• საუკუნეა, არ წამიკითხავს „გზავნილები“. ახლა დედაქალაში ვარ და ვიყიდე. როგორ ხართ, ბავშვებო? ნაომ, მიყვარხარ! CRAZY GIRL, შენი გაცნობა მინდა. გურულო.

• არის წუთები, როცა რაღაცა გეჯავრება, არის წუთები, როცა სიცოცხლე გეზარება, არის წუთები, როცა სიყვარული გენატრება და ეს ყველაფერი მაშინ ხდება, როცა ვიღაცა გენატრება.

• გამარჯობა მარი, გამიხარდა ჩემი სმს რომ ვნახე. თემას არ ეკუთვნოდა, მაგრამ მაინც გახარებული ვარ, აქ იშვიათად ვახერხებ ყიდვას, ვერ ვიგებ, რა თემაა ხოლმე. ირმა, ათენი.

• რას ეტენება ეს ნიკოლო ატარექსიას, ვერ ვხვდები. იდეინნი პროტესტანტი კი არა, ქლიავს უფრო ჰგავს. ან თუ დაუნების თავშესაყარია, აქ რა ჩემი ფეხები უნდა?

• მეეთქი, შემოვცუნცულდები „გზავნილებში“, ცოტას გავმხიარულდები-თქო, მაგრამ ვინ გაცლის? საერთოდ, ადამიანები ყველასა და ყველაფერში საკუთარ თავს ხედავენო. თქვენი თქმით, ჩვენ — ბრიყვები და თქვენ — ჭკვიანები? კაააი, ბატონო, რახან თქვენ იტყვით, იყოს ეგრე, ჭკვიანებიც თქვენ იყავით, ლიდერებიც და მონარქებიც. მსოფლიო მონარქებიც თქვენ იყავით მსოფლიო მასშტაბებითაც, თუ გინდათ. არაფერზე არ ვაცხადებთ პრეტენზიას. ეგაა, რომ გართობა გვინდა და გვაცალეთ, რა, ჰოდააა, ყიჟინით შევხვდებით ხუთშაბათს ალიონს. არადა, არავინ რომ არავისზე მეტი არაა, იმას ვერ ხვდებიან. ეს ლექსი, რომელიც გადავაკეთე, ყველასათვის ნაცნობმა პოეტმა, თემურ ელიავამ დაუწერა თავის მაესტროს, რომელიც მას კლოუნს ეძახდა. ასეა ცხოვრება.

• „გზის“ შავ-თეთრ ფურცლებზე შეიოველთ უნიღბოდ, შიშველი სულით და ზეშიშველ სიმართლით, რატომღაც გვიცვლიან სამოსელს, უნიკოდს და ყველა თვისებურ დიზაინს გვიმადლის. ჰგონიათ ვიჩემებთ ფუნქციებს ლიდერის, არადა, იციან, აქ ყველა ერთია, უკანასკნელ ვართ მართლაც რომ ქინდერი, მაგრამ ჩვენ ზემოთ მხოლოდ ძე ღმერთია. ცოდვების ყოველ წამს მივყვებით ტაატით, ცხოვრების ფარდები უკუნი შავია, განკითხვის დრო დგება მსოფლიო საათით და ჩვენი ბრიყვობა რა მოსატანია... თვის ბრიყვულ მონოლოგს აგრძელებს, აქ ჩხუბის ხალისი ვისა აქვს, არავის! უბრალოდ, ვერ ვიტან სიცრუის ავტორებს, მე „გზაში“ ვიპოვე ხალისის კარავი, წარსულის ლანდები არასდროს არ მტოვებს, ანონიმ ავტორი მობილურს გადაწვდა, და შემდეგ ნომერში თავს ჟურნალს დაგვამხობს. დამშვიდდით ძვირფასნო, ეს ლექსიც ჩავარდა, ჩვენ ჩვენი ფიასკო ლექსებით ვამაყობთ. ბრიყვი ლიმონა :).

• მარი, კაი რა, ზოგიერთებს იმდენ მესიჯს უბეჭდავ, მე კი... ლიზი123.

• ადამიანი, რომელმაც ჩემი ცხოვრება შეცვალა, ჩემი მეუღლე, იოსებ ზედგინიძეა. ერთმანეთი ხარაგაულის რაიონში, სოფელ ვერტყვიჭალაში გავიცანით, 2010 წლის 10 აგვისტოს. ჩვენ ახლა გვყავს 4 თვის საბა. მათ ჩემი ცხოვრება შეცვალეს.

• კუსი22, მადლობა მოკითხვისთვის, ვიმეგობროთ... ნიკოლოს გაცნობა მინდა-თქოოოო! რაღაც, ჩემნაირი ტიპია, რაა... მოკითხვა ყველას. მენატრებით! CRAZY GIRL.

• ASLEY, ნონ სტოპი, 9717, ოლე, უზნეო ანგელოზი, ჭრიჭინა, კამელია... მენატრებიან საშინლად! CRAZY GIRL.

• დიკი ანგელ, დედობა ღვთისგან ბოძებული, ყველაზე უდიდესი მადლი და ბედნიერებაა. ტვირთად და სასჯელად არასდროს აღიქვა. გურულს დიდი სალამი და მოკითხვა. ტირიფი73.

• გურულო, მე ვარ გურული, კიდევ კუტრინა და მონატრებული იკუშკეცნა გურული... გაგიცნობდი... არა? გკოცნით, გეხვევით, გეტღაუჭებით... ცრაზყ გირლ.

• ძალიან მრცხვენია ჰოლმს, რით დავიმსახურე ასეთი ყურადღება? ერთი ჩვეულებრივი ადამიანი ვარ, ჩემი უარყოფითი თვისებებით. ღირსეული მგზავნელიც კი არ ვარ. უბრალოდ, ტირიფი73.

• ნაომ, მადლობა მოკითხვისთვის. :) ბუცა.

• ძაან დიდი სურვილი მაქვს, შენი გაცნობისა და შენთან მეგობრობის. მართლა. მადლობა ასეთი ყურადღებისთვის, ჩემო კარგო. გპირდები, მალე პირადად გაგიცნობ. გფარავდეს უფალი. ბუცა.

• კიდევ ერთი პლუსი დაიწერე ქვრივო, ჩემთან (ნუგო30-ის პასუხს ვგულისხმობ) მართლა სამაგალითო ქალი ხარ და ღმერთი ყველაფერს ხედავს. წარმატებები. ბუცა.

• ძაან გაოცებული ვარ, აქ რა ხდება? ნუგო30-ს ყველას გაცნობა და დაჯერვა უნდა? თან ქალები უტვინოები არ არიან, მით უფრო — მგზავნელები. რაღაც, არა მგონია, ეგრე ვინმე გამოიჭირო, არ გაგიგია, ორი კურდღლის მდევარზე? :) ბუცა.

• ძაან ბავშვი ხარ, დიკი ანგელ, ასჯერ წახვედი და მოხვედი. გული არ გაიტეხო.

• ეს გურულო რამდენიმე კვირის წინ ნაომის ეტენებოდა და ახლა რად ლანძღავს?

• ბუცა, არ გინდა, შენი LOVE STORY „გზაში“ რომ მოგვითხრო?

• გაიხარე ქვრივო, მადლობა, კარგად ვარ, შენ როგორ ხარ, ეგ მითხარი. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ეს სიყვარული მაბედნიერებს, მიუხედავად ბევრი დაბრკოლებისა.

• დიდი სიყვარულით მოვიკითხავ ქალბატონ ნანი დუმბაძეს, ჩასართეს, ბელოს, ლაკვასტს, ლუნას, გადარეულს, ფლამინგოს, GRAZI GIRL-ს და ჰოლმსს... სევდიანი ქალი.

• ძველი ლეგენდა გვიამბობს: თურმე, ჟამს დასაბამისას, ღვთაებრივმა შემოქმედმა ქალის შექმნა გადაწყვიტა და აღმოჩნდა, რომ მთელი მასალა მამაკაცის შექმნას მოხმარებოდა და შესაფერი აღარა დარჩენოდა, რა. დაფიქრდა შემოქმედი და ასე მოიქცა: აიღო სისავსე მთვარისა და ხვიარას უნარი მიტმასნებისა, ხლაკუნა თევზის საცეცთა ჩაჭიდების ძალა და თრთოლა ბალახთა, მოქნილობა ლერწმისა და მოყვანილობა სპილოს ხორთუმისა, სიმსიბუქე ღრუბელთა და დაუდგომლობა ქარისა, სიფრთხილე კურდღლისა და ამპარტავნება ფარშავანგისა, სილბო თუთიყუშის მკერდისა და სიმტკიცე ალმასისა, სიტკბოება გოლეულისა და პირგამეხება ვეფხვისა, ალმურთა სიმწვავე ცეცხლისა და თოში ყინვისა, უბედობა ჩხიკვისა და ღუღუნი მტრედისა, წეროს სიმუხთლე და ერთგულება გარეული იხვისა... შეურია ერთმანეთს და შექმნა ქალი. სევდიანი ქალი.

• მე და ჩემი მეუღლე ბავშვებით ჩემი ბავშვის ნათლიასთან ვიყავით, ოჯახში. სუფრასთან ვისხედით, ერთ მხარეს მეუღლე იყო, მეორე მხარეს ნათლიის ძმა, რომელიც

ბავშვს ეთამაშებოდა. ბავშვი მოტრიალდა, ამ ბიჭმა ინსტინქტურად ფეხზე ხელი დამადო, რა საყვარელი ხარ, პატარავო. მეც არ დავაყოვნე: უკაცრავად, მაგრამ ეს ჩემი ფეხია-თქო. უი, ბოდიში, მე ბავშვის მეგონაო.

• გამარჯობა! მოვიკითხავ ყველა მგზავნელს! ჩემი ნამდვილი სახელი გიოა და ამ სახელით დამიმახსოვრეთ.

• ამას წინათ, ძალიან რომ აცივდა და საშინელი ქარი ქროდა, საბურთალოზე, კერძოდ კი ნუცუბიძის პლატოზე, დაქალს ვესტუმრე. რაღა მაინცდამაინც ის დღე ავირჩიე, არ ვიცი. ქარი ხეებს გლეჯდა და ხალხი შიშით დადიოდა ქუჩაში, სახლებს სახურავები არ ახადოს და თავზე არ გადმოგვემხოსო. მოკლედ, ასე იყო, ქუდი შუბლზე ჩამოვიფხატე და შაჰიდივით დავიწყე ქუჩაში გადაადგილება. არა, აქედან მისვლას რა უჭირდა, მაგრამ სახლში ხომ უნდა დავბრუნებულიყავი? მასპინძელი და დედამისი მეხვეწნენ, დარჩი თაკო, დარჩიო, მაგრამ, ქვა ავაგდე და თავი შევუშვირე — შინ საქმე მაქვს და ღამე მინდა ყველაფერი გავაკეთო, ხვალ სამსახურში ადრე უნდა მივიდე-მეთქი. არც ოჯახის უფროს დაველოდე, სამსახურიდან მოსულიყო და სახლამდე მივეყვანე. ჩემს დაქალსაც გაცილებაზე უარი ვუთხარი, გამოვიკეტე მარტომ კარი და ქუჩაში გამოვედი. ისე ციოდა, ქარი ძვალ-რბილში ატანდა. მენანებოდა ტაქსის მომსახურებაში 12-13 ლარის გადახდა (სწორედ ამდენი სჭირდება მგზავრობას ჩემს სახლამდე), მაგრამ სხვა გზა არ მქონდა. გაჩერებაზე დავდექი და ტაქსის მძღოლების თვალიერება დავიწყე. ძლივს ვხედავდი, საჭესთან ვინ იჯდა. ჩემი ჭკუით, ასაკოვან მძღოლს ვეძებდი. სასურველი კანდიდატურა დავლანდე და ხელიც დავუქნიე. მძღოლმა მითითებულ მისამართზე მიყვანაში 12 ლარი მომთხოვა. მზად ვიყავი, 2-ჯერ მეტი გადამეხადა, ოღონდ კი სახლში სწრაფად მივსულიყავი. თურმე ნაადრევად მიხაროდა. 2 წუთის შემდეგ, მძღოლი შეეცადა, საუბარში ავეყოლიებინე. მე ცალყბად ვპასუხობდი, მაგრამ არ შემეშვა. ბოლოს ამინდზე ჩამოაგდო საუბარი და მითხრა: გენაცვალე, ისე ცივა, ახლა მარტო კაცის ჩახუტება თუ გაგათბობს. მოდი, გადავუხვევ სადმე, მოვეფეროთ ერთმანეთს, თუ გინდა, ერთი-ორი ჭიქა გადავკრათ, მერე სახლში მიგიყვან და ფულს არ გამოგართმევ, მგონი მშვენიერი წინადადებაა. მერე შენც ღამით მშვენივრად დაგეძინება და მეცო. გადავრიე ქალი. რას კადრულობთ, როგორ არ გრცხვენიათ-მეთქი? კაცმა გაიკვირვა — რა იყო, რა მოგივიდა, შენ პირველი კი არ იქნები, ვისაც მსგავს წინადადებაზე თანხმობა უთქვამს. თუ არ გინდა, არც შეგეხვეწებიო. ეს თქვა, მიტრიალდა და გზა გააგრძელა. ბრაზმა და წყენამ უცებად გამიარა. ჩემში ინტერესმა გაიღვიძა. ვზივარ ჩუმად, ხმას არ ვიღებ, მაგრამ თან მაინტერესებს, რამდენი ქალია ამაზე წამსვლელი. ბოლოს გაუბედავად დავიწყე: შეიძლება, რაღაც გკითხოთ-მეთქი? ჩაფიქრდა, მერე რაღაცის ბუტბუტი თუ ანგარიში დაიწყო. ბოლოს კი ასეთი რამ მითხრა: ბოლო სამი წელია, ვტაქსაობ და ამ ხნის განმავლობაში, ჩემი გამოცდილებიდან გეტყვი, ათი ქალიდან შვიდი ამაზე წამსვლელიაო. პასუხმა აღმაშფოთა და ადგილზე გავქვავდი. უფრო მეტის გაგება მომინდა, მაგრამ ხმის ამოღების მეშინოდა. თვითონვე დამეხმარა — თან განა მხოლოდ ასაკოვანი ქალები, ამის გაკეთება უფრო მეტად გოგონებს არ უჭირთო. ერთხელ, ერთი ბავშვი ძალიან მომეწონა, მაგრამ რამის თქმა ვერ გავუბედე. მგზავრობისას თვითონ მითხრა, მე რო შენ „ის“ შემოგთავაზო, უფასოდ ხომ მიმიყვანო? შემრცხვა რაღაცნაირად, შვილიშვილის ტოლი იყოო. რაღაცნაირად, ცუდ ხასიათზე დავდექი. იმ კაცს ვუთხარი, თუ შეიძლება, მანქანა გააჩერეთ, სხვა მანქანაში გადავჯდები და სახლში ისე მივალ-მეთქი, მაგრამ დამამშვიდა. შენ თუ არ გინდა, მოძალადე კი არ ვარ, ნუ ნერვიულობ, შინ უვნებლად მიგიყვანო. ჩემი სახლიდან ორი სახლის მოშორებით გავაჩერებინე მანქანა. გადმოსვლისას ფული რომ გავუწოდე, მითხრა, შენ ისეთი გოგო ხარ, წესით, კაცი ფულს არ გამოგართმევდა, მაგრამ რა ვქნა, შინ ცოლი და 3 შვილი მელოდება და ფული უნდა მივიტანოო. რა ვიცი, რა გითხრათ, იმ დღის შემდეგ ძალიან გულდამძიმებული დავდივარ. ბიანკა.

• თბილისელებს საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა აქვთ და დიდი მიღწევა ჰგონიათ, თბილისელები რომ ჰქვიათ. ვერ ვიტან და მაღიზიანებს მათი ცანცარი. ან ეს რბილი „ლ“-ებით გადაპრანჭული, გაწელილი, გატყლარჭული საუბარი რა წესია?! საშინელებაااა!!! ბიანკა.

• ქართველები ტრადიციულები კი არა, ხელოვნური ხალხი ვართ. ჩემი აზრით, ყველა ე.წ. ქართული ტრადიცია ხელოვნურია. ბოროტი ადამიანები ლაპარაკობენ სულ სიკეთეზე. ჰმ... პატიოსნებაზე ლაპარაკობენ. იცით, რა ადვილია, როცა დაბერდები და არაფრის თავი არ გაქვს, უმწიკვლოებაზე ილაპარაკო?! ქალი, რომელმაც მთელი ცხოვრება იგრიალა და იბოზა, ახლა ლაპარაკობს, რომ მორალია მთავარი და გათახსირებულ ახალგაზრდობაზე მიუთითებს. ეს ადვილია! აი, ამ ყველაფრის მიმართ მაქვს პროტესტი. გააკეთე, რაც გინდა. რატომ დასცინი სხვას? გააკეთე რაც მოგწონს, ოღონდ ზომიერება დაიცავი. ბიანკა.

• პარიჟანკა, დღეს კიდევ წავიკითხე „დედის სურნელი“ და კიდევ ვიტირე. ღმერთს ვთხოვ, ვისაც დედა გყავთ, მისი კალთის სითბო 100 წელი არ მოგაკლოთ. გაიხარეთ, გკოცნით, გერასიმე.

• გამარჯობა ჩემო კარგო მარი, ბრძოლით ჩემმა მეუღლემ მოიპოვა ბედნიერება. ერთად ვმუშაობდით, სამხატვროში. ის მხატვარი იყო, მე მხატვრების დამხმარე და პარალელულად ისტორიაში მამეცადინებდა. მე სულით ხელოვანი ვარ და მხატვრობა ძალიან მიყვარს. ერთხელ გამოფენა ტარდებოდა ქუთაისში და მე და ჩემი დაქალი წავედით. ისე მოვიხიბლე მისი ნახატებით, რომ მის მიმართ გრძნობა გამიჩნდა. ჩემი მეგობრები და დედაჩემიც წინააღმდეგი იყვნენ. დედაჩემს არ მოსწონდა წვერიანი, ცისფერთვალება, მხატვარი სასიძო, მაგრამ ჩვენ გავიპარეთ და დღემდე უსაზღვროდ გვიყვარს ერთმანეთი. მიუხედავად იმისა, რომ მე ასე შორს ვარ მისგან, ჩვენ ვსუნთქავთ ერთმანეთისთვის. მიყვარხარ, ჩემო თენგიზ, მარად შენი გერასიმე.

• რაც შეგეხება შენ, ქაჯების დედოფალო, რაღაც უშნოდ ფართხალებ. ჯობია, შენ დაწყნარდე, მართლა. მეგობრობის არსი ესმის გოგოს! არსი რომ გესმოდეს და შეგნება გქონდეს, აზრი და ტვინი უნდა გქონდეს სანაცვლოდ. ტუტუცო. P.S. მიდით, მლანძღეთ, მაკრიტიკეთ, მაგინეთ, მე კი ღიმილით წავიკითხავ თქვენს სმს-ებს და ვიტყვი: საცოდავები.

• როგორ მენატრება ჩემი ანგელოზი... მიყვარხარ... ლიზი123.

• კუნკულა, სასხვათაშორისოდ აღვნიშნე უბრალოდ, რომ მაღალი ვარ-თქო, ეგ იყო და ეგ. :-) დიკი ანგელ, ცოდო კი არა, ბედნიერი ვარ მე! შენ კი ორსული და მიტოვებული.

• ვინც თქვა, ახლანდელი ბიჭები ლესბოსელები არიანო და თავი მაგრები ჰგონიათო, ვაფრთხილებ, სიტყვები შეარჩიოს, ყველა ბიჭი ერთნაირი არაა, მე არც ლესბოსელი ვარ და თავი არც მაგარი ბიჭი მგონია! მე ვარ ჩვეულებრივი ადამიანი და პატიოსანი ცხოვრებით ვცხოვრობ! ბიჭებში კი მეც ვითვლები, რადგან ბიჭი ვარ და სწორედ ამიტომაც გამოვეხმაურე შენს „ბრძნულ“ გზავნილს! ჰოდა, შენ თუ ვერ გიპოვია პატიოსანი ბიჭი, ეგ შენი ბრალია, რადგან არ ეძებ იქ, სადაც საჭიროა! და თუ ეძებ და ვერ პოულობ, ეგ შენი პრობლემაა! ყოველ შემთხვევაში, ყველა ბიჭს ერთ ტაფაში ნუ წვავ! კიდევ გიმეორებ, ყველა ბიჭი ერთნაირი არაა-მეთქი! არის ბიჭების სახეობა, რომლებიც არიან პატიოსნები, არის სახეობა, სადაც არიან არაპატიოსნები! გარჩევა უნდა ისწავლო! იმედია, ამის მერე ისწავლი გარჩევას! დღეს გოგონების 90%-ს სიყვარული ჰკიდია და უყურებენ მხოლოდ ბიჭის სიმდიდრეს, ფულს, იმას, თუ რომელ რესტორანში ან კაფეში წაიყვანს და რამდენ ლარს დაახარჯავს, იმას, რომ საჩუქრის შერჩევისას საჩუქარი რამდენად მდიდრული და ძვირია! და იმის მიხედვით, თუ სად წაიყვანს, სად გაართობს, სავახშმოდ მდიდრულ რესტორანში შევლენ თუ უბრალო კაფეში! აი, თანამედროვე სიყვარული! და ამას ყველას ერთად, ზემოთ ჩამოთვლილს, გოგონები სიყვარულს ეძახიან. რომ ჰკითხო, ბიჭი უყვართ, მაგრამ სინამდვილეში ადამიანის გული კი არ უყვართ, მათი ფული უყვართ, მათ ჯიბეს უყურებენ, რამდენად სქელია და ადამიანსაც იმის მიხედვით აფასებენ! მძულს ასეთი ხალხი, ვინმე ბიჭი ფიქრობს ჩემსავით? თუ ფიქრობს, ამავე ჟურნალში გამომეხმაუროს. კაცუნა.

• სამწუხაროდ, ადამიანები გონზე შეცდომების შემდეგ მოვდივართ და საკუთარ შეცდომებზე ვსწავლობთ! მაგრამ ბრძენი ის არის, ვინც სხვის შეცდომაზე სწავლობს! მეც ასე ვარ, სამწუხაროდ, გვიან მივხვდი, რომ გოგონების უმრავლესობა არ იქცევა ისე, როგორც უნდა იქცეოდნენ, გვიან მივხვდი, რომ არც ერთი გოგო არ იმსახურებს

თავგანწირვას, რადგან ყველა გოგო ერთნაირია, პატიოსნები და რჩეულები შეიძლება ათასში 3-იც არ იყოს! ვერ ვიტან გოგონებს, რომლებიც ბიჭს ჯერ გამოიყენებენ და შემდეგ გადააგდებენ, ჩემი აზრით, უზნეობაა, გოგოს ჰყავდეს ლოვე და კიდევ სხვას ეპრანჭებოდეს. ეს ჩემი აზრია, სხვისი კი არ მაინტერესებს!

•ვინ თქვა, სასწაულები არ ხდებაო? უბრალოდ, გწამდეს და უთუოდ ახდება ლამაზი ოცნება, მთელი სამი წელი ვოცნებობდი ამ წუთზე, როცა ჩავეხუტებოდი და ისევ ვიგრძნობდი მისი გულის ცემას. ვიცოდი, ვიცოდი, რომ ეს ოდესღაც კიდევ მოხდებოდა და აი, მე მის მკერდზე მიდევს თავი და ვგრძნობ, რა გამალებით უცემს გული... ჩემი გული? ჩემი გული კი დიდი ხანია, ასე მშვიდად აქ ყოფილა, ჩახუტებისას ერთი მწარე ტკივილი ვიგრძენი და მიყუჩდა. მშვიდად ძგერს, გაქრა ტკივილი, მისი წასვლის შემდეგ რომ დამჩემდა, ამქვეყნად უბედნიერესი ქალი ვარ! ცხოვრებაში პირველად ვიგრძენი, რომ ბედნიერი ვარ, პირველად მომინდა, რომ დრო გაჩერებულიყო და ასე ვყოფილიყავით ჩახუტებულები უსასრულოდ... სიხარულისგან ვეღარ გამეგო, მეცინა თუ მეტირა? ცრემლი და ღიმილი ერთმანეთში აირია, გიჟივით ვხარხარებდი და ცრემლებით მხარს ვუსველებდი, ის კი გულში მიკრავდა ისე, როგორც დიდი ხნის წინ, ისევ ისე მიკოცნიდა თვალებს... მერე რა, რომ ეს დროებითი იყო? სამი წელი კიდევ მეყოფა ეს ჩახუტება... ბედნიერი ვარ...

•ვისარგებლებ სიტუაციით და რამდენიმე დღის წინ მომხდარ, რამდენიმეწამიან და სასაცილო სიტუაციას გაგანდობთ: ვმგზავრობდი „მარშრუტკით“, მგზავრების „მძიმე ჰაერთან ერთად“. „მარშრუტკა“ უეცრად გაჩერდა წითელ შუქნიშანზე. თავი ღია ფანჯარაში მქონდა გაყოფილი. ჩემგან მარჯვნივ, დაახლოებით 1 მეტრში, „უშნოფერიანი“ „ჟიგული“ იდგა, რომელშიც „მძორსახა“ ბიძაკაცი იჯდა. თუმცა, კარგად რომ დავაკვირდი, უფრო უეშვო მამონტს წააგავდა. „ბარდაჩოკი“ გააღო, ტაქსის ტრაფარეტი ამოიღო და მის დასამონტაჟებლად მანქანიდან გადმოვიდა. მოულოდნელად, ერთი უცნაური აზრი მომივიდა — შუქნიშნისკენ თვალი გავაპარე. 15 წამიღა რჩებოდა მწვანე შუქის ანთებამდე. ამიტომ, ამ ორსულ ბეჰემოთს მიმსგავსებულ ტაქსისტს გავხედე და სწრაფად მივმართე: უკაცრავად, ძია კაცო! — თავი შემომიტრიალა... იცით, ახლა გაკვირდებით და დარწმუნებული ვარ, რომ სახლში 2 დიპლომი გექნებათ, მაგრამ სამუშაო ვერ იშოვეთ და ამიტომ ტაქსაობა დაიწყეთ, არა? სახეზე ღიმილი ამეკრა, მან კი გაკვირვებისგან ისეთი სახე მიიღო, თითქოს ვინმეს მთელი ქალაქი შემოატარა ნისიაზე. :) ამასობაში მწვანეც აინთო, სიცილში გადაზრდილი ემოციით მოვწყდი და პირღია დავტოვე ვინ იცის, იქნებ მართლაც იურისტი ან ეკონომისტი ტაქსისტი... :)

•P.S უყურადღებობა ზამთარში ბევრს აწყებინებს ხველას, დაიკიდეთ ამ სულელური შესავლით თუ მსურს მოგესალმოთ ყველას! საჯდომზე მაქვს დიდი ხალი, ხიფათთან ჭიდილია სპორტი — რალი, ფაქტობრივად მიქელას ბაითში გაქვს გადაყოფილი ფეხი ცალი. ბავშვების საწუწნავია კაკები, სარკეში ვიყურები და ვხვდები, რომ გასაპარსი მაქვს ბაკები. ახლა არ ვაპირებ საუბარს ბურჯანაძეზე, გრეჩიხაზე და მის კლანზე, სამაგიეროდ, ორიოდე ბილწნარევი სიტყვით მინდა გესაუბროთ პლანზე! მას შეუძლია დაბადოს შენში ახალი სამყარო და მოგანდომოს ყველასთან სექსუალური კავშირი ამყარო. მისტერ.

•მახალისებს ეს მზიანი დარიიი, თქვენი დარი ჩემთვის მუდამ მზეაااა, „გზავნილებში“ კვლავ უბერავს ქარიიიი, მალე ჩემი დაბადების დღეაااااა. ლიმონ, ლიმოოონ, მე შენს მეტიიი სხვაც კი ბევრი მყვაარებიაااა, მაგრამ გულში ასეეე ცეცხლი ჯერ არასდროს დამნთებიაااა. კვლავ ერთად ვართ მე და თეო ნანაიდა, ჯინველო, ნანაიდა, მერე რა, რო თბილისშია ნანაიდა, ჯინველოო ნანაიდა, შენ კითხვები მოიტანე, ნანიდა, ჯინველოო ნანაიდაა, პასუხი მეც სულ მზადა მაქვს ნანაიდااა, ჯინველოოო ნანაიდااა ;) საქათმეში შეპარულაა მელااა, ქათმებს ეჩურჩულებოდა ნელااა, თქვენ ძველებოო გაჩუმეთ ენااა, თქვენ ახლებო, წამომყევით ნელااა. მოდი, სიმღერებს მოვრჩები და მუზებს ვაქცევ ლექსადა, თორე იმასაც იტყვიან: რეალს პარვა აქვა წესადა. მე მსურს იხარონ მტრებმაო, ისინი ფონად მჭირდება, ლიმონჩიკ, ჩვენი ტანდემი ყოველთვის ამობრწყინდება. რაც იყო, იყო, რა ვიცი, რა არ მომხდარა ქვეყნადა, ხანდახან გული გაიყო, ხანდახან შემრჩა მთელადა. ხანდახან მთაში ვნავარდობ, ხანდახან ვრჩები ველადა, ხანდახან კურდღელს შევიცნობ, პარიკგადაცმულ მელადა. ისე გართობა მოგვინდა, არცავის ჯინი გვჭირსაო, ყველას სიკეთეს გისურვებთ, რომც იმეტებდეთ ჭირსაო. თუ ვინმეს რამე არ მოგწონთ, დაწერეთ, ნება თქვენია, ნუღა აჰყვები სხვებსაო, ოდითგან ასე მსმენია. ყველა სხვა გზებზე დავდივართ, ირევა ირგვლივ ფერები, ყველამ იხარეთ მგზავნელნო, ჩემებს კი მოვეფერები. ნუგო არ მახსოვს, ვინა ხარ, ვერ გაგიხსენე, ბოდიში... დღეებსა ვითვლი ლიმონჩიკ, ისევა მე შენს ლოდინში. ჩუპის დაბდღესა ვულოცავ, წარმატებები დაიკო, უფასოზე რომ მოხვდები, მსურს სიხარული გავიყო. ლიმონას დაბდღეც აქ იყო, ჩაგვისეირნა ახლაო, სიმშვიდეს კვლავაც გისურვებ, წარმატებები მაღლაო. ;) გამიგრძელდა მგონი სიტყვა, მარიიი, თქვენი დარი ჩემთვის მუდამ მზეაااა, გისურვებთ, რომ ჩადგებოდეს ქარიიიიი, მალე ჩემიი დაბადების დღეაااااااა... ;) მის რეალი.

•ჯეოსელის ჩათი ალბათ ყველამ იცით. ჰოდა, გადავწყვიტე, დავრეგისტრირებულიყავი. თავიდან მე ვეუბნებოდი ყველას, დამიმატეთ-მეთქი, მაგრამ როცა მოძრავ ტექსტზე, ქართველი რეპერების DLC-ს და BABY-ს სიტყვები დავამატე, ყველა აქეთ მთავაზობდა მეგობრობას. ასე გავხდი პოპულარული, საკაიფოდ, რა... გავიცანი მეგობრები, მაგრამ მათგან მხოლოდ ერთი მეგობარი დამრჩა — დანარჩენები გაიფანტნენ. სამაგიეროდ, ის ერთი მეგობარი ჩემს მეგობრებს შორის საუკეთესოა; ერთმანეთს ხშირად ვემესიჯებით და ერთმანეთს რჩევებს ვაძლევთ. ასე რომ, ზოგჯერ ჩათაობაც კარგია! კაცუნა.

გილოცავ!

•ბატონ ამირანს! გილოცავთ საყვარელი ვაჟიშვილის, გვარის გამგრძელებლის დაბადების დღეს, 21 ივლისს! გაიზარდოს ჯანმრთელი და გამოვიდეს წარმატებული ვაჟკაცი. მრავალ დაბადების დღეს დასწრებოდეს მშობლებთან და დაიკოსთან ერთად. უფალი ჰფარავდეს.

•ჩემს უსაყვარლეს დედიკოს, ცისანა ობოლაძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 16 ივლისს. დე, ღმერთი გფარავდეს მუდამ. ძალიან მიყვარხარ და მენატრები. გკოცნი. მადონა, ბათუმიდან.

•ირაკლი, გილოცავ პეტრე-პავლობის ბრწყინვალე დღესასწაულს. უფალი გფარავდეს, დედი.

•ნინო, სიხარულო, 1-ელ ივლისს ვაჟკაცის დაბადებას გილოცავ. სულ მუდამ ლამაზი ყოფილიყავი, მთელი ცხოვრება.

•მარის, მგზავნელებსა და ჟურნალ „გზის“ კოლექტივს ვულოცავ პეტრე-პავლობის ბრწყინვალე დღესასწაულს. უფალი გფარავდეთ!

•8 ივლისს დაბადების დღეს ვულოცავთ ვეფხია ლალიაშვილს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, გაბედნიერებასა და ღვთის წყალობას. სიყვარულით, ოჯახის წევრები.

•ჩემს მონატრებულ და უსაყვარლეს შვილიშვილს, საბა ვაშაძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 13 ივლისს. ჯანმრთელობა, სიხარული და ღვთის წყალობა არ მოგკლებოდეს. გილოცავ ჩემო კარგო გიორგობის დღესასწაულს. ღმერთი გფარავდეს. მინდა იცოდე, რომ ვამაყობ შენით. გთხოვ, მაგრად იყავი, გაუფრთხილდი შენს თავს. ყველაფერი მოგვარდება.

•ცისარტყელა აკისკისდა, მიებჯინა მზესო, თოლიები ზღვის ნაპირზე ჩუმას კრავენ წრესო, გეფერები და გილოცავ დაბადების დღესო. ნანო, მიყვარხარ. გაკოცე. დათო.

•ჩემს უსაყვარლეს და უძვირფასეს მეგობარს, ნანკა სიხარულიძეს ვულოცავ სიყვარულის დღეს. სულ სიყვარულსა და სიხარულში გაგეცვლოს მთელი ცხოვრება. სიტყვები არ მყოფნის გამოვხატო, თუ როგორ მიყვარხარ. გკოცნი და მენატრები. ნინიკო.

•ჩემს მძახალს, დალი მასურაშვილს ვულოცავ 60 წლის იუბილეს, გისურვებ ჯანმრთელობას, უფლის წყალობას, უამრავი ლამაზი და ბედნიერი დღე გაგთენებოდეს. მანანა.

•ნინიკო, გილოცავ პატარას დაბადებას. ჯანმრთელი და ბედნიერი ბიჭი გაგეზარ-

დოს. იხარეთ და იდღეგრძელეთ. მოკითხვა ყველას, ვისაც ვახსოვარ.

•ქუთაისში, საფიჩხიაზე, ტარიელ მინდაძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 15 ივლისს. გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს, მშობლებთან და მეუღლესთან ერთად.

•ჩემს პატარა ვაჟკაცს, ოთიკო მამალაძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 30 ივლისს, უკვე 5 წლის გახდი და დიდი კაცი ხარ. გაიხარე და გაიზარდე, შენს ძმიკოსა და დაიკოსთან ერთად. ღმერთმა უბედნიერესები გამყოფოთ, მშობლებისა და ახლობლების გასახარად. ნანიკო მამიდა.

•ჩემს საყვარელ მამას, თამაზ მერაბიშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, ვუსურვებ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს. შენი შვილი, ნატალია.

•ხაშურში მცხოვრებ ზაზა ნაკაშიძეს ვულოცავ 9 ივლისს, 24 წლის იუბილეს. ზაზ, გისურვებ სიხარულს, სიყვარულს და ბედნიერებას, ოჯახთან ერთად.

•მარიკო წიკლაურს ვულოცავ 5 ივლისს, დაბადების დღეს. საყვარელო ადამიანო, დაესწარი მრავალს, შენს საყვარელ ხალხთან ერთად. გისურვებ ყოველივე კარგს, ცხოვრებაში. თინი.

•პეტრე-პავლობის დღესასწაულს ვულოცავ მთელ თიანეთს და ჩემს კოლეგებს, სკოლაში. უფალი გფარავდეთ! მიყვარხართ. მალე მენახოთ ბედნიერნი.

•ჩემს ნათლიას, ლამაზ და მშვენიერ რუსუდან ფაილოძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 12 ივლისს. უფლის წყალობა არ მოგკლებოდეს. მიყვარხარ და გკოცნი.

•მარი, გილოცავ დაბადების დღეს, 9 ივლისს. გისურვებ უფლის მფარველობას, ჩემო თოჯინავ. შენი სიცოცხლე, მამუკა.

•მარი, პირველად გწერთ. პეტრე-პავლობის დღესასწაულს გილოცავთ. მიყვარხართ. საქართველოში ახლა ჩამოვედი და მომეცი საშუალება, მოგეფეროთ. დამიბეჭდე, რა.

•საკუთარ თავს მინდა დაბადების დღე მივულოცო, ჰა მარი, ხომ დამიბეჭდავ? გაიხარე. მადლობა თქვენ, რომ არსებობთ.

•თბილისში, ერთ-ერთი საჯარო სკოლის პედაგოგს, ნანა მეტრეველს ვულოცავ გიორგობას. ნანუჩი, მალე გეპოვოს ჭეშმარიტი სიყვარული. გფარავდეს უფალი.

•ჩემს მონატრებულ მეგობარს, ათენში დროებით მყოფ ლაურა ტარანიძეს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ჯანმრთელობას, უფლის წყალობას, დიდხანს სიცოცხლეს. გკოცნი. ნანი.

•ხატი, მთელი გულითა და სულით მთელი ოჯახი გილოცავთ დაბადების დღეს. დაესწარი მრავალს, შენს ოჯახთან ერთად. იხარე და იბედნიერე. ღვთის წყალობა არ მოგკლებოდეს.

•ჩემს მონატრებულ შვილიშვილს, ვანო გარაყანიძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 13 ივლისს. ჯანმრთელობა, სიხარული და ღვთის წყალობა არ მოჰკლებოდეს. ჩემო პატარა ანგელოზო, მიყვარხარ და მენატრები. შენი ბებია.

•მარინა მენთეშაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. ღმერთს თავისი წყალობა შენი ცხოვრების გზაზე დაებერტყოს.

•ნანა დიასამიძეს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ყოველივე კარგს, ცხოვრებაში. გაიხარე და გამრავლდი, გფარავდეს ყოვლადწმინდა. გკოცნი, თამილა.

•რუსუდან გომელაურს ვულოცავ დაბადებისა დღეს. ჯანმრთელობას, ბედნიერ მომავალს, სიხარულს ვუსურვებ. გფარავდეს უფლის კალთა. გკოცნი.

•მამუ, მთელი გულითა და სულით მთელი ოჯახი გილოცავთ დაბადების დღეს. დაესწარი მრავალს, შენს ოჯახთან ერთად. იხარე და იბედნიერე. ღვთის წყალობა არ მოგკლებოდეს.

•სოსო ღვინიაშვილს და მარინა მაისურაძეს ვულოცავ დაბადების დღეს. იხარეთ და იდღეგრძელეთ. ნანა.

•ჩემს უსაყვარლეს და უძვირფასეს დედას, ნატალი გურგენიძეს ვულოცავ დაბადების დღეს. რწმენით, სიკეთითა და სიყვარულით გეცხოვროს. ღვთის წყალობა არ მოგკლებოდეს.

•ნატა ლაბაძეს: დაბადების იმ ლამაზ ღამეს შენი აკვნისთვის ღმერთს უკოცნია, დიდხანს სიცოცხლე შენთვის ცოტაა, დიდი სიცოცხლე დამილოცია. ლალი.

•18 ივლისს დაბადების დღეს ვულოცავთ ნატო გურგენიძეს. ვუსურვებთ გაზაფხულისამებრ წარმტაცი და აყვავებული ყოფილიყოს მისი ცხოვრების გზა. სიყვარულით, მეგობრები.

•დაიკო, 4-ში დაბადების დღეს გილოცავ. გისურვებ შენი ოცნების ასრულებას. ჩემი ლამაზი, ძაან მიყვარხარ, უფალი გფარავდეს. ასევე ჩემს თავსაც ვულოცავ იუბილეს.

•გამარჯობა სიხარულო. გილოცავ მეუღლის დაბადების დღეს. არაფერი იჯავრო, ადრე თუ გვიან, ყველაფერი მოგვარდება. მთელი ცხოვრებაა წინ. გელით. გვიყვარხარ და გვენატრები. ელენე.

•საყვარელ დედას, ირმა ლიტურაშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ ჯანმრთელ და ულევი სიხარულით სავსე ცხოვრებას.

•ჩემს საყვარელ დეიდას ვულოცავ დაბადების დღეს. დაესწარი მრავალს. დიდხანს სიცოცხლეს და ულევ სიხარულს გისურვებ. ღვთის წყალობა არ მოგკლებოდეს. მიყვარხარ.

•ჩემს სიცოცხლეს, თემურ ძებისაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. ჯანმრთელობას, სიყვარულს და ულევ სიხარულს ვუსურვებ. გფარავდეს უფალი, ჩემო სიხარულო.

•7 ივლისს დაბადების დღეს ვულოცავ ჩემს ანგელოზს, მარიკუნა გელაშვილს. რწმენით, სიხარულით და სიყვარულით გეცხოვროს მუდამ, ჩემო კუდრაჭავ.

•ჩემს სიცოცხლეს, ლაშიკოს ვულოცავ დაბადების დღეს. სიხარულით და სიყვარულით გეცხოვროს მუდამ, ჩემთან და ჩვენს მერცხლებთან ერთად, სიხარულო. უფალი გფარავდეს.

•ჩემს ლამაზ და მონატრებულ შვილს, ირინა ნათაძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 5 ივლისს. ჯანმრთელობა, სიხარული და ღვთის წყალობა არ მოგკლებოდეს, შენს ლამაზ ქმარ-შვილთან ერთად. გკოცნი, მონატრებული დედიკო, თინა.

•მეგობარს, გულო ბერიძეს ვულოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ საუკეთესო სურვილების შესრულებას. საყვარელ ოჯახთან ერთად გაიხარე, ჩვენო საყვარელო. გულო, გილოცავენ მეგობრები.

•ჩვენო ბათურიკა, ძალიან გვენატრები. გილოცავთ დაბადების დღეს და გისურვებთ ჯანმრთელობას, გამძლეობას და სულ მალე ოჯახთან ყოფნას. ჩათვალე, რომ რაც ხდება, ძალიან ცუდი სიზმარია და მალე გათენდება. ყველაფერი ჩაივლის და მალე გნახავთ. არ დაგავიწყდეს არასოდეს, რომ სიმართლის და სიკეთის სანთელი არასოდეს ქრება. აბა, შენ იცი ბუბუ, მაგრად იყავი. გკოცნით. გვიყვარხარ და სულმოუთქმელად გელით. დროებით ათენში მცხოვრებ გაბუნია მანანას დიდი სიყვარულითა და ლამაზი სურვილებით მინდა მივულოცო დაბადების დღე. შენი სიცოცხლის ყოველი დღე ყოფილიყოს მზის შუქივით ბრწყინვალე და ნათელი. გისურვებ ბევრ ლამაზ წელს.

•ჩემო ლამაზო, უპირველეს ყოვლისა, გილოცავ დაბადების დღეს და გისურვებ ყოველივე საუკეთესოს. არ მოიწყინო, გამაგრდი. მალე გაივლის დრო და ისევ ოჯახთან იქნები. აბა შენ იცი, მაგრად იყავი.

•ხაშურში გელას და მაიკოს ვულოცავთ შვილის, პატარა თორნიკეს დაბადებას. ღმერთმა ჯანმრთელი და სასახელო გაზარდოს. გკოცნით შორიდან და მენატრებით.

•6 ივლისს დაბადების დღეს ვულოცავ 3 წლის უნახავ და სიგიჟემდე მონატრებულ შვილიშვილს, გიორგი ლაშქარაშვილს. წმინდა გიორგის კალთა და ძალა გფარავდეს, ჩემო სიხარულო, მუდამ. გაიხარე და გაიზარდე სასახელო ვაჟკაცი. მიყვარხარ და მენატრები. გკოცნის გულში მაკა ბებო.

•სალონიკში დროებით მცხოვრებ ჩემს დაიკოს, ლიანა კოლუას ვულოცავ დაბადების დღეს, 7 ივლისს. დაი, ბედნიერი და გახარებული მეყოლე, მთელი ცხოვრება. ხათუნა.

„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: Guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.

ტაიმ-აუტი

„ცხოვრება ბორბლებზე“ ანუ რატომ გაასეირნეს მაკაკა ლიმუზინით

უკვე რამდენი წელია, ცირკი „შაპიტო“ საქართველოს თითქმის ყველა ქალაქს სტუმრობს და პატარების გულებსაც იპყრობს. 17 იანვარს, ბაკურიანში, მათ ქარავანს ცეცხლი გაუჩნდა და ყველა ცხოველი დაიწვა. თავდაპირველად ისიც კი იფიქრეს, რომ ყველაფერი ჯართში ჩაებარებინათ და ამით დაემთავრებინათ მრავალწლიანი „ცხოვრება ბორბლებზე“, მაგრამ საქმისა და პროფესიის სიყვარულმა თავისი გაიტანა და ყველაფერი თავიდან დაიწყეს... ამჟამად ცირკი ქალაქ რუსთავს სტუმრობს. მსახიობებმა შუაგულ მინდორში ფერად-ფერადი კარვები გაშალეს — სახელდახელოდ მოწყობილი საზაფხულო აბანო, სამზარეულო და „სასტუმრო“ — ავტობუსი საძინებლებით, — ასეთია მათი დროებითი საცხოვრებელი. მსახიობებს წარმოდგენის დაწყებამდე ვესტუმრე. ერთი შეხედვითაც კი მიხვდებით, რომ ცირკი მათთვის მარტო სამუშაო კი არა, ცხოვრების წესია და რომ „შაპიტო“ ერთი დიდი ოჯახია, სადაც ერთმანეთი ძალიან უყვართ, ერთმანეთზე ზრუნავენ და სითბოსა და სიყვარულს ცხოველებსაც კი უნაწილებენ.

ნინო ჯავახიშვილი

ჯანო (ჯანსულ) ჯიმშელეიშვილი, „შაპიტოს“ სამხატვრო ხელმძღვანელი და დირექტორი:

— 1976 წლიდან შოუმენი ვარ. პროფესიით მუსიკოსს, სხვა საქმე არასდროს მიკეთებია. ფილარმონიაში ცნობილი ანსამბლების კონცერტებს ვგეგმავდი, ვუშვებდი გასტროლებზე. რაც შეეხება „ჯანო კომპანის“ — მეგობრები, ჯანსულის ნაცვლად ჯანოს მეძახდნენ და როდესაც 1992 წელს გაჩნდა იდეა, დამეფუძნებინა კომპანია — „ჯანო-კომპანი“ დავარქვი. თითოეულმა ჩვენგანმა, განსაკუთრებით კი ძველმა თაობამ, აქამდე რომ მოვსულიყავით, ბევრი რამ გავიღეთ. როზალინდა ამ ყველაფრის სულისჩამდგმელია და როგორც დედა, ისე ჰპატრონობს ყველას. რამდენიმე თაობა გავზარდეთ. ახლა ვინც ცირკში მუშაობს, ესენიც ჩვენი გაზრდილი ბავშვები არიან.

— რას გვეტყვით უკრაინელ და იაპონელ სტუმრებზე?

— ისინი 6 თვით მოვიწვიეთ. მაი საკაეჰალას (იაპონელი გოგონა) უკრაინელი მასწავლებელი ჩემი მეგობარია და სტაჟირებისთვის გამოგვიგზავნა, თორემ იაპონიიდან აქ ვინ ჩამოვიდოდა ან რა ხელფასი უნდა მივცეთ მას ჩვენი მიზერული შემოსავლიდან? ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ სხვა ჯგუფი ჩამოვა. გვინდა, პროგრამა მრავალფეროვანი და წარმატებული იყოს და თანაც, უცხოელებმა თავიანთი თვალით ნახონ, რა კეთდება ჩვენს ქვეყანაში, რომ აქედან წასულებმა საქართველოსა და ქართველებზე კარგი თქვან.

— თქვენმა სტუმარმა ქართული არ იცის და თქვენ — იაპონური. ხომ არ უჭირს თქვენთან ურთიერთობა?

— როგორღაც ვუგებთ ერთმანეთს. ბევრი სიტყვა ისწავლა: „მადლობა, ბოდიში, ფერების გარჩევა, დილა მშვიდობისა და ღამე მშვიდობისა, 22 წლის ვარ...“ თავიდან გაუჭირდა აქაურობასთან შეგუება, თითქმის არ ლაპარაკობდა. ვფიქრობდით, რომ მუნჯი იყო. ეს მისი პირველი გასტროლია და თუ კიდევ ისურვებს ჩამოსვლას, დიდი სიამოვნებით მივიღებთ. სხვათა შორის, საქართველოში გამომგზავრებისა და ჩვენთან მუშაობის სურვილი ბევრმა გამოთქვა, რაც გვახარებს. თქვენ წარმოიდგინეთ, მაი უკვე სამზარეულოშიც ტრიალებს — ქართულ კერძებს ამზადებს და ძალიან მოსწონს.

— ალბათ რთულია მსახიობებისთვის ოჯახიდან თვეობით მოწყვეტა.

— მართლაც რთულია. 35 წელია, რაც ბორბლებზე შემდგარი ვცხოვრობ. თუ ეს პროფესია არ გიყვარს, ალბათ ვერც შეძლებ აქ მუშაობას. მე, როზალინდა და ანზორი სცენის „ავადმყოფები“ ვართ. ვინ იცის, რამდენჯერ არ გვქონია იმის საშუალება, რომ განსხვავებული სადილი გვქონოდა, მაგრამ ცხოველებისთვის ჩვენი წილი და ლუკმა გაგვიყვია. კულისებს მიღმა იმდენი შრომა და

თავდადებაა, რომ ვერავინ წარმოიდგენს... დაუფასებელია ჩვენი შრომა. ფარდის წინ კი ყველაფერი ლამაზადაა...

— როგორ შეარჩიეთ თქვენი ჯგუფის სხვა ახალგაზრდები?

— ეს პატარა აკრობატი გოგონა (*თეა შეყილაძეზე მანიშნებს. — ავტ.*) მედეა ჩახავას სახელობის აკადემიაში მდივნად მუშაობდა. მას მენეჯერობა შევთავაზეთ, თეა კი აკრობატობამ გაიტაცა...

თეა შეყილაძე, 20 წლის:

— ცირკში 1 წლის წინ მოვედი, როგორც მენეჯერი და მსახიობად დავრჩი. პროფესიით ფარმაცევტი ვარ. არანაირი მონაცემი და შეხება არ მქონია ამ საქმიანობასთან, მაგრამ რატომღაც გამიჩნდა სურვილი, აკრობატობა შემესწავლა. ბატონ ჯანოს ვთხოვე, დამხმარებოდა. თუ ადამიანმა მოინდომა, ყველაფერს მიაღწევს. პირველ დღეს რომ მავარჯიშა, წივილ-კივილით შევძარი იქაურობა, შიშისა და სიმწრისგან ვტიროდი. თუ გინდა, ვარჯიში შევწყვიტოთო, — მითხრა. უარი ვუთხარი და ბევრი შრომის შემდეგ შედეგსაც მივაღწიე.

— შიშის გრძნობა არ გაქვს? შენს ნომერს რომ ვუყურებდი, სიმართლე გითხრა, ავღელდი. თან, არანაირი დამცავი მექანიზმით არ მუშაობ.

ჯანო ჯიმშელეიშვილი:

— ახალგაზრდები და სიცოცხლით სავსეები არიან. ამათი დამცავი მექანიზმი არის ყურადღება.

თეა:

— ერთ-ერთი წარმოდგენის დროს, დამზღვევი შეკვრისას ზემოთ ავარდა. მისი ჩამოღება რთული არ იყო, მაგრამ დიდ დროს წაგვართმევდა. ბატონმა ჯანომ დამიძახა: „სტრახოვკის“ გარეშე გაიარეო. არ გაიაროო, — ფეხზე წამოდგა და ისე ყვიროდა ხალხი. ცოტა მეც შევშინდი, მაგრამ ბატონ ჯანოს რომ გავხედე, მივხვდი, შევძლებდი. მშვიდობიანად კი გავედი ბოლომდე, მაგრამ შემდეგ ემოციებისგან გავხდი ცუდად.

— მშობლებისგან წინააღმდეგობა არ ყოფილა?

— დედაჩემმა პირველად რომ უყურა ჩემს წარმოდგენას, როგორც მითხრა, არ უნერვიულია, მაგრამ სახლში დაბრუნებისას გავიგე, რომ წამოსვლამდეც და შემდეგაც, დაბრუნებულს ბევრი დამაწყნარებელი დაულევია. მაგრამ არ შემეწინააღმდეგა, რადგან იცოდა, მაინც არ დავუჯერებდი. მამა კი 3 თვის განმავლობაში ხმას არ მცემდა. ხშირად თვეობით ვწყდები ოჯახს და ეს არ მოსწონს.

ირაკლი ყუფუნია, 25 წლის:

— 13 წლის ვიყავი, აქ რომ მოვედი. ფაქტობრივად, ბატონმა ჯანომ და ქალბატონმა როზამ გამზარდეს. ცირკი ჩემთვის ყველაფერია. ვცდილობ, ბევრი ვიმუშაო საკუთარ თავზე და მაყურებელი ახალ-ახალი, საინტერესო ნომრებით გავაკვირვო...

ზაურ დვალიშვილი, 19 წლის:

— 3 წელია, „შაპიტოში“ ვარ. სურამში დასასვენებლად ვიყავი და პირველად მაშინ ვნახე ამ ცირკის წარმოდგენა. სურვილი გამიჩნდა, ჟონგლიორისა და აკრობატის პროფესიას დავუფლებოდი. ნათესავმა მიმიყვანა ბატონ ჯანოსა და როზალინდასთან და ასე შემოვრჩი აქაურობას.

— ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ ნომერს — ბოგირზე „შალახოს“ ცეკვას ვგულისხმობ, შენ ასრულებ. რთული არ არის?

— რთული არაფერია, როცა შენი საქმე გიყვარს. ამ ნომერზე ყველამ ერთად ვიმუშავეთ და ვფიქრობ, გაამართლა. შიშის გრძნობა აღარ მაქვს.

როზალინდა:

— ახალბედებს, პირველ რიგში, ვარდნას ვასწავლით. მათ იციან, როგორ უნდა ჩამოვარდნენ ისე, რომ არც მაყურებელი დააზიანონ და არც საკუთარი თავი. როდესაც დისკომფორტს გრძნობ, ვთქვათ, არასწორად დაადგი ფეხი ან ხვდები, რომ ვარდები, ან უნდა დაეშვა ცერებზე, ან უნდა დატრიალდე და ხელებით დაეკიდო.

პატარების დიდ მოწონებას მაინც მხიარული და ენერგიული კლოუნი — ჯიჯი იმსახურებდა. წარმოდგენის დაწყებამდე ვუყურებდი, მსახიობები სცენას როგორ ამზადებდნენ და ისიც შევამჩნიე, მათგან ყველაზე ასაკოვანი ერთ ადგილზე ვერ ისვენებდა და მუსიკის ხმაზე ცეკვა-ცეკვით აკეთებდა თავის საქმეს. ვიფიქრე, ალბათ, ცხოვრებაშიც ასეთი მხიარული ადამიანი იქნება-მეთქი.

ანზორ ხოჯაშვილი:

— იფიქრეთ, რომ ცხოვრებაშიც ჯამბაზი ვიყავი, ხომ (*იცინის*)? წარმოდგენის დაწყებამდე ყველაფერი გავიწყდება და მარტო იმაზე ფიქრობ,

მაყურებელს როგორ შეხვდე. საცირკო-საესტრადო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, 1972 წლიდან სცენაზე ვდგავარ და სანამ ხალხის გაღიმებას შევძლებ, მანამდე ცირკში ვიმუშავებ. თუ ტაშს აღარავინ დამიკრავს, მივხვდები, რომ ჩემი დრო წავიდა და წავალ.

— სხვათა შორის, მარტო პატარები კი არა, უფროსებიც ხალისობენ თქვენს გამოსვლაზე. თუ ყოფილა ისეთი შემთხვევა, როდესაც არ გქონდათ საქმე სამხიარულოდ, მაგრამ სცენაზე მაინც გასულხართ?

ჯანო ჯიმშელეიშვილი:

— ერთი წლის წინ ქუთაისში გასტროლებისას მამა გარდაეცვალა და თქვენ წარმოიდგინეთ, სამძიმარს წარმოდგენის შემდეგ იღებდა, ერთხელაც არ უთქვამს, — გამათავისუფლეთო.

— წარმოდგენები არ ჩავშალე. ვიცოდი, რომ ხალხი, ბავშვები მელოდებოდნენ და რა უფლება მქონდა, მათთვის მეღალატა? ფარდის უკან რა ხდება, მაყურებელს არ აინტერესებს...

— როზალინდა, ცხოველები, განსაკუთრებით კი — მაიმუნები იმდენად გიყვართ, რომ ამბობთ — ჩემი ბოლო სამუშაო ზოოპარკში

მაიმუნების მოვლა იქნებაო.

— ცხოველებიდან განსაკუთრებულად მაკაკა — გუსარი მიყვარდა, რომელიც იშვიათი ჯიშის იყო. ფოთში, ერთ-ერთმა მაყურებელმა წარმოდგენაზე მოიყვანა. მაიმუნმა ჩემთან მოსვლა მოითხოვა და მოულოდნელად, მაკოცა. პატრონს ვთხოვე, მაიმუნი ჩემთვის მოეყიდა. სამწუხაროდ, მას ფიბრომა აღმოაჩნდა და რადგან ოპერაცია ძვირი ჯდებოდა, თანხა კი არ მქონდა, თბილისში, ოროთახიანი ბინა გავყიდე. ოპერაციის შემდეგ ლიმუზინით წამოვიყვანე, რადგან მინდოდა, ჩემი გაწამებული მაიმუნისთვის რამით მესიამოვნებინა. მეგონა, ის ამ ყველაფერს გრძნობდა. მითხრეს, თუ სამდღიან კრიზისს გადაიტანდა, გადარჩებოდა, მაგრამ მესამე დღეს ყველას დაგვემშვიდობა — გვანიშნა, მასთან ახლოს მივსულიყავით, მოგვეფერა და მოკვდა.

— ყველაზე მგრძნობიარე ცხოველი რომელია?

— ყველა ცხოველი მგრძნობიარეა. სიყვარული ყველამ იცის. ჩემმა პითონმაც კი იცოდა. ტერარიუმს რომ ავხდიდი და ველაპარაკებოდი, შემომეხვეოდა (6-მეტრიანი გველი იყო), თავს დამადებდა და განაბული მისმენდა. ტუჩებში ვკოცნიდი და ის ამას გრძნობდა. საერთოდ, გველი აგრესიულია, მაგრამ გველმაც იცის დიდი სიყვარული. როდესაც ხვლიკს ვეკითხებოდი ხოლმე, ჭამა უნდოდა თუ არა, თანხმობის ნიშნად, თავს მიქნევდა.

— ბატონო ჯანო, საუბრის დასაწყისში მითხარით, ბევრ ცნობილ ადამიანს ვიცნობდიო. გასახსენებელიც ბევრი გექნებათ...

— ერთხელ, მარტვილში, დადიანების სასახლეში ვიყავით და უკან დაბრუნებისას ბატონმა თენგიზ არჩვაძემ დაიჩემა, — დღეს ჩემი დაბადების დღეა და გინდათ თუ არა, უნდა აღვნიშნოთო. მახსოვს, მდინარე ტეხურზე ჩავედით და ცოტა კონიაკის დალევის შემდეგ „ლომებმა“ — ზურაბ ქაფიანიძემ და თვითონ იუბილარმა გაგრილება მოისურვეს. წყალმა ლამის წაგვართვა ბატონი თენგიზი. რა არ გავაკეთეთ მე, მძღოლმა და ნიკო ნადირაშვილმა და ყველასთვის საყვარელი მსახიობი დახრჩობას გადავარჩინეთ. ალბათ ბევრი ოცნებობდა ასეთ ხალხთან ქეიფსა და „ჩახუტებაზე“. მე კი წილად მხვდა ბედნიერება, ურთიერთობა მქონოდა ვერიკო ანჯაფარიძესთან, გენო ნადირაშვილთან, ქართლოს კასრაძესთან, ედუარდ სეფაშვილთან, ბუთხუზი ბასილაიასთან, რობერტ ბარძიმაშვილთან, ლიანა ისაკაძესთან, მარინა იაშვილთან და კიდევ ვინ მოთვლის... ■

ალბინოსი — იშვიათი სილამაზე

ბუნებაში ალბინოსი ცხოველებიც არსებობენ და ფრინველებიც. XX საუკუნეში ერთ ინდოელ რაჯას ალბინოსი ვეფხვი მიჰყიდეს. რაჯამ თეთრ ცხოველს — შავი ზოლებითა და ცისფერი თვალებით — მოხანი უწოდა. მას შემდეგ თეთრი ვეფხვების გამოყვანით დაინტერესდა. დღეს ცისფერთვალება თეთრი ვეფხვების ნახვა მსოფლიოს უამრავ ზოოპარკშია შესაძლებელი. აგრეთვე ძალიან ლამაზი სანახავია ალბინოსი ფარშავანგი, გედი. ალბინოს (გენეტიკური დეფექტი, როცა ორგანიზმი მელანინს — შეფერილობის პიგმენტი — არ გამოიმუშავებს) ცხოველებს დაქვეითებული აქვთ იმუნიტეტი, სმენა. იშვიათად აღწევენ სიბერეს. სხვათა შორის, „თეთრებთან“ დაწყვილებას ცხოველები არ კადრულობენ. ძალიან იშვიათად ხდება ალბინოსი ცხოველების დაწყვილება (20 ათასში ერთი შემთხვევა). ამიტომაც არ არსებობს თეთრი ჟირაფებისა და სპილოების ჯოგი. ■

შავი მამბა

აფრიკის კონტინენტის ერთ-ერთ ყველაზე საშიშ ქვეწარმავლად შავი მამბა მიიჩნევა. სინამდვილეში იგი ყავისფერი ან წენგოსფერია, შავი კი ხახა აქვს. ყველაზე გრძელი შავი მამბა 4,5 მეტრამდე იზრდება. საშუალოდ — 2,5-3 მეტრამდე. ის საკმაოდ სწრაფი ქვეწარმავალია: 20 კმ/სთ-ით გადაადგილდება. შავი მამბა აქტიური მონადირეა. ძირითადად თაგვებით, ჩიტებითა და ციყვებით იკვებება. მსხვერპლს ორჯერ ჰკბენს. შემდეგ შხამის მოქმედებას ელოდება და ყლაპავს. ადამიანსაც ხშირად ესხმის თავს. ■

ჯუჯა სახელმწიფოები

⅄ ანდორას ტერიტორია სულ 468 კვმ-ია. ამ მინიატიურული სახელმწიფოსთვის დიდხანს იბრძოდა ესპანეთი და საფრანგეთი. ქვეყანამ დამოუკიდებლობა 1993 წელს მოიპოვა. მაღალმთიანი ანდორა განთქმულია სათხილამურო კურორტებით, არაბული ციხეებით, ხატების მუზეუმით, ძველებური მოტოციკლებისა და ავტომობილების გამოფენით. ციცქნა სახელმწიფოში ყველაზე ცნობილი ბრენდების მაღაზიებია გახსნილი. შექმნილია ქვეყნის მაკეტი, რაც ტურისტს საშუალებას აძლევს, 1 საათში სრულად დაათვალიეროს ქვეყანა.

⅄ ერთ-ერთ გერმანულ დიალექტზე ლუქსემბურგი „პატარა ქალაქს“ ნიშნავს. 2586 კვმ-ის მითვისება სურდა ინგლისს, გერმანიას, საფრანგეთსა და ესპანეთს. ლუქსემბურგის ტერიტორიაზეა თავმოყრილი თერმული წყაროები, რაინდთა ციხეები, კანიონი — მგლის ხახა. ლუქსემბურგს ჰერცოგი მართავს. სახელმწიფოს აქვს დამწერლობა, საკუთარი ენა — ლუქსემბურგული და ციცქნა აეროპორტი.

⅄ მონაკო XIII საუკუნის დასაწყისში გენუას კოლონიად ჩამოყალიბდა და დამოუკიდებლობა 1297 წელს მოიპოვა. ქვეყანას გრიმალდების სამეფო ოჯახი მართავს. მონაკოს ოკუპაციას მისი მეზობელი — საფრანგეთი იმ შემთხვევაში შეძლებს, თუ გრიმალდების გვარი გადაშენდება. სამეფოს ტერიტორიაზე მდებარეობს საკათედრო ტაძარი, ოკეანის მუზეუმი — რომელსაც ჟაკ ივ კუსტო ხელმძღვანელობდა, და ეგზოტიკური მცენარეების ბაღი. მონაკო მდიდრებისა და ცნობილების საყვარელი კურორტია. ყველაზე მეტი ტურისტი ქვეყანაში „ფორმულა 1-ს“ დროს ჩადის.

⅄ იტალიის შუაგულში მდებარეობს სან-მარინო. მართალია, ის დამოუკიდებელი სახელმწიფოა, მაგრამ იტალიამ აუკრძალა თამბაქოს წარმოება, საკუთარი ვალუტის გამოშვება და კაზინოს გახსნა. ქვეყნის დედაქალაქია — ბორგო-მაჯორე. ყველაზე დიდი დასახლება კი სერავალეა. მიუხედავად იმისა, რომ სან-მარინოს დაპყრობას არც ერთი მეზობელი ქვეყანა არ აპირებს, სახელმწიფოს არბალეტებით შეიარაღებული ჯარი იცავს. საბრძოლო ფორმის შესანარჩუნებლად, წელიწადში ერთხელ, ჯარისკაცები არბალეტით სროლაში შეჯიბრებას აწყობენ. ქვეყნის ტერიტორიაზე ავტომობილ „ფერარისა“ და წამების მუზეუმია. იტალიის ქალაქ რიმინიდან სან-მარინომდე ავტობუსით 40 წუთის სავალია.

⅄ ქალაქი-სახელმწიფო ვატიკანიც იტალიის ტერიტორიაზე, 0,44 კვ/კმ-ზე მდებარეობს. აქ ნახავთ უნიკალური მცენარეების ბაღებს, მუზეუმებს, სასახლეებსა და ტაძრებს. ქალაქ-სახელმწიფოში მოხვედრილ ტურისტებს სიფრთხილე მართებთ, ქუჩები ჯიბგირებითაა სავსე. იტალიის ტერიტორიაზე მდებარეობს ჩამოთვლილ სახელმწიფოებს შორის ყველაზე პატარა, მალტის სუვერენული ორდენი. მალტის რაინდთა რეზიდენციის ჭიშკარზეა დატანებული ჭრილი, საიდანაც, როგორც ამბობენ, სამი სახელმწიფო — მალტის ორდენი, ვატიკანი და იტალია — მოჩანს.

⅄ ლიხტენშტეინი ავსტრიისა და შვეიცარიის შუაშია მოქცეული. მინიატიურულ სახელმწიფოს საკუთარი ვალუტა — შვეიცარიული ფრანკი — აქვს. ქვეყნის ძირითადი მოსახლეობა დედაქალაქ ვადუციში ცხოვრობს. აქვეა მარკებისა და თხილამურების მუზეუმი, სამეფო სასახლე. ლიხტენშტეინის ტერიტორიაზე მდებარეობს სათხილამურო კურორტი, ციცქნა ზოოპარკი და ლუდის ქარხანა. ლუქსემბურგში ციურიხიდან ავტობუსი რამდენიმე საათში ჩაგიყვანთ. ■



ანეკდოტები

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის (კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი

1. დაასახელეთ კუნძულები, რომლებსაც ყველაზე ხშირად ატყდება ცუნამი, ვიდრე რომელიმე სხვა ადგილს დედამიწაზე.
2. ვინ და როდის დაიპყრო პირველად ევერესტი?
3. დაასრულეთ ანდრეი ალიაკინის სიტყვები: „ზა ნაჩნიე სტრადანია, ზა დუშევნიე მუკი, ნაშიმ დეტიამ ზა ნას ატამსტიატ ნაში ...“.
4. რა არის „პიპკი“?
5. რა არის „კარაველა“?
6. „30 წელი დამჭირდა იმაში დასარწმუნებლად, რომ სრულიად მოკლებული ვარ მუსიკალურ ნიჭს“, — გამოუტყდა ფრანგი კომპოზიტორი დანიელ ობერი რიჰარდ ვაგნერს. — „და ამის შემდეგ შეწყვიტეთ მუსიკის წერა?“ — ჰკითხა ვაგნერმა. რა უპასუხა ობერმა?
7. რა არის „ბაკლა“?
8. რომელ ქალაქში გაიხსნა მსოფლიოში პირველი მეტროპოლიტენი?
9. „აღარ მწადიან ცხვარშია, მინდა, რომ დავჯდე შინაო, ფეშტამალაად (წინსაფარია ერთგვარი) მაქცია, ქალებს ამაკრა წინაო. ანდა მაქცია რწყილადა, უბეში ჩამაძვრინაო, ლამაზის ქალაისადა ძუძუზედ მაკბენინაო“, — რა სათაურით არის ცნობილი ეს ხალხური ლექსი?
10. რა არის „მაჭიკი“?
11. დაასახელეთ ფრანგი ქიმიკოსი, რომელმაც პირველმა დაადგინა, რომ ადამიანი ჩასუნთქვისას ჟანგბადს შთანთქავს, ამოსუნთქვისას — კი ნახშირორჟანგს გამოყოფს.
12. დაასახელეთ კომპოზიტორი, რომლის პორტრეტიც ნორვეგიული ფულის ერთ-ერთ ბანკნოტზე იყო გამოსახული.
13. რა არის „ავქაში“?

* * *

ქალი კონსულტაციაზეა გინეკოლოგთან. ექიმი ეკითხება:

— ბავშვის მამა დაესწრება მშობიარობას?

— არა მგონია... ჩემს ქმართან ნაჩხუბარია...

* * *

ყოფილი მოკრივე ახალგაცნობილ ქალს თავისი ცხოვრების შესახებ უყვება. ნახევარი საათის შემდეგ ქალი აწყვეტინებს:

— უკაცრავად, ნოკდაუნისა და ნოკაუტის გარდა, კიდევ თუ ხართ სადმე ნამყოფი?

* * *

ორი ფეხბურთელი შეთანხმდა, რომ თუ ერთ-ერთი მოკვდებოდა, მეორეს დაესიზმრებოდა და ეტყოდა, თამაშობენ თუ არა სამოთხეში ფეხბურთს.

ერთ-ერთი მართლაც გარდაიცვალა. რამდენიმე დღეში ესიზმრება მეორეს და ეუბნება:

— შენთვის 2 ამბავი მაქვს, კარგი და ცუდი.

— ჯერ კარგი მითხარი.

— კარგი ამბავი ის არის, რომ სამოთხეში ფეხბურთს თამაშობენ.

— ცუდი ამბავი?

— მალე გუნდში შენს აყვანას აპირებენ.

* * *

მეშახტე საღამოს ცვლიდან ბრუნდება შინ, დაღლილი და გასავათებული. საძინებელში ხედავს, ცოლი უცხო მამაკაცთან ერთად გორაობს ლოგინში და ამოიოხრებს:

— ნეტავი თქვენ, მაგის თავი რომ გაქვთ!..

* * *

მეზობლებმა მიირბინეს მიხოს მამასთან:

— თქვენმა შვილმა ვირი დაიჭირა და ბუჩქებში შეათრია.

— რაო?! დღეს ხომ პარასკევია?! დღეს ჩემი ჯერი იყო!

* * *

გამხდარმა ნარკომანმა სტუდენტმა ქუჩაში საღეჭ რეზინას დააბიჯა ფეხი და ლექციაზე დააგვიანდა.

* * *

მეზობლებმა ქურთის ბავშვი გაგზავნეს, — გაიგე, ოპერაში რა სპექტაკლებიაო. გამოკრულ აფიშაზე ეწერა: „რომეო და ჯულიეტა“, „დაისი“ და „აიდა“. ქურთის ბავშვი დაბრუნდა და მეზობლებს ეუბნება: რომეომ ჯულიეტა დაისვა და ჰაიდაო.

* * *

რჩევა ახალგაზრდა მამაკაცებს გამწარებული ახალგაზრდა მამაკაცებისაგან: არასდროს მოუყვეთ თქვენს შეყვარებულებს, თუ რა საშინლად მოგექცნენ წინა შეყვარებულები... არ არის საჭირო იდეების მინოდება!

* * *

საცეკვაო მოედანზე:

— გოგონა, შეიძლება თქვენთან...

— შეიძლება, შეიძლება!.. ოღონდ, ჯერ ვიცეკვოთ!

* * *

გურულს ჰკითხეს:

— ცურვა იცი?

— სა? წყალში?

* * *

ცოლ-ქმარი ვახშმობს. ცოლმა წვნიანი გადაისხა.

ცოლი:

— ფუ, ღორს დავემსგავსე.

ქმარი:

— თან, „სუპიც“ გადაისხი!..

* * *

2 გურული დილით ადრე ხვდება ერთმანეთს:

— სად მიხვალ, ძამა?

— მამაჩემის საფლავზე...

— ასე ადრე?

— რავა, ეძინება თუ?

* * *

რას აკეთებენ სხვადასხვა ეროვნების ადამიანები, როცა ექიმი ეუბნება, რომ მათ 1 კვირის სიცოცხლე დარჩათ:

ქართველი ემშვიდობება თავის ახლობლებს;

ფრანგი ემშვიდობება თავის საყვარლებს;

ამერიკელი ხურავს თავის ყველა ბიზნესს;

რუსი სვამს გამოუფხიზლებლად;

ებრაელი მიდის სხვა ექიმთან.

* * *

— ხელფასი ნარკოტიკია!

— საიდან დაასკვენი?

— აბა, დააკვირდი: ხელფასის მიღების დღეს უმიზეზოდ კარგ ხასიათზე ხარ, იცინი, ხუმრობ (როგორც დოზის მიღებისას). ხელფასის რამდენჯერმე მიღების შემდეგ ველარ ძლებ მის გარეშე (იწვევს მიჩვევას). ხელფასის დიდი დროით არარსებობა იწვევს დეპრესიას და ყველაფერი მუქ ფერებში გეჩვენება („ლომკა“).

დროდადრო აუცილებელია ხელფასის გაზრდა, რადგან აღარ გყოფნის (საჭიროა დოზის გაზრდა, რადგან ძველ დოზას უკვე აღარ „მოაქვს“). გეუბნები, რა, ხელფასი ნარკოტიკია-მეთქი.

* * *

ქმარი ცოლს საყვედურობს:

— ერთი ვიცოდე, რისთვის უყურებ ამ კულინარიულ გადაცემებს?!. საჭმლის გაკეთება მაინც არ იცი.

— შენ რომ პორნოგრაფიას უყურებ?!.

* * *

ორი მეგობარი საუბრობს:

— ცოტა ხნის წინ მაგრად გადავრჩი. ცოლს კინაღამ საყვარლის სახელი დავუძახე. გადავწყვიტე თავი დამეზღვია, კატა ვიყიდე და საყვარლის სახელი დავარქვი.

— მაგრად მოგიფიქრებია!

— ჰო, მაგრამ 1 კვირის წინ ცოლმა ლეკვი მოიყვანა და კოტეს ეძახის!..

* * *

— გამარჯობა, ყურმილს რატომ არ იღებდი?

— ტუალეტში ვიყავი.

— 2 თვე?!..

* * *

ქალი მივიდა პლასტიკურ ქირურგთან:

— ექიმო, თქვენი კლინიკის კარისკაცი ძალზე სიმპათიურია.

— რა ვქნათ, ჩემო კარგო, ხელფასების გაცემა გვიჭირს და ფულის სანაცვლოდ ოპერაციებს ვუკეთებთ.

* * *

ზარი ბიზნესმენის ტელეფონზე:

— ახლა კარგად მომისმინე, 100 ათას დოლარს თუ არ გადამიხდი, ან შვილს მოგტაცებ, ან მანქანას დაგილეწავ, ან სახლ-კარს გადაგიწვავ...

— ჯერ გადაწყვიტე, რა გინდა და მერე დამირეკე!..

* * *

სვანი სათადარიგო ნაწილების მაღაზიაში მივიდა და გამყიდველს ეკითხება:

— „მარშრუტკის“ ნაწილები გაქვთ?

— რა „მარშრუტკა“ გაქვს?

— მესტია-თბილისი.

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. ჰავაი.
2. ახალზელანდიელმა ედმუნდ ჰილარიმ, 1953 წელს.
3. „ვნუკი“.
4. წმინდად დაფქული საუკეთესო ხარისხის პურის ფქვილი.
5. ასე ერქვა სამანძიან ესპანურ ან პორტუგალიურ ხომალდს შუა საუკუნეებში.
6. „არა, — ჩაიცინა ობერმა, — რატომ უნდა შემეწყვიტა?!.. მე ხომ უკვე სახელგანთქმული კომპოზიტორი ვიყავი!..“.
7. მსხვილი ცერცვი.
8. ლონდონში, 1863 წელს.
9. „მწყემსის ნატვრა“.
10. საყველე რძის შესადედებელი მასალა, რომელსაც ჩვილი მცოხნავი საქონლის კუჭიდან იღებენ. მეორენაირად მას „დვრიტა“ ჰქვია.
11. ანტუან ლავუაზიე.
12. ედვარდ გრიგი.
13. ქათმის მკერდის ორტოტა ძვალი. მეორენაირად მას „საწინწკარას“ ეძახიან.

ჩვენი ფოტო გაღეჩეა

ჰოროსკოპი

14-20 ივლისი

ვირაყი

შესაძლო პრაქტიკანტებთან მოგიწიოთ მუშაობამ და მათ თქვენი ცოდნა და გამოცდილება გაანდოთ. მეტი დრო დაუთმეთ ბინის მოწყობას. უქმეები მეუღლესთან და შვილებთან ერთად გაატარეთ. მოერიდეთ ქალაქგარეთ მგზავრობას.

ჯუჩი

კარგი პერიოდია ცოდნის მისაღებად, ახალი საგნების ასათვისებლად. გამოგისწორდებათ ურთიერთობა მშობლებთან. მეტი დრო გაატარეთ ჰაერზე. ეცადეთ, ფული ეკონომიურად ხარჯოთ.

ტყუპი

დაძაბული კვირა გელით, რადგან რამდენიმე საქმის ერთდროულად მოგვარება მოგიწევთ. გამოგისწორდებათ მატერიალური მდგომარეობა, რაც საშუალებას მოგცემთ საკუთარი თავისთვის საჩუქრები შეიძინოთ. მოერიდეთ სარისკო ქმედებებს.

კიბიტალი

გაგიუმჯობესდებათ მატერიალური მდგომარეება, რაც საშუალებას მოგცემთ მეტი დრო დაუთმოთ საკუთარ თავს. შეიცვალეთ იმიჯი — ჩაცმულობა, ვარცხნილობა. შეიძინეთ ახალი ნივთები.

ლომი

დაძაბული სამუშაო დღეები გელით. ახალი პროექტების განხორციელება მთელ დროსა და ენერგიას წაგართმევთ. მოერიდეთ ხმაურიან თავყრილობებსა და წვეულებებს. უქმეები ბუნებაში, საყვარელ ადამიანებთან ერთად გაატარეთ.

ქალწული

საწინააღმდეგო სქესთან მეგობრობა სიყვარულში გადაიზრდება. მოსალოდნელია რომანტიკული შეხვედრები. ეცადეთ, ეჭვიანობითა და კრიტიკიული შენიშვნებით ურთიერთობა არ გააფუჭოთ.

სასწორი

გარშემო მყოფები ხშირად მოგმართავენ რჩევისა და დახმარებისთვის. კვირის მეორე ნახევარში მოგზაურობისა და დასვენებისთვისაც გამონახეთ დრო. მოერიდეთ კონფლიქტს. უქმეები საყვარელ ადამიანთან ერთად გაატარეთ.

ღრიანცელი

კარგი პერიოდია მოგზაურობისთვის, ახალი ნაცნობობისა და ცოდნის გაღრმავებისთვის. მოერიდეთ სარისკო ქმედებებს. კვირის ბოლოს მოსალოდნელია ფინანსური დანაკარგი და ტრავმა. მოერიდეთ ცეცხლს.

მშვილდოსანი

თავგადასავლებით აღსავსე პერიოდი გელით. ხშირად ჩაიგდებთ საკუთარ თავს საფრთხეში. კვირის მეორე ნახევარში რომანტიკული შეხვედრები გელით. უქმეები ბუნებაში გაატარეთ და გაეცანით თანამედროვე ლიტერატურას.

თხიას რქა

მეუღლე ყველა სურვილს აგისრულებთ და თქვენს ოჯახში სიმშვიდე დაისადგურებს. დაგირეგულირდებათ ურთიერთობა საქმიან პარტნიორებთან. მეტი მზრუნველობა გამოიჩინეთ შინაური ცხოველების მიმართ.

მეთევზე

ახალ პროექტებს წარმატებით გაართმევთ თავს. საყვარელ ადამიანს ხშირად მოუწყვეთ რომანტიკული პაემანი. მეტი ყურადღება მიაქციეთ ბავშვების ჯანმრთელობას.

თევზები

სამსახურებრივი საქმეები ისე გადაანაწილეთ, რომ დრო საყვარელი ადამიანისთვისაც გამონახოთ. კარგი პერიოდია ახალი იდეების განსახორციელებლად. უქმეები მეგობრებთან ერთად ქალაქგარეთ გაატარეთ.

ჩაი ადამიანის ხასიათის გამოცნობაში დაგვეხმარება

ჩაი ბევრი ადამიანის საყვარელი სასმელია. დააკვირდით გარშემო მყოფებს, როგორ ჩაის სვამენ ისინი და მათ შესახებ ბევრ საინტერესოს შეიტყობთ.

• ცხელ, მუქ, ტკბილ ჩაის ის მიირთმევს, ვისაც ყურადღების ცენტრში ყოფნა მოსწონს. წარმატებას აღწევს ტექნიკურ სფეროში. სამუშაოს დიდხანს, გულმოდგინედ და უშეცდომოდ აკეთებს. ფიცხი ხასიათი აქვს, რის გამოც შესაძლოა, საუკეთესო მეგობარიც კი დაკარგოს.

• ცხელი, ტკბილი, ზომიერად მუქი ჩაის მოყვარულს მხიარულ გართობას შინაურ ატმოსფეროში დასვენება ურჩევნია. ცოტა, მაგრამ ერთგული მეგობარი ჰყავს. მუდმივად მზადაა გაჭირვებულს დაეხმაროს და სხვისი საიდუმლო არ გათქვას. განვითარებული ინტუიციის წყალობით შეცდომებს თითქმის არასდროს უშვებს. კარიერულ წინსვლას შრომით აღწევს.

• ცხელ, მუქ, უშაქრო ჩაის მხიარული ადამიანი სვამს. ის შემოქმედი და რომანტიკულია. შეუძლია გამვლელებსაც კი გაუბას ლაპარაკი და დაუმეგობრდეს. ყოველთვის საქმის კურსშია. ახლობლების მიმართ განსაკუთრებით ყურადღებიანია. ფულს ეკონომიურად ხარჯავს, მაგრამ ცდილობს, ოჯახის წევრებს სადილი და დესერტი არ მოაკლოს.

• ნიჭიერი ადამიანი ცივ, მუქ, უშაქრო ჩაის სვამს. უყვარს ალკოჰოლური სასმელები და ძვირფასი სიგარეტი. ზოგჯერ წუნია და ბუზღუნაა, ზოგჯერ კეთილი და მოსიყვარულე. ბევრს კითხულობს, ერუდირებულია. უყვარს მარკეტების შეგროვება, თევზაობა. დასვენება არ გამოსდის, რადგან მუდამ საქმით არის დაკავებული.

• რომანტიკოსი და ავანტიურისტი ცხელ, ზომიერად მუქ, არომატიზებულ ჩაის მიირთმევს. უამრავი მეგობარი ჰყავს და მუდამ მზად არის მეგობრის დასახმარებლად. უპრეტენზიოა — შესაძლოა, სახლში მაცივრისა და საწოლის მეტი არაფერი ჰქონდეს. უყვარს მხიარულება და მოგზაურობა.

• გურმანი და ნიჭიერი ადამიანი ცხელ, ზომიერად მუქ, უშაქრო ჩაის ანიჭებს უპირატესობას. უყვარს მეგობრებთან ერთად გართობა, ფილოსოფიური საუბრები. ბევრს კითხულობს და სიამოვნებით მონაწილეობს ინტელექტუალურ თამაშებში. მოსწონს კომპლიმენტები და ყურადღების ცენტრში ყოფნა. ყველაზე დიდ სიამოვნებას კი ფულის ხარჯვა ანიჭებს. ■

ტაიმ-აუტი

1. ძალიან იშვიათი
2. კვიპროსის დედაქალაქი
3. ლაბორატორიული ჭურჭელი
4. ხორცის ნახარში
5. მედიცინის დარგი
6. ბრაზილიელი მწერალი
7. კომში
8. სოლო პარტია ოპერაში
9. უგონო მდგომარეობა
10. ფალიაშვილის ოპერა
11. ზევსის ფარი
12. საუბარი
13. ხვავი
14. ამერიკელი რეპერი
15. ძლიერი ქარი
16. სასეირნო სპორტ. გემი
17. ფეხბურთის მეფე
18. ეპოქა, პერიოდი
19. ბანქოს თამაში
20. ყვავის ნაშიერი
21. ქვეყანა აფრიკაში
22. თვალის გუგა
23. შინაური ცხოველი
24. ისლამის წმინდა ქალაქი
25. ვენესუელის პრეზიდენტი
26. ძალიან პატარა ტანის
27. ჭუჭის გაცლა წყლით
28. მწერის განვით. ერთ-ერთი სტადია
29. ძველებური ხომალდის ტიპი
30. ტაძარი კახეთში
31. ბოსტნეული
32. ყვავილი
33. მთავარი საწყობი
34. ერთგვარი კანფეტი
35. ლაშქარი
36. კიბის მოაჯირის ნაწილი
37. მედუდუკეთა ანსამბლი
38. ... აგილერა
39. მანქანის ძირითადი ნაწილი

წინა ნომრის სკანვორდის პასუხები 1. დეკემბერი; 2. კარე; 3. ეკიპაჟი; 4. იმპორტი; 5. ბანი; 6. პროტესტი; 7. მარიონეტი; 8. პერი; 9. ლაინერი; 10. კაბალა; 11. ჟილეტი; 12. კიკინი; 13. აფრა; 14. შერონ; 15. კარავი; 16. კოლოფი; 17. ვენახი; 18. მედრესე; 19. პრინციპი; 20. ზნე; 21. ტაფა; 22. მალა; 23. კრამიტი; 24. პრესლი; 25. მორალი; 26. ოკრიბა; 27. პინო; 28. მინესოტა; 29. სომელიე; 30. კანიონი; 31. კონვერტი; 32. სისინი; 33. ნონსენსი; 34. კოლიო; 35. მატიანე; 36. ირლანდია.

სურათებზე: დემი ლოვატო; სტინგი.

სპეციალური კროსვორდი



შევსების წესი: **უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრედებში ქართულ ანდაზას ამოიკითხავთ.**

გ. თბილისის „დინამოს“ ყოფილი ფეხბურთელი, პირველი გოლის ავტორი იენის „კარლ ცაისის“ კარში; **ა**. მსოფლიოს ყველაზე გრძელი ჩანჩქერი; **ე**. აინშტაინის ეროვნება; **რ**. ქალაქ მადრიდის საფეხბურთო კლუბი; **თ**. მართლმსაჯულების ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში, რომელსაც იაკობ ბემეს თქმით, ხელში მახვილი რომ არ ეჭიროს, სასწორს თავზე გადაამტვრევდნენ; **ე**. რა ერქვა დათა თუთაშხიას დას? **თ**. ეროს მცემელი სამჭედლოში; **დ**. ღვინისა და დროს ტარების ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; **ა*** . დაავადება, რომელსაც სულის ხუთვის შეტევები ახასიათებს; **დ*** . მდინარე, რომლის ნაპირზე ევროპის ოთხი სახელმწიფოს დედაქალაქი: ვენა, ბუდაპეშტი, ბელგრადი და ბრატისლავა მდებარეობს; **ა*** . თამბაქოს სამშობლო; **ი*** . ბიბლიური პერსონაჟი, რომელიც საკუთარმა ძმებმა მონად მიჰყიდეს ეგვიპტელებს; **ს*** . არხი, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს წითელსა და ხმელთაშუა ზღვებს; **ვ*** . კლდეში ნაკვეთი ქალაქი საქართველოში; **ე*** . რა ერქვა მიზანა ბრეგვაძის ვაჟს მხატვრულ ფილმში „შერეკილები“? **ნ*** . ქარის მიერ ერთ ადგილზე მიყრილი თოვლი; **ე*** . დადგენილი საზომი ერთეულის ზუსტი ნიმუში; **თ*** . რა დაარქვეს, 1336 წლის 11 მარტს მომთაბარე სოფელ ილღარში, გათურქებული მონღოლი ბეგის, ტარაღაის კარავში დაბადებულ ბავშვს? **გ*** . სიმებიანი მუსიკალური საკრავი; **ზ*** . იმ წესებისა და ნორმების ერთობლიობა, რომლებიც განსაზღვრავს ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებასა და ყოფაქცევას ამა თუ იმ საზოგადოებაში; **ა*** . უღელტეხილი აღმოსავლეთ კავკასიონზე; **ს*** . უტყეო, სწორი, ბალახით დაფარული სივრცე მშრალი ჰავის ზონაში; **თ*** . ვალიკო მიზანდარის მშობლიური ქალაქი; **ა*** . დიეგო მარადონას მეორე სახელი; **ნ*** . საბჭოთა პერიოდში გამომავალი ქართული, სატირულ-იუმორისტული ჟურნალი; **ე*** . საეკლესიო-ადმინისტრაციული ერთეული, რომელსაც ეპისკოპოსი განაგებს; **რ*** . მეკობრეთა დროშის სახელწოდება „მხიარული ...“; **თ*** . ერთდროულად მცხოვრები დაახლოებით ერთი ასაკის ადამიანები; **ა*** . ინგლისის უძველესი სახელწოდება; **დ*** . ზღაპრული ურჩხული.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

ა* . ანცი; **რ*** . რეალი; **დ*** . დარიოსი; **ა*** . ალიზი; **გ*** . გოეთე; **ა*** . აკლდამა; **ვ*** . ვაიმარი; **ი*** . იშტა; **წ*** . წნორი; **ყ*** . ყამარი; **დ*** . დრაქმა; **ე*** . ებრაელი; **ს*** . სვანეთი; **ჟ*** . ჟოფრეი; **უ*** . ურემი; **რ*** . რიხარდი; **ნ*** . ნეზვი; **ა*** . ამერიკა; **ლ*** . ლივრეა; **გ*** . გრენადა; **ზ*** . ზურნა; **ი*** . იადონი; **ს*** . სკალპი; **შ*** . შედევრი; **ე*** . ენგური; **ძ*** . ძმები; **ე*** . ელბა; **ნ*** . ნიაგარა; **ა*** . ამონი.

გამუქებულ უჯრედებში იკითხება:

ცარიელი ტომარა ფეხზე ვერ დადგებაო

იაპონური სენსაციია sudoku

„გზის“ წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

7	6	8	4	3	1	9	2	5
9	3	1	6	5	2	4	8	7
5	2	4	7	8	9	1	6	3
2	8	5	3	9	6	7	4	1
6	9	7	1	2	4	3	5	8
1	4	3	8	7	5	6	9	2
4	7	6	5	1	8	2	3	9
8	1	2	9	6	3	5	7	4
3	5	9	2	4	7	8	1	6

4	3	7	2	6	9	5	1	8
6	9	1	5	8	3	7	2	4
8	2	5	7	4	1	6	3	9
2	5	8	3	1	7	4	9	6
7	6	3	9	5	4	2	8	1
1	4	9	8	2	6	3	7	5
9	1	2	4	7	5	8	6	3
5	7	6	1	3	8	9	4	2
3	8	4	6	9	2	1	5	7

9	2	3	1	5	8	4	6	7
4	8	5	6	3	7	2	1	9
7	1	6	9	2	4	5	3	8
8	6	9	2	4	3	7	5	1
1	7	2	5	8	6	9	4	3
5	3	4	7	9	1	8	2	6
3	4	7	8	6	2	1	9	5
2	9	8	3	1	5	6	7	4
6	5	1	4	7	9	3	8	2

* **მარტივი**

		6	4					
	3			7				8
	7				1	5		
9		3	6				4	
		7		5		9		
	1					3		6
		1	9				3	
6				1			2	
					5	1		

** **საშუალო**

	9			2			1	
			8			7		
	2			1		8		
		5	3				2	
	6			9			7	
	4		5		8	3		
		3		8			5	
		9			2			
	8			6			9	

*** **რთული**

		5		8		4		
6							3	
3	8				2			9
9								1
4					5			7
1				7				2
2			9				1	8
	9							3
		6		1		7		

ფოტოკუჩიოზები

ყოველ პარასკევს,
ჟურნალ „საბავშვო ჯარუსელთან" ერთად,
დიდი ქართველების
ბიოგრაფიების
თითო წიგნი!

15 - დან
22 ივლისამდე

წიგნის ფასი: 2.50
(ჟურნალთან ერთად 3.50)

მალე გამოვა:

12 ნიკოლოზ ბარათაშვილი
13 დავით ალმაშენებელი
14 ზაქარია ფალიაშვილი
15 გრიგოლ ხანძთელი
16 სულხან-საბა ორბელიანი
და სხვა დიდი ქართველები

კოჭე მარჯანიშვილი

შემდეგი

გამოჩენილი ადამიანების ბიოგრაფიები

წიგნების სერია ბავშვებისთვის

უკვე გამოსული ტომები №1, №2, №3, №4, №5, №6, №7, №8, № 9 №10 შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნის მაღაზიებში

„გამომცემლობა პალიტრა L“-ის ახალი წიგნები

ქართულ და ინგლისურ ენებზე!

ბოლო!

დიდი მხატვრები და მათი შედევრები

ფასი: 19.99

გვ. რაოდ.: 12 გვ., მუყაო
ფორმატი: 25X45
ყდა: მაგარი
ამ წიგნით **6 დიდ მხატვარს** გაიცნობ და შეძლებ, შენი ხელით ააწყო მათი შედევრები.

ფასი: 15.99

ტკბილეული პატარებისთვის

გვ. რაოდ.: 61 გვ.
ფორმატი: 21.5X27.5
ყდა: მაგარი
წაიკითხეთ ეს პატარა დიასახლისისთვის შექმნილი წიგნი, მარტივი, სახალისო რეცეპტებით და დარწმუნდებით, რომ ნაირ-ნაირი ნუგბარისა და სასუსნავის მომზადება უფროსების დახმარების გარეშეც იოლად შეიძლება.

ბოლო!

სალამოობით სასიამოვნო ლამაზ-ლამაზი ამბები

ფასი: 22.99

გვ. რაოდ.: 372 გვ
ფორმატი: 18.5X21
ყდა: მაგარი
ფანტასტიკური, სახალისო და ლამაზ-ლამაზი ამბები — წაიკითხე, იოცნებე, ოჯახის წევრებსაც გაუზიარე და მერე ... ტკბილად დაიძინე!

საოცარი თვითმფრინავები

ფასი: 19.99

გვ. რაოდ.: 10 გვ.
ფორმატი: 22.5X26
ყდა: მაგარი
თქვენ წინაშეა საოცარი წიგნი ავიაციაზე **5 ასაწყობი თვითმფრინავის მოდელით**. ააწყვეთ ეს საოცარი თვითმფრინავები და თვალწინ გადაგეშლებათ ავიაციის შთამბეჭდავი ისტორია.

მეგობარი დინოზავრები

ფასი: 17.99

გვ. რაოდ.: 11 გვ.
ფორმატი: 20X26
ყდა: მაგარი
ეს პატარა დინოზავრები თავგადასავლების საძიებლად მიდიან. წაიკითხე გრძელ-ჯისერა ლეოს, ტერი ტი-რექსისა და ტამი ტრიკერატოფსის ამბავი და მერე თავად მოიგონე შენი თავგადასავალი! შენ შეგიძლია ორი მეგობარი დინოზავრი პაზლებითა და ბლოკებით ააწყო.

ბაჭიების ძილისპირული

ფასი: 14.99

გვ. რაოდ.: 69 გვ.
ფორმატი: 25.5X25.5
ყდა: ბალიშა
ძილის წინ ამ საყვარელი ბაჭიების თავგადასავალს რომ მოისმენ, სიზმარშიც მათთან ერთად განაგრძობ თამაშსა და გართობას.

შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში!

წიგნები სახლში მიტანით ფასნამატის გარეშე ტელ.: 8(32) 238 26 73; 8(32) 238 26 74 www.elva.ge

ბილაინი®

გადმოდი ნათელ მხარეზე

ჩაერთე «ბილაინის ბრანდიოზულ გათამაშებაში»

23 სექტემბრამდე და მოიგე

- ორი ახალი ტოიოტა პრადო
- სამი ორკაციანი საგზური ბარსელონაში, კლუბ «ბარსელონას» თამაშზე დასწრებით

მონაწილეობისთვის აკრიფე:

*500#

06 11 2 20 06 11

www.beeline.ge

რეგისტრაცია უფასოა

*მომსახურება «მოგებლური გადარიცხვის» სარგებლობის შემთხვევაში ბილეთი არ ბერიცხება ბალანსის ერთჯერადად ყოველი 3 ლარით შევსებისას მიიღეს გათამაშების 1 ბილეთს

გათამაშება გაიმართება 25 სექტემბერს რუსთავი 2-ის პირდაპირ ეთერში

ნებართვის №19-03/271